

Институт языкознания им. А. С. Чикобава

**Н. А. Ардотели**

**Дидойский язык**  
(грамматический анализ с текстами)

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Nodar Ardoteli**

**The Dido Language**  
(Descriptive analysis with texts)

Тбилиси – Tbilisi  
2007

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

ნოდარ არდოტელი

# დიდოური ენა

(აღწერითი ანალიზი და ტექსტები)

თბილისი  
2007

მონოგრაფიაში წარმოდგენილია დიდოური ენის გრამატიკული სტრუქტურის მოკლე აღწერითი ანალიზი, რომელსაც თან ერთვის დიალექტური ტექსტები. მეტ-ნაკლები სისრულით განხილულია დიდოურ ენაში არსებული ყველა გრამატიკული კატეგორია და მოცემულია მათი სისტემატიზაციის სურათი. დამატებით გამოყოფილია აქამდე უცნობი (მაგალითად, გვარის) გრამატიკული კატეგორია, რასაც ახლავს სათანადოდ დასაბუთების ცდა. ნაშრომში თანამიმდევრულად გათვალისწინებულია დიალექტთა და თქმათა მონაცემები.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, ენის თეორიის სპეციალისტთა და კავკასიურ ენათა სპეციალისტების სტუდენტთათვის. იგი გამოადგება ისტორიკოსებს, ფოლკლორისტებსა და კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პირთ.

В монографии представлен краткий описательный обзор грамматической структуры диодойского (resp. цесского) языка. В труде дается анализ всех грамматических категорий, имеющихся в исследуемом языке. В некоторых случаях выделяется до сих пор неизвестная грамматическая (например, залоговая) категория (прилагается попытка соответствующего доказательства). В работе последовательно учтены данные соответствующих диалектов и говоров. К исследованию приложены тексты, иллюстрирующие диодойскую речь.

Книга предназначена для исследователей иберийско-кавказских языков, для специалистов теоретической лингвистики и студентов специальности кавказских языков. Она представляет интерес для историков, фольклористов и лиц, интересующихся историей культуры кавказских народов.

რედაქტორი — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
პროფესორი გურამ თოფურია

Редактор – Член-корреспондент Академии наук Грузии,  
проф. Г. В. Топурия

© Б. არდოტელი, 2007

გამომცემლობა „UNIVERSAL“, 2007

თბილისი, 0179, ი. შაჰნავაზის გამზ. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-088-6

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დიდოური ენის გრამატიკული სტრუქტურის მოკლე აღწერით ანალიზს, რომელსაც თან ერთვის დიალექტობრივად და ენარობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტები. თავდაპირველად წარმოდგენილია ცნობები დიდოელების ვინაობა-ჩაოდენობის, ისტორიული საცხოვრისის (თან ერთვის რუკა), ენობრივი გარემოცვის, ეთნოლოგიური რეალიებისა და შესწავლის ისტორიის შესახებ, შემდეგ მოცემულია დიდოური ენის გრამატიკული სისტემის (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) ანალიზი თითქმის ყველა დიალექტისა თუ თქმის თავისებურებათა მეტ-ნაკლები გათვალისწინებით. დასასრულ, შემოკლებით განხილულია ლექსიკური და ონომასტიკური მასალა.

ენობრივი სისტემის ახლანდელი მდგომარეობა, როგორც „ქემარიტი და ერთადერთი რეალობა“ [სოსიური 1977, 123], განიხილება წმინდა აღწერითი თვალსაზრისით, თუმცა ყოველთვის ვერ ხერხდება აღწერითი მეთოდის განუზრელი დაცვა. ზოგ შემთხვევაში მიემართავთ ისტორიულ ინტერპრეტაციასაც, ვინაიდან „...ენობრივი ფაქტის ანალიზის პროცესში აღწერისა და ისტორიის გამიჯვნა არც სასურველია და არც აუცილებელი“ [ჩიქობავა 1964, 35].

მართალია, ეს გრამატიკული მიმოხილვა დესკრიფციული ხასიათისაა, მაგრამ დიალექტურ სახესხვაობათა ანალიზისას ჩნდება ისეთი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაჭრა ისტორიული რეალობის გაუთვალისწინებლად ქირს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ტოლობის ნიშანი დავსვათ ენობრივი სისტემის ანალიზის სინქრონიულსა და დიაქრონიულ ასპექტებს შორის, თუმცა მათი ურეითრეთშეპირობებულობა

---

\* დიდოურ-ქართული ლექსიკონი ამ ნაშრომში ვერ შევიდა. მისი გამოქვეყნება ცალკე ივარაუდება. საშურ საქმედ მიგვაჩნია აგრეთვე პუბლიკაცია იმ უამრავი ფოლკლორული მასალისა (სხვადასხვა თემატიკისა და ენარის ტექსტებით), რომელიც ჩვენ მიერ არის ჩაწერილი 1985-1997 წლებში.



საყოველთაოდ ცნობილია: ისტორიულ-შედარებითი (resp. დიაქრონიული) ანალიზი ეყრდნობა და მოიცავს ცალკეულ ენათა აღწერითი (resp. სინქრონიული) ანალიზით მიღებულ შედეგებს.

დიდოური ენის გრამატიკული ანალიზი ემყარება როგორც წინამორბედ მკვლევართა მონოგრაფიებსა და ცალკეულ წერილებში დაბეჭდილ ტექსტებსა და დამოწმებულ მასალას, ისე ჩვენ მიერ ცოცხალ, გაბმულ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებებსა და ჩაწერილ ტექსტებს ამ ენაზე სამუშაოდ მივლინებათა დროს (1985-1996 წლების მივლინებები მოწყობილი იყო არან. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ). ნაშრომი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არან. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში 1997 წელს და იგი მას მერე შემოწმებულ იქნა ადგილზე მასალის სიზუსტის თვალსაზრისით, თუმცა სხვა მხრივ არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ავტორი განხილულ საკითხებზე ყველა საქმიან შენიშვნას მადლობით მიიღებს შემდეგ მისამართზე: არან. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 0108, ინგოროყვას ქ. 8, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა.

\*  
\*       \*  
\*

გულითადი მადლიერების გრძნობით ვიგონებთ ყველა იმ პირს, ვინც დიდოურ ენაზე მუშაობისას დახმარება გაგვიწია: მაჰამედ და აჰმედ ლატიფოვები (საჰადა), შაჰსანათ ჰამზათოვი (ჰლატუტა), ჰაჯიმურად რამაზანოვი (მიტლუდა), ზულფუყარ ჰაჯიმურადოვი (შაიტლი), უეის მაჰომედოვი, ისა აბდულაევი (მოყოყი), ჰადიჟათ მაჰომედოვი (შაფიხი), დაუდ რამაზანოვი (ვიწიფათლი), რამაზან მაჰომედოვი (ელბოყი), მაჰომედ მაჰომედოვი (მაჯალათლი), ამინათ ალიევი (ხუტრაფჯი), ჰაგიშათ ალიევი (ქიდერო), ხასბულა ჰამზათოვი (ყუთლულა), რამაზან ისმაილოვი (ხუფრი), ფატიმათ შაჰბანოვი (ხამაფტლი) და სხვ.

## Предисловие

Предлежащий труд ставит целью—провести краткий описательный анализ грамматической структуры дидойского (гесп. цезского) языка. К книге прилагаются тексты, дифференцированные друг от друга как по диалектам, так и по жанрам. Вначале даются сведения о происхождении и количестве дидойцев, об их историческом местожительстве (прилагается карта), о лингвистическом окружении, об этнологических реалиях и истории изучения вопроса; затем представлен анализ грамматической структуры дидойского языка с учетом данных почти всех диалектов и говоров. Нынешнее состояние исследуемой языковой системы, как "...подлинная и единственная реальность" (Соссюр 1977, 123), рассмотрено чисто с описательной точки зрения, хотя не всегда удается следовать только описательному методу. В некоторых случаях мы обращаемся к исторической интерпретации, так как "...в процессе анализа лингвистического факта размежевание описания и истории нежелательно и не обязательно" (Чикобава 1964, 35).

Правда, этот грамматический обзор имеет дескриптивный характер, но во время анализа диалектных вариантов появляются такие проблемы, которые не решаются успешно без учета исторической реальности. Мы, конечно, далеки от мысли ставить знак равенства между синхроническим и диахроническим аспектами анализа языкового факта, хотя их взаимообусловленность общеизвестна: историко-сравнительный (гесп. диахронический) анализ опирается на те данные, которые получены описательным (гесп. синхроническим) анализом отдельных конкретных языков.

Грамматический анализ дидойского языка основывается как на опубликованных текстах и засвидетельствованных материалах, встречающихся в монографиях и отдельных статьях предшествующих исследователей, так и на непосредственных наблюдениях над живой речью и записанных нами текстах во время научных командировок, организованных Институтом языкознания имени академика Арн. Чикобава в 1985-1996 г.г.

Данная работа выполнена в 1997 году в отделе горских иберийско-кавказских языков. В 1998 году лингвистический материал был проверен и уточнен на месте. После этого, существенных

---

\* В эту работу не удалось внести дидойско-грузинский словарь, публикация которого предполагается отдельно. Нам кажется также спешным делом печатание того богатого фольклорного материала, который записан нами во время разных полевых работ в 1985-1997 г.г.

изменений и дополнений работа не претерпела.

Обоснованные замечания и предложения будут приняты автором с признательностью по адресу: Институт языкознания им. Арн. Чикобава, ул. Ингороква, 8, г. Тбилиси, 0108, Республика Грузия.

Р. С. Автор глубоко признателен всем лицам, оказавшим ему содействие во время занятий на месте: Магомед и Ахмед Латиповы (Сагада), Шахсанат Гамзатова (Тлацута), Хаджимурад Рамазанов (Митлуда), Зулпукар Гаджимурадов (Шайтль), Уейс Магомедов, Иса Абдуллаев (Мокок). Гадижат Магомедова (Шапих), Дауд Рамазанов (Внциятль), Рамазан Магомедов (Эльбок), Магомед Магомедов (Махалатль), Амишат Алиева (Хутрах), Гагишат Алиева (Кидеро), Хасбула Гамзатов (Кутлула), Рамазан Исмаилов (Хупри), Фатимат Шахбанова (Хамайглах) и др.

5. X. 1997.

## შესავალი

1. **ენისა და ხალხის სახელწოდება.** დიდოური ენა განეკუთვნება ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა დიდოურ ქვეჯგუფს. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები, თავის მხრივ, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნურ ჯგუფში ერთიანდება. სპეციალურ ლიტერატურაში ენის სახელწოდებად „დიდოურის“ გვერდით დასტურდება მისი სინონიმები: ა) **ცეზური**,<sup>1</sup> ბ) **წუნტური**. მათგან პირველი თვითსახელწოდებას (ცეზი) ემყარება, ხოლო მეორე — მათი ისტორიული საცხოვრისის სახელს (წუნტა).

დიდოელთა აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინს **ცეზი** (მრ. **ცეზი-ბი**) არწივის გამომხატველ **ცე**, **ცეჲ** („არწივი“) ლექსემას უკავშირებენ. **ცე+ზი** (ზედმიწ. „არწივი+ეთნონიმთა საწარმოებელი ფორმანტი“) [მეგრელიძე 1942, 183; აბდულაევი 1981, 7]. ამგვარი გენეზისის სისწორეს ანდიურ ენათა მონაცემებიც ადასტურებენ, მაგ.: ბოთლ. წუჴნი „არწივი“ (შდრ. წუჴნი „დიდოეთი“), ლოდ. ცუჴნი „არწივი“ (შდრ. ცუჴნილი „წუნტელი“, „დიდოელი“).

ამასვე მიანიშნებს დიდოური ოიკონიმი **ცე-ტაო** „დიდოეთი“ (ზედმიწ. „არწივ-ზე“).

ქართველები ცეზიებისა და, შესაბამისად, ცეზიური ენის აღსანიშნავად ოდითგანვე **დიდო**<sup>2</sup> (მრ. დიდოები) ეთნიკურ ტერმინს იყენებდნენ. მას ვხვდებით რომაულსა და ბერძნულ საისტორიო წყაროებში. სახელდობრ, ცეზიებს **დიდური** (**Diduri**) სახელწოდებით ჯერ კიდევ I ს.-ში იხსენიებს რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი, ხოლო II ს.-ში მათ შესახებ ცნობა მოეპოვება ბერძენ ასტრონომს კ. პტოლემეს, რომელთანაც იგივე ეთნონიმი **დიდური** (**Diduroi**) ფორმით დასტურდება [იმნაიშვილი 1963, V].

სავარაუდოა, რომ ორივე ზემოდამოწმებული ავტორი ქართველთა ზეპირ ცნობებს ან წერილობით წყაროებს ემყარებოდეს.

მოგვიანებით ჩნდება კომპოზიტური წარმოების სახელი „დიდოლეკი“, რომელიც დიდოელთა ეთნიკურ წარმომავლობას — ლეკებისადმი კუთვნილებას მიანიშნებს მათი მეზობელი ქართველების (თუშების, კახელების) მეტყველებაში.

<sup>1</sup> მართებულია „ცეზური“, რადგან ეთნონიმში ცეზი ბოლოკიდური -ი ფუძისეულია (შდრ. საბ. ცეზი — ნათ. ცეზი-ა-ს). ანალოგიურად იწარმოება: ული — უდიური, ლეზგი — ლეზგიური და მისთ.

<sup>2</sup> ისტორიულად, როგორც ჩანს, ეთნონიმი **დიდო** (რესპ. **დიდოური**) მოიცავდა როგორც საკუთრივ დღევანდელ დიდოელებს (ცეზებს), ისე კაპუქელებს (ბეჟიტელებს), ჰინუხელებსა და ხვარშიელებს [ხალილოვი 1995, 14].

უცხოელ მკვლევართა უმრავლესობა საანალიზო ენის აღსანიშნავ ტერმინად „დიდოურს“ (Didoische) რჩეობს. ა. დირს პარალელურად მოჰყავს ცეზიური (cezias) [დირი 1928, 212]. ი. გიულდენშტედტი ხმარობს სახელწოდებას „დიდო“ [გიულდენშტედტი, 1791], რ. ერკერტი კი დიდოური ენის აღსანიშნავად თავდაპირველად იყენებს Dido-Sprache, შემდეგ კი ხმარობს Dido-Dialect [ერკერტი 1995, 203]. ნ. იაკოვლევიც „დიდოურს“ (дидийский) იყენებს [იაკოვლევი 1930, 24-26].

ენის სახელწოდებად „დიდოურის“ ხმარება მართებულია თუნდაც იმით, რომ მათ ისტორიულ საცხოვრის ოდითგანვე დიდოეთი (Дидоетия) ერქვა (ადგილობრივი მოსახლეობა მას ცეტლო-ს უწოდებს). ამ უკანასკნელის გამოყენებას ვერ გაურბიან ისინიც, ვინც ტერმინად ცეზურს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა უხერხულობას ქმნის ის, რომ დიდოური მთლიანად ენათა ამ ქვეჯგუფის გამოსახატავადაც გამოიყენება, რაც ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. აქედან გამომდინარე, კონკრეტულად დიდოური ენისთვის აღწერილი ტერმინის (საკ. დიდოური) გამოყენება გვიხდება.

ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან, ე. ბოკარევის შრომების გავლენით, ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა ტერმინი „ცეზური“ (Цезский), რომელიც ამჟამად გვხვდება რუსულში, დალესტნურსა და დასავლურ ლინგვისტურ ლიტერატურაში.

საგულისხმოა, რომ დიდოელებს უახლოესი მეზობლები „ცეზიად“ მოიხსენებენ. მასთან, დასტურდება მისი ფონეტიკური სახესხვაობანიც, კერძოდ: ბეე. ციზო (მრ. ციზობა), ხვარშ. ცეზა (მრ. ცეზა-ბა). დიდოელები საჰადელებს (ეს უკანასკნელები თავადაც დიდოელები არიან) „ტეშო“-დ სახელს სდებენ, თუმცა პარალელურად გამოიყენება ცეტოსი „საჰადელი“ (ზედმიწ. „ცეტლოელი“). ცეტო<sup>3</sup> საჰადას საკუთრივ დიდოური სახელია. საჰადელები დანარჩენ დიდოელებს სოზი-ს უწოდებენ.

ხუნძები და დალესტნის ზოგი სხვა ხალხი დიდოელებს წუნტასეუ წუნტელს“ (Цунтинец) ეძახიან, რაც მათ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს (შდრ. წუნტა, წუნტის რ-ნი). ხუნძურ ენაში წუნტასეუ (I კლ.), კლას-კატეგორიის მიხედვით, სათანადოდ იცვლება. საგულისხმოა, რომ

---

<sup>3</sup> საკ. დიდ. ცეტო სტრუქტურულ-სემანტიკურად ხუნძ. წუნტა ფორმის ტოლფარდია. ორივეს ეტიმოლოგია ერთნაირი მოტივაციისაა: არწივზე, ე. ი. არწივს ზედა [მეგრელიძე 1942, 183]. დლესდლეობით ტეშო საჰადიდან შაიტ-ლამდე ტერიტორიას მოიცავს, ხოლო ცეტო მთლიანად ახლანდელი დიდოეთის აღსანიშნავად გამოიყენება და მისი ფართობი დაახლოებით 77,790 ჰექტარს შეადგენს [მეგრელიძე 1942, 175].

ფშავლები და ხევსურები დიდოელებს „წუნტებს“ უწოდებდნენ [მეგრელიძე 1942, 183], რაც აგრეთვე რაიონის ხუნძური სახელწოდებიდან (წუნტა) მომდინარეობს.

2. დიდოეთისა და დიდოური ენის გავრცელების არე. დიდოეთი დაღესტნის უკიდურეს მთიანეთში — მიტლუდის წყლისა (ყადორის უღელტეხილიდან იღებს სათავეს) და მისი შენაკადების ხეობებში მდებარეობს ზღვის დონიდან 1600-2000 მ.-ზე. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე და მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას - ყადორის უღელტეხილიდან ჩრდილოეთით ვიდრე საჰადამდე, ხოლო ქიდიროდან დასავლეთით სოფელ ქიშიაშლამდე. განმხლოებით მდებარეობს ორი დიდოური სოფელი: ხუშეთი და ქიჯონი, რომლებსაც სამხრეთით თუშეთი ესაზღვრება, ჩრდილოეთით — ხუნძური სოფლები, აღმოსავლეთით — დიდოეთი, დასავლეთით — ჩეჩნეთი.

დიდოელები დაღესტნის აბორიგენი მოსახლეობაა და ამჟამინდელ მიწა-წყალზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ.

მეორე საუკუნის ბერძენი გეოგრაფი პტოლემე გვამცნობს, რომ: „კავკასიის მთას და კერვანის მთებს შორის ცხოვრობენ ტუსკები და დიდურები“ [ლომოური 1955, 44].

დიდოეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „დიდოეთი არს ლაბოტისა, გრემისა, შილდა-ყვარელისა და ქიაურის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოეთ კერძოსა შინა“.

წუნტის რაიონში (ადმინისტრაციული ცენტრი აულ ქიდეროშია), საკუთრივ დიდოელების გარდა, ერთიანდებიან ბეჩიტელ-ჰუნზიბელები და ჰინუხელები.

დიდოეთს (და დიდოურ ენას) სამხრეთ-დასავლეთით, კავკასიონის მთავარი ქედის მთლიან გაყოლებაზე, უშუალოდ ესაზღვრება საქართველო (შიგნიკახეთი და თუშეთი), ჩრდილოეთით მკიდროდ ეკვრიან ხეარშიელები და ანდიელები (უბ. ყოვლისა, კამალები, აგრეთვე, ზოგი ხუნძური სოფელი — მეტრადა, სილდი...), აღმოსავლეთით — ბეჩიტელ-ჰუნზიბელები და ჰინუხელები. საქართველოდან დიდოეთში ძირითადად ორი გზა მიდის — ერთი ყადორის უღელტეხილიდან, მეორე კი თუშეთიდან (დიკლო-ხუშეთის გზა).

წუნტის რ.-ში დიდოელებით დასახლებული 48 აული ერთიანდება რვა სასოფლო საბჭოში: 1) ქიდიროს, 2) ასახის, 3) ქიშიაშლის, 4) ჰლაკუტის, 5) ჰიბიათლის, 6) შაიტლის, 7) შაფიხისა და 8) შაურის საბჭოებში.

ორი დიდოური აული (ჰუშეთი და ქიჯონი) ადმინისტრაციულად შედის წუმადის რ.-ში.

ყურადღებას იქცევს ა. სერაქუტოვსკის ცნობა, რომლის მიხედვით „ისინი (დიდოელები — ნ. ა.) 9 თემს შეადგენენ და 36 სოფელში ცხოვრობენ“ [სერაქუტოვსკი 1916, 279].


დიდოელებით დასახლებულ აულთა რაოდენობა მთაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 48-მდე აღწევს, რომელთა დასახელებისას ვხვდებით როგორც საერთო-ხუნძურ-დიდოურ, ისე საკუთრივ დიდოურ და საკუთრივ ხუნძურ სახელწოდებებს.

აულთა საერთო (ხუნძურიც და დიდოურიც) სახელებია: ჯუშათ || ჯუშეთ<sup>4</sup> (Qušet || Qušat; Хушат || Хушет), ქიდონი (Kijoni; Кийони) ხუფრი (Хурғи; Хупри), ჰიბიდათლი (Hibidal; Хибятль), ვიწიდათლ (Wičial; Вициятль), ელბოყ (Elboq; Эльбок), ხუტროჯ (Хутроқ; Хутрох), ჰუალაჯ (Hwalaq; Хуалах), ციციმაჯ (Cicimaq; Цицимах), ჩალიდაჯი (Čalijaq; Чалиях), რეტლო (Reṭo; Ретло), იჰაა (Ihā; Ихаа), ჰიჩაა (Hičā; Хичаа), შიდა (Šija; Шия), ცოქოყ (Cokoq; Цокок), უდოყ (Udoq; Удок), მაჯალათლ (Maqalal; Махалатль), თლერუთლ (L'erul; Тлерутль), ქაატლი (Čāṭ; Чаатл), ასაჯ (Asaq; Асах) || ბეყენი ჟალ' (ზედმიწ. „დიდი სოფელი“), აქდე (Akde; Акде), იცირაჯ (Iciraq; Иширах), ციხოყ (Siħoq; Цихоқ), ხეთოჯ (Xetox; Хетох), ჰინოჯ (Hiŋoq; Хинох), ჯუტლო (Quṭo; Хутло), ჯებათლ (Qebal; Хебатль), ბერიჯ (Beriq; Берих), ლაღათლ (Yaḡal; Гагатль), ცებარი (Sebari; Цебары), ქიდერო || ქიდერო (Kidero || Kidiro; Кидеро || Киширо), ზეხიდა (Zexida; Зехиша), გუტათლ (Guṭal; Гутатль), მიშოლი (Mišoli; Мишоли).

ბშირად დასტურდება აულთა დიფერენცირებული (დიდოური-ხუნძური) სახელწოდებანიც: დიდ. სოტლო (Soṭo; Сотло) — ხუნდ. საჰადა (Sahada; Сагада); დიდ. მეთლო (Meṭo; Метло) — ხუნდ. მიტლუდა (Miṭluda; Митлуда); დიდ. ჰლოცხო (L'oṣxo; Тлоицо) — ხუნდ. ჰლაკუტა (L'aṣuṭa; Тлякута); დიდ. შოფიჰ (Šopih; Шопих) — ხუნდ. შაფიჰ (Šarih; Шапих); დიდ. ყუთლულა (qul'ula; Кутлула) — ხუნდ. კიჰლარტა (Kil'arta; Китльарта); დიდ. ოსხო (Oṣxo; Осхо) — ხუნდ. ოცოყ (Ocoq; Оцох); დიდ. ქიმეჰლი (Kimeḷ; Кимель) — ხუნდ. ქიმიდათლ (Kimidal; Кимиятль); დიდ. ეშაა (Ešā; Эшаа) — ხუნდ. შაური (Šauri; Шаури); დიდ. აზტლო (Azṭo; Азтло) — ხუნდ. აზილტა (Azilta; Азильта); დიდ. ნაჰურათლ (Nahural; Нахуратль) — ხუნდ. ჰამაიჯლაჯ (Hamaiaq; Хамайлақ); დიდ. ეშიტლ (Ešit; Эшитль) — ხუნდ. შაიტლ (Šajit; Шайтль); დიდ. გენითლ (Genil; Генитль) — ხუნდ. გენიდათლ (Genidal; Гениятль); დიდ. კიტაა (Kiṭā; Китаа) — ხუნდ. კიტური (Kiṭuri; Китури); დიდ. ნეჰო (Newo; Нево) — ხუნდ. მოყოყ (Moqoq; Мокок).

<sup>4</sup> ბოლოკიდურად თანხმობავანუძიან ტოპონიმებში, თუ ფუძისეული არაა. -მ არ შეიძინევა, მაგ.: ჯუშეთ, ციციმაჯ და ა. შ. იგი ქართულად დასახელებისას ერთვის.

## დიდოური ენის გავრცელების არეალი მთაში



პირობითი ნიშნები:

1. ●●●●● დიდოეთის საზღვარი.
2. - - - - - დაღესტნის საზღვარი.
3. ● უმთავრესი და განაპირა სოფლები.
4. X უღელტეხილი.



გარდა ზემოხსენებული წუნტის რაიონისა, რომლის ტერიტორიაც ითვლება დიდოელთა დღევანდელი განსახლების ძირითად ადგილად, მიგრაციული პროცესების გამო, ისინი სხვაგანაც ცხოვრობენ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1944 წელს, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, დიდოელების მნიშვნელოვანი ნაწილი, მთიანი დაღესტნის სხვა ახლომონათესავე (ჭინუხელები, ხვარშიელები...) ხალხებთან ერთად, ჩაასახლეს ჩეჩნეთის მაშინდელ გაუკაცრიელებულ ტერიტორიაზე, უბირატესად, ვედენოს რ.-ში. იქ დიდოელები ცხოვრობდნენ გაფანტულად, სხვადასხვა სოფელში: ნეფთიანქაში, ოქთიბრსკიეში, ქიდიროში, შაფხიში, მოყოყში, შაიტლში და სხვ. ჩეჩენი ხალხის რეაბილიტაციისა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1956-1957 წ.წ.), დიდოელთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა, ნაწილი კი ბარის რაიონებში დასახლდა. ამან განაპირობა ის, რომ ამჟამად დიდოელები კომპაქტურად ცხოვრობენ ბაბაიურთის, ტარუმოვკის, ხასავიურთის, სუხუქუმსკის, ყიზლარისა და ყიზილიურთის რაიონებში, კოშლოვსკოეში, შამხალსა და მუცალ-აულში (ახალ საჰადაში). თითო-ოროლა დიდოელს შეიძლება გადაეყაროთ მაჰაჩყალასა და რუსეთში. მიგრირებული დიდოელები სახლობენ საზღვარგარეთაც — თურქეთში, სირიასა და იორდანიაში. დიდოელები თურქეთში გადასახლდნენ XIX ს.-ის მეორე ნახევარში (1859-1877 წ.წ.).

3. დიდოელთა რაოდენობა. დიდოელთა რიცხვი ინტენსიურად მზარდია, თუმცა ამჟამად მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა მეტად ჭირს. ეს გამოწვეულია იმით, რომ 1939 წლიდან დიდოელები, სხვა ახლომონათესავე ხალხებთან (ჭინუხელებთან, ხვარშიელებთან, ბეჟიტელებთან) ერთად, ოფიციალურ დოკუმენტებში ხუნძებად (უფრო ზუსტად, ავარიელებად) აღირიცხებიან. ბუნებრივია, მათი ამგვარი აღრიცხვა თავს იჩენს საკავშირო აღწერათა შედეგებშიც. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, შევეცდებით მიახლოებით მაინც წარმოვადგინოთ მათი რაოდენობა დინამიკაში.

ა. კომაროვის მონაცემების მიხედვით, 1873 წელს დიდოელთა საერთო რიცხვი 4010 სულს შეადგენს [ათაევი 1996, 8].

ბ. მარის სტატისტიკური მონაცემებით, მათი რაოდენობა 1920 წელს 6115 სულია და დასახლებულია 36 აულში [მარი 1920, 45].

უმჯობესია ცალკე წარმოვადგინოთ დიდოელთა რაოდენობის სათანადო ქრონოლოგიური ტაბულა, რომელიც ემყარება როგორც საყოველთაო საკავშირო აღწერის შედეგებს, ისე (ძირითადად 1939 წლის შემდეგროინდელ) ცალკეულ წინამორბედ მკვლევართა საკუთარი აღრიცხვის შედეგებსაც:

აღწერის სახეობა	საკავშირო აღწერის შედეგები			კერძო პირთა აღრიცხვის შედეგები				
				ა. კომაროვი	ბ. შარი	ი. მეგრულიძე	ე. მეგრულიძე	დ. იმნაშვილი
წელი	1926	1979	1989	1873	1920	1934	1955	1963
რაოდენობა	3276	11300	12100	4010	6115	7197	7302	7000

1988 წლისთვის წუნტის რ.-ში 9480 დიდოელი ირიცხებოდა. გათვალისწინებული არ არის ხუშეთისა და ქიჯონის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები. თუ ამას ბარის დიდოელთა რაოდენობასაც დავამატებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ დაღესტნის რესპუბლიკაში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდება. ამდენად, 1979 წლისა და 1989 წლის სტატისტიკური მონაცემები პირობითია, რადგან ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატიაში [1997, 99] რ. რაჭაბოვი დიდოელთა საერთო რაოდენობას 16000 კაცამდე ანგარიშობს.<sup>5</sup>

4. დიდოური ენა და მისი დიალექტები. დიდოური ენა უმწერლობა (მოკლებულია სალიტერატურო ენის სტატუსს). მასში ძირითადად ორი დიალექტი გამოიყოფა: ა) საკუთრივ დიდოური [იმნაიშვილი 1963, 9] ანუ ქიდიროულ-ასახური<sup>6</sup> [ლომთაძე 1962, 285-286]; ბ) საჰადური (მოიცავს სამი აულის — საჰადის, მიტლუდისა და ტლაცუდის — მეტყველებას). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. ლომთაძე შინუხურსაც დიდოურის დიალექტად მიიჩნევს [1963, 285-286], რაც დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

ქიდიროულ-ასახურ დიალექტში განიჩრევა შემდეგი კილოკავები: ა) შაიტლური, ბ) ქიდიროული, გ) ელბოყური, დ) შაფიხური და

<sup>5</sup> 1979 და 1989 წლების მონაცემები ემყარება წუნტის რანისა და დიდოელე-ბით დასახლებული სხვა პუნქტების მიახლოებით მონაცემებს. ხელოვნურად გაზარდილი ჩანს დიდოელთა საერთო რიცხვი (40 ათასი) დ. მაჭოშვილი [1994, 7]. რაც შეეხება 1997 წლის მონაცემებს, იხ. Р. Ражабов, Фарингализация в цезском языке. - Вопросы кавказского языкознания, Махачкала, 1997. 99.

<sup>6</sup> ვინაიდან დიდოური ენებისა და დიდოური ენის გასარჩევად საკუთრივ დიდოური ენა იხმარება, ტერმინი „საკუთრივ დიდოური დიალექტი“ არაბელსაყრელია. ამიტომ ჩვენ ვრჩებით ტერმინს „ქიდიროულ-ასახური დიალექტი“. ამის გამო, აქაც და ქვემოთაც ამ ტერმინს ვიყენებთ.

ე) ასახური. ი. მეგრელიძე, დ. იმნაიშვილისაგან [იმნაიშვილი 1963, 9-10] განსხვავებით, შაფიხურის ნაცვლად შაურულს გამოყოფს, ხოლო ელბო-ყურს საერთოდ არ ეხება [მეგრელიძე 1955, 228-229]. თავის მხრივ, ამ კილოკავებში თქმებიც გამოიყოფა [იმნაიშვილი 1963, 10].

დიდოელები სამწერლობო და სატომთაშორისო ურთიერთობის ენად (Lingua franca) ხუნძურს იყენებენ. ხუნძური დიდოელთა მეორე ენაა, რომელსაც დაწყებით სკოლაში ითვისებენ. დღესდღეობით საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლებას რუსულ ენაზე ეუფლებიან, ხოლო ხუნძური ენა ისწავლება, როგორც საგანი. მასთან, პრესაში ხუნძურად ქვეყნდება წერილები, რადიო-ტელევიზია გარკვეულ დროს უთმობს გადაცემებს ხუნძურ ენაზე, თეატრში წარმოდგენები ხუნძურ ენაზე იმართება და ა. შ. დიდოელები თანდათანობით ერწყმიან წარმოშობით მონათესავე ხუნძებს, რომლებიც ახლო დგანან მათთან ენით, სარწმუნოებით, ყოფა-ცხოვრებითა და კულტურით. დიდოური ენის პრაქტიკულად გამოყენების არეალი მეტად შეზღუდულია. შეიძლება ითქვას, რომ მას მარტოოდენ საკუთარ ოჯახსა და მშობლიურ სოფლებში ხმარობენ (თუმცა აქაც მათ შეუძლიათ ხუნძურად ან რუსულად იმეტყველონ). საშუალო განათლების მქონე დიდოელს სამეწივეება ახასიათებს — მშობლიური ენის გარდა, იცის ხუნძური და რუსული. ზოგი მათგანი (უფრო კი ხანდაზმულები) ქართულად საუბარსაც ახერხებს, ვინაიდან ისტორიულად ქართულ ენას, მათ საერთო-სარწმუნოებრივ ენასთან — არაბულთან ერთად, დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა დიდოური მოდგმის ტომებზე [ჩიქობავა 1940, 325; მეგრელიძე 1942, 181; ხალილოვი 1993, 17-18].

**5. მოკლე ისტორიული ცნობები.** თავდაპირველად ეთნონიმი **დიდური** ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩნდება ახ. წ. I საუკუნეში. ჩვენს ყურადღებას იქცევს ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც დიდოეთს ძვ. წ. II ს.-ის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიებს.

რასაკვირველია, ამ მწირი ცნობების საფუძველზე გადაქრით რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე დიდოელთა წინაპრებს ამ ტერიტორიაზე გაცილებით ადრეულ ხანაში უნდა ეცხოვრათ. ი. მეგრელიძე დიდოელთა მათ დღევანდელ მიწა-წყალზე არსებობას II-I ათასწლეულში ვარაუდობს [მეგრელიძე 1955, 15].

საქართველოსთან დიდოეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება. V ს.-დან მოკიდებული დიდოეთი ხან ქართლის სამეფოში ერთიანდებოდა, ხან კი —

კახეთის სამეფოში. კერძოდ, კვირიკე დიდი ქორეპისკოპოსი (1010-1037 წ.წ.) დიდოეთს შტორის საერისთავოში იხსენიებდა [ბოცვაძე 1968, 25; ელანიძე 1988, 190-225].

XIV-XVII სს. დიდოელები უმთავრესად პროქართულ ორიენტაციას ადგანან. XV ს. II ნახევრიდან დიდოეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, რის შემდგომაც გიორგი VIII დიდოეთში სამოურავოს აწესებს. XVIII ს. II ნახევარში დიდოეთი მთლიანად გამოეყო საქართველოს, რომელთანაც მას მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდა. ეს ასახულია დიდოელთა მდიდარ ზეპირსიტყვიერებაში, რაც ერთადერთი და უტყუარი მემატრიანეა ჩვენი ხალხების ურთიერთპატივისცემისა.

**6. სამეურნეო ყოფა-ცხოვრება და რელიგია.** დიდოელები ეთნოლოგიურად — სამეურნეო ყოფა-ცხოვრებით, ძირძველი ტრადიციებითა და გარეგნული იერსახით — დიდად არ განსხვავდებიან ახლომონათესავე თვისტომთაგან. ისევე, როგორც კავკასიის მაღალმთიანეთში მოსახლე ხალხები, ისინიც უხსოვარი დროიდან მეტწილად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ. გავრცელებული დარგია მეცხენეობა, რომელიც ისტორიულად უფრო განვითარებული უნდა ყოფილიყო. დიდოეთში თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევა ხალხური რეწვა. ისტორიულად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეფუტკრეობა და ნადირობა. ოდითგანვე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მჭედლობა-მკალაობა.

დიდოელები სარწმუნოებით მაჰმადიანური აღმსარებლობისანი არიან, კერძოდ, მისდევენ მის ერთ-ერთ მიმართულებას — სუნიზმს. ისინი ისტორიულად წარმართები იყვნენ. ამას ცხადყოფს, სხვა მრავალ გარემოებათა გარდა, ისიც, რომ ჩალიახის მთაზე, რომელსაც ქიდილაშანს (ეტიმოლოგიით. „თოჯინიანი“) უწოდებენ, ბოლო ხნებამდე სრულდებოდა წარმართული საკულტო რიტუალი — მზის ამოსვლისას ერთობლივად კლავდნენ შავ ცხვარს და მსხვერპლს სწირავდნენ ამ მთას [მეგრელიძე 1958, 284; ზვიადაური 1996, 19-20].

უნდა აღინიშნოს, რომ მათ აღმსარებლობაში რელიქტურად შემორჩენილია ქრისტიანობის კვალიც. დიდოელთა რწმენა-წარმოდგენებში საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანობა რომ ღრმად იყო ფესვგადგმული, ამისი ხელშესახები საბუთები (ოდინდელი ეკლესიის ნანგრევები ნაშთები სოფელ ხამაიტლისა და ხუტრახის მახლობლად, ფოლკლორული ლეგენდა-გადმოცემები...) მრავლად მოგვეპოვება [ჭავჭავიძე 1919, 302].

7. დიდოური ენის შესწავლის ისტორია. თავდაპირველად ჩვენამდე მოღწეული დიდოური ენის დოკუმენტურ მასალას ვხვდებით ს. პალასის ნაშრომში [პალასი I, 1787; II, 1789], რომელშიც წარმოდგენილია 119 რუსული სიტყვის დიდოური თარგმანი. ი. გიულდენშტედტის ნაშრომში გვხვდება 212 გერმანული სიტყვის თარგმანი დიდოურად [გიულდენშტედტი 1791].

ს. პალასის ლექსიკონში სიტყვები, ყოველგვარი დამატებითი ნიშნების გარეშე, რუსული გრაფემებით არის ჩაწერილი, ხოლო ი. გიულდენშტედტის ნაშრომში კი — გოტიკური გრაფიკით, რის გამოც სპეციფიკური ფონემები აღუნიშვნელი რჩება.

მთის კავკასიურ ენათა აღიარებულ მკვლევარს პ. უსლარს მოეპოვება მისთვის ჩვეული ზედმიწევნითი სიზუსტით ფიქსირებული დიდოური ენის რიცხვითი სახელები [უსლარი 1884, 19]. 1895 წელს რ. ერკერტის ორ ნაწილად დასტამბულ წიგნში სალექსიკონო მასალასთან ერთად გვხვდება გერმანულ შესიტყვებათა და წინადადებათა დიდოური თარგმანი [ერკერტი 1895]. სტანდარტულ შესიტყვებებსა და წინადადებებში, რომელთა რიცხვი 200-მდე აღწევს, მრავლად შეინიშნება ტრანსკრიფციული უზუსტობანი თუ ფაქტობრივი შეცდომები, რაც კრიტიკულ მიდგომას იმსახურებს. ეგვე უნდა ითქვას ა. სტარჩევსკის [1891, 273-302] და ა. სერკუტოვსკის [1916, 295-300] სალექსიკონო მასალებზე.

დიდოური ენის გრამატიკის მეტად მოკლე მიმოხილვა და მწირი ლექსიკური მასალა მოეპოვება ა. დირს, თუმცა სიზუსტის თვალსაზრისით მისი ნაშრომები და მათში გამოყენებული ენობრივი მასალა წინადადგმული ნაბიჯია [დირი 1909; 1928].

დიდოურ ენას სწავლობდნენ და, როგორც ე. ბოკარევი გვამცნობს [1959, 11-12], 1933 წელს საკმაოდ უხვი ლინგვისტური მასალა შეუგროვებით ე. ბოკარევს, ი. მეგრელიძეს, შ. მიქაილოვს, გამორჩეული სიზუსტის თვალსაზრისითაც, მაგრამ ამ მასალას, სამწუხაროდ, დღის სინათლე არ უხილავს, თუ არ გავითვალისწინებთ ი. მეგრელიძის რამდენსამე წერილს.

წინამორბედ მკვლევართაგან დიდოური ენის მონაცემებს თავის ფუძემდებლურ ნაშრომში ფართოდ იყენებს ივ. ჭავჭავიძე [ჭავჭავიძევილი 1937].

XX საუკუნის 20-იან წლებში დიდოურ ენას სწავლობდა ლ. ეირკოვი, რომელსაც შეუდგენია ამ ენის გრამატიკაც, მაგრამ, როგორც ე. ბოკარევი გვამცნობს [1959, 11], ეს მასალები არ გამოქვეყნებულა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დიდოური ენის მეცნიერულ შესწავლას მოჰკიდეს ხელი და იგი თვალსაჩინოდაც წასწიეს წინ ე. ბოკა-

რევმა და ი. მეგრელიძემ, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ამ ენის კვლევა-ძიების მყარ მეცნიერულ საფუძველზე დაყენება.

ი. მეგრელიძემ სხვადასხვა დროს ცალკეულ სტატიებად გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება დიდოური ენის ფონემატურ სტრუქტურას, არსებითი სახელების, რიცხვითი სახელებისა და ნაცვალ-სახელების წარმოება-ბრუნებას, ქართულთან ურთიერთობის საკითხებს, დიდოელთა ეთნოგენეზისა და რწმენა-წარმოდგენების ანალიზს [მეგრელიძე 1934; 1936; 1940; 1942; 1951; 1955; 1958].

ე. ბოკარევმა მრავალწლიანი კვლევის შედეგები წარმოადგინა მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფიის სახით, რომელშიც დიდოურ ენას შესაბამისი ადგილი ეთმობა [ბოკარევი 1959, 175-221].

30-იანი წლების მიწურულს დიდოურ ენათა შესწავლას ხელი მოჰკიდა ე. ლომთაძემ, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1946 წელს — დ. იმნაიშვილმა, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ ენათა მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

დ. იმნაიშვილმა დიდძალი ლინგვისტური მასალის (რომელსაც დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს) ანალიზის საფუძველზე, დიალექტებისა და თქმების მონაცემთა მაქსიმალური გათვალისწინებით, საეტაპო მნიშვნელობის კაპიტალური მონოგრაფია მიუძღვნა დიდოურ ენას (მინუხურ და ხვარშიულ ენებთან შედარებით), რომელშიც წარმოდგენილია ხანგრძლივი კვლევის შედეგები [იმნაიშვილი 1963].

ზოგადად, დიდოურ ენათა, კონკრეტულად კი, საკუთრივ დიდოური ენის მეცნიერულ დამუშავებას, განსაკუთრებით, მისი ფონეტიკური საკითხების ისტორიულ-შედარებითი კუთხით კვლევას დიდი ღვაწლი დასდო ე. ლომთაძემ. მის განმაზოგადებელი ხასიათის თუ კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ყურადღებას იქცევს, სხვა მონათესავე ენებთან ერთად, დიდოური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური საკითხების ისტორიული ასპექტით კვლევა-ძიება, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჩევით ენის ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი დამუშავება. 40-იან წლებში მოპოვებულმა დიდოური ენის მასალამ, ცალკეული წერილების გარდა, ფართო ასახვა ჰპოვა მის მრავალმხრივ საყურადღებო შრომებში [ლომთაძე 1956; 1958; 1959; 1962; 1963; 1966; 1984; 1994]. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოკვლევებში ციტირებული მასალა დღეს უკვე დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობას იძენს [ბურკულაძე 2000, 238].

დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიის ღრმად და გამოწვლილვით შესწავლას ეძღვნება ტ. გუდავას ბოლო მონოგრაფია [გუდავა 1979].

დიდოური ენის ისტორიულ საკითხებს ეხება ი. ა. ტესტელეცის რამდენიმე წერილი [ტესტელეცი 1980].

წინარედიდოურის ვოკალური სისტემის რეკონსტრუქციის ცდას წარმოადგენს ს. ნიკოლაევის სტატია [ნიკოლაევი 1978].

დიდოურ ენებს რამდენიმე წერილი მიუძღვნა გ. ბურჭულაძემ [1986; 1998]

მშობლიურ ენას დიდი ენთუზიაზმით იკვლევდა ა. აბდულაევი, რომელმაც დიდოურ სიტყვაწარმოებაზე მუშაობის შედეგები წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაციის სახით [აბდულაევი 1981]. სამწუხაროდ, ნაადრევად შეწყდა მისი მეცნიერული საქმიანობა.

მ. ხალილოვის ზოგ წერილში გარკვეული ადგილი ეთმობა დიდოური ენის ლექსიკური მასალის ანალიზს [ხალილოვი 1991; 1993]. მანვე შეადგინა ცეზურ-რუსული ლექსიკონი [ხალილოვი 1999].

ბოლო დროს დიდოურის შესწავლას მიჰყო ხელი ახალგაზრდა მკვლევარმა რ. რაჭაბოვმა, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიურია [რაჭაბოვი 1992].

**8. პირობითი ნიშნები და ტრანსკრიფცია.** დიდოურ ენაში არსებული ფონემების სატრანსკრიფციო ნიშანთა ტაბულა 50 ასოს შეიცავს — 12 ხმოვანსა და 38 თანხმოვანს.

დაღესტნურ ენათმეცნიერებაში დიდოური ენის მასალის ტრანსკრიფცია რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ხუნძური ენის ანბანს ემყარება.

დიდოურისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური ფონემების გამოსახატავად, რომელთა გრაფემები ქართულს არ მოეპოვება, გამოიყენება შემდეგი დამატებითი სატრანსკრიფციო ნიშნები:

- — ხმოვნის თავზე (ä) აღნიშნავს მის უმლაუტს.
- — ხმოვნის თავზე (ä) მიუთითებს მის სიგრძეს.
- — ხმოვნის თავზე (ä) ან გვერდზე (ä') აღნიშნავს მახვილს.
- — ლატერალთა (ლ', ლ', ტა) მომდევნოდ აღნიშნავს მათ

ალვეოლარულ ელფერს.

ლ', ლ', ტა — მიახლოებით ისეთივე ლატერალებია, ხუნძურ ენაში რომ დასტურდება.

ჭ, ყ, ლ', ხ' — ფარინგალიზებული კორელატებია სათანადო ჯ, ყ, ლ, ხ ფარინგალური და უკანაველარული თანხმოვნებისა.

ჰ ფარინგალური ფშინვიერი სპირანტია

ჟ ფარინგალური მკლერი სპირანტია.

ც ლარინგალური აბრუპტივია (შდრ. მეგრ. ცუღე „სახლი“).

() ფრჩხილებში წარმოდგენილი, ბრკელებში ჩასმული სიტყვები აღნიშნავს ზედმიწევნით თარგმანს.

[ ] კვადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილია ავტორის გვარი და მისი ნაშრომის დაბეჭდვის თარიღი.

დიდოური ენისთვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევართან განსხვავებული სატრანსკრიფციო ნიშნები გამოიყენებოდა. ჩვენ სინოპტიკური ტაბულის სახით წარმოვადგენთ სატრანსკრიფციო ნიშნებს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხმარებული სატრანსკრიფციო ნიშნები.

2. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული ლათინური საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნები (იყენებდა დ. იმნაიშვილი).

3. ა. ღირის მიერ ხმარებული ანალიტიკური ანბანი.

4. იაფეტოდოლოგიური დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ანალიტიკური ანბანი (იყენებდნენ: ნ. შარი, ი. მეგრელიძე...).

5. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული, ხუნძური დამწერლობის საფუძველზე შექმნილი, სატრანსკრიფციო ნიშნები (შეტ-ნაკლები განსხვავებით იყენებდნენ: ე. ბოკარევი, დ. იმნაიშვილი...).

6. რ. ერკერტის მიერ ხმარებული ანბანი.



დიდოურ ენაში არსებულ ფონემათა სატრანსკრიფციო ნიშნების სინოპტიკური ტაბულა

№	1	2	3	4	5	6	№	1	2	3	4	5	6
1	ა	a	a	a	a	a	33	პ	p	p	p	n/	p
2	ა	ა					34	ჟ	ž	ж	ʝ	ж	ž
3		a'					35	რ	r	p	r	p	r
4		ა'					36	ს	s	c	s	c	s
5	ა	a					37	ტ	t	τ	t	τ/	t
6	ა	ა					38	ტ <sup>ა</sup>	ლ	რ	ლ <sub>n</sub>	კ <sub>ხ</sub>	tkl
7	ბ	b	ბ	b	ბ	b	39		l'ბ				
8	ბ	გ	რ	გ	რ	გ	40	უ	u	y	u	y	u
9	დ	d	ღ	d	d	d	41	უ	ū				
10	ე	e	e	e	e,ა	e	42		u'				
11	ე	ე					43		u'				
12		e'					44	ფ	p	ფ	ფ	n	ph
13		ე'					45	ქ	k	კ <sub>ო</sub>	q	к	kh
14	ვ	v	ვ	v	ვ	v	46	ღ	γ	ʃ	ბ	ღ	qh
15	ზ	z	з	z	з	z	47	ღ'	γ'				
16	თ	l	ლ	q	m	th	48	ყ	q	q	к	კ <sub>ხ</sub>	q
17	ი	i	i		h	i	49	ყ'	q'	q̄	q̄		
18	ი	i					50	შ	š	ш	ш	ш	š
19		i'					51	ჩ	č	č	u	ч	č
20		i'					52	ც	c	w/	ψ	u	c
21	კ	k	к	k	к/	k	53	ც	č	ψ		w/	tc(č)
22	ლ	l	л	l	л	l	54	ჭ	č	ч	t	ч/	dč
23	ლ	l	η	ხ	ლ <sub>ხ</sub>	thl	55	ხ	x	x	q	x	x
24	ლ'	l'	η	u	ლ/		56	ქ	q	q	q	x <sub>ხ</sub>	x(xx)
25		l''					57	ქ'	q'				
26		l''					58	ჰ	h	h	h	ღ	h
27	მ	m	м	m	м	m	59	ჰ	h <sub>ა</sub>	ბ	ხ	x/	xh
28	ნ	n	н	n	н	n	60	შ	ω			რ/	
29	ო	o	o	o	o	o	61	რ	'	e	ფ	ზ	
30	პ	ბ					62	რ	w				
31		ბ'					63	ა	j	j	y	ი	y
32		ბ'											

## შემოკლებათა განმარტება

### 1. ენობრივი ერთეულები

ასახ. — დიდოური ენის ასახური კილოკავი

ლიალ. ვარ. — ღიალქტური ვარიანტები

საკ. ღიღ. — საკუთრივ დიდოური ენა

საჰ. — დიდოური ენის საჰადური ღიალქტი

ქიღ.-ასახ. — დიდოური ენის ქიღიროულ-ასახური ღიალქტი

ქართ. — ქართული ენა

ქიღ. — დიდოური ენის ქიღიროული კილოკავი

შაიტლ. — დიდოური ენის შაიტლური კილოკავი

შაფ. — დიდოური ენის შაფიხური კილოკავი

### 2. გრამატიკული ტერმინები

აწმყ. — აწმყო

აწმყ. კონკრ. — აწმყო კონკრეტული

სახ. — სახელობითი ბრუნვა

ერგ. — ერგატივი

მიც. — მიცემითი ბრუნვა

ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა

აბსოლუტ. — აბსოლუტივი

ინსტრ. — ინსტრუმენტალისი

ნაწ. — ნაწილაკი

კლ. — გრამატიკული კლასი

მხ. რ. — მხოლოობითი რიცხვი

მრ. რ. — მრავლობითი რიცხვი

ენ. — ენებითი გვარი

მოქ. — მოქმედებითი გვარი

პოტ. — პოტენციალისი

### 3. უფრნალეებისა და კრებულეების სახელწოდებანი

საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

იკეწ — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდული, თბილისი.

იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი.

სტალინირის სახელმწ. პედ. ინსტ. შრომები — სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ცხინვალი.

სდა — სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი.

АДД — Автореферат докторской диссертации.

АКД — Автореферат кандидатской диссертации.

Яз. и мышл. — Язык и мышление, Москва-Ленинград.

# პირველი ნაწილი

## ფონეტიკა

### I თავი

#### დიდოური ენის ფონოლოგიური შედგენილობა

1.1. ხმოვანთა სისტემა. დიდოური ენის ვოკალურ სისტემაში ხუთი სადა ხმოვანი გამოიყოფა. ეს ხმოვნებია: ა, ე, ი, ო, უ. ამ ხმოვნებთან ერთად გვხვდება მათი გრძელი ვარიანტები,<sup>7</sup> რომლებიც სათანადო მარტივი ხმოვნების საარტიკულაციო თვისებებს შეიცავენ დაყოვნების მიმატებით. გარდა ამისა, ქიდიროულსა და შაფიხურ თქმებში დასტურდება პალატალიზებული ა (ა̃). ზოგი აულის (საჰადა, ხეთონი) მეტყველებაში ცალკე გამოყოფენ აგრეთვე ვიწრო ხმოვნებსაც [იზნაიშვილი 1963, 14], თუმცა ისინი მარტივ ხმოვანთა ალოფონებს წარმოადგენენ და ფონემის სტატუსს მოკლებული არიან, მაგ.: ლ'ონო (ქიდ.) — ლ'ონო (საჰ.) „სამი“, ჟემალ' (ქიდ.) — ჟე'ლ" (საჰ.) „ქვეშ“, „ქვევით“, ნჰოლ'უ (ქიდ.) — ნო'ლ"უ (საჰ.) „ნაცარი“ და მისთ.

დიდოური ენის ხმოვანთა სისტემა სქემატურად ასე გამოისახება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		შუანა			
	მოკლე	გრძელი	პალატალიზებული		მოკლე		გრძელი	
			მოკლე	გრძელი	არალაბ.	ლაბ.	არალაბ.	ლაბ.
ენის აწეულობა								
მაღალი	ი	ი̃				უ		უ̃
საშუალო	ე	ე̃	ა	ა̃		ო		ო̃
დაბალი					ა		ა	

<sup>7</sup> ე. ბოკარევი ფარინგალიზებულ (resp. ემფატიკურ) ხმოვნებსაც გამოყოფს [ბოკარევი 1959, 176], თუმცა სხვა მკვლევრები განსხვავებულ აზრს ადგენენ [შეგრელიძე 1936, 21; ლომთაძე 1955, 223-224; იზნაიშვილი 1963, 19-20; რაჭაბო-ვი 1997, 105].

1.2. თანხმოვანთა სისტემა. დიდოური ენის კონსონანტური სისტემა, ზოგ სხვა დალესტურ ენასთან შედარებით, სიმარტივეს ამჟღავნებს. თანხმოვანთა სისტემის სიმარტივე მეტწილად შეპირობებულია ინტენსიურ და არაინტენსიურ ფონემათა კორელაციის მოშლით [გუდავა 1974, 139-145].

საკურივ დიდოურს, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, სპეციფიკური თანხმოვნებიდან ანასიათებს: ა) სუპრაგლოტალური (resp. აბრუპტიული) თანხმოვნები: პ, ტ, წ, ქ, კ, ყ, ხ; ბ) ყრუ ლატერალები: ლ' (სპირანტი), ლ' (ფშვინვიერი აფრიკატი), ტა (აბრუპტიული აფრიკატი); გ) ფარინგალური სპირანტები: შ, ჰ; დ) ლარინგალური ჰ; ე) ე. წ. ფარინგალიზებული თანხმოვნები: ლ', ხ', ქ', ყ'.

ზოგი სოფლის (მოყოფი, ხეთონი) მეტყველებაში თავს იჩენს დ. იმნაიშვილის მიერ ფარინგალიზებულად წოდებული ხ' [იმნაიშვილი 1963, 20, 30]. გარდა ამისა, საჰაღურ დიალექტში ერთ ლექსემაში (ხინძორ „უკან“) შეინიშნება ძ, რომელიც ზ-ს ალოფონს წარმოადგენს.

არ დასტურდება სხვა მონათესავე ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილი: ა) ინტენსიური თანხმოვნები, ბ) ლაბიალიზებული თანხმოვნები; გ) პალატალური სპირანტი ხ (ხ > ქ: ხუნძ. ტეხ: საკ. დიდ. ტექ „წიგნი“); დ) ძ, ჯ მჟღერი აფრიკატები.

დიდოურ ენაში აბრუპტივების პოვნეირება ქმნის ხშულთა სამწვერიან და სპირანტთა ორწვერიან სისტემებს. მათგან აფრიკატთა წყების ზოგი სამეული დეფექტურია. მჟღერთა სერიის (ძ, ჯ, ლ, დ) უქონლობა ხშულების სამეულთა სისტემას ნაკლებს ხდის.

შენიშვნა: სიმარტივისათვის ხშულ-მსკდომები და აფრიკატები ერთად არის წარმოდგენილი.

ყოველივე ამას დაემატება სათანადო მჟღერი ლატერალური სპირანტის უქონლობა და საბოლოოდ ასეთ შედეგს მივიღებთ:

ხშულები			სპირანტები	
მჟღერი	ფშვინვიერი	აბრუპტივი	მჟღერი	ფშვინვიერი
ბ	ფ	პ		
დ	თ	ტ		
—	ც	წ	ზ	ს
—	ჩ	ქ	ჟ	შ
—	ლ'	ტა	—	ლ'
ბ	ქ	კ	ღ	ხ
—	ჭ	ყ	ღ'	ხ'
	წ'	ყ'	შ	ჰ
		ხ		ჰ

<sup>ბ</sup> დ. იმნაიშვილი დამატებით გამოყოფს ლატერალთა ალვეოლარულ ნაირსახეობებს. ალვეოლარიზაცია არ არის ფონოლოგიური მოდიფიკაცია და, ამდენად, ეს თანხმოვნები უნდა განვიხილოთ, როგორც ლატერალთა ალოფონები.



1.3. დისტრიბუცია. ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია. ყველა ხმოვანი დასტურდება სიტყვის ანლაუტშიც, ინლაუტშიც და აუსლაუტშიც, როგორც ძირეულ მორფემაში, ისე მორფემათა ზღვარზე. ამ მხრივ თავისებურებას გვიჩვენებს  $\tilde{v}$  ( $\tilde{v}$ ) პალატალიზებული ხმოვანი, რომელიც ძირითადად მორფემათა შესაყარზე დასტურდება, მაგ.: ნეს- $\tilde{v}$  „მან“, ღწარ (<\*ლი+არ) „მე“ (მიც. ბრ.), აკირუ (<\*ი-და-კირუ) „წასული“ და სხვ.

გამოყენების ყველაზე მეტ სიხშირეს ა ამჟღავნებს, შემდეგ მოდის  $\circ$  და  $\text{e}$ , შემდეგ —  $\text{a}$ . ყველაზე ნაკლებად უ გვხვდება.

თანხმოვანთაგან ხმარების სიხშირით  $\text{h}$ ,  $\text{l}$  სონორები გამოირჩევა. ისინი გვხვდებიან ცალკეც და კომპლექსთა წევრადაც.

თანხმოვანთა დიდი ნაწილი სამსავე (ანლაუტი, ინლაუტი, აუსლაუტი) პოზიციაში დასტურდება. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევენ  $\text{e}$ .  $\tilde{v}$ : ფარინგალიზებული ( $\tilde{v}$ ,  $\tilde{y}$ ,  $\tilde{l}$ ,  $\tilde{x}$ ) თანხმოვნები:  $\tilde{v}$ :  $\tilde{v}$ აე „ჟურღლევი“, მაჭი „შორს“, აჭი „თუმი“;  $\tilde{y}$ :  $\tilde{y}$ იმ „თავი“, ოყრუ „თავის ქალა“, ტულუჭი „ხაფანგი“;  $\tilde{l}$ :  $\tilde{l}$ აე „რძე“, ადურ „წისქვილი“, ოღი „ფეხებს შორის მანძილი“.

საგულისხმოა, რომ მოყოყის თქმაში თავჩენილი ფარინგალიზებული  $\tilde{x}$  ისეთსავე პოზიციებში იხმარება, როგორც ყრუ ფარინგალური  $\tilde{h}$ , რაც მათი გენეტიური კავშირის საკითხს სვამს. ეს თანხმოვნები აუსლაუტში არ შეიმჩნევა.  $\tilde{h}$  ფარინგალური სპორანტი მარტოოდენ ინლაუტში, თანხმოვნის მომდევნოდ იხმარება, მაგ.: ლ\*შონო „სამი“, რმევე „დიდი“, მმოლ\*უ „სიზმარი“ და მისთ. ანლაუტში მას ცვლის ლარინგალური ხმული  $\text{h}$  (შდრ. არაბ.  $\text{h}$ აინი), მაგ.: ლევე „დიდი“ (შდრ.: რმევე „id“). გარდა ამისა, აუსლაუტში არც ყრუ ლარინგალური  $\tilde{h}$  დასტურდება. მასთან, როგორც  $\tilde{h}$ , ისე ბაგისმიერი აბრუპტივი  $\tilde{h}$ , უმეტესწილად ნასესხებ მასალაში იჩენენ თავს.

1.3.1. დიფთონგიზაცია. დიდოურ ენაში  $\text{e}$ ,  $\tilde{y}$  ნახევარხმოვნები ხშირად დამავალ დიფთონგებს ( $\text{e}$ ა,  $\text{a}$ ა,  $\text{o}$ ა,  $\text{i}$ ა, აჟ, იჟ...) ქმნიან, მაგ.: ღაე „რძე“, ესიე „ძმა“, „ღა“, ენიჟ „ღელა“, ზოჟს „იყო“ და მრ. სხვ.

დასტურდება აღმავალი დიფთონგებიც. ასეთ დიფთონგს ჩვეულებრივ II კლასის ნიშანი ქმნის, მაგ.: დიკიხ „მიდის“, დუტხო „ემინია“, დოხერხო „აგდებს“...; აღმავალი დიფთონგი სხვაგანაც იჩენს თავს, მაგ.: დოღი „არის“, ეეკჟი „კაცი“ და მისთ.

დიფთონგს გამარტივებისაკენ მიდრეკილება ახასიათებს ( $\text{o}$ ა —  $\text{a}$ ,  $\text{i}$ ა —  $\text{e}$ ): როდხ > რაბხ „აკეთებს“, რიდხ > რაბხ „იცის“...

1.3.2. კონსონანტური კომპლექსები. დიდოური ენისთვის თანხმოდანთკომპლექსები მაინცდამაინც არ არის ნიშანდობლივი, რაც მნიშვნელოვანწილად სრულხმოვნობით არის შეპირობებული. თვალშისაცემია სუბერაციის ძლიერი ტენდენცია, რასაც ნასესხები მასალის ანალიზიც ცხადყოფს. გარდა ამისა, დიდ როლს ასრულებს სრული დენაზალიზაცია და ნაწილობრივი დელაბიალიზაცია.

ძირულ მორფემულ სტრუქტურებში დასტურდება ორი თანხმოვნის (resp. თანხმოვნისა და სონანტის) კომბინაციები [ბარნოვი 1998, 56-57], მაგ.: ეეკჭი „კაცი“, გეგშუ „ფქვილი“, რიჭჭადა „ნახვა“, ეჩრუ „მოხუცი“, ნეხჭა „მოსვლა“, ბეჩნი „მუხლი“ და ა. შ.

დადასტურებულ თანხმოდანთკომპლექსების მეტი წილი შედგება სონორი + ჩქამიერი კომპონენტებისაგან. შედარებით ნაკლებად გვხვდება შებრუნებული (C+S) რიგი. ძირულ მორფემაში არ შეიმჩნევა სონორი + ლატერალი ტიპის მიმდევრობა. არცთუ იშვიათად დასტურდება C+ჟ ლაბიალიზებული კომპლექსი, რომლის დისტრიბუცია ანლაუტით (#-V) და ინლაუტით (V-V) შემოიფარგლება. ლაბიალიზებული კომპლექსი, ნ. ტრუბეცკოის [1960, 63-68] მონოფონემის დადგენისა და სხვა ფონეტიკური პროცესების მიხედვით, ბიფონემურია. იგი წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი ფონემის არითმეტიკულ ჯამს [არლოტელი 1997, 43-49], მაგ.: ქუა „სანთელი“, ღჭაღი „ყვავი“, ერჭა „დადება“, ეეკჭი „კაცი“...

იშვიათად ინლაუტში, მორფემათა შესაყარზე, შეიძლება შეგვხვდეს სამკომპონენტიანი (ძირითადად CCS მოდელის) თანხმოდანთა მიმდევრობანი, მაგ.: ხიჭჯორ „უკნისაკენ“, ბითთჯორ „თანაბარ სიბრტყეზე“, ნაკელახაჯრხინი ბაშა „ცერა თითი“ და მისთ.

1.3.3. მარცვალი. დიდოურ ენაში მეტწილად ღია მარცვალი (ცი „სახელი“, ა-რა „ტოტი“, მე-ში „ხბო“...) დასტურდება, შედარებით ნაკლებად გვხვდება დახურული (ქიდ „გოგო“, მეც „ენა“, ღაჯ „რძე“...). გვხვდება გრძელი მარცვლებიც, რომელსაც გრძელი ხმოვანი ქმნის, მაგ.: ან-რუ „არ არის“, ეწ-რუ „სავსე“ და მისთ.

სიტყვის ფარგლებში, მორფემასა და მორფემათა შესაყარზე, დასტურდება შემდეგი სილაბური მოდელები: ა) ანლაუტში: V, SV, VS, CV, VC, SVC, CVS, CVC, C, SV, CCV, SCV, CSVC, CSVS, CCVC, CCVS, SCVC, SCVS; ბ) ინლაუტში: SV, CV, CVS, SVC, CVC, SVS, CCVS, SCV, CSVS, CSVC; გ) აუსლაუტში: V, SV, CV, SVC, CVS, CVC, SVS, CSVS, CVSC [არლოტელი 1996, 294-295].

საყურადღებო ფაქტია, რომ სიტყვის ანლაუტში დასტურდება CS და CC ტიპის ორგვარი თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც გამარტივებისკენ მიისწრაფვიან და, შესაბამისად, ანლაუტის მარცვლის სტრუქტურასაც ამარტივებენ, მაგ.: ღურო < ღუირო „საქონელი“, ღუდი < ღუიდი „დღე“, ღ'ებ < ღ'შებ „ფოთოლი“, „წელიწადი“, ღ'ონო || < ღ'შონო „სამი“ და მრ. სხვ.

ე. ბოკარევის გამონგარიშებით, არსებითი სახელების 60% ორმარცვლიანია, 25% ერთმარცვლიანია, 14% სამმარცვლიანია, 1% — ოთხმარცვლიანი. ზედსართავი სახელები უმეტესწილად ორკომპონენტია. რაც შეეხება ზმნებს, რომლებიც წარმოდგენილია ინფინიტივის ფორმით, მათი 70% ორმარცვლიანია, 30% — სამმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი კი შეიძლება ერთეულები იყოს [ბოკარევი 1967, 405-406].

სიტყვაწარმოების შედეგად მარცვალთა რიცხვი შეიძლება შეიღამდეს კი გაიზარდოს.



## II თავი

### მახვილი და ფონეტიკური პროცესები

2.1. მახვილი. მახვილი არის სუსტი დინამიკური. მასთან, არაფიქსირებული, თუმცა ხელშესახებია ტენდენცია მისი ანლაუტში, ორი მარცვლის ფარგლებში, დამკვიდრებისა. ფონოლოგიურად მახვილი ირელევანტურია. დიდოურ ენაში იგი იწვევს მეტად მნიშვნელოვან ფონეტიკურ პროცესებს (რედუქცია, კვეცა, თანხმოვანთა გემინაცია...).

დიდოურ ენაში მახვილი უპირატესად ან თავმარცვალზე მოდის, ან მეორეზე: ა) წინა მარცვალს ეცემა: ღუტყუ „სახლი“, იჭკა „ძალიან“, კეკოლი „კვიცი“, ჰირბო „ახლა“, რილ'უ „მიწა“...; ბ) მეორე მარცვალს მოუდის: ჯაცა „შეშა“, ქოსის „მოთიბა“, ჰუნინხ „გზაზე“ და სხვ.

სახელობით ბრუნვაში მახვილი ხშირად თავკიდურა მარცვალს მოუდის, ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში იგი აუსლაუტისაკენ გადაინაცვლებს. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ინფინიტივში მახვილიანად ბოლოკიდური - ა ითვლება, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი თავმარცვალს უნდა ეცემოდეს. დროულ ფორმებში მახვილს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი იღებს. ბრძანებითი კილოს ფორმებში მახვილი პირველ მარცვალზე მოდის [იმნაიშვილი 1963, 22].

საგულისხმოა, რომ სამზე მეტმარცვლიან ლექსებში ძირითად მახვილთან ერთად შენიშნულია თანამახვილიც (სემორანბი „ხუნები“) მაშინ, როდესაც ძირითადი მახვილი პირველ მარცვალს ეცემა [ლომთაძე, 1984, 81].

იმ ფორმებს, რომელთაც გრძელი ხმოვანი მოეპოვებათ, მახვილი ჩვეულებრივ ამ გრძელ ხმოვანს მოუდის, რაც არცთუ იშვიათად საფუძველი ხდება სიგრძისა და მახვილის ურთიერთდრევისა. შესაძლოა, ხანდახან მახვილი ხმოვანთა სიგრძესაც შეერწყას, თუ შერწყმის შედეგად მახვილიანი ხმოვანი გრძელდება, მაგ.: სახ. იღრის (საკ. სახელი), II ფუძე იღრისე, ერგ. იღრისე < იღრისე - ა (შდრ. მიც. იღრისე - რ).

### 2.2. კომბინაციური ფონეტიკური პროცესები

2.2.1. ხმოვანთა კომბინაციური პროცესები. ა) გავრცელებულია ხმოვანთა სრული რედუქცია. უმახვილო ხმოვანი მახვილიანი ხმოვნის გავლენით უკვალოდ იკარგვის [იმნაიშვილი 1956, 254], მაგ.: ცაბრა (<\*ცაბერა, შდრ. აწყყ. ცაბერხო) „დაწერინება“, რაწრა 30

(**\*რწერა**, შდრ. კონკრ. აწმყ. რაწერხო) „შექმევინება“ და მისთ.

ხმოვანფუძიან ზმნათა კონკრ. აწმყოსა, ნამყო ძირითადისა და ნამყო დროის აბსოლუტივის ფორმებს წინამავალი მარცვლის მახვილის გავლენით ხმოვანი ეკვეცება, მაგ.:

კონკრ. აწმყ. რ-იკი-ხ < \*რ-იკი-ხო

ნამყო ძირითადი რ-იკი-ს < \*რ-იკი-სი

აბსოლუტ. რ-იკი-ნ < \*რ-იკი-ნო.

ფუძის მახვილიანი ხმოვანი თანდებულთა ამოსავალი ხმოვნის აბოკოპეს იწვევს: ყ'იმ „თავი“ — ყ'იმ-ტჳრ „თავზე“, შდრ.: გულუტუ „ცხენი“ — გულუტუ-ტჳ (**\*გულუ-ტჳო**) „ცხენზე“.

აბოკოპეს დასტურად მოვიყვანთ აგრეთვე შემდეგ მაგალითებს: ცე (< ცეჲ) „არწივი“, ჳა (< ჳაჲ) „ჟურღღელი“. გავრცელებულია სინკოპეც, მაგ.: მურა-ა < \*მური-ა (შდრ. მური „ნემსი“) „ნემსები“, ბოწ-ა < ბოწი-ა (შდრ. ბოწი „მგელი“) „მგლები“...

ბ) დიდოური ენისთვის ნიშანდობლივია ხმოვანთა შერაწყმა, რის შედეგადაც ვიღებთ გრძელ ხმოვნებს: ა+ა > ა: ონოჩა (< \*ონოჩა+ა) „ქათამა“; ო+ა > ო: ბესურა (< ბესურო+ა) „თევზა“...

გ) ხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია საკვლევ ენაში ლაბიალიზაციის სახით ვლინდება, რასაც ახლომონათესავე ენებთან შედარება ცხადყოფს: რ-ოყუ-ა (< \*რ-ეყუ-ა) „დარტყმა“, რ-ოყუ-ა (< \*რ-ეყუ-ა) „მოტანა“ და მისთ.

საპადურ დიალექტში ფუძის ბოლოკიდური ჟ წინამავალ ხმოვანს ალაბიალებს და თავად იკარგება: ოს (< ისუ, შდრ. მრ. ისუ-ა) „ხარი“.

რეგრესული დისტანციური ასიმილაციის ფაქტებს იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით, მაგ.: ყ'ელა < ყ'ილა „დაბლა, ძირს“, ნეჟუკლა < ნაჟუკრა „რკა“.

სრული პროგრესული ასიმილაციის ნიმუშები იქნება: კენეჳ < კენაჳ „კვერციხე“, კერმეტ < კერმიტ < კრამიტ (< ქართ. კრამიტი) „აგური“, აჯკუტუ < აჯიუტუ „დედალი“, აყ'ყ'ატუ < აყ'იუტუ „უცხო“ და მრ. სხვ.

საგულისხმოა, რომ ე. ლომთაძე [1984, 122-123] პროგრესული ასიმილაციის ფაქტსაც ადასტურებს, კერძოდ: ვმალ' < ვშელ' „ქვეშ“.

დ) შეინიშნება ხმოვანთა დაგიწროება (ა > ე) შაიტლურ თქმაში. გამომწვევ ფაქტორად ფარინგალიზებული თანხმოვნების ზეგავლენა მიჩნეული [იმნაიშვილი 1963, 30]: ტაჳ' > ტეჳ' „დანა“, ყ'ანო > ყ'ენო „ორი“, აჰო > ეხ'ო „მწყემსი“, მაჰი > მეხ'ი „ჟუდი“, ღ'აჲ > ღ'ა > ღ'ე „რძე“ და სხვ.

2.2.2. თანხმოვანთა ცვლილებანი. ა) თანხმოვანთა რედუქციის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს საყოველთაოდ გავრცელებული დენაზალიზაციისა და დელაბიალიზაციის (resp. ლაბიალური სონანტის რედუქციის) ფაქტები. ნაზალური ნ-ს დასუსტება და სრული დაკარგვა რელიზებულია. ნაზალიზაციის თითო-ოროლა შემთხვევა სპორადულად იჩენს თავს საპადურ დიალექტში. საილუსტრაციო მაგალითები: ქის (შდრ. ხვარშ. ი<sup>ს</sup>) „ხარი“, ისი (შდრ. ხვარშ. ე<sup>ს</sup>ო) „თოვლი“, აყუ (შდრ. ხვარ. ა<sup>ყ</sup>უა) „თაგვი“.; ცახა (|| < ცახუა) „წერა“, ნეხა (|| < ნეხუა) „მოსვლა“, ელ'უკ (<\*ელ'უკუ, შდრ. ნათ. ელ'უკუ-მო-ს) „თიკრუნი“, ტაჯ' (<\*ტაჯუ, შდრ. ნათ. ტაჯ'უ-ო-ს) „დანა“ და ა.შ.

გარდა ზემოთქმულისა, ნაწილობრივ ან სრულ რედუქციას განიცდის ყ', ყ, რ, ღ თანხმოვნები, მაგ.: ცომოღ (< ცომოყი) „ვირი“, რ-იღა (< რ-იყ-ა) „კოდნა“, რ-აღა (< რ-აყ-ა) „მოსვლა“, რეჟა (<\*რეჟარ, შდრ. ნათ. რეჟარ-ე-ს) „გასაღები“, რ-ეხუაღ-ხ (< რ-ეხუაღ-ღ-ხ, შდრ. ინფ. რ-ეხუაღ-ა) „დაკვლა“, რ-უ-ხ (<\*რ-ოღ-ხ < რ-ოღი-ხ) „აკეთებს“ და შრ. სხვ.

ხანდახან შეიძლება დიკარგოს მჟღერი სპირანტი შ, რაც იწვევს ხმოვანთა დავიწროებას, ლატერალებისათვის ალვეოლარული ელფერის მინიკებას და ჳ, ყ, ღ, ხ ბგერების ფარინგალიზაციას [იმნაიშვილი 1963, 28-29]: ლ'ჰონო > ლ'ონო „სამი“, ვმალ' > ველ' „ქვევით“, ტმავ > ტავ' > ტეჯ' „დანა“, მმავი > მავი > მევი „შორს“ და სხვ.

ბ) არცთუ იშვიათად დასტურდება ბგერათგადასმის მაგალითები. მარტივი რეგრესული მეტათეზისი უფრო მეტად საპადურისათვის არის ნიშანდობლივი. საილუსტრაციო მაგალითები: შაჰაროს < შაჰარღოს (შდრ. შაჰარ „ქალაქი“) „ქალაქის“, ცეფოს < ცეზიფოს „ცეზური“, ეჰენდა < ენჰედა „აი, ეს“, ჟაჯაროს < ჟაჯარღოს „აკლის“, შაქერადა „ნერვიულობა“ — შაქერამუ „ნერვიული“, ცეკაძე < ცეკაძელუ „ნიორი“, ჟუჰაკუ < მჟუჰაკუ < ლ'ჟუჰაკუ „კავი, კაუქი“, პეზეკრუ < პერზეკუ „ბზრიალა“ და მისთ.

საპადური დიალექტის ტლაცუდის მეტყველებაში მე-3 პირის ნა-ცვალსახელის ბრუნებისას მრავლობით რიცხვში ლაბიალური ელემენტი უ გადაინაცვლებს წინ. ასეთივე ტრანსპოზიცია დამახასიათებელია ზოგი სახელისთვისაც: ერგ. ჟუჰედა (< ეედჰედა) „მათ“ (ერგ.), მიც. ჟუჰედა-რ (<ეედჰე-რ) „მათს“, ცჰეტა < ცეტჰა „ლილი“ და სხვ. მისთ.

იშვიათად ვხვდებით სრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციის მაგალითებს, მაგ.: ლაკილა < ნაკილა „ნეკი“.

გ) დასტურდება სუბსტიტუციის მოვლენები, რაც გამოწვეულია ფონემათა არაადეკვატური აღქმით. ერთმანეთს მეტწილად სონანტები

ენაცვლებიან, მაგ.: მ:ბ: მეშირო : ბეშირო „დევეული“; მ : ნ : მეში  
 ნეში „ხბო“, მეყუ : ნეყუ „ძაფი“, ჰურწუმ : ჰურწუნ „ჯორი“; ლ : რ :  
 მშალი || მანი „ცხვირი“; რ : ლ : რიქინი ლიქინი „აკვანი“, ნაჰუკრა :  
 ნაჰუკლა „რკო“, ქონდარი : ქონდალი „კვლიაი“; ხ : ჳ : ოხცერ  
 (< ხუნძ.): ოჯცერ „კიტრი“: ლ : ყ. ბეტაღუ : ბეტაჟუ; მ : რ : ბიზომბი :  
 ბიზომბი „წერაქვები“...

დ) დიდი გასაქანი აქვს თანხმოვანთა გაორმაგებას, რომელიც  
 გამოწვეულია სხვადასხვა სახის ფონეტიკური პროცესით (ასიმილაცია,  
 მ ნახევარხმოვნის საკომპენსაციო რედუქცია, ინტერვოკალურ პოზიცია-  
 ში მახვილის ინტენსიური გავლენა).

თანხმოვანთა რედუქციაცია უფრო მეტად საპადური დიალექ-  
 ტისთვის არის დამახასიათებელი, შდრ.:

ქიდ.-ასახ. დიალ.	საპ. დიალ.
ესიღუ	ესსუ „ძმა“
ობიღუ	ობბუ „მამა“
ხედიღუ	ხედდუ „ქმარი“
ცახ-ნო	ცახხ-ენ „დაწერა რა“
ბითთღო <*ბითიღო	ბითთო „სწორზე“
	და მრ. სხვ.

ე) სინდჰის მოვლენის ნიმუშებს ვპოულობთ ხუშეთის მეტყველე-  
 ბაში გავრცელებულ აღწერითი მყოფადის ფორმებში: რ-იკაღლ' < რ-  
 იკა ღოლ' „წავა“, ცახაღლ' < ცახა ღოლ' „დაწერს“ და მისთ. ამ რიგის  
 მოვლენა შეინიშნება საპადურ დიალექტში კონკრეტული აწმყოს უარ-  
 ვყოფითი ფორმების წარმოებაში: რ-იტხიზალ' < რ-იტხიზ ღალ' „არ მი-  
 დის“, რ-აწხალ' < რ-აწხო ღალ' „არ ქამს“ და ა. შ.

2.3. სპონტანური ფონეტიკური პროცესები.<sup>9</sup> სპონტანური  
 ფონეტიკური ცვლილებებიდან აღსანიშნავია ხშულ თანხმოვანთა აფრი-  
 კატიზაცია და სპირანტიზაცია: 1) დ > \*ძ > ზ > ჟ: ემაღუ > \*ემაძუ >  
 ემაზუ > ემაჟუ „ზღაპარი“; 2) კ > ტ : რიკა > რიტა „წასვლა“; 3) გ  
 > \*ჯ > ჟ: \*გა > \*ჯა > ჟა „ის“.

საპადურ დიალექტში ნ > ლ პოზიციით შეპირობებული პროცე-  
 სი არ უნდა იყოს, შდრ.:

<sup>9</sup> ამ რიგის საკითხების გამოწველილეთი ანალიზი ისტორიულ-შედარებითი  
 გრამატიკის ამოცანას შეადგენს. ჩვენ მას აქ მხოლოდ გაკვრით ვეხებით.

ქიდ.-ასახ. დიალ.

საშ. დიალ.

რაწა-ნ  
ნებუა-ნ  
ქოსა-ნი-რ

რაწა-ლ „შეკამს“  
ნებუა-ლ „მოვა“  
ქოსა-ლო-რ „სათიბად“  
და მისთ.

ამავე ტიპის მოვლენებია:

კ > ქ: ლუთკუ > ლუთქუ (დებაბრუპტივიზაცია); გ > კ : -გო-ნ > -კო-ნ „ჰიდევ“ (ნაწ.).

წ' > ქ: წ'აბა > ქაბა „შავი“.

შეიმჩნევა ხმოვანთა სპონტანური მონაცვლეობაც: ქიდ.-ასახ. ი: საშ. ე: ლული ლულე „ღღე“, ცომოჲ (<\*ცომოყი): ცომოყე „სახეღარა“...

# მეორე ნაწილი

## მორფოლოგია

### III თავი

#### გრამატიკული კლასის კატეგორია

3.1. მორფოლოგიური კატეგორიების შესახებ ზოგადად. დიდოური ენის მორფოლოგიის ხერხემალს გრამატიკული კლასის კატეგორია ქმნის, რომელიც საზიარო სახელისა და ზმნისათვის. ვინაიდან ზმნაში კლასის ექსპონენტებით რიცხვიც გამოიხატება, იგი მთლიანად დამოკიდებულია გრამატიკული კლასის კატეგორიაზე — თუ ზმნა კლასის ნიშნით მარკირებულია, მაშინ რიცხვიც აღნიშნული იქნება და, პირიქით.

გრამატიკული კლასის კატეგორია, ზმნის გარდა, გარჩეულია ატრიბუტულ სახელებში (ხედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღობა...), რომლებიც საზღვრულს ეთანხმებიან კლასსა და რიცხვში. მართალია, ამჟამად კლასის სუფიქსური ნიშნები რელიქტურადღა იჩენს თავს. მაგრამ მათი მწყობრი სისტემის ისტორიული პოვნეიერება საგულევებელია. ინფიქსად ცოცხალი კლასის ნიშნები არ შეიმჩნევა (თუ არ გავითვალისწინებთ რამდენსამე ფორმას, რომლებშიც მეორე კომპონენტად შეხორცებული, თანდებულის როლში გამოყენებული ზმნა იცვლება).

დიდოურ ენას ახასიათებს როგორც ფლექსია, ისე დერივაცია.

სახელისთვის ნიშანდობლივია რიცხვის კატეგორია, რომელიც, საერთო წესის მიხედვით, სუფიქსური ელემენტებით გამოიხატება. სახელს, ძირითადი ბრუნვების გარდა, ახასიათებს ლოკატიურ ბრუნვათა სიმრავლე.

ზმნას მოეპოვება რიცხვის, დროის, კილოს, კაუზატივის, ასპექტის, პოტენცილის კატეგორიები. დასტურდება გვარის ორგანულად ნაწარმოებ ფორმათა ბინარული ოპოზიცია.

პრეფიქსაცია ოდენ გრამატიკული კლასის კატეგორიისთვის არის ნიშანდობლივი, დანარჩენი კატეგორიები სუფიქსების მეშვეობით იცვლება. რაც შეეხება ინფიქსურ წარმოებას, ესეც იშვიათად ნიშანდობლივია ზმნისა და სახელის ზოგი ფორმისათვის.

3.2. გრამატიკული კლასების სისტემა. გრამატიკული კლასის კატეგორია, როგორც ზმნისა და სახელის ძირითადი მახასიათებელი,

თავიდან ბოლომდე გამსჭვალავს მათ სტრუქტურას. კლას-კატეგორიის გამოსახატავად გამოიყენება სპეციალური ფორმანტები — კლასის ექსპონენტები. მხოლოდით რიცხვში განირჩევა ოთხი გრამატიკული კლასი. თითოეულ კლასს საკუთარი ნიშანი აქვს. პირველი კლასი ნულოვანი მორფემით (Ø) არის წარმოდგენილი, მეორე კლასის ნიშანი არის **ჲ**, მესამისა — **ბ**, მეოთხისა — **რ**. მრავლობითში გარჩეულია ორი კლასი: პირველი კლასის ნიშანი არის **ბ**, რომელიც მამაკაცისა და მასთან გათანაბრებულ არსებათა საკუთარი ექსპონენტია. დანარჩენი (II, III, IV) კლასებისათვის საზიარო ნიშნად **რ** გვხვდება.<sup>10</sup>

თუ მრ. რ.-ში I კლასისა და II, III, IV კლასის სახელები ერთად არის წარმოდგენილი, მაშინ ზმნაში მამაკაცის (I კლ.) კლას-კატეგორიის ნიშანი გამოიყენება, მაგ.: უყიბინ (I კლ.) ქიღბაბინ (II კლ.) ბ-იკიბ „ბიკები და გოგოები მიდიან“; ეყუნ გულუნ ბ-იკიბ „კაცი და ცხენი მიდიან“.

ყველა ზემოდასახელებულ კლასის ნიშანს უშუალოდ მოსდევს ე. წ. თანმზღები ხმოვანი, რომლის ძირითადი ფუნქცია გერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი აკავშირებს რა პრეფიქსს ფუძესთან, ანლაუტში ახდენს სუბერაციას თანხმოვანთა კომპლექსებისა, რომლებიც არაბუნებრივია ამ ენის ფონემატური სტრუქტურისათვის.

გრამატ. კლასის ნიშანთა სისტემა სქემატურად ასე გამოისახება:

კლასი	I	II	III	IV
რიცხვი				
მხოლოდითი	Ø	ჲ	ბ	რ
მრავლობითი	ბ	რ	რ	რ

სახელთა ზემოწარმოდგენილ დიფერენცირებას, როგორც სამართლიანად ფიქრობენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 86], საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ღირებულება სოციალური თვალსაზრისით.

გრამატიკული კლასების მიხედვით, სახელთა კლასიფიკაცია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

I გრამატიკულ კლასში (Ø) ერთიანდება მამაკაცი და მასთან გათანაბრებული სულიერი არსებანი: ეყკუ „კაცი“, ობიჟ „მამა“, უყი

<sup>10</sup> ძირითადად ეს ასეა, მაგრამ ქიღორულ-ასახური დიალექტის ასახურსა და შაფიხურ თქმებში შეიმჩნევა მრავლობითში მარტოოდენ **რ** ნიშნის გამოყენება [იმნაიშვილი 1963, 44].

„ვაჟიშვილი“, ხედიტუ „ქმარი“, ყებელ „მკედელი“, ღირბა „სტუმარი“, აპო „მწყემსი“, ბელ'იჯან „მონადირე“, ჯაზაჯ „ქართველი“, ცეზი „დი-დო“, ალლაპ „ღმერთი“, მალაჟიქ „ანგელოზი“ და მისთ.

II გრამატიკული კლასი (ჟ) მოიცავს მდებდრობითი სქესის ადამიანს და უსულო საგანთა გარკვეულ (აბსტრაქტულსაც და კონკრეტულსაც) სიმრავლეს: ღ'ანაბი<sup>11</sup> || ღ'ანა „ქალი“, „მდებერი“, ენიტუ „დე-და“, ბარუ „ცოლი“, ქიდ „გოგო“, ქიდილა „თოჯინა“, აჩიტ „ფიქვი“, კენაქ „კვერცხი“, ჟაც „ყარი“, რეჩუ „გომური“, იზუ „ყველი“, აღ'ურ „წის-ქვილი“, ატონი „ზაფხული“, მჟოლ'უ „ძილი“, „სიზმარი“ და მრ. სხვ.

III კლასს (ბ) განეკუთვნება ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა, მითოლოგიურ არსებათა და განურჩევლად ზოგ უსულო საგანთა სახელ-წოდებანი: ა) გულუ „ცხენი“, მეში „ხბო“, ბოწი „მგელი“, ზეჟ „დათვი“, ჯაჟ „აურდელი“, ლელი „ბატკანი“, ცეკი „ციკანი“, მამალაჟ „მამალი“, ონოჩუ „ქათამი“...; ბ) შაჰარ „ქალაქი“, მეშ „ცოცხი“, ბუცი „მთვარე“, ბუჯ „მზე“, ჯ'უ „სახნისი“, ჟალ „სოფელი“, ჯიდო „კედელი“, ცა „ვარ-სკვლავი“ და ა. შ.

IV გრამატიკულ კლასში (რ) შედის ნივთები, აბსტრაქტული სახელები და მისთ.: ნუცი „თაფლი“, ჟო „ცული“, მაქა „ხმალი“, ლუნ „ხე“, ლუდი „ღღე“, როკუ „გული“, ლი „წყალი“, რელ „ხორცი“, ას „ცა“, „ღრუბელი“ და სხვ.

გრამატიკული კლასის ექსპონენტები დასტურდება ზედსართავ სახელებში, ზმნასა და ნაზმნარ სახელებში (მიმღეობაში, მასდარში). იგი გვხვდება აგრეთვე კლას-კატეგორიის მქონე ზმნებისაგან ნაწარმოებ აბსოლუტივისა და საგარემოებო ფორმებში. არსებითი და ზედსართავი სახელების სუფიქსებად კლასის ექსპონენტები (თუ რელიქტურ ნიშნებს არ გავითვალისწინებთ) არ მოგვეპოვება.<sup>12</sup> კლასის ნიშნების მიხედვით, დერივაცია ამჟამად არც ნაცვალსახელებს ახასიათებს.

ზმნასა და ზედსართავ სახელში კლასის ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ პრეფიქსად გვაქვს. საილუსტრაციო მაგალითები:

<sup>11</sup> „ქალი“ ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით იხმარება, რაც ი. მეგრელი-ძეს აფიქრებინებს, რომ ეს ფაქტი პოლიგამიიდან უნდა იღებდეს სათავეს [მე-გრელიძე 1958, 225].

<sup>12</sup> ყურადღებას იქცევს და-ძმის აღმნიშვნელი სახელი ესიჟუ || ესიჟუ, რომე-ლიც ატრიბუტივის დართვით ლექსიკურად გაირჩევა: გულუჩი ესიჟუ „ძმა“, აჟიჟუ (resp. აჟუგანი) ესიჟუ „და“.



გრ.	მ. რ.	მ. რ.
I	ყვეუ	ბ-იკის „კაცი წავიდა“
II	ლ'ანაზი	ბ-იკის „ქალი წავიდა“
III	ბოწი	ბ-იკის „მგელი წავიდა“
IV	ბეტა	რ-იკის „ფარა წავიდა“

გრ.	მ. რ.	მ. რ.
I	ბ-იგუ	რ-იგუ
II	ბ-იგუ	რ-იგუ
III	ბ-იგუ	რ-იგუ
IV	რ-იგუ	რ-იგუ

ზედსართავის ანალოგიური ვითარებაა მიმღეობაში.

საგულისხმოა, რომ გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელი შე-საბამისი საზღვრულის კლას-ნიშანს დაირთავს, ხოლო სათანადო კლასის პრეფიქს-ექსპონენტი მიმღეობაში აისახება სათანადო მიმართებით სუბიექტ-ობიექტთან.

დიდოურ ენაში კლასის სუფიქსურ ექსპონენტთა ფუნქციური დატვირთვა მოშლილი რომაა, ამას ხუნძურიდან ნასესხები ზედსართავებიც მოწმობენ, რომლებიც კლასს აღარ განარჩევენ, მაგ.: ბერცინ-აჟი-აბ უყი, ქიდ, ბარლიჩ „ლამაზი ვაყი, გოგო, ბეჭედი“, ბესტალ-აჟ-ნი უყი, ქიდ „ობოლი გოგო, ბიჭი“ და მისთ.

### 3.3. გრამატიკული კლასის გამოხატვის სხვა საშუალებანი.

გარდა გრამატიკული კლასის ნიშნებისა (Ø, მ, ბ, რ), სახელთა ბრუნებისას განირჩევა კლასი ამგვარი დიფერენციაციით: ა) მამრობითი სქესის ადამიანისა და მასთან გათანაბრებულ არსებათა სახელები; ბ) მდედრობითი სქესის ადამიანისა და ყველა დანარჩენის გამოხატველი სახელწოდებანი.

ამ ჩვენების მიხედვით, ირკვევა, რომ ადამიანი-ქალი, მარკირების თვალსაზრისით, ცალკე დგას ადამიანი-მამაკაცისაგან.

დიდოურ ენაში მამაკაცისა და ყველა დანარჩენის კლასის მიხედვით დიფერენციაცია გამოიხატება უმთავრესად ნაცვალსახელების, ზედსართავების, რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეთა ანდა ხმოვანთა (I კლ. ი, ე, უ / II კლ. ა; I კლ. ა / II კლ. უ) მონაცვლეობით.

კერძოდ, III პირის ნაცვალსახელის („ის“) ბუნებისას ერგატივიდან მოკიდებული ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძეების დაპირისპირება<sup>13</sup> ნათლად მჟღავნდება:

მხ. რ.		მრ. რ.	
I კლ.		II, III, IV კლ.	
სახ.	ჟო	ჟო „ის“	ჟედური
ერგ.	ნესჟ	ნელ'ე	ჟედურ'ე
მიც.	ნესრ-რ	ნელ'არ	ჟედურ'არ
ნათ.	ნესრ-ს	ნელ'არ-ს	ჟედურ'არ-ს

<sup>13</sup> მაღიფერენცირებელ ნიშანთა გენეზისის თაობაზე (იხ. ლომთაძე 1956, 288-305; იმნაიშვილი 1963, 50).

## IV თავი

### რიცხვი

4.1. რიცხვი ზოგადად. რიცხვი ორგვარია: მხოლოდობითი და მრავლობითი. უნდა გაიარეს რიცხვის წარმოება სპეციალური მარკერებით არსებით სახელებში და რიცხვის გამოხატვა კლასის ნიშნებით ზმნასა და ატრიბუტულ სახელებში. მართალია, რიცხვი ზმნისა და სახელის საზიარო კატეგორიაა, მაგრამ არსებითი სახელი თვალსაჩინოდ ემიჯნება დანარჩენ მეტყველების ნაწილებს.

4.2. მრავლობითობის წარმოება სუბსტანტივებში. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლების მხრივ არსებითი სახელი ერთგვარონობას ამჟღავნებს — მის ძირითად მარკერად -ბი<sup>14</sup> სუფიქსი გვევლინება, რომელიც სახელობითი ბრუნვის ფორმას (resp. გაუდიფერენცირებელ ფუძეს) უშუალოდ დაერთვის. ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში -ბი ფორმანტს -ზა ენაცვლება, რომელიც მოკიდებული ერგატივიდან ყველა ბრუნვას გაჰყვება.

რამდენიმე არსებითი სახელის მრავლობითობას აწარმოებს სუფიქსი -ა [ბოკარევი 1959, 184; იმნაიშვილი 1963, 66]. ეს სახელებია: ტუტ „ბუზი“ — ტუტ-ა, ღულ „ქვა“ — ღულ-ა, ცის „ხარი“ — ცის-ა, ცა „თესლი“ — ცა-ა, ტაჯ „დანა“ — ტაჯ-ა და მისთ.

ფონემატური სტრუქტურის თავისებურებიდან გამომდინარე, მრავლობითობის -ას დართვისას აუსლაუტური ხმოვანი იკვეცება, მაგ.: ბოწი „მგელი“ — ბოწ-ა, კუცი „ლეკვი“ — კუც-ა, მური „ნემსი“ — მურ-ა... მრავლობითობის ზოგ ფორმაში ოდინდელი რედუცირებული თანხმოვანი აღდგება, მაგ.: ცო „ცული“ — ცონ-ა, ცის „ხარი“ — ცის-ა და მისთ.

შეინიშნება ტენდენცია — ამ ტიპის სუბსტანტივებმაც სხვა სახელებს აუბან მხარი და მრავლობითში -ბი დაირთონ: ცამ „ნაცარი“ — ცამ-ა || ცამ-რე-ბი || ცამ-რა-ბი, ღუნ „ხე“ — ღუნ-ა || ღუნ-ა-ბი, ტუტ „ბუზი“ — ტუტ-ა || ტუტ-ა-ბი და ა. შ.

არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოებისას, სახელობითი ბრუნვის (resp. ფუძის) ფორმის ცვლილებისდა მიხედვით, ორი ტიპი გამოიყოფა: ა) მარტივი, ბ) რთული.

<sup>14</sup> როგორც ჩანს, -ბი პოლიფუნქციური ფორმანტია — აწარმოებს წარმომავლობის სახელებსაც, მაგ.. ქიტა-ბი „ქიტურელი“ [იხ. აბდულაევი 1981, 7].

ა) მარტივი ტიპის წარმოებას განეკუთვნება ის სახელები, რომელთა წმინდა ფუძესაც უშუალოდ ერთის მრავლობითის ფორმანტი-ბი, მაგ.: ჰალმალ „ამხანაგი“ — ჰალმალ-ბი, ცაც „ჰარი“ — ცაც-ბი, წეწ „წამწამი“ — წეწ-ბი, აშუნი „ციხარტყელა“, „სარტყელი“ — აშუნი-ბი, აქუ „სახელური“ — აქუ-ბი, მეკ „ჰისერი“ — მეკ-ბი || მეკ-ო-ბი და მრ. სხვ. რა თქმა უნდა, ამგვარი დაჯგუფება პირობითია, რადგანაც ამ სახელთაგან ზოგ მათგანს შეიძლება პარალელური ფორმაც მოეპოვებოდეს, მაგ.: მეკ-ბი || მეკ-ო-ბი...

ამავე ტიპში ერთიანდება ის სახელები, რომელთაც ფონეტიკურ საფუძველზე ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი რედუცირებული აქვთ: ცეკი „ციკანი“ — ცეკ-ბი, აღა „ჩიხვი“ — აღ-ბი, ბიქორი „გველი“ — ბიქორ-ბი, მიტაი „ჰოჩი“ — მიტა-ბი, ლელი „ბატანი“ — ლელ-ბი, აღი „ჩიტი“ — აღ-ბი, ცაქი „სარკმელი“ — ცაქ-ბი, ტეკა „ვაცი“ — ტეკ-ბი.

ბ) რთული ტიპის წარმოებაში შედის ის არსებითი სახელები, რომლებიც სადა ფუძესა და მრავლობითობის ფორმანტს შორის გამოავლენს ე. წ. ჩანართ ელემენტებს. მართალია, ე. წ. ჩანართი ელემენტები, სინქრონიული თვალსაზრისით, მრ. ნიშანს განეკუთვნება, ისტორიულად კი მათ ფუძის წარმოება ეცისრებოდა. თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მათ ცალკე გამოვყოფთ. ეს ელემენტებია:

-ა-: ორზენ „ტბა“ — ორზენ-ა-ბი, აღურ „წისკვილი“ — აღურ-ა-ბი, ოზურ „თვალი“ — ოზურ-ა-ბი, შუდ „სასათლაო“ — შუდ-ა-ბი, ბირუს „ხის კავი“ — ბირუს-ა-ბი.

-ო-: ას „ღრუბელი“, „ცა“ — ას-ო-ბი, ვეკ „ყელი“ — ვეკ-ო-ბი, მეკ „ჰისერი“ — მეკ-ო-ბი.

-უ-: ოც „ჰალო“ — ოც-უ-ბი.

-რ-: ღუღუ „ჩრდილი“ — ღუღუ-რ-ბი, ფუ „გვერდი“ — ფუ-რ-ბი.

-ჩა-: ბილ „ღვრიტა“ — ბილ-ჩა-ბი, იხ „მწყემსი“ — იხ-ჩა-ბი, ლე „კიბე“ — ლე-ჩა-ბი, ცი „სახელი“ — ცი-ჩა-ბი.

-რე-: მეც „ენა“ — მეც-რე-ბი, წეწ „წარბი“ — წეწ-რე-ბი, ციმ „ბოძი“ — ციმ-რე-ბი, ციმ „ელვა“ — ციმ-რე-ბი, ჰონ „მთა“ — ჰონ-რე-ბი.

-მ-: ბულა „ფეხი“ — ბულა-მ-ბი, აქა „სამაჭური“ — აქა-მ-ბი, ბიზო „წერაქვი“ — ბიზო-მ-ბი, აპო „მწყემსი“ — აპო-მ-ბი.

-მა-: გედ „საცვალი“ — გედ-მა-ბი, გირი „ლატანი“ — გირი-მა-ბი, მელ'ი „ჰეკერი“ — მელ'ი-მა-ბი, ტეკ „წიგნი“ — ტეკ-მა-ბი.

-მა-: იხინ „ტომარა“ — იხინ-მა-ბი, რალ'ად „ზღვა“ — რალ'ად-მა-ბი, ციმ „ბოძი“ — ციმ-მა-ბი, ტიყურ „უნაგირი“ — ტიყურ-მა-ბი.

-ბა-: ქიდ „გოგო“ — ქიდ-ბა-ბი.

-არა-: ჰობ „თბე“ (წისკვილის ბორბლისა) — ჰობ-არა-ბი.

-და-: წი „ცეცხლი“ — წი-და-ბი.

-ნა-: ცო „ცული“ — ცო-ნა-ბი, ესიფე „ძმა“, „და“ — ეს-ნა-ბი.

-და-რა-: ცა „ჰარსკევალი“ — ცა-და-რა-ბი.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ხშირად ხდება ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მონაცვლეობა:

-უ/ა-: წილუ „ბეჭი“ — წილ-ა-ბი, შილუ „რქა“ — შილ-ა-ბი.

-ა/ო-: თარა „ღარა“ — თარ-ი-ბი, ბათა „ღანჩა“ — ბათ-ი-ბი.

-ო/ა-: ცოტორი „ჰიპი“ — ცოტორ-ა-ბი, გიქორი „ჟუნძი“ — გიქორ-ა-ბი, ღუღული „ჩაჭვი“ — ღუღულ-ა-ბი.

-ო/ა-: სემი „ნაღველა“ — სემ-ო-ბი, ყუბი „ღვიძლი“ — ყუბ-ო-ბი.

-უ/ო-: მელუ „ცური“ — მელ-ი-და-ბი, ტუფუ „ბაგე“ — ტუფ-ი-და-ბი.

#### 4.3. ზოგი თავისებურება მრავლობითობის წარმოებაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთ არსებით სახელთა შესახებ, როგორცაა, მაგ., ღანა-ბი „ქალი“, „ცოლი“. ამ რიგის სახელთა მრავლობითი იმავდროულად მხოლოდობითი რიცხვის მნიშვნელობითაც გამოიყენება. დაახლოებით ასეთივეა ხეხ-ბი „ბავშვი“ || „ბავშვები“. ამ უკანასკნელს მხოლოდობითი ფორმა ამჟამად არ მოეპოვება, თუმცა ისტორიულად იგი უნდა ჰქონოდა, შდრ. ხეხო „ნაშიერი“, მაგ., ეტუს ხეხო „კატის კნუტი“, „კატის ნაშიერი“.

ესდამ || ჰადამ „ადამიანი“, „ხალხი“ სახელს ფაკულტატურად მრავლობითი ფორმაც მოეპოვება: ჰადამ-ბი.

ყურადღებას იქცევს ზოგი არსებითი სახელის მრავლობითში პარალელურ ფორმათა სიმრავლე, კერძოდ: ბილ „ღვრიტა“ — ბილ-ბი || ბილ-რა-ბი || ბილ-უ-რა-ბი, წეწ „წარბი“ — წეწ-ბი || წეწ-რე-ბი || წეწ-მა-ბი, ბიზო „წერაჭვი“ — ბიზო-ბი || ბიზო-მ-ბი || ბიზო-რ-ბი და მისთ.

საფიქრებელია, რომ საკვლევ ენაში მრავლობითი რიცხვის ფორმათა ფორმირების პროცესი საბოლოოდ დასრულებული არ არის და ამით ჩანს შეპირობებული პარალელურ ფორმათა სიმრავლე [ბოკარევი 1959, 184].

4.4. მრავლობითი რიცხვი ატრიბუტულ სახელებში. ატრიბუტულ სახელთა (ზედსართავი, მიმღეობა, რიგობითი რიცხვითი სახელი...) მრავლობითობის წარმოება თვალსაჩინოდ განსხვავდება როგორც არსებითი სახელისაგან, ისე ერთმანეთისაგანაც. მართალია, გასუბსტანტივებულ (საზღვრულის უქონელ) ატრიბუტივებსაც დაერთვის ბი ფორმანტი, მაგრამ მათ თავკიდურად კლასის ნიშანიც მოუდით, რომელიც, კლასის გარდა, რიცხვზედაც მიანიშნებს. მსაზღვრელად გამოყენე-

ბულ ზედსართავ სახელებს მრავლობით რიცხვში, კლასის პრეფიქსული ნიშნის გარდა, სუფიქსად ერთვის -ტა ნიშანი, რომლის საშუალებითაც მრავლობითობა ორმაგად აღინიშნება. ეს ითქმის კლასნიშნიანთა მიმართ, უკლასნიშნო ზედსართავთათვის იგი მრავლობით რიცხვში შესათანხმებელი ერთადერთი ფორმანტია, მაგ.: ალუკა ზემ „თეთრი დათვი“, მაგრამ: ალუკა-ტა ზემ-ბი „თეთრი დათვები“.

რაც შეეხება მიმღობას, იგი მხოლოდ მაშინ მიიღებს ბი ნიშანს, როცა გასუბსტანტივებულია: ქალწლო ბ-იკიხოსი ქეკუ-ბი „სოფელში მიმავალი კაცები“, შდრ.: ქალწლო ბ-იკიხოსი-ბი „სოფელში მიმავლები (კაცები)“.

ინფინიტივსა და მასდარში მრავლობითობა ზმნის ანალოგიურად გამოიხატება.

## V თავი

### სახელი

5.1. არსებითი სახელის ბრუნება. დიდოური ენის ბრუნვათა სისტემაში, მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, განირჩევა ორი წყება: ა) ძირითადი და ბ) ლოკატიური. ადგილობით ბრუნვებს, წესისამებრ, სერიებად ვალაგებთ, რომლებიც საგანთა სივრცობრივ მიმართებებს გამოხატავენ.

ბრუნება აგლუტინაციური ტიპისაა და, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ერთია: მრავლობითსა და მხოლოობითში ფუძეები განსხვავებულია, ბრუნვის ნიშნები კი — ილენტური.

5.1.1. ძირითადი ბრუნვები. ბრუნვათა სისტემისთვის უმთავრესი ისაა, რომ მას მოეპოვება ერგატივი და არა აქვს ბრალდებითი ბრუნვა. გარდა ამისა, სხვა მონათესავე ენებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ ბრუნვად გამოიყოფა ინსტრუმენტალისი, რომელიც სამოქმედო საგანს აღნიშნავს (ჯონე-დ „ცულით“).

ზოგი მეცნიერი ცალკე გამოყოფს მეორე ნათესაობითსა<sup>15</sup> და შედარებითსაც [მეგრელიძე 1958, 223; ბოკარევი 1959, 186].<sup>16</sup>

ამრიგად, დიდოურ ენაში ხუთი ძირითადი ბრუნვა გამოიყოფა:

- 1) სახელობითი, 2) ერგატივი, 3) მიცემითი, 4) ნათესაობითი, 5) ინსტრუმენტალისი.

1) სახელობითი ბრუნვა წარმოდგენილია ფუძის სახით, მას საკუთარი მორფოლოგიური ნიშანი არ აქვს, ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმა და სახელის ფუძე ერთმანეთს ფარავს, მაგ.: უჟი ო-აღს „ვაჟი მოვიდა“, ქიდ ა-იკის „გოგო წავიდა“.

სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ფუძის მაგივრობასაც ეწევა, ბოლოვდება ხმოვანზეც და თანხმოვანზეც. მასთან, იგი გამოყენებულია ერგატივის (resp. მეორე ფუძის) საწარმოებლადაც.

---

<sup>15</sup> ირიბ ბრუნვათა ფორმების მსაზღვრელად გამოყენებული (-ზ ნიშნიანი) ნათესაობითი ფაქტობრივ ატრიბუტივთა ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს და ცალკე ბრუნვად არ გამოიყოფა, მაგ.: ენიძუ-ს ესიძუ „დეიდა“ (ზედმიწ. „დედის და“), შდრ. ენიძუ-ზ ესიძუ-ს უჟი „დეიდაშვილი (ვაჟი)“ (ზედმიწ. „დედის დის ვაჟიშვილი“). ეს შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ერთგვარი დისტანციური დისიმილაცია.

<sup>16</sup> შედარებითის (სახ. მუჰუ „მარცვალი“, შდრ. მუჰუ-ცე „მარცვალივით“) ცალკე ბრუნვად გამოიყოფა გაზიარებული არ არის [იხ. იმნაიშვილი 1963, 162].

2) ერგატივი გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს და, ხუნძურისაგან განსხვავებით, ინსტრუმენტალისს არ ითავსებს, რადგანაც ეს უკანასკნელი საკ. დიდოურში დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს.

ერგატივის ნიშნები, დიალექტებისა და თქმების მიხედვით, ფონეტიკურ სახესხვაობებს გვიჩვენებენ: მეტწილად -ა დასტურდება, მისი პალატალიზებული ვარიანტი (-ჰ, -ჰ) გვხვდება ქიდიროულსა და ზოგ სხვა თქმაში, -ჲ და -ჳ უბირატესად შაიტლურ თქმასა და საჰადურ დიალექტს ახასიათებს, ელზოყის თქმაში სადა -ა მოგვეპოვება. მთლიანობაში ერგატივის ნიშანთა სახესხვაობანი ასე წარმოგვიდგება: -ა, -ჰ, -ჰ, -ჰ, -ჲ, -ჳ, -ჲ, -ჳ.

3) მიცემითი ბრუნვის ნიშნად -რ გვევლინება.

4) ნათესაობითი ბრუნვა, როგორც მრავალ ენაშია, კუთვნილებითობას გამოხატავს. მის ნიშნად -ხ გვხვდება. იშვიათად, თუ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ირიბ ბრუნვათა მსაზღვრელად გვექნა, ბრუნვის ფორმანტად -ზ წარმოჩნდება.

5) ინსტრუმენტალისის ნიშანია -დ. იგი ოდენ უგონო ცოცხალ არსებათა და უსულო საგანთა გამომხატველი სახელების ბრუნვაა.

საგულისხმო ფაქტია, რომ ადამიანს, როგორც აქტიურ გონიერ არსებას, ეს ბრუნვა არა აქვს. ადამიანი ერგატიულ ბრუნვაში დგას. როგორც ცნობილია, სახელთა დაყოფა ერგატივისა და ინსტრუმენტალისის მიხედვით მეორეული მოვლენაა [თოფურია 1995, 85-86].

ძირითად ბრუნვათა მორფოლოგიური ნიშნები სქემაზე ასე გამოისახება:

ბრუნვები	ბრუნვათა ნიშნები	ბრუნების ნიმუში	ლექსიკური მნიშვნელობა
სახ.	—	ზირჲ	მელა
ერგ.	-ა, -ჰ, -ჰ, -ჲ, -ჳ, -ჲ, -ჳ	ზირ-ჰ <sup>17</sup>	მელამ
მიც.	-რ	ზირჲ-რ	მელას
ნათ.	-ხ	ზირჲ-ხ	მელას(ი)
ინსტრ.	-დ	ზირჲ-დ	მელათი

<sup>17</sup> სათანადო საბრუნებელ სახელს ერგატივში წარმოვადგენთ მხოლოდ ა ვარიანტით. ერგატივის ნიშანი ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის (ყუტუმან „თუნგ-ში“) ნიშანს ეთანაბრება [ბოკარევი 1959, 187].



5.1.2. **საბრუნებელი სახელის ფუძე.** საბრუნებელი სახელის ფუძედ გამოიყენება **სახელობითი ბრუნვის ფორმა** (resp. გაუდიფერენცირებელი ფუძე), რომელსაც დაერთვის სათანადო ბრუნვათა ნიშნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთფუძიანი ბრუნების დროს სახელობითი ბრუნვის ფორმა (ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც) გასდევს ყველა ბრუნვას. ორფუძიანი ბრუნებისას I ფუძე მხოლოდ სახელობითში გვექნება, დანარჩენ ბრუნვებში, მოყოლებული ერგატივიდან ინსტრუმენტალისის ჩათვლით, ნაწარმოები (resp. ნაწილაკებით გართულებული) ფუძე გამოიყენება.

ბრუნების პროცესში მახვილი ადგილს იცვლის — სახელობითი ბრუნვის ფორმის ანლაუტიდან აუსლაუტურ ხმოვანზე გადაიწევს: სახ. გულუ „ცხენი“, ნათ. გულუ-ს... მრავლობით რიცხვში სახელს მახვილი უპირატესად სუფიქსზე მოუდის, მაგ.: სახ. ღელა-ბი „ჯოხები“, ნათ. ღელა-ზან-ს [ლომთაძე 1984, 16].

5.1.3. **ბრუნების ტიპები.** დიდოურ ენაში არსებითი სახელების ფუძის ჩვენებას თუ დავემყარებით, ბრუნების ორი ტიპი გამოიყოფა: ა) ერთფუძიანი (resp. მარტივი) და ბ) ორფუძიანი (resp. რთული).

ა) ერთფუძიან ბრუნებისას მხოლოდით რიცხვში სახელობითი ბრუნვის ფორმას (არამარკირებულ ფუძეს) ერგატისა და ირიბ ბრუნვებში პირდაპირ დაერთვის ბრუნვის შესაბამისი ნიშანი. ამ ტიპის მიხედვით იბრუნვის ხმოვანფუძიანი (საზოგადოც და საკუთარიც) არსებითი სახელები.

მრავლობით რიცხვში მხოლოდ ორფუძიანი ბრუნებაა გაბატონებული — სახელობითის (ნაწილაკდართულ ან სადა) ფორმას ერთვის მრავლობითობის -ბი ფორმანტი, რომელსაც დანარჩენ ბრუნვებში ცვლის -ზა დაბოლოება. ამ უკანასკნელს მოსდევს ბრუნვის შესაბამისი ნიშანი. საილუსტრაციო მაგალითები:

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

სახ. ბესურ რ „თევზი“  
 ერგ. ბესურ-ნ<sup>18</sup>  
 მიც. ბესურ-რ  
 ნათ. ბესურ-ს  
 ინსტრ. ბესურ-დ

ბესურო-ბი  
 ბესურო-ზნ  
 ბესურო-ზან-რ  
 ბესურო-ზან-ს  
 ბესურო-ზან-დ

<sup>18</sup> ერგატის ნიშნის ვარიანტების სრულად დამოწმება ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ლ'ანა „ქალი“	ლ'ანა-ბი	ბუცი „მთვარე“	ბუცი-ბი
ერგ.	ლ'ან-ნ	ლ'ანა-ზნ	ბუცი-ნ    ბეცი-წ	ბუცი-ზნ
მიც.	ლ'ანა-რ	ლ'ანა-ზა-რ	ბუცი-რ  ბეცი-რ	ბუცი-ზა-რ
ნათ.	ლ'ანა-ს	ლ'ანა-ზა-ს	ბუცი-ს  ბეცი-ს	ბუცი-ზა-ს
ინსტრ.	— <sup>19</sup>	—	ბუცი-დ  ბეცი-დ	ბუცი-ზა-დ

ანალოგიურად იბრუნვის: კიკილი „ტყემალი“, ჰაყუ „ოჯახი“, ყ'ური „სკამი“, აპიდა „ყური“, ბეტლუ „ცხვარი“, ბმალი „ბალი“, ვარანი „აქლემი“, გუნდო „ორმო“, ქუნთა „კაბა“, წერაქი „წერაქვი“, ცომოჲ, ცომოყ'ი (დიალ. ვარ.) „სახელდარი“, რიქინი „აკვანი“, რიგლი „სიკეთე“ და მრ. სხვ.

ბ) ორფუძიანი ტიპის მიხედვით იბრუნვის როგორც თანხმოვან-ფუძიანი (თითქმის ყველა), ისე ხმოვანფუძიანი (შედარებით მცირე) არსებითი სახელები.

ბრუნების მეორე (ე. წ. ორფუძიანი) ტიპი, თავის მხრივ, კიდევ ორ ქვეტიპად იყოფა:

1) პირველ ქვეტიპის მიხედვით იბრუნვის ის სახელები, რომელთა საბრუნებელი სახელის არამარკირებულ ფუძეს<sup>20</sup> ბოლოკიდურად დაერთვის ან ოდენ ხმოვანი (ე, ი, ა, ო), ანდა -CV, -CVSV, -SV სტრუქტურის ელემენტი (ხმოვანფუძიანებს: -ჲო, -რე, -რო, -მე, -მო, -ბე, -ბა; თანხმოვანფუძიანებს: -დო, -და, -მო, -მე, -რო, -რე, -ზი, -ნო, -დარე), რომლებიც სადა ფუძეს ერთგვარად ართულებენ.<sup>21</sup> ამ ელემენტებით მარკირებულ ფუძეს დაერთვის ბრუნვის ნიშნები. ასეთი მოდელის მიხედვით იბრუნვის საკუთარ სახელთა უმრავლესობა და რიგი საზოგადო არსებითი სახელი.

ისმის კითხვა: რა ფუნქცია ეკისრება მარტივი ფუძის გამართულებელ ელემენტებს?

როგორც დიდოური ენის არსებით სახელთა ბრუნების ანალიზი ცხადყოფს, ხუნძური და ზოგ სხვა ენათა ორფუძიანი ბრუნების ანალოგიური სტრუქტურები აქ არ შეიმჩნევა — არ გვაქვს არც ერგატივზე, მით უფრო, არც ნათესაობითზე დამყარებული ორფუძიანობა [შლრ.

<sup>19</sup> ი. მეგრელიძე ცალკე გამოყოფს მოქმედებით ბრუნვას და მასში სვამს ღ'ანა სახელს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება [მეგრელიძე 1958, 226].

<sup>20</sup> ტერმინი „მარკირებული ფუძე“ აღებულია გ. თოფურიას ერთ-ერთი შრომიდან [თოფურია 1987, 192-200].

<sup>21</sup> თუ ფუძეს რომელი ელემენტი დაერთვის, ამის წინასწარ ამოსაცნობად რაიმე მორფოლოგიური ნიშანი არ შეიმჩნევა.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 106-109].

აქ ერთი რომელიმე ბრუნვის ფორმა კი არ ედება საფუძვლად დანარჩენ ბრუნვებს, არამედ მარტოოდენ „ფუძის ორფუძიანობაზე“ დამყარებული ბრუნვების ყალიბი დასტურდება.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი ზემოხსენებულ ხმოვნებს „ირიბი“ ფუძის მაწარმოებლად (resp. დეტერმინანტებად) მიიჩნევენ [ბოკარევი 1959, 184-185; გუდავა 1971, 68...], მეორენი მათ „ჩანართ“, დამაკავშირებელ ხმოვნად თვლიან [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 122; იმნაიშვილი 1963, 57-67...], მესამენი კი ბრუნვის ფორმანტს მიაკუთვნებენ [მეგრელიძე 1958, 224, 231; თოფურია 1987, 193...].

შესაძლებლად გვესახება, საკ. დიდლოურის არსებით სახელთა ბრუნებისას თავჩენილი ხმოვნები ბრუნვის ნიშანს განეკუთვნოს, რომლებიც, ენის ფონემატური სტრუქტურიდან გამომდინარე, თანხმოვან-ტკომპლექსების სუპერაციას ახდენენ [არდოტელი 2000, 29]. აქ, როგორც ჩანს, მორფონოლოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ ხმოვნითი ელემენტები ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში უმთავრესად თანხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის,<sup>22</sup> მაგ.: სახ. რელ „ხორცი“, ნათ. რელ-ი-ს. აუსლაუტში -ლ-ს (სათანადოდ, რელ-ს) თანხმოვანტკომპლექსის რეალიზაცია ყოვლად დაუშვებელია.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორფუძიანი ბრუნვების II ქვეტიპის მიხედვით ნაბრუნებ სახელთა პარადიგმებს:

ა) ხმოვანდართული ფუძეები  
მხოლოებითი რიცხვი

სახ.	ბუჯ „მზე“	ლუნ „ხე“	რელ „ხორცი“
ერგ.	ბუჯ-ნ	ლუნ-ნ	რელ-ნ
მიც.	ბუჯ-ქ-რ <sup>23</sup>	ლუნ-რ-რ	რელ-რ-რ
ნათ.	ბუჯ-ქ-ს	ლუნ-რ-ს	რელ-რ-ს
ინსტ.	ბუჯ-ქ-დ	ლუნ-რ-დ	რელ-რ-დ

<sup>22</sup> საპირისპიროდ ამისა, ხმოვანფუძიანებს ანალოგიური ელემენტები არ ექნებათ (თუ არ გავითვალისწინებთ ფუძის ხმოვანმონაცვლე სახელებს).

<sup>23</sup> ირიბ ბრუნვებში ხშირად თავს იჩენს ამოსავალი უ: ბუჯ <\*ბეჯუ.

ბ) ჩანართელემენტური ფუძეები  
მხლოობითი რიცხვი

სახ.	ქიდ „გოგო“	მეშ „ცოცხი“	ხალყი „ხალხი“	წი „ცეცხლი“
ერგ.	ქიდ-ბ-ნ	მეშ-რ-ნ	ხალყი-მ-ნ	წი-დ-ნ
მიც.	ქიდ-ბ-რ	მეშ-რ-რ	ხალყი-მ-რ	წი-დ-რ
ნათ.	ქიდ-ბ-ს	მეშ-რ-ს	ხალყი-მ-ს	წი-დ-ს
ინსტ.	—	მეშ-რ-დ	—	წი-დ-დ

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ქიდბა-ბი „გოგონები“	ლუნა-ბი „ხეები“
ერგ.	ქიდბა-ზ-ნ	ლუნა-ზ-ნ
მიც.	ქიდბა-ზ-რ	ლუნა-ზ-რ
ნათ.	ქიდბა-ზ-ს	ლუნა-ზ-ს
ინსტ.	—	ლუნა-ზ-დ

საშადური დიალექტი ძირითადად ქიდიროულ-ასახური დიალექტის ჩვენებას მისდევს, მაგრამ მცირეოდენ თავისებურებებს მაინც ამჟღავნებს, კერძოდ, ჩართული -**ჟ** ელემენტისეული **ჟ**-ს მეტათეზისს ახდენს: ნათ. ვაჭაეროს < ვაჭარ-ჟოს „კაკლის“. მასთან, -**ჟ** ელემენტის -**ჟ**-, შესაძლოა, მთლიანადაც რედუცირდეს, მაგ.: სახ. გამუშუ კამეჩი — ნათ. გამუშო-ს. გარდა ამისა, ამ დიალექტში მრ. რ.-ის ფორმათა წარმოებისას ჩანართი ელემენტის წინ ფუძის საწარმოებელი აფიქსის ხმოვნად **ა** დაჩნდება [იმნაიშვილი 1963, 65].

2) მეორე ქვეტიპის მიხედვით ბრუნებისას სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდური ხმოვანი „ირიბ ბრუნვებში“ იცვლება, თუმცა წინასწარ შეცვლილი ხმოვნის რომელობის ამოცნობა ქირს. წარმოვადგენთ ურთიერთმონაცვლე წყვილებს, რომლებშიც ჭერ სახელობითის ფუძისეული ხმოვანია მოცემული, შემდეგ კი — დანარჩენი ბრუნვებისა: **ა — ო**, **ა — ო**, **ა — ე**, **უ — ა**, **ო — ო**, **უ — ო**, **ო — ე**, **ო — ე**. საილუსტრაციო პარადიგმები:

	<b>ო-ე</b>	<b>ა-ე</b>	<b>ო-ე</b>	<b>ა-ო</b>
სახ.	კეპოლ-ი „კვიცი“	ტეჟა „კვიცი“	ოკო „ლურსმანი“	რეტა ხელი“
ერგ.	კეპოლ-ნ	ტეჟა-ნ	ოკ-ნ	რეტა-ნ
მიც.	კეპოლ-რ	ტეჟა-რ	ოკ-რ	რეტა-რ
ნათ.	კეპოლ-ს	ტეჟა-ს	ოკ-ს	რეტა-ს
ინსტ.	კეპოლ-დ	ტეჟა-დ	რკ-დ	რეტა-დ

	ო—ო	უ—ა	ა—ო	უ—ო
სახ.	მოჩ-ი	ყონთ-უ	ბუთნ-ი	ღ'უთკ-უ
	„ადგილი“, მიწა“	„მუხლი“	„ნაბადი“	„სახლი“
ერგ.	მეჩ-ნ	ყონთ-ნ	ბუთნ-ნ	ღ'უთკ-ნ
მიც.	მეჩ-რ-რ	ყონთ-ნ-რ	ბუთნ-რ-რ	ღ'უთკ-რ-რ
ნათ.	მეჩ-რ-ს	ყონთ-ნ-ს	ბუთნ-რ-ს	ღ'უთკ-რ-ს
ინსტრ.	მეჩ-რ-ღ	ყონთ-ნ-ღ	ბუთნ-რ-ღ	ღ'უთკ-რ-ღ

ანალოგიურად იბრუნვის ლ'შორი „ომი“, როეი „სიტყვა“, მაგალუ „პური“...

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საჰ. დიალექტში ხმოვანუცვლელი და ხმოვანმონაცვლე ბრუნვათა ფორმები პარალელურად დასტურდება:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ალი „ჩიტი“	აღ-ბი
ერგ.	აღ-ე	აღ-ზ-ნ
მიც.	აღ-რ  აღ-ე-რ	აღ-ზ-რ
ნათ.	აღ-რ-ს    აღ-ე-ს	აღ-ზ-ს
ინსტრ.	აღ-რ-ღ    აღ-ე-ღ	აღ-ზ-ღ

სპორადულად ზემომოყვანილი, საჰადურის მსგავსი, შერეული ბრუნვებაც დასტურდება, რომელშიც, ფუძისეულ ხმოვანთმონაცვლეობითი ბრუნვების გარდა, თავს იჩენს ერთფუძიანი ბრუნვებაც, სახელობრ: ალი „ჩიტი“, ჩვეულებრივ, ხმოვანთმონაცვლეობით იბრუნვის: სახ. აღ-ი, ნათ. აღ-ე-ს., მაგრამ პარალელურად დასტურდება: სახ. აღ-ი, ნათ. აღ-ი-ს.

5.1.4. **საკუთარ სახელთა ბრუნვა.** ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები იბრუნვის საზოგადო სახელების მსგავსად — სახელობითი ბრუნვის ფუძედ გამოყენებულ ფორმას უშუალოდ დაერთვის შესაბამისი ნიშნები [მეგრელიძე 1958, 233, იმნაიშვილი 1963, 61]. საკუთარ სახელებს მრავლობითი, ჩვეულებრივ, არ ეწარმოება; არა აქვთ, აგრეთვე, ინსტრუმენტალისის ფორმა. ბრუნვების ნიმუშები:

სახ.	ცალი	ბახუ	ჰაჟა
ერგ.	ცალ-ნ	ბახ-ნ	ჰაჟ-ნ
მიც.	ცალ-რ-რ	ბახ-რ-რ	ჰაჟ-რ-რ
ნათ.	ცალ-რ-ს	ბახ-რ-ს	ჰაჟ-რ-ს
ინსტ.	—	—	—

თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ორფუძიანი მოდელის მიხედვით იბრუნვიან, კერძოდ I ქვეტიპის მიხედვით — მეორე ფუძეს ხმოვნითი ელემენტი დაერთვის, მაგ.:

სახ.	შამილ	ფატიმათ
ერგ.	შამილ-ნ	ფატიმათ-ნ
მიც.	შამილ-ე-რ	ფატიმათ-ე-რ
ნათ.	შამილ-ე-ს	ფატიმათ-ე-ს
ინსტ.	—	—

5.1.5. **თავისებურებანი ბრუნებაში.** ზოგი არსებითი სახელი ირიბ ბრუნვებში ფუძის ამოსავალ ხმოვანს აღიდგენს, მაგ.: სახ. მუს „ბეწვი“, ნათ. მეს-ე-ს.

ზოგ სახელს, შესაძლოა, ერგატივიდან მოკიდებული ანლაუტური ხმოვანი დაეკარგოს, მაგ.: უჟი „ჰაჟი“, ერგ. ე-ნ, ნათ. ე-ს.

ი. მეგრელიძე ცალკე გამოყოფს ხეხბი („ბავშვები“) სახელს, რომელსაც მხ. რიცხვი არ ეწარმოება (Pluralia tantum), მაგრამ იბრუნვის ცეკი („თიკანი“) სახელის ანალოგიურად. ამიტომ იგი ასკვნის — მხ. რ.-ის ფორმა ხეხი უნდა ყოფილიყო [მეგრელიძე, 1958, 227]. მართლაც, იგი შემონახული უნდა იყოს ცხოველების ნაშეერთა (მაგ., კეტუს **ხეხიამ** „ჰატის კნუტი“) აღმნიშვნელ სახელებში.

ზოგი გასუბსტანტივებული რიცხვითი სახელი ბრუნებისას იცვლის როგორც ფუძის ბოლოკიდურ, ისე ინტერკონსონანტურ ხმოვანს, მაგ.: სახ. ყ'-ნო „ორი“ — ერგ. ყ'-უნ-ნ, მიც. ყ'-უნ-ე-რ...

5.1.6. **ძირითად ბრუნვათა ფუნქციები.** ძირითადი ბრუნვები, ფუნქციათა მიხედვით, ასეთ სურათს გვიჩვენებს:

1) სახელობითი ბრუნვის ფუნქცია არის გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის გამოხატვა, მაგ.: ეაჭულ' რილ'უ (სახ. ბრ. RS) ლ'ის „დღეს ხენა დამთავრდა“; გულ' რაწხო ბიხ (სახ. ბრ. RO) „ცხენი (ზედმიწ. „ცხენმა“) თივას (ზედმიწ. „თივა“) ჰამს“.

2) ერგატიული ბრუნვა მართოდენ გარდამავალი ზმნის სუბიექტს გადმოსცემს. იგი ითვლება აქტიური ბუნების ცოცხალ არსებათა ბრუნვად და ვერ ითავსებს უგონო სულიერ არსებათა თუ ნივთთა ბრუნვის — ინსტრუმენტალისის ფუნქციას, ე. ი. ერგატივი და ინსტრუმენტალისის სახელებს ორ წყებად აჯგუფებენ: პირველ წყებაში შვეა ადამიანისა და მასთან გათანაბრებულ სულიერ არსებათა სახელები,

რომლებიც ჩვეულებრივ ერგატივის იგუებენ, ხოლო მეორე წყებაში გაერთიანდება ყველა დანარჩენი სახელი, რომლებიც მოქმედების იარაღს გამოხატავენ და ინსტრუმენტალურ ბრუნვას მოითხოვენ.

3) მიცემით ბრუნვას ეკისრება გარდამავალ ზმნათა ირიბი ობიექტისა და *verba sentiendi*-ს ტიპის ზმნათა სუბიექტის გამოხატვა.

4) ნათესაობითი ბრუნვა, სხვა ენათა მსგავსად, კუთვნილებითობას გამოხატავს. მისთვის ნიშანდობლივია აგრეთვე ატრიბუტული ფუნქციის მქონებლობა.

5) ინსტრუმენტალური ბრუნვის უმთავრესი ფუნქცია სამოქმედო იარაღის გამოხატვაა და ამით ჩანს შეპირობებული, რომ იგი ოდენ ნივთებსა და უგონო სულიერ არსებებს მოეპოვება. ადამიანის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც აქტიური სემანტიკით არიან აღჭურვილი, დამოუკიდებელ ერგატივში დგანან და ინსტრუმენტალისი არ მოეპოვებათ.

გარდა ზემოთქმულისა, ინსტრუმენტალისი არცთუ იშვიათად გამოხატავს დროისა (ნეშირუ-დ „საღამოთი“) და მიზეზის (ცანხუ-დ „წერით“) ზმნისართებს.

**5.1.7. ლოკატიური ბრუნვები.** ლოკატიური ბრუნვები შეიდ სერიას (resp. წყებას) ქმნის. ყოველი სერია აღნიშნავს საგნის სივრცობრივ მდებარეობა-მიმართებას მეორე საგნის მიმართ. თითოეულ სერიას ოთხ-ოთხი ბრუნვა მოეპოვება, რომლებიც პირობითად, მდებარეობის ან მიმართულების ჩვენებისდა მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) მდგომარეობის გამომხატველი (სტატიკური) (სად?); 2) მოძრაობის გამომხატველი (დინამიკური) (საითკენ? საიდან?) რის გავლით?). როგორც კითხვებითიდანაც ჩანს, დინამიკური ჯგუფი სამ ბრუნვას აერთიანებს. ლოკატიურ ბრუნვათა ფორმების საერთო რიცხვი 28-მდე აღწევს, რაც გარკვეულწილად ანაზღაურებს თანდებულთა სიმცირეს.

ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნები, დიალექტებისა და თქმების მიხედვით, არსებით ფონეტიკურ ცვლილებებს არ განიცდის. ამ მხრივ საყურადღებოა ფუძის დაბოლოება — თუ სახელი ხმოვანფუძიანია, ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი (-ტოა > -ტა, -ხო > -ხ, -ვო > -ვ...) რედუცირდება.

ამრიგად, თითოეულ სერიაში შედის ოთხი უმთავრესი ლოკატიური ბრუნვა, რომელთაც თავისი მაწარმოებლები აქვთ და სერიების მიხედვით განირჩევა. წარმოვადგენთ ამ სერიებს სქემის სახით:

სერიები	დაბოლოება	სემანტიკა	საილუსტრაციო მაგალითები
I სერია	-ტომ/-ტო	„ზე“	ბადან-ტომ ფოლ' ხალყი „მოედანზე არის ხალხი“
II სერია	-ვომ/-ვ	„ზე“, „კენ“	დი მიზის ღუნო-ვ „შე ავედი ხეზე“
III სერია	-ხომ/-ხ	„თან“, „მახლობლად“	ყო ბიჩის რალ'ადფო-ხ იგო „ის შეჩერდა ზღვასთან ახლოს“
IV სერია	-დემ, -დომ	„თან“, „თან ერთად“	ესიფუ-დემ ტექ ფოლ' „დას („დასთან“) აქვს წიგნი“
V სერია	-მ	„ში“ (სოფელში)	ცალ-მ ფოლ' სის ეეკუ „სოფელში არის ერთი კაკი“
VI სერია	-ლ'	„ში“ (წყალში)	ლ'-ლ' ფოლ' ბესურო „წყალში არის თევზი“
VII სერია	-ლ'	„ქვეშ“	ლ'ადე-ლ' ფოლ' ქიქ „კლდის ძირას არის წყარო“

მოდრაობის გამოშხატველ ბრუნვათა ნიშნები, სერიების მიხედვით, საერთოა: მიმართულების ნიშნად -რ გვაქვს. დაშორებითის ნიშნად — -ამ, შუალობითის (resp. ტრანსლატივის) ნიშნად კი — -ა-ზა || -ა-ზამ. ეს თანდებულები ერთვის საბრუნებელი სახელის ფუძეს (ორფუძიანობის დროს — სახელის მეორე ფუძეს).

ლოკატიურ ბრუნვათა ძირითადი დაბოლოებების სქემა, ყველა ბრუნვისა და სერიის მიხედვით, ასეთ სახეს მიიღებს:

ბრუნვები სერიები	ადგილობითი (Locativus) სად?	მიმართულებითი (Allativus) საითკენ?	დაშორებითი (Elativus) საიდან?	შუალობითი (Translativus) რის გველით?
I სერია	-ტომ  -ტო	ტან-რ  -ტომ-რ	-ტანმ   -ტომმ	-ტან-ზა   -ტან-ზამ
II სერია	-ვომ  -ვ	-ვან-რ  -ვომ-რ	-ვანმ  -ვომმ	-ვან-ზა  -ვან-ზამ   -ვომ-ზამ



III სერია	-ხო  -ხ	-ხნ-რ  -ხნ-რ	-ხნა  -ხნა	-ხნ-ზა  -ხნ-ზა   -ხნ-ზა
IV სერია	-ღე, -ღო	-ღნ-რ  -ღნ-რ   -ღე-რ, -ღო-რ	-ღნა  -ღნა   -ღნა, -ღნა	-ღე-ზა   -ღე-ზა
V სერია	-ვ	-ვნ-რ	-ვნა	-ვნა  -ვნა
VI სერია	-ლ'	-ლ'-ნ-რ  ლ'-ნ-რ   -ლ'-რ	-ლ'-ნა  ლ'-ნა  ლ'-ნა	-ლ'-ნა   -ლ'-ნა
VII სერია	-ლ'	-ლ'-რ	-ლ'-ნა  -ლ'-ნა	-ლ'-ნა   -ლ'-ნა <sup>24</sup>

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია [იმნაიშვილი 1963, 153], რომ -ლ' და -ვ ნიშნები ორივე შიგამყოფობაზე მიუთითებს, ოღონდ -ლ' რაიმე ნივთიერებაში ან საგანში ყოფნას გვიჩვენებს (ლუ-ნოლ' „ხეში“, ლ'ილ' „წყალში“), ხოლო -ვ — ცარიელ შინაგან სივრცეში ყოფნას (ყუბუმ-ვ „თუნგში“, ლუტყ-ვ „სახლში“).

მოვიყვანთ ბრუნების ერთიანი პარადიგმის ნიმუშს მხოლოდობითი რიცხვის მიხედვით:

#### ძირითადი ბრუნვები

სახ. ლ'უტყ „სახლი“

ერგ. ლ'უტყ-ვ, -ნ, -ნ, რ

მიც. ლ'უტყ-რ-რ

ნათ. ლ'უტყ-რ-ს

ინსტრ. ლ'უტყ-რ-დ

#### ლოკატიური ბრუნვები

ბრუნვები სერები	ადგილობითი (სად?)	მიმართულებითი (საითყენ?)	დაშორებითი (საიდან?)	შუალობითი (რის გავლით?)
I სერია	ლ'უტყ-ო-ტა	ლ'უტყ-ო-ტა-რ	ლ'უტყ-ო-ტა-ნა	ლ'უტყ-ო-ტა-ნა
II სერია	ლ'უტყ-ო-ჟ	ლ'უტყ-ო-ჟ-რ	ლ'უტყ-ო-ჟ-ნა	ლ'უტყ-ო-ჟ-ნა
III სერია	ლ'უტყ-ო-ხ	ლ'უტყ-ო-ხ-რ	ლ'უტყ-ო-ხ-ნა	ლ'უტყ-ო-ხ-ნა
IV სერია	ლ'უტყ-ო-ღე	ლ'უტყ-ო-ღე-რ	ლ'უტყ-ო-ღე-ნა	ლ'უტყ-ო-ღე-ნა
V სერია	ლ'უტყ-ა	ლ'უტყ-ა-რ	ლ'უტყ-ა-ნა	ლ'უტყ-ა-ნა
VI სერია	ლ'უტყ-ო-ლ'	ლ'უტყ-ო-ლ'-რ	ლ'უტყ-ო-ლ'-ნა	ლ'უტყ-ო-ლ'-ნა
VII სერია	ლ'უტყ-ო-ლ'	ლ'უტყ-ო-ლ'-რ	ლ'უტყ-ო-ლ'-ნა	ლ'უტყ-ო-ლ'-ნა

<sup>24</sup> ყველა ფორმანტის ნაირსახეობის მოყვანა არც აუცილებელია და, უადგილობის გამო, არც შესაძლებელი, სურათი ისედაც ნათელია.

5.1.8. **ლოკატიური ბრუნვათა ფუნქციები.** ლოკატიური ბრუნვებისთვის, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ ზოგადად, ნიშანდობლივია საგანთა სივრცობრივი, დროისმიერი, მიზეზობრივი მიმართების კონკრეტულად გამოხატვა. ირიბ ბრუნვათა ფუძეზე სათანადო თანდებულდართული ბრუნვები ერთგვარი კომპენსაციაა სხვა წრის ენების წინდებულის ბრუნვათა უქონლობისა. თვალშისაცემია ტენდენცია საანალიზო ბრუნვათა კონკრეტული სემანტიკის განზოგადებისა.

საკუთრივ დიდოურში ლოკატიური ბრუნვები, თანდებულთა მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა:

1) საბრუნებელი სახელის ფუძეს (ორფუძიანი ბრუნებისას მე-2 ფუძეს) დაერთვის ერთი ფორმანტი და მიუთითებს საგნის ადგილმდებარეობაზე (resp. უძრავ მდგომარეობაზე). ეს ბრუნვა არის ძირითადი ადგილობითი („ზე“, „თან“, „ში“, „ქვეშ“ თანდებულებით) ბრუნვა.

2) ადგილობითი ბრუნვის მზამზარეულ ფორმას დაერთვის დანარჩენი ლოკატიური (მიმართულებითი, დაშორებითი, შუალობითი) ბრუნვების სათანადო ფორმანტები, რომლებიც უფრო აკონკრეტებენ მისთვის განკუთვნილ ფუნქციას.

5.2. **სახელური სიტყვაწარმოება.**<sup>25</sup> დიდოური ენა, რელატიური ფორმების საპირისპიროდ, სადერიაციო ფორმებით არცთუ ღარიბია.

სიტყვაწარმოებითი მოდელებიდან ყველაზე პროდუქტიულია: 1. აფიქსაცია, მეტადრე მისი ერთ-ერთი სახეობა — სუფიქსაცია. გარდა ამისა, გამოიყოფა: 2. კომპოზიცია და 3. სინთეზური წარმოება. კომპოზიცია, თავის მხრივ, ორად გაიყოფა: ა) საკუთრივ კომპოზიცია და ბ) შერწყმა.

5.2.1. **სუფიქსური წარმოება.** სიტყვაწარმოებითი ფუნქციით დასტურდება შემდეგი სუფიქსები:

-**ჯუ**: პირველი ან მეორე ფუძისაგან<sup>26</sup> აწარმოებს ხელობისა და დანიშნულების სახელებს: მაგალა-ჯუ „ხაბაზი“ (მაგალუ „პური“), ლ'ოჩი-ჯუ || ლ'ოჩა-ჯუ „მოცეკვავე“ (ლ'ოჩ „ცეკვა“), მასრა-ჯუ „სამასრა“ (მასრა „მასრა“), ლ'ატრა-ჯუ || ლ'ატა-ჯუ „მეჭრია“ (ფრინველია ერ-

<sup>25</sup> ამ საკითხს განიხილავენ: ა. აბდულაევი [1981], დ. იმნაიშვილი [1963, 160-163] და ე. ბოკარევი [1959, 182-183]. მათგან, ა. აბდულაევი საპეციალურად შეისწავლა საკ. დიდოურის სიტყვაწარმოება, დ. იმნაიშვილმა მოკლედ მიმოიხილა, ხოლო ე. ბოკარევი გაკერით შეეხო ამ საკითხებს.

<sup>26</sup> ა. აბდულაევი ფიქრობს, რომ -ჯუ სუფიქსი ერგატის მზამზარეულ ფორმას დაერთვის [1981, 6]. სინამდვილეში ლ'ოჩი-ჯუ არ უდრის ერგატის ფორმას, ერგატში აუსლაუტური ხმოვანი ყოველთვის გრძელია: ლ'ოჩი-ჯუ.

თვარი) (ლ'აც „ქარი“), ბესურო-ჯუ „მებაღური“ (ბესურო „თევზი“), ცოტა-ჯუ „სახრელი“ (ზედმიწ. „სატარე“, შდრ. ცოტა „ტარი“), ცუდ-ზა-ჯუ „აკლამა“ (ცუდი „ცხედარი“), ბოწა-ჯუ „ხაფანგი“ (ბოწი „მგელი“), ნმოლა-ჯუ „მენაცრია, ნაცარქეკია“ (ნმოლუ „ნაცარი“), შილუ-ოკ-ჯუ „მქედელი, ვინც ცხენს კედს“ (ზედმიწ. „მენალლურსმნე“, შდრ. შილუ „ნალი“+ოკ „ლურსმანი“), ციფო-ჯუ „სამარილე“ (ციფო „მარილი“), ტატა-ჯუ „ქურდბაცაცა“ (ტატა „ქურდი“) და სხვ.

-ჯან: ხუნძურიდან შეთვისებული ეს სუფიქსიც დაახლოებით ზემომოყვანილი სუფიქსის სემანტიკისაა. მათი ოდინდელი გენეტური კავშირი ხელშესახებია: ჩანა-ჯან „მონადირე“, (ჩან „თხა“), რილუ-ჯან „გლეხი“ (რილუ „ყანა“, „მიწა“), ოლო-ჯან „შუამავალი“ (ოლო „შუა“), ჯიდო-ჯან „კალატოზი“ (ჯიდო „ყედელი“).

-ხან იშვიათად დასტურდება და პროფესიის სახელებს აწარმოებს: აღუ-ხან „მეწისქვილე“ (აღუ „წისქვილი“).

-კუ სუფიქსით ზმნური (ზშირად მრავალგზისი ფორმებისგან) და სახელური ფუძეებისაგან იწარმოება სხვადასხვა სემანტიკის, უმთავრესად, ხელობის, მოსაქმეობის სახელები: ესირნო-კუ „მათხოვარი“ (ესირნოდა „მათხოვრობა“), იპა-კუ „ჩხუბისთავი“ (იპადა „ჩხუბი“), რიზირნა-კუ „მანქანანი (წისქვილში)“ (რიზირნადა „ზშირად აწევა“), ლოჩმო-კუ „სარეკლა“ (ლოჩ?), ცუტანა-კუ „მშიშარა“ (ცუტანა „შიშის ქონა“), ატიორნა-კუ „ცრუბენტელა, მატყუარა“ (ატიორნადა „მატყუარობა“), ცახნა-კუ „მწერალი“ (ცახნადა „ზშირად წერა“), ცედანა-კუ „ნათლია“ (ცედანადა „სახელდება“), ჰიშინო-კუ „საკეტი“, „ურდული“ (ჰიშინოდა „ზშირად ჩაკეტვა“), შარა-კუ „სასტვენნი“ (შარუ „სტვენა“) და სხვ.

-ბი სუფიქსი ბიფუნქციურია — აწარმოებს მრავლობითობასა და ეთნიკურ სახელებს: სოტაო-ბი „საჰადელი“ (სოტაო „საჰადა“), ნევო-ბი „მოყოყელი“ (ნეტო „მოყოყი“) და მისთ.

-ზი სუფიქსიც ეთნიკური სახელების გამაფორმებელი ფორმანტია: ცე-ზი „დიდოელი“ (ცე „არწივი“), შინუ-ზი „შინუხელი“, სო-ზი „საჰადელი“, აპო-ზი „მწყემსი საერთოდ“.

-ორ გვხვდება ინფიქსის სახით ერთ შემთხვევაში: მეშ-ორ-ი (შდრ. მეში „ხბო“) „დეკეული“.

-ლა სუფიქსით იწარმოება კნინობით-მოფერებითი და ცხოველთა ასაკის აღმნიშვნელი სახელები: ენი-ლა „დედიკო“ (ენიუ „დედა“), ესო-ლა „დაიკო“, „ძამიკო“ (ესიუ „და“, „ძმა“), ბაბი-ლა „მამიკო“ (ბაბიუ „მამა“), ქიდი-ლა „თოჯინა“ (ქიდ „გოგო“). ყუნუ-ლა „ორი წლის თხა ან ცხვარი“ (ყანო „ორი“) და მრ. სხვ.

-**ლ**• სუფიქსი, რომელსაც ნასესხობად მიიჩნევენ,<sup>27</sup> შესაძლოა, საერთო ფორმანტი იყოს, ვინაიდან იგი ფართოდ არის გავრცელებული — თითქმის ყველა მეტყველების ნაწილზე დართვით აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს: ქუქა-ლი „ბორტება“ (ქუქა „ცული“), რიგ-ლი „სიკეთე“ (რიგუ „კარგი“), ეჩრუ-ლი „სიბერე“ (ეჩრუ „მოხუცი“), რუქნაჩრუ-ლი „ხილვადობა“ (რუქნაჩრუ „ხილული“), ლირბა-ლი „სტუმართმოყვარეობა“ (ლირბა „სტუმარი“).

-**მ**უ ზმნისა და ზედსართავისაგან იშვიათად აწარმოებს ზოგ სახელს: რასა-მუ „საზომი“ (რასადა „გაზომვა“), რისელ-ნო-მუ „ენაბლუ“ (რისელ-ნო-და „ენაბრგვილობა“).

-**ს**ი არსებითი სახელებისაგან აწარმოებს ეთნიკურ, პროფესიის, დანიშნულებისა თუ სხვა სემანტიკის სახელწოდებებს: თიფლის-სი „თბილისელი“ (თიფლის-ნი „თბილისში“), ჯიდოტა-სი „კალატოზი“ (ჯიდოტა „კედელზე“), ცალ-სი „სოფელი“ (ცალ-ნი „სოფელში“), ემიტა-სი „შაიტელი“ (ემიტა „შაიტლი“) და სხვ. მისთ.

-**ყ**აჟ მსგავსების (თანაბრობის) მნიშვნელობას შეიცავს: ბესურა-ყაჟ „თევზივით“, გულუ-ყაჟ „ცხენივით“...

-**გ**ა შაიტლურ კილოკავში თვისების მეტობით გამორჩეულ, ნაადიექტივარ ზედსართავებს აწარმოებს: ეჩუ-გა „მაღალ-მაღალი“, წუდუ-გა „უფრო წითელი“.

-**ჟ** აწარმოებს ნასუბსტანტივარ მიმართებით ზედსართავებს: ასო-ჟ „ღრუბლიანი“ (ას „ცა“, „ღრუბელი“), როკი-ჟ „ცივი“ (როკი „სიცივე“) და მისთ.

-**ილ**•<sup>28</sup> კლას-კატეგორიის მიხედვით ცვალებადი სუფიქსი აწარმოებს ნასუბსტანტივარ ზედსართავებსა და გამოიყენება ვითარებით ზედსართავთა ნიშან-თვისებების შემცირებით გამოსახატავად: კიკი-ბილ•ე „ლეგა“ (ზედმიწ. „რწყილისფერი“, შდრ. კიკი „რწყილი“), უყი-ილ•ე „ჰაეისფერი“ (უყი „ჰაეი“), სასიჟ-რილ•ე „მომუქო“ (სასიჟ „მუქი“), უქრუს-რილ•ე „ოქროსფერი“ (უქრუ „ოქრო“).

-**ლუ** სუფიქსი დაერთვის ზრდასრულ ცხოველთა სახელების ფუძეებს და აწარმოებს სქესის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს: ცის-ლუ „მამალი ხბო“ (ცის „ხარი“), ზიღ-ლუ „დედალი ხბო“ (ზიღ „ძროხა“).

-**ხ** აწარმოებს მიმართებით ზედსართავებსა და გამოყოფით-გამოცალკევებით სახელებს: უქრუ-ხ „ოქროსი, ოქროსფერი“ (უქრუ „ოქრო“), ენიჟ-ხ „დედისეული“ (ენიჟ „დედა“), ბეჟუ-ხ „მზიანი“ (ბეჟ

<sup>27</sup> ა. აბდულაევი -ლი ფორმანტს ხუნძურ ნასესხობად მიიჩნევს [1981, 9].

<sup>28</sup> ეს სუფიქსი ზმნურია, შდრ. მ-, ე-, ბ-, რ-ილ-ა „მსგავსება“.

„მზე“), ნიგა-ს „ის, რომელიც ცისფერია“ (ნიგა „ცისფერი“) და სხვ. მრ.

-სი არსებითი სახელების ლოკატიური ბრუნვის ფორმებისაგან მიმართებით ზედსართავეებს აწარმოებს: გულუტო-სი „ცხენოსანი“ (გულუტო „ცხენზე“), ენტო-სი „აქაური“ (ენტო „აქ“), ეტო-სი „შარშანდელი“ (ეტო „შარშან“), ქეცხო-სი „მძინარე“ (ქეცხო „სძინავს“), ნეხხო-სი „მომავალი“ (ნეხხო „მოდის“), ღუთყუ-სი „საშინაო“ (ღუთყუ „სახლი“) და მისთ.

-ხუ სუფიქსი აწარმოებს მიმართებით ზედსართავეებს, რომლებიც რაიმეს შემცველობას მიუთითებენ: ციფო-ხუ „მარილიანი“ (ციფო „მარილი“), ღი-ხუ „წყლიანი“ (ღი „წყალი“), ოსი-ხუ „ფულიანი“ (ოს „ფული“) და ა. შ.

-შაფუ || -შაფ || -შაფუ: გულუ-შაფუ „ცხენიანი“ (გულუ „ცხენი“), რეტა-შაფუ „ხელიანი“ (რეტა „ხელი“), ფოსუ-შაფ „საქონლიანი“ (ფოსუ „საქონელი“), ბეც-შაფუ „მზიანი“ (ბეც „მზე“).

-თაფუ || -თაფ || -თაფუ რაიმეს უქონლობას გამოხატავს: მიცხი-რიფო-თაფუ „უფულო“ (მიცხირ „ფული“), ღუთყუ-თაფუ „უსახლო“ (ღუთყუ „სახლი“), ღანა-თაფ „უცოლო“ (ღანა „ქალი“, „ცოლი“) და სხვ.

-და სუფიქსით იწარმოება ცხოველთა ასაკის აღმნიშვნელი სახელები: უნ-და „ოთხი წლისა“, ღენ-და „ხუთი წლისა“...

-უ || -უ-ლა ამ სუფიქსსაც მიახლოებით იგივე ფუნქცია აქვს: ყუნ-უ || ყუნ-უ-ლა „ორწლიანი (ცხოველი)“.

5.2.2. **კომპოზიტური სიტყვაწარმოება.** დიდოურ ენაში ფართოდ არის გავრცელებული კომპოზიტური სიტყვაწარმოება: ა) ძირითადად გვხვდება **ორკომპონენტანი შეერთებითი კომპოზიტები** (*composita copulativa*). კომპოზიტთა დიდი ნაწილი ორი სრულუფლებიანი არსებითი სახელის შეერთებით მიიღება, მაგალითად: ენი-ბაბიჟუ „ღელ-ჰამა“, მუყი-ყური ჰქვემაგები“, „ლოგინი“ (ზედმიწ. „ლეიბი-სკამი“), ღანა-ხედიჟუ „ცოლ-ქმარი“ (ღანა „ქალი“, ხედიჟუ „ქმარი“), გედ-ღელჟუ „ტანსაცმელი“ (ზედმიწ. „პერანგი-შარვალი“); ჯამო-როკუ „გულ-ჰკერდი“ (ზედმიწ. „მკერდ-გული“), წერუ-წო „მშვილდ-ისარი“ (ზედმიწ. „ისარ-მშვილდი“), ბუცი-ბუჯუ „მზე-მთვარე“ (ზედმიწ. „მთვარე-მზე“), ნაჰურ-ჩალ „მუხათსოფელი“ (ზედმიწ. „მუხას-სოფელი“), წი-ქუა-წი „ცეცხლი, ხანძარი“ (ზედმიწ. „ცეცხლი-კვარი-ცეცხლი“).

მოგვეპოვება ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა ერთი ან ორივე კომპონენტის მნიშვნელობა გაურკვეველია, მაგ.: კეტუ-მეტუ „კატა-?“, რაჰი-ჰუჰი „დასაყოლებელი“ (ზედმიწ. „?-?“), ქალათ-მალათ (ზედმიწ. „ქალალ-მალალდი“), ნუზი-ნეზი „ჩივილი“ (ზედმიწ. „?-?“), ლოდუ-ტოხუ

„ნაფოტი“ (ზედმიწ. „ნაფოტი-?“), ცაც-მაც „კარი და მისთ.“ (ზედმიწ. „კარი-?“).

ბ) განსაზღვრებითი კომპოზიციები (composita determinantiva).  
არსებითი სახელი მსაზღვრელად: კეტუს ხეზო „წუტი“ (კეტუ „კატა“, ხეზო „ნაწიერი“), ასოს აშუნი „ცისარტყელა“ (ასოს „ცის“, აშუნი „ჭამარი“).

ზედსართავი მსაზღვრელად: ჯაბანი აღი „პილყვაეი“ (ჯაბანი „შავი“, აღი „ჩიტი“), ძეფნი ენიჲ „ბებია“ (ძეფნი „მოხუცი“, ენიჲ „დედა“), ნუცოტოხის ტუტ „ფუტკარი“ (ნუცოტოხის „თაფლის“, ტუტ „ბუზი“), ალუკანი მე „თეთარკა“ (ალუკანი „თეთრი“, მე „არყი“), შუბოლსი ლით „ხელა“ (შუბოლსი „ბალახსქვეშა“, ლით „ბზიკი“) და მრ. მისთ.

ზოგჯერ კომპოზიტის მეორე კომპონენტად გვევლინება მიმართებითი ზედსართავი: პუპ-რეტოჯოსი „პირსახოცი“ (ზედმიწ. პუპ „სახე“ რეტოჯოსი „ხელიანი“, ნოლუ-ქექა „ნაცარქექია“ (ნოლუ „ნაცარი“, ქექა ქართ. „ქექია“?).

კომპოზიტთა განსაკუთრებულ ტიპს ქმნის ხმაბაძვით კომპლექსთა გამეორება, რომლებშიც ხშირია ფუძისეული ხმოვნის შენაცვლება: ფუხი-ფახი „თოფის ქექა-ქუხილი“, ქივ-ქივ „ჩიტთა ვალობა“ და მისთ.

ყურადღებას იქცევს კომპოზიტები, რომელთა პირველ კომპონენტად (ზან მეორე კომპონენტადაც) რომელიმე ატრიბუტული სახელი გვხვდება: ჯაბა-ალუკა „რუხი“ (ზედმიწ. „შავი-თეთრი“), სიდა-მუქა „ერთფენა“, „ცალფა“ (სიდა < სის „ერთი“ — მუქა „მრე“), რიგუ-რიგუ „უკეთესი“ (ზედმიწ. „კარგი-კარგი“), წუდა-მუდა „მოწითალო“ (ზედმიწ. „წითელ-მითელი“), ეუქა-იგუ „დამაკმაყოფილებელი“ (ზედმიწ. ეუქა „ცული“, იგუ „კარგი“) და მრ. სხვ.

5.2.3. ანალიზური სიტყვაწარმოება. დიდოურ ენაში მთელი წყება სახელებისა აღწერითად იწარმოება: გულუჩი ესიჲ „ძმა“ (ზედმიწ. გულუჩი „მამალი“, ესიჲ „ძმა“, „და“), ობიფუს ესიჲ „ბიძა“ (ობიფუს „მამის“, ესიჲ „ძმა“), ციჯს გენი „ბანტა“ (ციჯს „ტყის“, გენი „მსხალი“) და მისთ.

დანიშნულების სახელებიც მეტწილად აღწერითად იწარმოება: ეუქ ბოდიხოსი „მექუდე“ (ზედმიწ. „ქუდის მკეთებელი“), მოჩი ბოსაფოსი „მიწათმზომელი“ (მოჩი „მიწა“, ბოსაფოსი „მზომელი“) და სხვ.

5.2.4. ზოგი თავისებურება სიტყვაწარმოებაში. დიდოურ ენაში დასტურდება ერთი წყება სახელებისა, რომლებიც სახელთა საწარ-

მობლად კომპოზიციასთან ერთად სუფიქსაციასაც იყენებენ. საილუსტრაციო მაგალითები: ეელი-ქუდ ზედმიწ. „ღობე-კალათა“ — ეელი-ქუდ-ქუ „კალათის მკეთებელი კაცი“, ჯემა-ლუდი „წვიმა“ (ზედმიწ. „წვიმა-დღე“) — ჯემა-ლუდ-შაჟ „წვიმიანი“, ლუდე-ზიზგო „ხვალ-ზეგ“ — ლუდე-ზიზგო-სი „ხვალ-ზეგინდელი“ და მისთ.

გარდა ამისა, ზოგი ზედსართავი სახელი თავისებურებას ამჟღავნებს — ფორმის გამარტივებით ახალ ლექსიკურ ერთეულს — ზმნიზედას ვიღებთ, მაგ.: ეუქა „ცუდი“ — ეუქ „ცუდად“, რიგუ „კარგი“ — რიგ „კარგად“, რიგუ-ეუქა „დამაკმაყოფილებელი“ (ზედმიწ. „კარგი — ცუდი“) — რიგ-ეუქ „დამაკმაყოფილებლად“ [აბდულაევი 1979, 131].

5.3. ზედსართავი სახელი. ზედსართავი, როგორც ატრიბუტული სახელი, ჩვეულებრივ არსებითი სახელის მსაზღვრელად არის გამოყენებული. თუ ზედსართავს მოეპოვება გრამატიკული კლასი (ასეთები ცოტაა), რომელიც მარტოდენ პრეფიქსად ერთვის, მიუთითებს საზღვრულის კლასზე. გასუბსტანტივებულ ზედსართავში კლას-კატეგორიის ექსპონენტი მასში ნაგულისხმევი სუბიექტის ან ობიექტის კლასს აღნიშნავს.

5.3.1. ზედსართავის ჭგუფები. დიდოურ ენაში დასტურდება: ა) ვითარებითი, ბ) მიმართებითი და გ) კუთვნილებითი ზედსართავი სახელები.

ვითარებითი (პირველადი) არის ისეთი ზედსართავი სახელი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავს მეტ-ნაკლები ოდენობით.

ა) ვითარებითებში გამოიყოფა: 1) კლასნიშნისანი და 2) უკლასნიშნო ზედსართავები.

1) კლასნიშნისანი ვითარებითი ზედსართავი სახელებია: რ-იგუ<sup>29</sup> „კარგი“, რ-ეე „დიდი“, რ-ელჟე „პატარა“, რ-ეხორა, რ-ეხჟარა (დიალ. ვარ.) „გრძელი“, რ-ეჩიჟ „სქელი“, რ-ოჟიჟ „ცივი“, რ-იხიჟ „მსხვილი“, „დიდი“, რ-ელაჟ „მაგარი“.

2) გაცილებით მეტია უკლასნიშნო ვითარებითი ზედსართავები: ერრუ „მობუცი“, ალუკა „თეთრი“, ჯაბა || ჟაბა „შავი“, ეწნო „ახალი“, წუდა „წითელი“, სიგიჟ „მრუდი“, იჟიჟ „ყვითელი“, ბობორუ „ცხელი“, თათანუ „თბილი“, ქჟოქჟორუ „რბილი“, დოდორუ || ნიშიკა „წვრილი“, „თხელი“, ციბარუ „ძველი“, წოყიჟ „მახვილი“, სასიჟ „ბნელი“, ატიჟ „სველი“. კოტონო „მოკლე“, ქიქაჟ „მსუბუქი“, როყაჟ „მძიმე“.

<sup>29</sup> კლასნიშნისანი ზედსართავები IV კლასის ნიშნით მოგვეყავს.

ლუილუიკა „მღვრიე“, ბიქინაჲ „ზარმაცი“, ნიჲუ „გემრიელი“.

ხუნძურდიდან ნასესხები ზედსართავეები: ბერცინაჲ „ლამაზი“, ფი-  
ჰაჲჲ „აღვილი“, შაქაჲ „საჲეკო“, სალაჲ „ჯანმრთელი“...

მიმართებითია ზედსართავი სახელი, რომელიც ამა თუ იმ საგნის  
ნიშანს გამოხატავს სხვა საგანთან შედარებით.

ბ) მიმართებითი ზედსართავი სახელები იწარმოება სხვადასხვა  
(-ჲ, -ილ'ე, -ლუ, -ნი, -ხ, -ხი, -ხუ) სუფიქსების დართვით,<sup>30</sup> მაგალი-  
თად: ბაბიჲუს-ნი „მამისეული რომელიცაა“, გულუტო-სი „ცხენოსანი“,  
ცადარა-ჲუ „ვარსკვლავიანი“, ისი-ხუ „ფულიანი“, მაგალუ-შაჲჲ „პური-  
ანი“, მიცხირიჲო-თაჲჲ „უფულო“ (ზედმიწ. „უვერცხლო“) და მრ. სხვ.

გ) კუთვნილებითი ზედსართავის გამოსახატავად გამოიყენება ნა-  
თესაობითი ბრუნვის ფორმა, მაგ.: უქრუ-ს „ოქროიანი“, ბეჲჲ-ს „მზიუ-  
რი“ და მისთ.

5.3.2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვა  
ზედსართავეებში. ზედსართავი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას  
გრამატიკულად გამოხატავს — ზედსართავის შვა ფორმაზე -ნი სუფიქ-  
სის დართვით განსაზღვრულობას აწარმოებს, მაგ.: რ-ჲე-ნი „სახელ-  
დობრი ის, რომელიც დიღია“, ალუჲა-ნი „სახელდობრი ის, რომელიც  
თეთრია“, ბერცინაჲ-ნი „სახელდობრი ის, რომელიც ლამაზია“ და სხვ.

ზოგჯერ -ნი ერთვის -ხი სუფიქსიან ზედსართავეებსაც: რიგუ-სი  
„ჲარგი“ — რიგუსი-ნი „სახელდობრი ის, რომელიც კარგია“...

ხუნძური ენიდან შეთვისებული ზოგი ზედსართავი სახელი განსა-  
ზღვრულობის -ნი ფორმანტს -ჲ სუფიქსის შემცველ მზამზარეულ  
ფორმაზე დაირთავს: ბეჲედაჲ „მდიდარი“ — ბეჲედაჲ-ნი „მდიდარი რო-  
მელიცაა“, ბერცინაჲ „ლამაზი“ — ბერცინაჲ-ნი „ლამაზი რომელიცაა“,  
ბესტალაჲ „ობოლი“ — ბესტალაჲ-ნი „ობოლი რომელიცაა“ და ა. შ.

5.3.3. ზედსართავი სახელების ბრუნება. ბრუნების მიხედვით,  
ზედსართავი სახელები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) პირველ ჯგუფს  
ქმნის ვითარებითი ზედსართავეები და ზოგი მიმართებითი ზედ-  
სართავი სახელი, რომლებიც განარჩევენ განსაზღვრულობა-განუსა-  
ზღვრელობას; 2) მეორე ჯგუფში ერთიანდება -ხი სუფიქსიანი (-სი სუ-  
ფიქსის თაობაზე იხ. ზვიადაური 1995, 171-177) და კუთვნილებითი ზედ-  
სართავი სახელები, რომლებიც განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის  
გამოხატვას მოკლებული არიან.

<sup>30</sup> ზედსართავეების წარმოების შესახებ იხ. 5.2.1; 78-79.



1) ვითარებითი და მასთან გათანაბრებული ზოგი მიმართებითი ზედსართავების ბრუნებისას ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებები: ა) საზღვრულად გამოყენებული ზედსართავი (განსაზღვრულიცა და განუსაზღვრელიც) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება. წყობა ჩვეულებრივ პრეპოზიციურია და მსაზღვრელი-ზედსართავი საზღვრულს უთანხმდება კლასსა (თუ მოეპოვება) და რიცხვში. მრ. რ.-ში ზედსართავის სადა ფორმას აუსლაუტში ერთვის -ტა ნაწილაკი, რომელიც მრავლობითობას (განსაკუთრებით უკლასნიშნობებში) გამოხატავს. საილუსტრაციო პარადიგმები:

### მხოლოებითი რიცხვი

	განუსაზღვრელი		განსაზღვრული	
საბ.	წულა გულუ	„წითელი ცხენი“	წულა-ნი გულუ	„წითელი ცხენი რომელიცაა“
ერგ.	წულა გულ-ნ		წულა-ნი გულ-ნ	
მიც.	წულა გულუ-რ		წულა-ნი გულუ-რ	
ნათ.	წულა გულუ-ს		წულა-ნი გულუ-ს	
ინსტრ.	წულა გულუ-დ		წულა-ნი გულუ-დ	

### მრავლობითი რიცხვი

	განუსაზღვრელი		განსაზღვრული	
საბ.	წულა-ტა გულუ-ბი	„წითელი ცხენები“	წულა-ტა-ნი გულუ-ბი	„წითელი ცხენები რომელიცაა“
ერგ.	წულა-ტა გულუ-ბან		წულა-ტა-ნი გულუ-ბან	
მიც.	წულა-ტა გულუ-ბარ		წულა-ტა-ნი გულუ-ბარ	
ნათ.	წულა-ტა გულუ-ბას		წულა-ტა-ნი გულუ-ბას	
ინსტრ.	წულა-ტა გულუ-ბად		წულა-ტა-ნი გულუ-ბად	

გასუბსტანტივეებული განსაზღვრული ზედსართავი სახელი იბრუნვის მარტივად — -ნი ნაწილაკიანი ზედსართავის მზა ფორმას უშუალოდ ერთვის სათანადო ფორმანტები, მაგ.:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	წუღა-ნი	.წითელი რომელიცაა"	წუღა-ტა-ნი	.წითლები რომლებიცაა"
ერგ.	წუღა-ნ-ს		წუღა-ტა-ნ-ს	
მიც.	წუღა-ნი-რ		წუღა-ტა-ნი-რ	
ნათ.	წუღა-ნი-ს		წუღა-ტა-ნი-ს	
ინსტრ.	წუღა-ნი-ღ		წუღა-ტა-ნი-ღ	

გასუბსტანტივებული (ცალკე მდგომი) განუსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავი ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში დაირთავს -წი (I კლასის სახელებთან) და -წა (II, III, IV კლასის სახელებთან) სუფიქსებს. მასთან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, -სი დაერთვის თუ არა, მაგ., „პარგი“ ზედსართავი იბრუნვის ასე:

	მხ. რ.		მრ. რ.	
	I კლ.	IV კლ.	I კლ.	IV კლ.
სახ.	ბ-იგუ  ბ-იგუ-სი	რ-იგუ    რ-იგუ-სი	ბ-იგუ-ბი	რ-იგუ-ბი
ერგ.	ბ-იგ-ზ-ს	რ-იგ-ზ-ს	ბ-იგ-ზ-ს	რ-იგ-ზ-ს
მიც.	ბ-იგ-ზ-რ-რ	რ-იგ-ზ-რ-რ	ბ-იგ-ზ-რ-რ	რ-იგ-ზ-რ-რ
ნათ.	ბ-იგ-ზ-რ-ს	რ-იგ-ზ-რ-ს	ბ-იგ-ზ-რ-ს	რ-იგ-ზ-რ-ს
ინსტრ.	—	რ-იგ-ზ-რ-ღ	—	რ-იგ-ზ-რ-ღ

2) დაახლოებით ანალოგიურად იბრუნვის კუთვნილებითი (resp. ნანათესაობითარი) და -სი სუფიქსიანი ზედსართავი სახელები, რომელთა პარადიგმაშიც ერგატივიდან მოკიდებული საბრუნებელ ფუძეში -წო სუფიქსი იჩენს თავს, მაგალითად:

სახ.	ხანეს	.მეფისა"	ლუღე-ზიზღ-სი	.ხვალინდელ-ზეგინდელი"
ერგ.	ხან-ზ-ს		ლუღე-ზიზღ-ზ-ს	
მიც.	ხან-ზ-რ-რ		ლუღე-ზიზღ-რ-რ-რ	
ნათ.	ხან-ზ-რ-ს		ლუღე-ზიზღ-რ-რ-ს	
ინსტრ.	—		ლუღე-ზიზღ-რ-რ-ღ	

5.3.4. **ხარისხების გამოხატვა.** ლიდოურ ენაში ხარისხებს მორფოლოგიური კატეგორია არ მოეპოვება და მის საკომპენსაციოდ სხვადასხვა საშუალება გამოიყენება.

უფროებითი ხარისხის გამოსახატავად შესაძარებელი სახელი დგას პირველი სერიის დაშორებით (ელატიურ) ბრუნვაში: ესანაწატაჲ ეო ფელვე ფოლ' „ღებიდან ის ყველაზე პატარაა“, ხანწატაჲ წიკარაუ ლუთკუ როხოლ' „დაე, სახლი უფრო დიდი იყოს, ვიდრე მეფეებისა!“

რომელიმე ნიშან-თვისების მეტი ინტენსივობით წარმოსაჩენად გამოიყენება ხუნძურიდან ნასესხები ვითარების ზმნისართი წაყ „ძალიან“, მაგ.: წაყ უუქა უუკუ დოლ' „ძალიან ავი კაცია“.

ხშირად გამოიყენება გავრმაგებაც: რიგუ-რიგუ „ძალიან კარგი“, წუდა-წუდა „ძალიან წითელი“ და მისთ.

ნიშან-თვისების კნინობითად გამოხატვა -იჟ სუფიქსს აკისრია, მაგ.: ნიგ-იჟ „მოლურჯო“ (ნიგა „ლურჯი“), წუდ-იჟ „მოწითალო“ (წუდა „წითელი“) და ა. შ. დაახლოებით ანალოგიური ფუნქცია აქვს -ხუ სუფიქსს: ჯაბა-ხუ „მოშავო“, წუდა-ხუ „მოწითალო“, ალუკა-ხუ „მოთეთრო“...

ოდნობითობა ხუნძურიდან შეთვისებული დაჰაჟ („ცოტა“) ზმნისართითაც გადმოიცემა: ჟაჟულ' დაჰაჟ ჯემა რეგირნო „დღეს ცოტა იწვიმა (ზედმიწ. „წვიმა გამოუშვა“)“.

დიდოურ ენაში ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს და წინ უძღვის საზღვრულს. მისი სინტაქსური სახე ამ უკანასკნელთან არის შეთანხმება გრამატიკული კლასისა (თუ კლასის ექსპონენტია) და რიცხვის მიხედვით.

5.4. რიცხვითი სახელი. დიდოურ ენაში დასტურდება რაოდენობითი, რიგობითი, ჯერადობითი, კრებითი და დაყოფითი რიცხვითი სახელები.

5.4.1. რიცხვითი სახელების წარმოება. ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელები იწარმოება სათანადო რიცხვითი სახელის ფუძეზე (სის „ერთი“ რიცხვითის გამოკლებით) -ნო სუფიქსის დართვით:

- |  |                      |
|--|----------------------|
| 1. სის                                 | 11. ოწინო სის        |
| 2. ყ'ანო, ყ'ენო    ყ'ანო <sup>31</sup> | 12. ოწინო ყ'ანო      |
| 3. ლ'მო-ნო    ლ'ო-ნო                   | 20. ჯუ               |
| 4. უმ-ნო    უყ'ყ'უენ                   | 21. ჯუნო სის         |
| 5. ლ'ენო                               | 30. ჯუნო ოწინო       |
| 6. ილ'-ნო    ილ'ენ                     | 40. ყ'ანო ჯუ         |
| 7. ცოლ'-ნო    ოლ'ენ                    | 50. ყ'ანო ჯუნო ოწინო |
| 8. ბილ'-ნო    ბილ'ენ                   | 60. ლ'ონო ჯუ         |
| 9. ოკი-ნო    ოკიქენ                    | 70. უანო ჯუ          |
| 10. ოწი-ნო    ოწიწენ                   | 100. ბიშონ           |
|  | 1000. ეაზარ.         |

<sup>31</sup> მარჯვნივ წარმოდგენილი პარალელური ფორმები საჰადური დიალექტის კუთვნილებათ.

საპადურ დიალექტსა და ასახურ თქმაში უფრო გავრცელებულია ისეთი რთული რიცხვითი სახელები, რომლებშიც, ზემოწარმოდგენილი წარმოების საპირისპიროდ, ჯერ ერთეულის აღმნიშვნელი დგას, შემდეგ კი — ათეულისა (იმნაიშვილი 1958, 282); მაგ.: 11. სი-მ-ოწი, 12. ყა-მ-ოწი, 13. ლ'ო-მ-ოწი... ასე იწარმოება ცხრამეტის ჩათვლით და ისინი უმეტესწილად სწრაფი თვლისას გამოიყენება.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, დიდოურ ენაში თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითა (თერთმეტიდან ცხრამეტამდე), ნაწილობრივ ოცობითი (დანარჩენ რიცხვით სახელებში). ივ. ჯავახიშვილი დიდოური ენის რიცხვითის სახელების თვლის სისტემას ათობით-ოცობით სისტემას უწოდებს [ჯავახიშვილი 1937, 350 შდრ. ქართ. შანიძე 1980, 40].

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფორმაზე ნამყოს II მიმდროების ფორმის (წლი-რუ II ელი-რუ „თქმული“) დართვით [შეგარელიძე 1955, 218], მაგალითად: სის-ელირუ „პირველი“, ყანო-ელირუ „მეორე“, ლ'ონო-ელირუ „მესამე“...

რთულ რიცხვით სახელებში ათეულის ანდა ოცეულის სრული ფორმის შემდეგ დგას რიგობითი რიცხვითი სახელი: ოწინო სისელირუ „მეთერთმეტე“... ჯუნო სისელირუ „ოცდამეერთე“...

გ) ჯერადობის გამომხატველი რიცხვითი სახელები იწარმოება „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეზე -ზ სუფიქსის დართვით, მაგ.: სიდა-ზ „ერთხელ“, ყუნა-ზ „ორჯერ“, ლ'ორა-ზ „სამჯერ“, უდრა-ზ „ოთხჯერ“ და ა. შ.

1-დან 3-მდე (და ზოგჯერ სხვაგანაც) ჯერადობის გამოსახატავად დასტურდება პარალელური ფორმები, რომლებსაც რიგობითი ჯერადობა უფრო შეეფერება, მაგ.: სოს-სი „პირველად“, კო-ზ „მეორედ“, ლ'ო-ზ „მესამედ“.

დასტურდება აღწერითი ფორმებიც: კოხ ელა „მეორედ“ (ზედმიწ. „მეორედ თქმა“), ლ'ოხ ელა „მესამედ“ (ზედმიწ. „მესამედ თქმა“). გარდა ამისა, ჯერადობა შეიძლება გამოიხატოს მეტრი („ნაწილი“) ანდა ჰუნი-ზ (ჰუნი „ჯზა“) „ჯზასთან“ სიტყვების დართვით მეორე საბრუნვებელ ფუძეზე: სიდა მეტრი „ერთჯის“, ლ'ორა მეტრი „სამჯის“..., სიდა ჰუნი-ზ „ერთჯის“, ლ'ორა ჰუნი-ზ „სამჯის“...

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მარტივფუძიანი ჯერობითი რიცხვითები სემანტიკურად დიდად არ განსხვავდებიან რთულფუძიანი (ლ'ორა-ზ „სამჯერ“) რიცხვითი სახელებისაგან, თუმცა ისინი უფრო ხშირად გამოიყენებიან გაბმულ მეტყველებაში.

დ) კრებითობის გამოსახატავად გამოყენებულია -ნ სუფიქსი, რომელიც რიცხვითი სახელის სრულ ფორმას ერთვის, მაგ.: ყანო-ნ

„ორივე“, ლ'ონო-ნ „სამივე“, უდნო-ნ „ოთხივე“ და მისთ.

ე) დაყოფითი რიცხვითი სახელები იწარმოება სათანადო რიცხვითის მზამზარეული ფორმისაგან -ტა სუფიქსის მეშვეობით: სის-ტა „თითო-თითო“, ყ'ანო-ტა „ორ-ორი“, ლ'ონო-ტა „სამ-სამი“ და სხვ.

დაყოფითობის გადმოსაცემად გამოყენებულია შესაბამისი რიცხვითების რედუბლიკაციაც. მასთან, პირველი კომპონენტის ბოლოკიდურ ხმოვანს აპოკოპე მოსდის, ხოლო რთულ რიცხვითებში ოდენ ბოლო ერთეულის აღმნიშვნელი წევრი მეორდება, მაგ.: ყ'ან-ყ'ანო „ორ-ორი“, ოწინო ლ'ენ-ლ'ენო „თხუთმეტ-თხუთმეტი“ და მისთ.

5.4.2. რიცხვითი სახელების ბრუნება. მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელების ბრუნებისას არსებითი მნიშვნელობისაა ერგატივსა და ირიბ ბრუნებებში გრამატიკული კლასის მიხედვით დიფერენციაცია — აქ -ონ > -ნ პროცესი არ შეიმჩნევა (გარდა „ორისა“). მასთან, პირველ კლასში, რომელსაც -რე, -რი ფუძის ფორმანტიანი ბრუნება აქვს, მამაკაცი (და მასთან გათანაბრებული არსებანი) ერთიანდება, მეორე კლასში კი, რომელსაც -რა ფუძის ფორმანტიანი ბრუნება მოეპოვება, შედის ყველა დანარჩენი კლასების სახელები. მაშასადამე, კლასთა გარჩევა ხდება არა გრამატიკული კლასის ექსპონენტებით, არამედ ხმოვანთა სუბსტიტუციით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები მთლიანად ორფუძიანი ბრუნების პრინციპს ემყარება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ საბრუნებელი სახელის ფუძეს რა სახის ცვლილებები მოუდის ირიბ ბრუნებებში, რიცხვით სახელთა ბრუნებაში პირობითად შეიძლება ოთხი ტიპი გამოვყოთ:

I ტიპი

II ტიპი

	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	სის <sup>32</sup>	სის „ერთი“	ყ'ან-ნო	ყ'ან-ნო „ორი“
ერგ.	სი-დ-ნ	სი-დ-ნ	ყ'უ-ნ-ნ	ყ'უ-ნ-ნ
მიც.	სი-დ-რ	სი-დ-რ	ყ'უ-ნ-რ	ყ'უ-ნ-რ
ნათ.	სი-დ-ს	სი-დ-ს	ყ'უ-ნ-ს	ყ'უ-ნ-ს

<sup>32</sup> სის („ერთი“) რედუბლიკირებული ჩანს (\*სი-სი), ირიბ ბრუნებებში მარტოოდენ პირველი კომპონენტი იცვლება [გუდავა 1980, 203].

### III ტიპი

	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ილ'-ნო	ილ'-ნო „ექვსი“
ერგ.	ილ'ი-რ-ე	ილ'ი-რ-ა
მიც.	ილ'ი-რ-რ	ილ'ი-რ-ა-რ
ნათ.	ილ'ი-რ-რ-ს	ილ'ი-რ-ა-ს

ანალოგიურად იბრუნვის: ცოლ'-ნო „შვიდი“, ბილ'-ნო „რვა“.

### IV ტიპი

	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ლ'ე-ნო	ლ'ე-ნო „ხუთი“
ერგ.	ლ'ე-რ-ე	ლ'ე-რ-ა
მიც.	ლ'ე-რ-რ	ლ'ე-რ-ა-რ
ნათ.	ლ'ე-რ-რ-ს	ლ'ე-რ-ა-ს

ამგვარად იბრუნვის: ლ'შო-ნო „სამი“, უფ-ნო „ოთხი“, ოკი-ნო „ცხრა“, ოწი-ნო „ათი“, ჯუ (ჯუ-ნო) „ოცი“, ბიშონ „ასი“. აგრეთვე: ექ-შოწი || ექოწი „ცხრამეტი“.

არსებითთან ერთად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები საბრუნებელი ფუძის სახით გვხვდება, ბრუნვის ნიშნებს კი სათანადო საზღვრული დაირთავს. მასთან, „ერთისა“ და „ორის“ გამომხატველი რიცხვითები I კლასში ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ (I კლ. სიდ „ერთი“, ყ'უნ „ორი“), დანარჩენ კლასებში სრულად არიან წარმოდგენილი: სიდა „ერთი“, ყ'უნა „ორი“. სხვა რიცხვითებისათვის ერგატისა და ირიბ ბრუნვებში I კლასისთვის ნიშანდობლივია -რე, -რთ (>-რ) ელემენტების გამოვლენა, დანარჩენი კლასებისათვის კი — -რა [იმნაიშვილი 1963, 89].

რთული აგებულების რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ბრუნვათა მიხედვით, ერთეულების აღმნიშვნელ მეორე შემადგენელ ნაწილს იკვლიან, პირველი ნაწილი (ათეულებისა და ოცეულების გამომხატველი) კი II გრამატიკული კლასის ფუძის სახით გვხვდება:

	I კლ.	II კლ.	
სახ.	ჯუნო სის	ჯუნო სის	„ოცდაერთი“
ერგ.	ჯურა სი-დ-წ	ჯურა სი-დ-წ	
მიც.	ჯურა სი-დ-რ	ჯურა სი-დ-რ	
ნათ.	ჯურა სი-დ-ს	ჯურა სი-დ-ს	

რაც შეეხება სიძოწი „თერთმეტი“ (19-მდე) ტიპის რიცხვითებს, ისინი დამოუკიდებლად, IV ტიპის (ოწი-ნო „ათი“) ანალოგიურად იბრუნვიან. არსებითთან ერთად (მსაზღვრელის ფუნქციით) გამოყენებისას ორივე კომპონენტი წარმოდგენილია იმ ფორმით, რაც მათ ატრიბუტულ სინტაგმაში ცალ-ცალკე მოეპოვებათ, სახელდობრ: ოწირი სიდ ეგვან „თერთმეტმა კაცმა“, ოწირი სიდა ღანაზან „თერთმეტმა ქალმა“...

**5.5. ნაცვალსახელი.** დიდოური ენა გამოირჩევა ნაცვალსახელების სიმრავლით. გამოიყოფა ნაცვალსახელთა შემდეგი ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, უკუქცევითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, ურთიერთობითი და უარყოფითი.

**5.5.1. პირის ნაცვალსახელები.** დასტურდება პირის შემდეგი ნაცვალსახელები: დი „მე“, მი „შენ“, ელი „ჩვენ“, მეჟი „თქვენ“, ეო, ეა, ეე (დიალ. ვარ.) „ის“, ეელი, ეელური (დიალ. ვარ.) „ისინი“. I და II პირის ნაცვალსახელები მარტივი ფორმით არიან წარმოდგენილი, ხოლო III პირის ნაცვალსახელთაგან საშადური დიალექტი მრავლობით რიცხვში -ურ- ელემენტს (საშ. **ეედ-ურ-ი**, შდრ. ქიდ.-ასახ. **ეედი** „ისინი“) ჩაურთავს. თავის მხრივ, ეელი ფორმაც ნაწარმოები ჩანს: ეე + დი (ეე „ის“, დი „მე“) ზედმიწ. „ის+მე“. ასეთივე შედგენილობისა უნდა იყოს მე-ჟი ზედმიწ. „შენ+ის“. პირველ შემთხვევაში ექსკლუზიური ფორმის რეინტერპრეტაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, მეორე შემთხვევაში კი — ინკლუზიური ფორმის თავისებურ ნაირსახეობასთან.

I და II პირის ნაცვალსახელები მხ. რიცხვში ბრუნებისას თავისებურებას ამჟღავნებენ — სახელობითსა და ერგატივს არ განარჩევენ, ხოლო ირიბ ბრუნვებში II პირის ნაცვალსახელი ფუძეს მთლიანად იცვლის, I და II პირში კი ნაცვალსახელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არ მოეპოვება. მრავლობით რიცხვში I და II პირის ნაცვალსახელები კლასს განარჩევენ ერგატივსა და „ირიბ ბრუნვებში“ ხმოვნის შენაცვლებით. მოვიყვანთ ბრუნების პარადიგმებს:

შხ. რ.			შრ. რ.			
სახ	ლი „მე“	ში „შენ“	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
ერგ.	ლი	ში	ელი	ელი ჰვენ <sup>33</sup>	მევი	მევი „ოქვენ“
მიც.	ლი-რ	ლებერ <sup>33</sup>	ელ-ა	ელ-ა	მეე-ა	მეე-ა
ნათ	დეი	დები	ელ-ტ-რ	ელ-ა-რ	მეე-ტ-რ	მეე-ა-რ
			ელ-ტ-ს	ელ-ა-ს	მეე-ტ-ს	მეე-ა-ს

ბრუნებისას უფრო მეტ თავისებურებებს III პირის ნაცვალსახელები ავლენენ, კერძოდ, ორივე რიცხვში ხდება გრამატიკული კლასების გარჩევა და მხოლოდით რიცხვში ფუძეთა მონაცვლეობა. საილუსტრაციო პარადიგმები:

	ქილ.-ასახ. დიალ.		შხ. რ.	საპ. დიალ.	
	I კლ.	II, III, IV კლ.		I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ეო	ეო		ეო	ეო „ის“
ერგ.	ნეს-ა	ნელ-ა		ნეს-ე	ნელ-ა
მიც.	ნეს-რ-რ	ნელ-ა-რ		ნეს-რ-რ	ნელ-ა-რ
ნათ.	ნეს-რ-ს	ნელ-ა-ს		ნეს-რ-ს	ნელ-ა-ს

	შრ. რ.			
	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ველი	ველი	ველური	ველური „ისინი“
ერგ.	ველ-ა	ველ-ა	ველ-ე	ველ-ე-ა
მიც.	ველ-ტ-რ	ველ-ა-რ	ველ-ტ-რ	ველ-ე-ა-რ
ნათ.	ველ-ტ-ს	ველ-ა-ს	ველ-ტ-ს	ველ-ე-ა-ს

საგულისხმოა, რომ ნესი და ნელა ნაცვალსახელებში ზოგი მკვლევარი ნე-ჩვენებით ნაწილასა და -სი, -ლა ნაცვალსახელურ ფუძეებს გამოყოფს [იმნაიშვილი 1963, 99], ზოგი კი ნე- ნაწილაკში რელიქტურად შემონახულ III პირის არქაულ ნაცვალსახელს ხედავს [ლომთაძე 1956, 284].

5.5.2. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენებითი ნაცვალსახელები იყოფა სამ ძირითად სახესხვაობად. ამგვარი დაყოფის საფუძველი მისათითებელი საგნის ადგილმდებარეობა და მოსაუბრესთან მიმართებაა.

<sup>33</sup> თქმების მიხედვით ფუძისეული ხმოვანი იცვლება: დ-რ (ქილ.), დ-რ (შაიტლ.), დ-რ (ასახ.).



გარდა ამისა, დასტურდება დიალექტური თავისებურებანიც.<sup>34</sup>

ა) პირველ ჯგუფში შემავალი ჩვენებითი ნაცვალსახელები, დიალექტებისა და თქმების მიხედვით, კრულ სურათს გვიჩვენებენ: საშადურ დიალექტისა და ზოგი აულის [ზენიდა, ხებათლი...] მეტყველებაში მხ. რ.-ის **მოღუ, მეღუ, ეღუ** ფუძეები უცვლელია: საშ. **მოღუ** ეყუ „ეს კაცი“, შდრ. **მოღუ** ღანა „ეს ქალი“. სხვა აულთა მეტყველებაში საანალიზო ნაცვალსახელები კლასების მიხედვით დიფერენცირდება: **მეღა, მაღა** (I კლ.), **მოღუ, მეღუ** (II, III, IV კლ.) „ეს“. მრავლობით რიცხვში, სახელობითის მიხედვით, კლასები არ გაირჩევა: **მოზირი** || **მოზირა-ბი** „ესენი“. სხვაობა ერგატივსა და ირიბ ბრუნვათა ფუძეში დაჩნდება: **მოზი** (I კლ.), **მოზა** (II, III, IV კლ.).

ეს ნაცვალსახელები მოსაუბრესთან ახლომდებარე საგანზე მიუთითებენ და რთული აგებულებისანი არიან: პირველი კომპონენტები (**მე-, მა-, მო-, მი-**) ჩვენებით ნაწილაკებს ეთანაბრება, სხვა კომპონენტები (**-და, -ღუ, -სი, -ღა, -ზი, -ზუ, -ზა**) — საკუთრივ ნაცვალსახეულურ ფუძეებს.

მოვიყვანთ ბრუნების ნიმუშებს:

	მხ. რ.		მრ. რ.	
	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	მაღა	მოღუ „ეს“	მოზი-რი	მოზირა-ბი „ისინი“
ერგ.	მის-ა	მოღ-ა	მოზ-ა	მოზ-ა
მიც.	მის-რ	მოღ-რ	მოზ-რ	მოზ-რ
ნათ.	მის-ს	მოღ-ს	მოზ-ს	მოზ-ს

ბ) ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული ნაცვალსახელები მიუთითებენ ისეთ საგანზე, რომელიც მოსაუბრიდან შორის არის, მაგრამ შედარებით ახლოსა იმ პირთან, რომელსაც მიმართავენ. განირჩევა ორი ქვესახეობა: 1) **ჰოჟ-და** || **ჰობო-და** („ეს“) მიუთითებს ისეთ საგანზე, რომელიც შედარებით უფრო შორს მდებარეობს; 2) **ენ-და, ემ-და, ემ-ღუ, ეჰე-ღუ, ეჰენ-და** (დიალ. ვარ.) „აი, ეს“ მიუთითებს შედარებით ახლოს მდებარე საგანზე.

ზემომოყვანილი ნაცვალსახელები შედგენილობით რთულია: **ენ-** (> **ემ-**) უკვე ცნობილი ჩვენებითი ნაწილაკია, რომელიც პროკლიტიკურად მიერთვის ჩვენებით ნაცვალსახელს (**ჰე-და, ჰე-ღუ, ჰო-და**): **ეჰე-**

<sup>34</sup> ჩვენ აქ ყველა დიალექტისა და თქმის მონაცემებს ვერ დავიმოწმებთ [ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. იმნაიშვილი 1963, 106-116].

და, **იჭედა**, **ეჭენდა** (< **ენჭედა**), **ეჭენდუ** (< **ენჭედუ**). რაც შეეხება უფრო გავრცელებულ **ჰოჭ-და**, **ჰობ-და**, **ჰობო-და**, **ჰობოდ-და** ნაცვალსახელს, როგორც სეგმენტაციიდანაც თვალნათლივ ჩანს, მასაც ანლაუტში ფონეტიკურად განსხვავებული ჩვენებითი ნაწილაკები დაერთვის. ბრუნების ტიპით ეს სახეობა პირველი სახეობისაგან არ განსხვავდება, ამიტომ სათანადო პარადიგმები აღარ მოგვყავს.

გ) ამ ჯგუფში შემავალი ჩვენებითი ნაცვალსახელი **ჰოჭეფე**, **ჰოჭეა**, **ჰობეა**; **ჰემეფე**, **ჰოჭეფო**, **ელეფე** (დიალ. ვარ.) შედგება III პირის **ეფე**, **ეა**, **ეო** („ის“) ნაცვალსახელისა და **ჰოჭ-**, **ჰობ-**, **ჰობო-**, **ჰემ-**, **ელ-**, **ჰემე-**, **ჰემენ-**, **ჰომონ-** მითითებითი ნაწილაკებისაგან, რომელთაგან ზოგი კომპოზიტური აგებულებისაა. იხ. ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა:

ქიდ.-ასახ დიალ.

საპ. დიალ.

მხ. რ.

	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ჰოჭ-ეე	ჰოჭ-ეე აი. ის*	ჰოჭ-ეო	ჰოჭ-ეო აი. ის*
ერგ.	ჰემე-ს-ნ	ჰემე-ლ'-ნ	ჰომონ-ს-ე	ჰომონ-ლ'-ნ
მიც.	ჰემე-ს-რ	ჰემე-ლ'-რ-რ	ჰომონ-ს-რ	ჰომონ-ლ'-რ-რ
ნათ.	ჰემე-ს-რ-ს	ჰემე-ლ'-რ-ს	ჰომონ-ს-რ-ს	ჰომონ-ლ'-რ-ს

მრ. რ.

	I კლ.	II, III, IV კლ.	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	ჰოჭ-ეედი	ჰოჭ-ეედი აი. ისინი*	ჰომონ-ზი-რი	ჰომონ-ზე-რი აი. ისინი*
ერგ.	ჰოჭ-ეედ-ნ	ჰოჭ-ეედ-ნ	ჰომონ-ზ-ე	ჰომონ-ზ-ნ
მიც.	ჰოჭ-ეედ-რ	ჰოჭ-ეედ-რ	ჰომონ-ზ-რ	ჰომონ-ზ-რ
ნათ.	ჰოჭ-ეედ-რ-ს	ჰოჭ-ეედ-რ-ს	ჰომონ-ზ-რ-ს	ჰომონ-ზ-რ-ს

გარდა ზემოხსენებული ნაცვალსახელებისა, დიდოურ ენაში დასტურდება: **ენ-დიჟ**, **ენ-დიჟი** (ქიდ.-ასახ.), **ენ-დო** (საპ.) „ამისთანა“, **ნე-დიჟ**, **ნე-დიჟი** (ქიდ.-ასახ.), **ნე-დო** (საპ.) „ისეთი“, „იმისთანა“. დაახლოებით ამავე სემანტიკით გვხვდება: **ეჭენ-დიჟ**, **ეჭენ-დიჟი** „ამისთანა“, **ჰემე-დიჟ**, **ჰემე-დიჟი** „იმისთანა“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ **ენდიჟ** ტიპის ჩვენებითი ნახვალსახელები, ზედსართავის მსგავსად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას განარჩევენ — განუსაზღვრელი ხედიჟ („ქმარი“) არსებითი სახელის ადეკვატურად იბრუნვის, ხოლო განსაზღვრული (ენდუ-გა-ნი, ენდუ-კა-ნი) — სათანადო განსაზღვრული ზედსართავის მსგავსად.

5.5.3. კითხვითი ნაცვალსახელები. „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელები ფორმობრივად გარჩეული არ არის, ორივესთვის იქნება: შეუ, შოუ, შები, შებ (ლიალ. ვარ.).

განსხვავება თავს იჩენს ბრუნებისას II ფუძის სახით: ლ'უ „ვინ?“, ლ'ინა „რა“ (უფრო ზუსტად ფუძეა ლ'ი-, -ნა სხვა ელემენტია). რაც შეეხება აუსლაუტურ -უ, -ბ ელემენტებს, ისინი ცალკე გამოიყოფა, როგორც კლასის ოდინდელი ექსპონენტები. იხ. ბრუნების პარადიგმები:

	ქიდ.-ასახ. ლიალ.		საპ. ლიალ.
სახ.	შები    შეუ ვინ?	შები    შეუ რა?	შეუ ვინ?    შეუ რა?
ერგ.	ლ'-უ    ლ'-ა	ლ'ინ-ა	ლ'უ            ლ'ინ-ა
მიც.	ლ'ნ-რ    ლ'უ-რ	ლ'ინნ-რ	ლ'უ-რ        ლ'ინნ-რ
ნათ.	ლ'ნ-ს    ლ'უ-ს	ლ'ინნ-ს	ლ'უ-ს        ლ'ინნ-ს

გარდა ამისა, დასტურდება სხვა კითხვითი ნაცვალსახელები: დი-დიუ, დიდიჲ (ქიდ.-ასახ.), ჰედლო (საპ.) „როგორი?“ ნნსი, ნნსი (ლიალ. ვარ.) „სადაური?“, შომო, დიცე (ლიალ. ვარ.), შომო, ჰიცე (საპ.) „რამდენი?“ და სხვ.

ჩამოთვლილ ნაცვალსახელთაგან განსაკუთრებულ თავისებურებას დიდიუ ნაცვალსახელი ამჟღავნებს — განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას გადმოსცემს და ენდიუ („ამისთანა“) ჩვენებითი ნაცვალსახელის მსგავსად იბრუნვის.

ნნსი, ნნსი ნაწარმოებია ნნ-, ნნ- („სად?“) ადგილის ზმნისართისაგან -სი მატრიბუტივებელი ფორმანტის დართვით.

რაც შეეხება შომო, დიცე (ქიდ.-ასახ.), შომო, ჰიცე (საპ.) ნაცვალსახელებს, პირველი (შომო „რამდენი?“) თვლად არსებით სახელებთან გამოიყენება (შდრ. ხუნძ. ჩან), მეორე კი (დიცე, ჰიცე „რამდენი?“, „რამდენად დიდად?“, „რა ოდენობით?“) უთვლელ არსებითებთან იხმარება (შდრ. ხუნძ. ჰიცან). ორივე ნაცვალსახელი ბრუნებისას, სათანადო ფუძეების მიხედვით, კლასს განარჩევს: შომორი (I კლ.), შომორა (II, III, IV კლ.); დიცეზი (I კლ.), დიცეზა (II, III, IV კლ.).

გვხვდება აგრეთვე რთული შედგენილობის დიდ-დიდიუ („როგორები?“ ზედმიწ. „როგორ-როგორი?“) ტიპის ნაცვალსახელები.

5.5.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ძირითადად პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ასრულებს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელის როლში გვევლინება, თუმცა კი დამოუკიდებლადაც იხმარება. უკანასკნელ შემთხვევაში -სი სუფიქსიან მიმართებით ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნების ტაბულა

მხ. რ.

	I პირი	II პირი
სახ.	დემ „ჩემი“	დები „შენი“
ერგ.	დმ-ზ-მ, დმ-ზ-მ	დებ-ზ-მ, დებ-ზ-მ
მიც.	დმ-ზრ-რ, დმ-ზრ-რ	დებ-ზრ-რ, დებ-ზრ-რ
ნათ.	დმ-ზრ-ს, დმ-ზრ-ს	დებ-ზრ-ს, დებ-ზრ-ს

მრ. რ.

	I კლ.	II კლ.	I კლ.	II კლ.
სახ.	ელტ-ს	ელან-ს „ჩვენი“	მეეტ-ს	მეეან-ს „თქვენი“
ერგ.	ელუ-ზ-მ, -მ, -რ	ელა-ზ-მ, -მ, -რ	მეეუ-ზ-მ, -მ, -რ	მეეა-ზ-მ, -მ, -რ
მიც.	ელუ-ზრ-რ	ელა-ზრ-რ	მეეუ-ზრ-რ	მეეა-ზრ-რ
ნათ.	ელუ-ზრ-ს	ელა-ზრ-ს	მეეუ-ზრ-ს	მეეა-ზრ-ს

III პირი

	I კლ.	II კლ.	I კლ.	II კლ.
სახ.	ნესრ-ს	ნელ'ან-ს „მისი“	ველტ-ს	ველან-ს „მათი“
ერგ.	ნესი-ზ-მ, -მ, -რ	ნელ'ა-ზ-მ, -მ, -რ	ველუ-ზ-მ, -მ, -რ	ველან-ზ-მ, -მ, -რ
მიც.	ნესი-ზრ-რ	ნელ'ა-ზრ-რ	ველუ-ზრ-რ	ველან-ზრ-რ,
ნათ.	ნესი-ზრ-ს	ნელ'ა-ზრ-ს	ველუ-ზრ-ს	ველან-ზრ-ს

5.5.5. უკუქცევითი ნაცვალსახელები. უკუქცევით ნაცვალსახელთა საწარმოებლად დიდოური ენა სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს: ა) პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმას ერთვის -თეუ, -თოუ სუფიქსები და აწარმოებს პოლისემანტიკურ ერთეულს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციაც, აგრეთვე, უკუქცევითისაც. ამასთანავე, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში უკუქცევითობა კუთვნილებითი ნაცვალსახელის გაორმაგებით გამოიხატება: პირველი კომპონენტი დგას ერგატივში, მეორე — მიცემითსა ან ნათესაობითში: ნესმ-ნესის (I კლ.), ნელ'ან-ნელ'ანს (II, III, IV კლ.) „თა-

ვისი" (ზედმიწ. „მან“+„მისი“).

ბ) უკუქცევითობა სხვაგვარადაც გამოიხატება: ა) ან ასე: **დედ დი** „თავისი“ (ზედმიწ. „ჩემი მე“), **დები ში** „თავისი“ (ზედმიწ. „შენი შენ“); ბ) ანდა ასე: **დი დითეუ** „მე თავად“, **ში მითოუ** „შენ თავად“. ამგვარი წარმოება I პირის ნაცვალსახელზე -თეუ ნაწილაკის დართვით ჩანს მიღებული, შდრ. დი-თეუ „მე თავად“, ში-თეუ „შენ თავად“...

**დითეუ** ტიპის ნაცვალსახელებში ბრუნებისას პირველი კომპონენტი იცვლება მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში, მაგალითად: სახ. დი-თეუ „მე თავად“, ერგ. დი-თეუ, მიც. დ-რ-თეუ, ნათ. დე-თეუ.

5.5.6. **განსაზღვრებითი ნაცვალსახელები.** განსაზღვრებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით დიდოურ ენაში გამოიყენება **ნასი-ნ, ნოსი-ნ** (მიუგებს კითხვაზე: შოშო „რამდენი?“) „ყველა“ და **წიკიუ, წიკი** (მიუგებს კითხვაზე: დიცე „რამდენი?“, „რა ზომით?“) „მთელი“, „ყველაფერი“.

როგორც ირკვევა, **ნასინ, ნოსინ** ნაწარმოებია შესაბამისი კითხვითი ნაცვალსახელისაგან **ნ** (< **ნა, ნო**) ელემენტის საშუალებით: **ნასი, ნოსი** „სადაური?“ — **ნასინ, ნოსინ** „ყველა“, საპაღურ დიალექტში მიცემითის ფორმითაც შეინიშნება **ნაწო-რ-ენ** „ყველას“.

დასტურდება აგრეთვე ფუძეგარამაგებული **ჟიჟი-ჟიჟი, ჟიბ-ჟიბ** (დიალ. ვარ.) „თითოეული“, „ყოველი“. ეს ნაცვალსახელი არსებითი სახელის ანალოგიურად იბრუნვის: სახ. ჟიჟი-ჟიჟი, ნათ. ჟიჟი-ჟიჟე-ს.

5.5.7. **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.** ამგვარი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმებისაგან -**ნო, -ნ** და -**ლა** ნაწილაკების მეშვეობით [იმნაიშვილი 1963, 131]: შებინ „რაღაცა“, შეუ ოკლინ „ვიღაცა“ (მამაკაცი), ლ'ორ ღოკლინ „ვიღაცას“ (დედაკაცს), ლ'ინად როკლინ „რაღაცით“ და მისთ.

5.5.8. **ურთიერთობითი ნაცვალსახელი.** ამ სახის ნაცვალსახელებით ენები ჩვეულებრივ ღარიბია და დიდოურიც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. დასტურდება „ერთი“ რიცხვითი სახელის თავისებური კომპოზიცია, რომლის პირველი კომპონენტი ერგატივში დაისმის, ხოლო მომდევნო კომპონენტი კი ბრუნვათა მიხედვით წესისამებრ იცვლება (შდრ. ქართ. „ერთმან-ერთი“), მაგ.:

	I კლ.	II, III, IV კლ.
სახ.	სიდწ-სის	სიდწ-სის ჟრთმანეთი“
ერგ.	სიდწ-სიდწ	სიდწ-სიდწ
მიც.	სიდწ-სიდღ-რ	სიდწ-სიდღ-რ
ნათ.	სიდწ-სიდღ-ს	სიდწ-სიღა-ს

საყურადღებოა, რომ *verba sentiendi*-ს ტიპის ზმნებთან პირველი კომპონენტი მიცემითში ზის: სიდწ-სის რეთთიხ ჟრთმანეთი უყვართ“.

კუთვნილებითი სემანტიკით ხმარებისას პირველი კომპონენტი ნათესაობითში დგას: სიდღს-ხის ჟრთმანეთის“ (მამაკაცების), ხიდწს-ხის ჟრთმანეთის“ (ყველა დანარჩენის).

5.5.9. უარყოფითი ნაცვალსახელი. უარყოფითი ნაცვალსახელის ფუნქციით დიდოურ ენაში გამოყენებულია ჟრთი“ რიცხვითი სახელისაგან -ქინ („-ც, კიდეც“) ნაწილაკის დართვით ნაწარმოები ფორმა: ხისქინ ჟერავინ“, (ზედმიწ.: ჟრთიც არ“). „არავინ“, „არაფერი“.

5.5.10. ხუნძურიდან შეთვისებული ნაცვალსახელები. გარდა ზემოგანხილული საკუთრივ დიდოური ნაცვალსახელებისა, აქა-იქ გვხვდება ხუნძურიდან შეთვისებული ზოგიერთი ნაცვალსახელი, კერძოდ: შინაჟ, შინაბ „მთელი“, „ყოველი“. იგი ხშირად წიკიჟ, წიკიჟ ნაცვალსახელის ნაცვლად იხმარება.

ქინაჟნი, ქინაჟნიჟი „ყველა“, „ყოველი“ ცვლის ხოლმე დიდოურ ნსინ განსაზღვრებით ნაცვალსახელს.

შიბაჟ, შიბაბ „თითოეული“ ხანდახან ენაცვლება ჟიჟ-ჟიჟ და ნსინ, ნწსინ („ყველა“) ნაცვალსახელებს.

## VI თავი

### ზმნა

6.1. **ზოგადი.** ზმნა, როგორც წინადადების ბირთვი, ხასიათდება ძირითადად სტაბილური კლასოვანი უღვლილებით და პიროვანი უღვლილების უქონლობით — ზმნაში აირეკლება გრამატიკული კლასი (და რიცხვი) ან სუბიექტისა, ან ობიექტისა. ზმნა იცვლება დრო-კილოთა მიხედვით, რომელთა სიმრავლე თვალშისაცემია.

კლასის გრამატიკული კატეგორია გამსჭვალავს ზმნის მთელ სისტემას და ერთგვარად აპირობებს მის თავისთავადობას, თუმცა კლასის ექსპონენტებს ზმნათა დიდი ნაწილი ამჟამად მოკლებულია.

ზმნაში რიცხვის აღნიშვნის პრინციპები გრამატიკული კლასების აღნიშვნის ანალოგიურია, ამიტომ მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

საყურადღებოა, რომ ზმნათა ერთ წყებაში ძირითადად დასრულებულია გრამატიკული გვარის ორგანული წარმოების ჩამოყალიბება.

ყველა კატეგორია სუფიქსაციით გამოიხატება, პრეფიქსაცია მარტოოდენ კლას-კატეგორიას ახასიათებს.

დასტურდება ინფინიტივის (სისტემებრ) და მასდარის (სპორადულად) ორგანული წარმოება. გარდა ამისა, გვხვდება აბსოლუტივის, მიმღობისა და საგარემოებო სინთეზური ფორმებიც. ზმნურ სიტყვაწარმოებაში განირჩევა კაუზატივი, პოტენციალისი და ასპექტი.

უნდა ითქვას, რომ დიდოური ენის დიალექტური თავისებურებანი ყველაზე გამჭვირვალედ ზმნაში დაჩნდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალსაჩინო თავისებურებებს საპადური დიალექტი ამჟღავნებს.

6.2. **გრამატიკული კლასი ზმნაში.** ზმნური ფორმა ორსავე რიცხვში კლასთა მიხედვით იცვლება. ჩვეულებრივ ზმნაში ამა თუ იმ სახელის გრამატიკული კლასი პრეფიქსულად აისახება (თუ, რა თქმა უნდა, ზმნა კლასნიშნინია): გარდაუვალ ზმნაში — რეალური სუბიექტისა, გარდამავალში კი — რეალური ობიექტისა.

კლასნიშნინან ზმნათა გვერდით გაცილებით მეტი უკლასნიშნო ზმნები დასტურდება. კლასნიშნინან ზმნებს კლასის ექსპონენტი ყველა ნაწარმოებ ფორმაში გაჰყვება, ხოლო უკლასნიშნო ზმნებს უღვლილებისას ერთადერთი საზიარო ფორმა მოეპოვებათ — ამა თუ იმ კლასის სახელსა და მრავლობით რიცხვზე მითითება ხდება ნაცვალსახელის (resp. რომელიმე სხვა სახელის) მეშვეობით ან ლექსიკური საშუალებებით.

დიდოური კლასნიშნინი ზმნა მონოპერსონალურია იმდენად,

რამდენადაც მასში დაჩნდება ოდენ ერთი კლასის ექსპონენტი. მასთან, მხოლოებითშიც და მრავლობითშიც გარდაუვალ კლასნიშნთან ზმნაში რეალური სუბიექტის კლასია აღნიშნული: მხ. რ. უფო ბ-იკი (I კლ.) „ვაჟი მიდის“, ქილ ბ-იკი (II კლ.) „გოგო მიდის“, გულუ ბ-იკი (III კლ.) „ცხენი მიდის“, ლ'ა ბ-იკი (IV კლ.) „წყალი მიდის“; მრ. რ. უფო-ბი ბ-იკი (I კლ.) „ვაჟები მიდიან“, ქილბა-ბი... ბ-იკი (დანარჩენი კლასები) „გოგოები... მიდიან“.

კლასნიშნთან გარდამავალ ზმნაში, მონათესავე ენათა ანალოგიურად, რეალური ობიექტის კლასი აისახება, მაგ.:

		მხ. რ.			
I კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	უფო	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ ვაჟიშვილი იპოვა“
II კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	ქილ	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ ქალიშვილი იპოვა“
III კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	გულუ	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ ცხენი იპოვა“
IV კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	ნუფო	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ თაფლი იპოვა“
		მრ. რ.			
I კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	ფეკუბი	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ კაცები იპოვა“
II, III, IV კლ.	ობიმა (RS-ურგ.)	ქილბაბი, გულუბი, ეიმრები	(RO-სახ.)	ბ-იკირსი	„მამამ გოგოები, ცხენები, თაფლები იპოვა“

6.3. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. დიდოურ ენაში ზმნა, განსხვავებით ზოგი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნისაგან, უფრო სტაბილურია [იმნაიშვილი 1963, 257].

ზმნის სტაბილურობა გულისხმობს, რომ სათანადო სინტაქსურ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტის გაუჩინარება ზმნის სემანტიკურ ცვლილებას ვერ იწვევს, მაგ.: კეტან (RS) ბ-აწი აჟუ (RO) „კატამ შექამა თაგვი“, შდრ.: ...აჟუ (RO) ბ-აწი „...თაგვი შექამა“.

ზმნის სტაბილური ბუნება თავისთავად გვარის საკითხსაც სევამს. იბადება კითხვა: რა საშუალებებით იწარმოება გარდამავალი ზმნა? უნდა ითქვას, რომ, ზუნძური (და ზოგი სხვა) ენის ანალოგიურად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 245], აბსოლუტური ზმნებისაგან რელატიურების საწარმოებლად კაუზატივის -ერ > (-რ) ფორმანტი გამო-



იყენება, მაგ.: ნება „მოსვლა“ — ნება-რა „მოყვანა“, რ-ობ-ა „გაქცევა“ — რ-ობი-რა<sup>35</sup> „გაგდება“, ქეც-ა „დაწოლა“ — ქეც-რა „დაწვენა“, ბიტა „ჩაქრობა“ (ქრება) — ბიტ-რა „ჩაქრობა“ (აქრობს), რ-იქ-უნდა „ნახევა“ — რ-იქ-უნ-რა „ჩვენება“, რ-ეხ-უნ-ა „მოკვდობა“ — რ-ეხ-უნ-რა „მოკვლა“ და მრ. სხვ.

ზემოთქმულის მიხედვით, გარდაუვალ ზმნათა პირველადი კაუზატივის წარმოება აყალიბებს გარდამავლობას, ხდება კაუზატივის, როგორც მორფოლოგიური და გარდამავლობის, როგორც სინტაქსური კატეგორიების დამთხვევა [ზვიადაური 1990, 221].

გარდამავლობის საწარმოებლად გამოყენებულია ფუძის მათემატიკური სხვა აფიქსებიც, კერძოდ, მოქმედებითი გვარის ფორმანტი -კ-, რომელიც მეტწილად სახელებისაგან და რამდენიმე გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალ ზმნებს აწარმოებს [მდრ. ბოკარევი 1959, 203; იმნაიშვილი 1963, 171]: თათანუ „თბილი“ — თათანი-კ-სი „გაათბო“, ატივ „სველი“ — ატი-კ-სი (საჰ. ატიმი-კ-ი) „დაასველა“, მაჯი „შორი“ — მაჯი-კ-სი „დააშორა“, რევე „დიდი“ — რევე-კ-სი „გაადიდა“, იგო „ახლო“ — იგო-კ-სი „მოახლოვა“, ჰიში-ს „დაიხურა (კარი)“ — ჰიში-კ-სი „დახურა“, რუჯ-სი „დაიმალა“ — რუჯი-კ-სი „დამალა“ და სხვ.

**6.4. ზმნის ფუძეთა აგებულება.** დიდოური ენის ზმნური ფუძის ძირითად ელემენტებს შეადგენენ: **გრამატიკული კლასის პრეფიქსული ექსპონენტი** (ზმნათა ერთ წყებაში), **ძირი**, **ფუძე** (რომელიც ძალიან ხშირად ძირს ემთხვევა) და **თემატური ნიშანი**.

უნდა ითქვას, რომ ზმნათა დიდი ნაწილი მარტივი აგებულებისაა — მოუპოვება მონოკონსონანტური ან ლაბიალიზებულ თანხმოვანთკომპლექსიანი (C+ჟ მოდელის) ფუძეები. დასტურდება აგრეთვე რთული ზმნური ფუძეები, რომლებიც ნაწარმოები ჩანს ზემოხსენებული მახასიათებლებით<sup>36</sup> (თუმცა ყველა სეგმენტის გამოყოფა და სათანადო ფუნქციის დაძებნა ძალიან ჭირს). ერთი კი უნდა ითქვას, რომ ერთზე მეტმარცვლიანი ფუძეები მეტწილად ნაწარმოებია.

ზმნური ფუძე-ძირი (მარტივიც და ნაწარმოებიც), თავის მხრივ, შეიძლება გართულდეს: კაუზატივის (-ჩ-|**ერ**), გვარისა და პოტენციალისის (-კ-, -ლ-), იტერატიულობის (-ნა-) და მაზმნავებელი (-ლ-, -ლ-) ფორმანტების საშუალებით.

<sup>35</sup> სიმარტივისათვის კლასიანი ზმნები აქაც და ქვემოთაც მარტოდენ IV კლასის ექსპონენტით მოგვეყავს.

<sup>36</sup> ზმნურ ძირ-ფუძეთა დეტალური ანალიზი ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება.

დიდოურ ენაში უღვლილება ისევე, როგორც ბრუნება, ერთგვა-როვანია, ნაირგვარობას საუღვლებელი ზმნის ფუძე და ფონეტიკური ცვლილებები ქმნიან.

დ. იმნაიშვილის მოსაზრებით, საუღვლებელი ზმნის ფუძის განსა-ზღვრა ინფინიტივის საფუძველზე უნდა მოხდეს [იმნაიშვილი 1963, 164-165].

ე. ბოკარევის არსებითად მართებული შეხედულებით, ზმნის ფუ-ძის დადგენა ინფინიტივ I-ის, აწმყოსა, ნამყოს I-ისა და ბრძანებითი კილოს მიხედვით არის შესაძლებელი, თუმცა ოდენ ინფინიტივის ფორ-მაზე დაყრდნობით ზმნის ფუძის განსაზღვრას ავტორი უგულებელყოფს [ბოკარევი 1959, 206].

ე. ლომთაძეს ფუძის დასადგენად მარტოოდენ აწმყო კონკრეტუ-ლისა და ნამყო ძირითადის ფორმათა ჩვენებაც საკმარისად მიაჩნია [ლომთაძე 1959, 13].

მართლაც, ზმნის ფუძე და უღვლილების ძირითადი ტიპები მარ-ტოოდენ ინფინიტივის საფუძველზე რომ გამოიყოს, მაშინ მხოლოდ ერ-თი ტიპის (თანხმოვანფუძიანი) უღვლილება გვექნებოდა, რადგან ინფი-ნიტივის ყველა ფუძე (იმის გამო, რომ მეზობელი მარცვლის მახვილი ფუძის აუსლაუტურ ხმოვანს კვეცს) თანხმოვანფუძიანია, მაგ.: ეს-ა „მო-ყოლა“, ცალ-ა „ახლოს სროლა“, ხუნ-ა „ფხანა“, ქუშ-ა „დაშლა“, რ-ეყ-ა „კოდნა“... ნაწარმოებ ზმნებში ინფინიტივის საწარმოებელი სუფიქსის გავლენით რედუქცია მოუდის ინლაუტურ ხმოვანს, ხოლო C+ჟ ლაბია-ლიზებული კომპლექსით დასრულებული ფუძის ბოლოკიდური • ერწყ-მის ჟ-ს, რაც საბოლოოდ ჟ-ს გვაძლევს.

ხსენებულ ფონეტიკურ ცვლილებათა გამო, ბუნებრივია, ძნელდე-ბა ზმნის ფუძის ამოცნობა.

ჩვენი მოსაზრებით, უღვლილებისას უნდა გაირჩეს ნაკეთთა ორი წყება: 1) მყოფადის წყება, 2) აწმყოსა და ნამყოს წყება.

1) ორგანული წარმოების ფორმათა პირველ წყებაში გაერთიანე-ბულ მყოფადი კონკრეტულისა და მყოფადი ზოგადის ნაკვთებში, რო-მელთა წარმოებასაც ინფინიტივის მზა ფორმა ედება საფუძველად, ყვე-ლა ზმნა ხმოვანფუძიანი იქნება, ვინაიდან ინფინიტივის ყველა ფორმა ოდენ -ა ფორმანტით თავდება.

2) ზმნის საუღვლებელი ფუძისა და უღვლილების ძირითადი ტიპე-ბის გამოყოფა მიზანშეწონილია ორგანული წარმოების ფორმათა II წყება-ზე დაყრდნობით — აწმყო კონკრეტულისა და ნამყო ძირითადის ფორ-მებში გამკვირვალედ მოჩანს ფუძის ნამდვილი სახე [ლომთაძე 1959, 13].

ამრიგად, დიდოურ ზმნაში გაირჩევა უღვლილების სამი ძირითა-

დი ტიპი: I. ხმოვანფუძიანი; II. თანხმოვანფუძიანი; III შერეული.

I ტიპის მიხედვით იუღელის ისეთი მარტივი (ძირითადად ერთ-მარცვლიანი) ზმნები, რომელთაც აწმყოსა და ნამყოს ნაკვებში ფუძის ბოლოკიდურად მოუღის -ი (I ქვეტიბი), ან -უ (< უ+ი) (II ქვეტიბი) ხმოვნები. I ქვეტიბში ერთიანდება: რ-იკ-ა || რ-ი-ტ-ა „წასვლა“, რ-ი-ზ-ა „ასვლა“, „ადგომა“, რ-ი-ჩ-ა „ყოფნა“, „არსებობა“, „ცხოვრება“, რ-ი-გ-ა „კოდნა“, „ენობა“, რ-ა-გ-ა, რ-ა-ყ-ა (დიალ. ვარ.) „მოსვლა“, რ-ო-ღ-ა „კეთება“, რ-ი-ხ-ა „ჩამოკიდება“, რ-ი-ყ-ა „წაღება“, „წაყვანა“, რ-ი-ჭ-ა „თხრა“, რ-ა-ღ-ა „გაღება“, რ-ო-ხ-ა „გაქცევა“, „გაცლა“, რ-ი-გ-ა „გადაწყობა“, რ-ი-ჯ-ა „შოვნა“, რ-ა-ც-ა „წყენა“, რ-ი-ლ-ა „ხენა“, „ფეხზე ჩაცმა“, რ-უ-ყ-ა „გაღუნვა“, რ-მე-ყ-ა „გამარჯვება“, რ-ი-შ-ა „დამწყვედვა“, რ-უ-თ-ა „შეკრება“, „შეგროვება“, რ-ი-ც-ა „დაბმა“, „შეკრა“, „ქსოვა“, გუგა „გაუჩინარება“, შუშა „დაკრძალვა“, გოტა „დაძახება, მოხმობა“, კოლ-ა „ხტომა“, ქოს-ა „თიბვა“, „მკა“, ღიღ-ა „დაუქვა“, ხეც-ა „დატოვება“, ლის-ა „წევა“, „თრევა“, ხოსლ-ა „ფხეკა“, პიშ-ა „დაკეტვა“, ელ-ა „თქმა“...

II ქვეტიბში შეღის ლაბიალურფუძიანი (ძირითადად C+უ მოღელის მქონე) ზმნები: რ-ე-ხ-ა „შოკედომა“, რ-ა-ვ-ა „ყერვა“, რ-ი-ხ-ა, რ-ი-პ-ა (დიალ. ვარ.) „გრება“, რ-ე-ს-ა „პოვნა“, რ-ა-ლ'-ა „გადლომა“, რ-ე-ზ-ა „ყურება“, რ-ი-კ-ა „დაწვა“, რ-ე-შ-ა „მოთავსება“, რ-მო-ტ-ა „დაცემა“, ფელ-ა „ბერვა“, „ქროლა“, ლეხ-ა „დარჩენა“, ტულყ-ა „ქენობა“ და მისთ.

II ტიპის უღვლილებას განეკუთვნება როგორც მარტივი, ისე ნაწარმოები (თითქმის ყველა) თანხმოვანფუძიანი ზმნები. ა) მარტივი ზმნებია: რ-ი-წ-ა „ავსება“, რ-ი-ს-ა „აღება, ყიდვა“, რ-ა-წ-ა „შეკმა“, რ-ი-ტ-ა „ჩაქრობა“, რ-მუ-ტ-ა „შეშინება“, ხირ-ა „წოვა“, ქურ-ა „სროლა“, ნელ-ა „მიცემა (II პირისთვის)“, თელ-ა „მიცემა (III პირისთვის)“, ხან-ა „კბენა“, რ-ო-ტ-ა „მოტანა“, „მოყვანა“, რ-ო-კ-ა „დარტყმა“, რ-ე-ჭ-ა „დაქრა“, რ-ი-შ-ა „ქამა (ზოგადად)“, რ-ო-ჭ-ა „გახდომა“, „გამოსვლა“, ერ-ა || ერ-ა „დაღება“, „დადგმა“, ცახ-ა „წერა“, ეგ-ა „ცემა“, ნეხ-ა „მოსვლა“, თეჭ-ა „მოსმენა“, „გაგება“, წოხ-ა „მოხვედრა“, ეტ-ა „დასხმა“, წეწ-ა „გათლა“, ტეტ-ა „შოწველევა“, შიტ-ა „სულის შეხუთვა“ და სხვ.

ბ) ნაწარმოები ზმნებია: რ-ა-ვიკ-ა „გაღიდება“, რ-ო-ვიკ-ა „მოტაცება“, რ-ე-გირ-ა „გაგზავნა“, რ-ე-ხურ-ა „მოკვლა“, რ-ა-წრ-ა „შეკმევა“, რ-ა-წლ'-ა „შემოკმა (ეჭმევა)“ რ-უ-ჯ-ა „დამალვა (მალავს)“, რ-უ-ჯლ'-ა „დამალვა (იმალება)“, რ-ი-კურ-ა „დაწვევინება“, რ-ე-ცურ-ა „გატენა“, რ-ა-პირ-ა „ღულება“, რ-ი-ზირ-ა „აღება“, „აყვანა“, რ-ა-გრ-ა „მოყვანინე-

ბა", „მოტანიება“, ჰაგუკა „გაცოცხლება“, ქოღირა „მოქერა“, ცუციკა „ჩასობა“, თათანიკა „გათბობა“, ქოტორა „მოტყუება“, კოღირა „გადაბტუნება“, ჰურრა „გათენება“, ჰეცრა „დაწვენა“ და სხვ.

ულვლილების III ტიპი, რომელიც პირობითად გამოვყავით, აერთიანებს ისეთ ზმნებს, რომელთა ფუძე -დ თემატური თანხმონით<sup>37</sup> ბოლოვდება: რ-ი-ჰუა-და „ხედვა“, რ-შა-ლა-და „შეკაზმვა“, რ-ე-პანა-და „სიარული“, „ხეტიალი“, რ-ე-გნა-და, რ-ე-გნო-და (დიალ. ვარ.) „მუშაობა“, ცე-და „სახელის დარქმევა“, მექტა-და, მექო-და (დიალ. ვარ.) „დამშევა“, მასკარა-და „ხუმრობა“, შაქერა-და „ნერვიულობა“, ჰარ-შა-და „დაქანება“, კემო-და „წათამაშება“, კედანა-და „ხშირად ძებნა“, რე-და „პარსვა“, ეშა-და „ცხობა“, ეშნა-და „ჟონვა“, ციმა-და „ტირილი“, იპა-და „ჩხუბი“, შუტანა-და „დავიწყება“, ჟოჟონა-და „ღეკვა“, ესირანა-და „მათხოვრობა“, გურა-და „ღრიალი“, ჰეცელნა-და „შარის მოღება“, როლნა-და „ხშირად ავადმყოფობა“ და მისთ.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ხსენებულ ზმნათა ულვლილების თავისებურებანი — ფონეტიკური ცვლილებების მიზეზით ხან ხმოვანფუძიანებს ეკედლებიან, ხან — თანხმოვანფუძიანებს, ხან სრული ფორმანტები მოეპოვება (-ხო, -სი, -ნო), ხან — გამარტივებული (-ხ, -ს, -ნ).

აფიქსები, რომლებიც ზემომოყვანილ ზმნათა ულვლილებაში გამოიყენება, სიმარტივეს ამჟღავნებენ — თითოეულ ფორმას თითო სუფიქსი მოუდის. მასთან, აფიქსებისა და საულვლებელი ფუძის ურთიერთმიმართება ასეთია: ა) ხმოვანფუძიანი ზმნა სუფიქსისეულ ხმოვანს იკვეცს: -ხ (<-ხო), -ს (<-სი), -ნ (<-ნო). გამონაკლისს ქმნის ხუტრანის მეტყველება — ნამყო ძირითადი ყოველთვის -სი ფორმანტს გვიჩვენებს [იმნაიშვილი 1963, 177]; ბ) რაც შეეხება თანხმოვანფუძიან ზმნას, იგი ფორმანტებზე გავლენას ვერ ახდენს.

6.5. ინფინიტივის წარმოება. ინფინიტივი ზმნის ყველაზე ზოგადი შინაარსის შემცველი ფორმაა და სალექსიკონო ერთეულადაც ჩვეულებრივ მას მიიჩნევენ. გავრცელებული აზრის მიხედვით, იგი იწარმოება -ი მახვილიანი სუფიქსით, რომელიც ფუძის ყველა აუსლაუტურ ხმოვანს კვეცს [იმნაიშვილი 1963, 22, 25, 165; ლომთაძე 1984, 34-35], მაგ.: რ-იკა (შდრ. აწმყ. რ-იკ-ხ) „წასვლა“, რ-იჩა (შდრ. აწმყ. რ-იჩ-ხ)

<sup>37</sup> ხანდახან ამ თანხმოვანს ფუძის ფორმანტის ფუნქცია აკისრია: მექო „სიმ-შილი“ — მექო-და „დამშევა“... ამდენად და სხვა მხრივაც იგი ინფინიტივის წარმოებაში საერთოდ არ მონაწილეობს [შდრ. ბოკარევი 1959, 209; იმნაიშვილი 1963, 167, 189].

ყოფნა, ცხოვრება" და სხვ. იმავე ფონეტიკურ პროცესს აქვს ადგილი კაუზატივისა და გვარის ინფინიტიურ ფორმებშიც: რ-აწრ-ა (< რ-აწერ-ა, შდრ. აწმყ. რ-აწერ-ხო), „შექმეინება“, ქეც-რა (< ქეცერ-ა, შდრ. აწმყ. ქეცერ-ხო) „დაწვეინება“ და მისთ.

ქეც-რ-ერ-ა ტიპის ფორმებში მახვილი ინფინიტივის სუფიქსზე რომ ეცემოდეს, მაშინ ის გამოიწვევდა არა კაუზატივის წინა ფორმანტის ხმოვნითი ელემენტის რედუცირებას, არამედ – სუფიქსის წინამავალი ფორმანტის (-ერ) ხმოვნის დაკარგვას, რაც ფაქტობრივ არ დასტურდება [შდრ. იმნაიშვილი 1956, 254].

რაც შეეხება ეს-ა („თქმა“) ტიპის ხმოვანფუძიან ზმნებს, ფუძისეული ი-ს რედუქცია (შდრ.: აწმყ. კონკრ. ესი-ხ) გამოწვეული ჩანს მორფონოლოგიურ საფუძველზე.

ჩვენი დაკვირვებით, ინფინიტივის ფორმებს მახვილი მოუღის ან თავმარცვალზე, ანდა თავიდან მეორე მარცვალზე, რომელიც იწვევს ფუძეში უკანამავალი მარცვლის ხმოვნის აპოკოპეს, მაგ.: რ-რ-კ-ა (<\*რ-რ-კ-ი-ა) „წასვლა“, ეს-ა (<\*ეს-ი-ა) „მოყოლა“, „თქმა“... მართალია, საბაექრო საკითხს დამატებითი ექსპერიმენტული შესწავლა სჭირდება, მაგრამ ამთავითვე უნდა მოვიყვანოთ ზოგი არგუმენტი. კერძოდ, თუ წინამავალი მარცვლისეული ხმოვნის რედუქციას ინფინიტივის მახვილიანი სუფიქსი -ს იწვევს, მაშინ რატომ არ ხორციელდება ანალოგიური პროცესი მეორეულ კაუზატიურ ფორმებში, მაგ.: ცახ-რ-ა (<\*ცახ-ერ-ა, შდრ. აწმყ. ცახ-ერ-ხო) „დაწერინება“ – ცახრ-ერ-ა (<\*ცახ-ერ-ერ-ა, შდრ. აწმყ. ცახ-ერ-ერ-ხო) „დაწერინებინება“, ქეც-რა-ა (<\*ქეც-ერ-ა, შდრ. აწმყ. ქეც-ერ-ხო) „დაწვენა“ – ქეც-რ-ერ-ა (<\*ქეც-ერ-ერ-ა, შდრ. აწმყ. ქეც-ერ-ერ-ხო) „დაწვეინება“.

ინფინიტივი იცვლება გრამატიკული კლასის საერთო წესის მიხედვით: კლასნიშნიან გარდამავალ ზმნაში რეალური ობიექტის კლასი აღინიშნება, გარდაუვალში კი – რეალური სუბიექტისა. გარდა ამისა, ინფინიტიური ფორმა გამოყენებულია მყოფადის წრის დროთა (მყოფადი კონკრეტულის, მყოფადი ზოგადის) საწარმოებლად.

6.6. უღვლილება. დიდოურ ენაში დასტურდება დროულ ფორმათა ორგვარი წარმოება: **ორგანული** (სინთეზური) და **აღწერიითი** (ანალიზური). მასთან, ნაკვთთა ორგანულ წარმოებაში თავს იჩენს როგორც ზმნის მარტივი ფუძისაგან, ისე ინფინიტივისაგან ნაწარმოები ფორმები.

6.6.1. დროთა ორგანული ფორმების წარმოება. ზმნის მარტივი ფუძისაგან იწარმოება: 1) აწმყო ზოგადი, 2) აწმყო კონკრეტული, 3) ნამყო ძირითადი (მარტივი), 4) ნამყოს აბსოლუტივი (თურმეობითი). დროთა ეს ფორმები აწმყოსა და ნამყოს წყებაში ერთიანდება:

1) აწმყო ზოგადი იწარმოება ზმნის სათანადო ფუძისაგან ინლაუტურ ხმოვანთა დაგრძელებით, მონაცვლეობითა და დაგრძელებით, ან მონაცვლეობით, დაგრძელებითა და უმლაუტიზაციით. მასთან, მარტივფუძიან ზმნებში პირველი ხმოვანი იცვლება, ხოლო რთულფუძიან (ნაწარმოებ) ზმნებში კი — ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი. თქმათა მიხედვით, წარმოვადგენთ შესაბამისი ხმოვნის ცვლილების სურათს: ა > ა, უ > ო, ო > ო, ე > ე (შაიტლ.); ა > ა, უ > ა, ო > ა, ე > ა, ი > ა (ქიდ.); ა > ა, უ > ა, უ > უ, ო > ა, ე > ა, ი > ა (ასახ.).

საილუსტრაციო მაგალითები:

### I ტიპი

	I ქვეტიპი		II ქვეტიპი	
აწმყ.	რ-ი-კი-ბ	ქოსი-ბ	რ-ე-ბ-ბ	ფელუ-ბ -ქრის“
	„მიდის“	„თიბავს“	„კვდება“	
ფუძე	რ-ი-კი-	ქოსი-	რ-ე-ბ-ბ-	ფელუ-
აწმყ. ზოგადი	რ-აკი <sup>38</sup>	ქასი	რ-ახუ	ფალუ

საჰადური დიალექტი II ტიპის ზმნათა წარმოებაში შაიტლურ კილოკავს მისდევს მცირეოდენი გადახრით — რიკურა („დაწვა“), კოლირა („გადახტუნება“) რიგის ზმნებში აწმყო ზოგადის ფორმად გვიჩვენებს რიკტურ, კოლურ ნაირსახეობებს. გარდა ამისა, რ-უ-თა („დაბრუნება“) რიგის ზმნებში უ > უ, მაგ.: მუთი „ბრუნდება“, „დაბრუნდება“, ქურ „ტყორცის“...

### II ტიპი

#### ა) მარტივფუძიანი ზმნები

აწმყ.	რ-ი-წ-ხო	„ავებს“	ეტ-ხო	„ასხამს“	ნეხ-ხო	„მოდის“
ფუძე	რ-ი-წ-		ეტ-		ნეხ-	
აწმყ. ზოგადი	რ-აწ		ატ		ნახ	

<sup>38</sup> საილუსტრაციოდ მოგვყავს მხოლოდ ა ხმოვნიანი ფორმები, რომლებიც თითქმის ყველა თქმაში დასტურდება. გარდა ამისა, აქვე ვიმოწმებთ კონკრეტული აწმყო დროის ფორმებს (რიკიბ, ქოსიბ...), რომლებზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

## ბ) რთულფუძიანი ზმნები

აწმყ.	რ-ი-კურ-ხო „წევას“	კოლირ-ხო „ახტუნებს“
ფუძე	რ-ი-კურ-	კოლირ-
აწმყ. ზოგადი	რ-ი-კარ	კოლირ

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდანაც ჩანს, თქმათა ერთ წყებაში აწმყოს ფუძისაგან გადახვევა შეიძინევა — ფუძეს დამატებით ერთვის უ სონანტი. საერთოდ ორივე (ე, უ) სონანტი თემატურ-დ-ს ენაცვლება.

აწმყო ზოგადს უმთავრესად ორი მნიშვნელობა აქვს: ა) გამოხატავს საგნის განუწყვეტელ (მუდმივ) მდგომარეობას ან მოქმედებას, ბ) გადმოსცემს განუსაზღვრელი მყოფადი დროის შინაარსს, განსხვავებით მყოფადი მარტივისაგან (კონკრეტულისაგან), რომელიც აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს. ზოგადი აწმყო უპირატესად მეორე მნიშვნელობით გამოიყენება და გამოირჩევა ხმარების სიხშირით.

2) აწმყო კონკრეტულის წარმოებისას თანხმოვანფუძიანი (II ტიპი) ზმნებს წმინდა ფუძეზე ერთვის -ხო სუფიქსი, ხმოვანფუძიანებს (I ტიპი) — ოდენ -ხ (< -ხო): რ-ი-ტ-ხო „აქრობს“, რ-უ-ტ-ხო „ეშინია“, რ-ი-ს-ხო „იღებს“, „ყიდულობს“, ქურ-ხო „ისერის“, ნებ-ხო „მოდის“, ხირ-ხო „წოვს“...; რ-ი-კი-ხ „მიდის“, რ-ე-თი-ხ „უნდა“, „უყვარს“, ხეცი-ხ „უშვებს“, ლეხუ-ხ „რჩება“, ტყლყუ-ხ „ქცნება“ და მრ. სხვ.

III ტიპის ზმნებს ზოგ თქმაში სრული დაბოლოება -(ხო) აქვს, ხოლო ზოგ თქმაში კი — უსრული (-ხ): მიდა-ხო, „ტირის“, რ-ე-ხ-ტუ-ხო, რ-ე-ხ-ტუ-ა-ხო (დიალ. ვარ). „კვდება“, გურა-ხო, გურა-ა-ხო (დიალ. ვარ.) „ღრიალებს“, „ყმუის“, მექტუ-ხო, მექტუ-ა-ხო (დიალ. ვარ.) „შია“ და მრ. მისთ.

საპადურ დიალექტში -ხო ფორმანტის ხმოვანი იკვეცება, მაგ.: მიდა-ხ „კვდება“, გურა-ხ „ღრიალებს“, „ყმუის“, მექტუ-ხო „შია“, ეშნ-ხ „აცხობს“, რეჰან-ხ „დაწანწალებს“, ეშნ-ხ „ჟონავს“...

აწმყო კონკრეტულის ძირითადი ფუნქცია უზნობის მომენტში მიმდინარე მოქმედების გამოხატვაა. გარდა ამისა, იგი გამოხატავს მყოფადის, ზოგადი აწმყოს, აწმყოს აბსოლუტივის მოდალურ მნიშვნელობებს.

3) ნაწყო ძირითადის (მარტევის) საწარმოებლად გამოიყენება -ხო, -ხ (ქიდ-ასახ.), -ჲ (საპ.) ფორმანტები, რომლებიც უშუალოდ ერთვი ან საუღვლებელი ზმნის ფუძეს. მასთან, -ხო ფორმანტი თანხმოვანფუძიანი ზმნებს ერთვის, -ხ — ხმოვანფუძიანებს. ამ მხრივ, გამონაკლისს ქმნის ხუტრახის მეტყველება, რომელშიც ყოველგვარ ზმნას (ხმო-

ვანფუქიანსაც და თანხმობანფუქიანსაც) სრული ფორმანტი (-სი) დაერთვის, მაგ., ხმოვანფუქიანები: რ-ი-ჟი-სი „წაილო“, „წაიყვანა“, რ-ი-ხი-სი „ჩამოჰქიდა“, რ-ა-ლი-სი „გაალო“, რ-ი-გი-სი „გადაყლაპა“, რ-ი-ჯი-სი „იშოვა“, შუში-სი „დაკრძალა“, გოტი-სი „დაუძახა“, ლილი-სი „დაფქა“, ქუში-სი „დაანგრია“...; თანხმობანფუქიანები: რ-ი-ს-სი „აილო“, „იყიდა“, რ-ა-წ-სი „შექამა“, რ-ი-ტ-სი „ჩააქრო“, თელ-სი „მისცა (III პირს)“, ქეკ-სი „სცემა“, შიტ-სი „სული შეეხუთა“ და მრ. სხვ.

საჭადღურ დიალექტში ნამყო ძირითადს, სუფიქსის (-ნ) დართვის გარდა, მარტივი აგებულების ზმნებში ფუძისეული თანხმობანი უორმაგდება, რაც ფუძის აუსლაუტური ი ხმოვნის დაკარგვითა და მისი კომპენსაციით ჩანს გამოწვეული: რ-ი-ცც-ნ „მოქსოვა“, რ-ი-შშ-ნ 1. „დაამწყვდია“, 2. „ჰამა“, რ-ა-წწ-ნ „შექამა“, რ-ი-ტტ-ნ „წავიდა“, წოხხ-ნ „მოხვდა“, რ-ა-ყყ-ნ „მოვიდა“, ცახხ-ნ „დაწერა“, რ-ი-წწერ-ნ „გაავსებინა“, რ-ა-ყყერ-ნ „მოიყვანა“, „მოიტანა“...

საჭადღურ დიალექტში რეხჷა („მოკვდომა“) ტიპის ზმნათა ფუძის ბოლოკიდური უ გრძელდება: რ-ე-ხჷ „მოკვდა“, „გაფუქდა“, „გატყდა“, ლეხჷ „დარჩა“...

4) ნამყოს აბსოლუტივი<sup>39</sup> (თურმეობითი) ნაწარმოებია -ნო, -ნ (ქიდ.-ასახ.), -ენ,<sup>40</sup> -ნ (საპ.) ფორმანტით, რომელიც ფუძეს უშუალოდ დაერთვის. მასთან, -ნო თანხმობანფუძიან ზმნებს აწარმოებს, -ნ კი — ხმოვანფუძიანებს, მაგ.: ქიდ.-ასახ.: რ-ი-ს-ნო „იყიდა რა“, „უყიდა“, რ-ი-წ-ნო „გაავსო რა“, „გაუვსია“, რ-ე-ქ-ნო „დაქრა რა“, „დაუქრია“, ენ-ნო (< ერ-ნო) „დადო რა“, „დაუღვია“, თენ-ნო „გაიგო რა“, „გაუგია“, წოხ-ნო „მოხვდა რა“, „მოხვედრია“, ეტ-ნო „დაასხა რა“, „დაუხსნია“, რ-ე-ხჷ-რე-ნო „მოაკვლევინა რა“, „მოუკვლევინებია“... საჭადღურ დიალექტში I ტიპის მარტივი ხმოვანფუძიანი და II ტიპის მარტივი თანხმობანფუძიანი ზმნების ფუძისეული თანხმობანის რედუბლიკაციაც ხდება. საილუსტრაციო მაგალითები: რ-ე-თთ-ენ „შეუყვარდა რა“, „შეჰყვარებია“, რ-ი-ცც-ენ „დააბა რა“, „დაუბია“, რ-ი-ლლ-ენ „მონა რა“, „მოუხნია“, ელლ-ენ „თქვა რა“, „უთქვამს“, ესს-ენ „მოყვა რა“, „მოუყოლია“, ცეცც-ენ „გაწურა რა“, „გაუწურია“, ლეტტ-ენ „ამოარჩია რა“, „ამოურჩევია“, რ-ო-ხხერ-ენ „გაავდო რა“, „გაუგდია“ ფელჷ-ენ „იქროლა რა“, „უქროლია“, რ-ი-ზზ-ენ „ადგა რა“, „ამდგარა“, რ-ა-წწ-ენ „შექამა რა“, „შეუქა-

<sup>39</sup> დ. იმნაიშვილი მას ნამყო განუსაზღვრელს უწოდებს [იმნაიშვილი 1963, 177]. ნამყოს აბსოლუტივს თურმეობითის სემანტიკაც აქვს და, ამის გამო, დროულ ნაკეთთა წყებაში შეგვაქვს.

<sup>40</sup> ხმოვანითი ე ელემენტი, შესაძლოა, ფორმანტისეული არც იყოს.



მია“, რ-ი-ტ-ბ-ენ „წავიდა რა“, „წასულა“, კოლ'ლ'-ენ „გადახტა რა“, „გადამხტარა“, რ-ა-ყ-ქ'-ენ „მოვიდა რა“, „მოსულა“ და მრ. სხვ.

დიდოურ ენაში ნამყოს აბსოლუტივის ფორმა, ჰინუბურის ანალოგიურად [ლომთაძე 1984, 24], ნამყოს ზოლმეობითის ფუნქციასაც ასრულებს. ამ, მეორე, სემანტიკით ხმარებული ნამყოს აბსოლუტივის ფორმა უპირისპირდება ნამყო ძირითადის ფორმას, როგორც უნახავი აქტის გამომხატველი ფორმა ნახული აქტის გამომხატველ ფორმას.

მყოფადის წყებაში გამოიყოფა ორი ნაკეთი: 1) მყოფადი კონკრეტული (განსაზღვრული), 2) მყოფადი ზოგადი (განუსაზღვრელი). ფუძედ ინფინიტივის სრული ფორმა გამოიყენება. მისი ფორმანტებია: -ნ (ქიდ.-ასახ.), -ლ (საპ.): ქიდ.-ასახ.: რ-ი-ჰ-ან „გავთხრი“, რ-ა-ლ-ან „გავალე“, ელ-ან „ვეტყვი“, რ-ე-ზ-თ-ან „ვეყურებ“, ხან-ან „ვეუბენ“, ქავუკ-ან „გავაცოცხლებ“, რ-ი-კურ-ან „დავაწვევინებ“...; საპ.: რ-ე-თ-ალ „გავიმარჯვებ“, რ-უ-თ-ალ „გავაკეთებ“, რ-უ-თ-ალ „შევაგროვებ“, რ-ე-ხურ-ალ „მოვკლავ“, „გავაფუქებ“, „დავამტკრევ“, ლეხ-თ-ალ „დავრჩები“, წეწ-თ-ალ „გავთლი“ და სხვ.

მყოფადი კონკრეტული მხოლოდ და მხოლოდ I პირის გაგებას შეიცავს და უახლოეს ხანში შესასრულებელ, განზრახულ მოქმედებას გამოხატავს. II და III პირში მას აწმყო ზოგადი ენაცვლება.

2) მყოფადი ზოგადი (განუსაზღვრელი) მყოფადი კონკრეტულის ანალოგიურად იწარმოება იმ განსხვავებით, რომ ინფინიტივის ნიშანი (-ა) გრძელდება და მას ერთვის -ს ფორმანტი: რ-ი-კ-ან „წავა“, რ-ი-ლ-ან „მოხნავს“, რ-ო-დ-ან „გააკეთებს“, ლეტ-ან „ამოარჩევს“, ეს-ან „მოუყვება“, რ-ო-კ-ან-ს „დაარტყამს“ და მრ. სხვ.

საშადურ დიალექტში ზემომოყვანილ ფორმათა შესატყვისად დასტურდება: რ-ი-ტ-ან „წავა“, რ-ი-ს-ან „იყიდის“, რ-ე-ყ-ან „იცნობს“, „გაიგებს“, რ-ე-ზ-თ-ან „უყურებს“, ცახ-თ-ან „დაწერს“ და მისთ.

მყოფადი ზოგადი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომლის შესრულება წინასწარ განსაზღვრული არ არის. უნდა ითქვას, რომ ამ ფორმათა გამოყენების არეალი მეტად შეზღუდულია და ძალიან იშვიათად გვხვდება.

**6.7. დროთა აღწერითი ფორმების წარმოება.** დიდოურ ენაში სინთეზურ ფორმათა გარდა, დასტურდება ანალიზური (resp. აღწერი-თი) ფორმები, რომლებიც ძირითადი ზმნისა და მეშველი ზმნების შეერთებით წარმოიქმნება. აღწერითად იწარმოება: 1) მყოფადი კატეგორიული (აუცილებლობითი), 2) ნამყო უსრული, 3) ნამყო წინარე-წარსული (შედგობითი).

მეშველი ზმნა ზეჟა („ყოფნა“), რომელიც აღწერით ფორმათა წარმოებაში გამოიყენება, დროში მონაცვლედ ითვლება. დროში ფუძემონაცვლე მეშველი ზმნის (გოლ' „არის“, ზეჟა „ყოფნა“, რიჩა „არსებობა“) ნაკვთები სქემატურად ასე გამოიყურება:

ნაკვთები	ზმნის ფორმა		ფორმანტები	
	დადებითი	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი
ინფინიტივი	რიჩა		ა	
I მყოფადის წყება:				
მყოფადი კონკრ.	რიჩან (ქილ.ასახ.), რიჩალ (საპ.)	რიჩანჟინ (ქილ.ასახ.), რიჩა ეღ' (საპ.)	ჩ, ღ	ჟი, ეღ'
მყოფადი ზოგადი	რიჩანს (ქილ.ასახ.), რიჩანს    რიჩან (საპ.)	რიჩანჟეს (ქილ.ასახ.), რიჩანჟუ (საპ.)	ჩ	ჟუ
II. აწმყოსა და ნამყოს წყება:				
აწმყო ზოგადი	რიჩი, რიჩი, რიჩი (დიალ. ვარ.)	რიჩინჟი, რიჩენჟი, რიჩიჟი, რიჩიდა (დიალ ვარ.)	ა-	ინჟი, ენჟი, ჟი.
აწმყო კონკრ.	გოლ'	ჟუ, ეღუ (ქილ.ასახ.), ეღ' (საპ.)	—	—
ინფინიტივი	ზეჟა, ზოჟა, ზეჟ'ა		ა	
ნამყო ძირითადი	ზეჟეს, ზოჟეს (ქილ.ასახ.), ზეჟე'ენ (საპ.)	ზეჟეჟეს, ზოჟეჟეს (ქილ.ასახ.), ზეჟე'ენჟუ (საპ.)	ჩ	ჟუ
ნამყოს აბსოლუტ.	ზეჟენო, ზოჟენო (ქილ.ასახ.), ზეჟე'ენენ (საპ.)	რიჩინჟედა რიჩენჟედა, ზეჟე'ენი (დიალ. ვარ.)	ჩო, ენ	ჟედა, ჟი
ბრძანებითი კილო (II პ.)	რიჩი	რიჩინო (ქილ.ასახ.), რიჩინო (საპ.)	—	ჩო
ბრძანებითი კილო (III პ.)	რიჩილ'	რიჩინოლ' (ქილ.ასახ.), რიჩინოლ' (საპ.)	ღ'	ჩო-

1) **მეოფადი კატეგორიული (აუცილებლობითი)** ნაწარმოებია ინფინიტივის სრული ფორმისაგან მეშველი ზმნის (ფოლ' „არის, არსებობს“) დამატებით, მაგ.: რ-ი-კა ფოლ' „წაეა“ (ზედმიწ. „წასვლად არს“), ცახა ფოლ' „დაწერს“, ქეცა ფოლ' „დაწეება“, „დაიძინებს“ და მისთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხუშეთის მეტყველებაში ხელშესახება ტენდენცია ინფინიტივთან მეშველი ზმნის ენკლიტიკურად შეხორცებისა, რაც ორგანული წარმოებისაკენ იხრება, მაგ.: რ-ა-წაფლ' (< რ-ა-წა ფოლ') „შეჰამს“, ტეტრაფლ' (< ტეტრა ფოლ') „წაიკითხავს“, „ისწავლის“, ქოსაფლ' (< ქოსა ფოლ') „მოთიბავს“ [იხ. ფონეტიკა, 2.2.2.].

**მეოფადი კატეგორიული**, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, აუცილებლად და დაუყოვნებლივ შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს.

2) **ნამყო უსრული** იწარმოება ძირითადი ზმნის აწყო კონკრეტულის და მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმათა შეხამებით, მაგ.: ქიდ.-ასახ. რიწხო ზეტს „ავსებდა“, ხანხო ზეტს „უბენდა“, ხეციხ ზეტს „ტოვებდა“...; სპ. რაწხო ზეყ'ყ'უ „ჰამდა“, რიტოხ ზეყ'ყ'უ „მიდიოდა“ და მრ. მისთ.

ამ დროას ძირითადი მნიშვნელობა არის წარსულში მომხდარი ისეთი მოქმედების გამოხატვა, რომელიც დასრულებული არ არის. გარდა ამისა, მან შეიძლება შეასრულოს დროის ზმნისართის ფუნქციაც.

3) **ნამყო წინარეწარსული** იწარმოება მეშველი ზმნისა და ძირითადი ზმნის ნამყოს აბსოლუტივისაგან: ქიდ.-ასახ. რიზინ ზეტს „ამდგარა“, კოლინ ზეტს „გადამხტარა“...; სპ. რ-ი-შშ-ენ ზეყ'ყ'უ „შეუჰამია“, ცახხ-ენ ზეყ'ყ'უ „დაუწერია“ და სხვ. მრ.

ნამყო წინარეწარსული აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებდა სხვა წარსულ მოქმედებას.

4) **ნამყო წინარეწარსულის აბსოლუტივი** იწარმოება ძირითადი ზმნისა და მეშველი ზმნის აბსოლუტივის ფორმათა შესიტყვებით, მაგ.: რაწხო ზეტს „შეეჰამა“ (ზედმიწ. „შეეჰამა რა იყო რა“), ქეცნო ზეტს „დაწოლილიყო“ („ზედმიწ. „დაწვა რა იყო რა“) და სხვ. მისთ.

ნამყო წინარეწარსულის აბსოლუტივი ნამყოს აბსოლუტივისაგან მხოლოდ მეშველი ზმნის (ზეტს) მქონებლობით განასხვავდება (იხ. 6.6.1.).

6.8. **კილოთა წარმოება**. საკუთრივ დიდოურში განირჩევა **თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პირობითი** კილოები.

6.8.1. **ბრძანებითი კილო**. თანხმოვანფუძიან ზმნათა II პირობის ბრძანებითი კილო აწყოფის ფუძისაგან იწარმოება -**ო** სუფიქსით: რაწ-ო!

„შეკამე!“, ქურ-ო! „ისროლე!“, გოტ-ო! „დაუძახე!“, შეტ-ო! „ჩაიცი!“

მართალია, მარტივ გარდამავალ ზმნათა დიდი ნაწილი II პირის ბრძანებითს -**ა** ფორმანტით აწარმოებს [იმნაიშვილი 1963, 190], მაგრამ დასტურდება საკმაო რაოდენობით გარდამავალ ზმნათა ბრძანებითის ფორმები, რომლებიც მხოლოდ ფუძის სახით გვხვდებიან (ბოკარევი 1959, 206), მაგ.: რიშ! „კამე!“, ხეც! „გაუშვი!“ ნელ! „მომეცი!“ და მისთ.

გარდაუვალი და ერთზე მეტმარცვლიანი ზმნები (მეტწილად ნაწარმოები) საუღვლებელი ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, მაგ.: რი-ზი! „ადეკი!“, რეზუ! „უყურე!“, რიკი! „წადი!“, ქეც! „დაწეკი!“, ჯალი! „უყვირე!“, რეგირ! „გაუშვი!“, რაყყერ! „მოიყვანე!“, რეხუად! „დაკალი!“ ცუციკ! „ჩაარკე!“

გამონაკლისები აქაც შეინიშნება: კოლ-ო! „გადახტი!“, იპანად! „ჩიხუბე!“...

ბ) III პირის ბრძანებითი კილო იწარმოება II პირის ბრძანებითი კილოსაგან -**ლ** ფორმანტით. იმ ზმნებში, რომლებიც -**ა** ხმოვანს იკვეცენ, II და III პირის ბრძანებითის ფორმებში ეს ხმოვანი აღდგება, მაგ.: ბაწო-ლ! „ჰამოს!“, ესო-ლ! „მოუყვეს!“, ცახო-ლ! „დაწეროს!“, ხე-ცო-ლ! „გაუშვას!“, ქეცო-ლ! „დაწვეს!“ და მრ. მისთ.

6.8.2. **კავშირებითი კილო.** იგი ნაწარმოებია ინფინიტვისა და მეშველი ზმნის ძირითადი ნამყოს ფორმისაგან: ქიდ-ასახ. როტა ზეჟს „მოვიტანდი“, „მოვიყვანდი“, რიქტადა ზოჟს „წახავდი“, ცახტა ზეჟსი „დავწერდი“; საჰ. რიკა ზეყყუ „ვიშოვიდი“, ტეტრა ზეყყუ „ვისწავლიდი“, „წავიკითხავდი“...

6.8.3. **პირობითი კილო.** პირობითი კილოს წარმოებისას გამოიყოფა რეალური პირობითი და ირეალური პირობითი.

ა) რეალური პირობითი კილო იწარმოება საუღვლებელი ფუძისაგან შემდეგი სუფიქსებით: -ნაჲ, ნაჲ, ნრაჲ (ქიდ-ასახ.), -ნეჲ (საჰ.) და -ლ'ი || -ლ'ი-რი, მაგ.: რე-გირ-ნაჲ „თუ გაგზავნის“, რ-ა-წ-ნაჲ „თუ შეკამს“, რ-ა-მ-ნრაჲ „თუ მოვა“, რ-ი-ტ-ი-ნეჲ „თუ წავა“... ნელ-ლ'ი „თუ მომცემს“, ხეც-ლ'ი „თუ გაუშვებს“ და სხვ.

როგორც სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რეალური პირობითი რეალური პირობის შესრულებით შეპირობებულ მოქმედებას გამოხატავს.

ბ) **ირეალური პირობითი კილო**, რეალური პირობითისაგან განსხვავებით, გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სინამდვილეში, სათანადო შემთხვევის უქონლობის გამო, არ შესრულებულა. აღნიშნული კილო ძირითადი ნამყოსა და მეშველი ზმნის რეალური პირობითი

კილოს ფორმათა შეერთებით იწარმოება, მაგ.: რიჩის დოლ'ლი „რომ გაჩერებულიყო“, რისი დოლ'ლი „რომ სცოდნოდა“, ცახსი დოლ'ლირი „რომ დაეწერა“ და მისთ.

ზემოგაანალიზებული ნაკვთების სინთეზურ ფორმათა პარადიგმები, დიალექტების შიხედვით, სქემატურად ასე გამოიხატება:

ინფინიტივისა და ნაკვთთა დასახელება	ქიდიროულ-ასახური დიალექტი		
	ზმნის დადებითი ფორმები		
	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი
ინფინიტივი	რ-ი-ლ-ა „ხენა“, ფელ'უ-ა „ქროლა“	რ-ი-წ-ა „გავსება“	რ-ა-ჰანდა-ა „სიარული“
I მყოფადის წყება:			
მყოფადი კონკრ.	რ-ი-ლ-ან, ფელ'უ-ან	რ-ი-წ-ან	რ-ა-ჰანდა-ან
მყოფადი ზოგადი	რ-ი-ლ-ანს, ფელ'უ-ანს	რ-ი-წ-ანს	რ-ა-ჰანდა-ანს
II აწმყოსა და ნამყოს წყება:			
აწმყო ზოგადი	რ-ან-ლი, ფან-ლი	რ-ან-წი	რ-ა-ჰანან-ი, რ-ა-ჰანან-უ
აწმყო კონკრ.	რ-ი-ლი-ხ, ფელ'უ-ხ	რ-ი-წ-ხო	რ-ა-ჰანან-ხ
ნამყო ძირითადი	რ-ი-ლი-ს, ფელ'უ-ს	რ-ი-წ-სი	რ-ა-ჰანან-ს
ნამყოს აბსოლუტ. (თურმეობითი)	რ-ი-ლი-ნ, ფელ'უ-ნ	რ-ი-წ-ნო	რ-ა-ჰანან-ნ
ბრძანებითი კილო II პირისა	რ-ი-ლ-ო! ფელ'უ!	რ-ი-წ-ო!	რ-ა-ჰანდა-ო!
ბრძანებითი კილო III პირისა	რ-ი-ლ-ო-ლ! ფელ'უ-ლ!	რ-ი-წ-ო-ლ!	რ-ა-ჰანდა-ო-ლ! რ-ა-ჰანდა-ლ!
რეალური პირობითი კილო	რ-ი-ლ-ანან, რ-ი-ლ-ლი, ფელ'უ-ანან, ფელ'უ-ლი	რ-ი-წ-ანან, რ-ი-წ-ლი	რ-ა-ჰანან-ანან, რ-ა-ჰანან-ლი

ინფინიტივისა და ნაკეთთა დასახელება	საპადურაი დიალექტი		
	ზმნის დადებითი ფორმები		
	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი
ინფინიტივი	რ-ი-ტაა „წასვლა“, რ-ე-ზუა „ყურება“	ცაბუა „წერა“	რ-ე-ბუადა- „დაკვლა“
I მყოფადის წყება:			
მყოფადი კონკრ.	რ-ი-ტა-ლ, რ-ე-ზუ-ლ	ცაბუ-ლ	რ-ე-ბუადა-ლ
მყოფადი ზოგადი	რ-ი-ტაჲ    რ-ი-ტაჲ-ს, რ-ე-ზუჲ    რ-ე-ზუჲ-ს	ცაბუჲ    ცაბუჲ-ს	რ-ე-ბუადაჲ    რ-ე-ბუადაჲ-ს
II აწმყოსა და ნამყოს წყება:			
აწმყო ზოგადი	რ-ე-ტო, რ-ე-ზუ	ცაბ	რ-ე-ბუჲჲ
აწმყო კონკრ.	რ-ი-ტო-ბ, რ-ე-ზუ-ბ	ცაბ-ბო	რ-ე-ბუადა-ბ
ნამყო ძირითადი	რ-ი-ტო-ნ, რ-ე-ზუ-ჲ	ცაბხ-ნ	რ-ე-ბუადა-ნ
ნამყოს აბსოლუტ. (თურმეობითი)	რ-ი-ტო-ჲენ, რ-ე-ზუ-ჲენ	ცაბხ-ენ	რ-ე-ბუადა-ენ
ბრძანებითი კილო II პირისა	რ-ი-ტო! რ-ე-ზუ!	ცაბო!	რ-ე-ბუადა!
ბრძანებითი კილო III პირისა	რ-ი-ტო-ლ! რ-ე-ზუ-ლ!	ცაბო-ლ!	რ-ე-ბუადა-ლ!
რეალური პირობითი კილო	რ-ი-ტო-ნჲჲ, რ-ე-ზუ-ნჲჲ	ცაბ-ნოჲ	რ-ე-ბუადა-ნოჲ

ზემოწარმოდგენილი სქემების შედარება ცხადს ხდის დიდოური ენის დიალექტთა ზმნური ფორმების არცთუ უმნიშვნელო განსხვავებას.

1. მყოფადის წყებაში მყოფადი კონკრ. ნიშნად, ქიდ.-ასახ. დიალექტისაგან განსხვავებით, საპ. დიალექტი -ნ-ს ნაცვლად -ლ-ს გვიჩვენებს, ხოლო მყოფადი ზოგადის -ს ნიშნიან და უაშინიშნო ფორმებს პარალელურად წარმოაჩენს.

2. აწმყოსა და ნამყოს წყებაში ნამყო ძირითადის ნიშნად ქიდ.-ასახ. დიალექტში -სი > -ს გვხვდება, ხოლო საპ. დიალ.-ში კი — -ბ. გარდა ამისა, ქიდ.-ასახ. დიალექტი ნამყოს აბსოლუტივს (თურმეობითს) -ნო (> -ნ) ფორმანტით აწარმოებს, ხოლო საპ. დიალექტი — -ენ ფორმანტით. მასთან, საპ. დიალექტში ხდება ნამყოს აბსოლუტივის ფუძისეული თანხმოვნის გემინაცია.

ზემოთქმულის გარდა, შეინიშნება ფონეტიკური ხასიათის თავისებურებანიც (იხ. სქემები).

6.8.4. **ზმნის უარყოფითი ფორმები.** უარყოფითი ფორმების წარმოების თვალსაზრისით, საჰადური დიალექტი თვალსაჩინოდ განსხვავდება ქიდიროულ-ასახური დიალექტისაგან. თავის მხრივ, ქიდიროულ-ასახური დიალექტიც, კილოკაეებისა და თქმების მიხედვით, მეტად ჰრელ სურათს გვიჩვენებს. თავდაპირველად განვიხილავთ ქიდიროულ-ასახური დიალექტის მონაცემებს, შემდეგ კი საჰადურის ფორმებს გავაანალიზებთ.

აწმყო ზოგადის და კონკრეტული მყოფადის უარყოფითი ფორმების საწარმოებლად გამოიყენება -ჰი ფორმანტი. მასთან, აწმყო ზოგადის წარმოებისას იგი თქმათა ერთ წყებაში უშუალოდ ერთვის ზმნის დადებით ფორმას, თქმათა მეორე წყებაში კი მას წინ უძღვის -ნ, -ენ, -ინ ნაწილაკები. რაჲ შეეხება მყოფადი კონკრეტულის წარმოებას, -ჰი-ფორმანტი ჩაერთვის აუსლაუტის ხმოვანდაგრძელებულ ფუძესა და -ნ სუფიქსს შორის [ბოკარევი 1959, 215-216; იმნაიშვილი 1956, 141-149].

ზემოთქმულის მსგავსად იწარმოება მყოფადი ზოგადის და ნამყო ძირითადის უარყოფითი ფორმები იმ განსხვავებით, რომ აქ ფორმანტად -ჰუ გვევლინება, რომელიც უნაწილაკოდ (ასახ. და შაფიხ. თქ.) ან ნაწილაკებიანად (-ნ-ჰუ, -ენ-ჰუ, -ინ-ჰუ) გვხვდება.

აწმყო კონკრეტულის უარყოფით ფორმას აწარმოებს -წნუ -ანუ სუფიქსად გამოიყენებული მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმა, რომელიც ზმნის დადებით ფორმას უშუალოდ ერთვის, მაგ.: ბიკინ-ანუ „არ მიდის“, ბაწნ-ანუ „არ ქამს“, ქეცხ-წნუ „არ იძინებს“ და მისთ. საჰ. დიალ.-ში ანუ-ს ნაცვლად გამოიყენება -აღ' (- ააღ' „არ არის“), მაგ.: ცახხ-აღ' (< ცახხ-ხო-ააღ') „არ წერს“, რ-ე-ზუხ-აღ' (< რ-ე-ზუხ-ააღ') „არ უყურებს“...

საინტერესო ფაქტს ვაწყდებით შაიტლურსა და ქიდიროულ თქმებში, სადაც ნამყოს აბსოლუტივისა და ნამყოს ხოლმეობითის ფორმათა წარმოება მკაფიოდ განირჩევა — ხოლმეობითი აწმყო კონკრ. მსგავსად იწარმოება, ნამყოს აბსოლუტ. -ჰეჲ სუფიქსს დაირთავს. ასახურ და შაფიხურ თქმებში ზმნის სადა ფუძეს პირდაპირ ერთვის -ჰეჲ სუფიქსი, მაგ.: ნეხ-ენ-ჰეჲ (შაიტლ.), ნეხ-ინ-ჰეჲ (ქიდ.) „არ მოსულა რა“, შდრ.: რ-ი-ეი-ჰეჲ (ასახ., შაფ.) „არ წაუღია რა“...

II პირის უარყოფითი ბრძანებითი აწმყო ზოგადის დადებით ფორმაზე -ნო (> -ნ) სუფიქსის დართვით იწარმოება. ამგვარი ფორმა კი საფუძვლად ედება III პირის უარყოფითი ბრძანებითის წარმოებას. II პირის უარყოფითი ბრძანებითის ნიმუშები: *შაჰი-ნო!* „არ წახვიდე!“, *ტატ-ნო* „არ მოწველო!“...

რეალური პირობითი კილოს უარყოფითი ფორმა იწარმოება -ენ-ჰი-, -ინ-ჰი-, -ენ-ჰი-, -ინ-ჰი- ინფიქსისა და > -ნაჲ, -ნაჲ, -ნაჲ, -ლ'ი (-ლ'იინი) სუფიქსების საშუალებით, რომლებიც საუღვლებელ ფუძესა

და დადებით ფორმათა სუფიქსს შორის ჩაერთვიან.

ირეალური პირობითი კილოს უარყოფითი ფორმა იწარმოება ძირითადი ნამყოს უარყოფითი ფორმისა და მეშველი („არის“) ზმნის რეალური პირობითის ურთიერთშეხამებით.

საპადურ დიალექტში განსხვავებას ქმნის მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმა **მაღ'** („არ არის“), რომელიც ენკლიტიკურად მიერთვის აწმყო კონკრეტულის მზა ფორმას და გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: **მაღ'** > **აღ'**. მასთან, რ-ა-წ-ხო-მაღ' („არ ვკამ“) და რ-ა-წ-ბ-აღ' („არ ვკამ“) პარალელურად გვხვდება, რომელთაგან აღწერითი ფორმა (რ-ა-წ-ხო-მაღ') კატეგორიულ მნიშვნელობას მოკლებულია.

აწმყო ზოგადის ფორმანტად -ა დასტურდება. მყოფადი დროების უარყოფითი ფორმები -ჭუ სუფიქსის საშუალებით იწარმოება, ხოლო უარყოფითი ნამყო ძირითადის საწარმოებლად რთული -წ-ჭუ სუფიქსი გვხვდება.

ნამყოს აბსოლუტივის უარყოფითი ფორმა იწარმოება საუღვლებელი ფუძისაგან -ჭი სუფიქსის დართვით.

რეალური პირობითი კილოს უარყოფითი ფორმა იწარმოება -მაღ'ირი, -ნაღ სუფიქსებით, რომელიც საუღვლებელი ზმნის ფუძეს უშუალოდ დაერთვიან.

ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება სქემატურად შემდეგნაირად გამოიხატება:

ინფინიტივისა და ნაკეთა დასახელება	ქიდიროულ-ასახური დიალექტი	საპადური დიალექტი
ინფინიტივი	რ-ი-კა „წასელა“	რ-ი-ტა „წასელა“
I. მყოფადის წყება:		
მყოფადი კონკრეტ.	რ-ი-კა-ჭი-ნ	რ-ი-ტა-ჭუ
მყოფადი ზოგადი	რ-ი-კა-ჭუ-ს, რ-ი-კა-ნ-ჭუ-ს (დიალ. ვარ.)	რ-ი-ტა-ჭუ
II. აწმყოსა და ნამყოს წყება:		
აწმყო ზოგადი	რ-ა-კი-ნ-ჭი, რ-ა-კი-ჭი	რ-წ-ტა-მა
აწმყო კონკრეტული	რ-ი-კი-ბ-წუ, რ-ი-კი-ბ-წუ (დიალ. ვარ.)	რ-ი-ტა-ბ-აღ'    რ-ი-ტა-ბ-აღ'
ნამყო ძირითადი	რ-ი-კი-ნ-ჭუ-ს, რ-ი-კი-ჭუ-ს (დიალ. ვარ.)	რ-ი-ტა-წ-ჭუ
ნამყოს აბსოლუტივი (თურმეობითი)	რ-ი-კი-ნ-ჭე-მ, რ-ი-კი-ჭე-მ (დიალ. ვარ.)	რ-ი-ტა-ჭი
ბრძანებითი კილო	რ-ა-კი-ნო	რ-ა-ტა-ნო
II პირისა		



ბრძანებითი კილო III პირისა	რ-წ-კინო-ლ'	რ-წ-ტონო-ლ'
რეალური პირობითი კილო	რ-ი-კინჟი-წმ, რ-ი-კიჟი-წმ, რ-ი-კინჟი-ლი (დიალ. ვარ.)	რ-ი-ტო-მწლ'ირი    რ-ი-ტოჟი-წმ

6.8.5. ზმნის კითხვითი ფორმები. დიდოურ ენაში კითხვითი ფორმები იწარმოება -მა ნაწილაკით, რომელიც სათანადო ფორმებს სუფიქსად მოუდის.

მყოფადის წყებასა და აწმყო კონკრეტულის თანხმონით დასრულებულ ფორმებზე -მა ნაწილაკის დართვისას ასეთი სურათი წარმოჩნდება: ქიღიროულ თქმაში — -წ, ასახურ თქმაში — -წ, შაფხურში — -წ, შაიტლურ თქმასა და საჰადურ დიალექტში — -წ. საჰადურ დიალექტში მა > წ ხორციელდება მყოფადი კონკრეტულის, ნამყო ძირითადის, აწმყო ზოგადის დადებით ფორმებსა და აწმყო კონკრეტულის უარყოფით ფორმაში, მაგ.: ქიდ. რ-ა-წან-წ? „შექამს?“, რ-ა-წანჟუს-წ? „არ შექამს?“, რ-ა-წ-წ? „ქამს?“...; საჰ.: რ-ი-ტალ-წ? „წავიდა?“, რ-ი-ტატო-წ? „წავიდა?“, რ-წ-ტო? „დადის?“, რ-ა-წნალ'-წ? „არ ქამს?“ და მისთ.

ხმონით დაბოლოებულ ფორმებზე -მა ნაწილაკის დართვისას ეუძის აუსლაუტში თანხმონათგამყარის ფუნქციით სონანტები (ქიდ.-ასახ. მ, საჰ. ჟ) იჩენს თავს. გარდა ამისა, ხდება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: უ+მა>წ (ქიდ.-ასახ.), -წ (შაიტლ.), თ+მა>წ (ქიდ.), -წ (შაიტლ.), -წ (შაფ.), -წ (ასახ.), მაგ.: რ-ე-ხუ-წ? „მომკვდარა?“, რ-ე-ხუ-წ-წ? „არ მომკვდარა?“, რ-ი-ჟი-წ? „არ წაილო?“, რ-ა-წ-წ-წ? „არ შექამს?“, რ-წ-წ-წ? „არ ქამს?“, „არ შექამს?“ და მისთ.

საჰადურ დიალექტში ხდება შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნები: თ+მა>წ, ა+მა>წ, თ+მა>წ, უ+მა>წ. მაგალითები: რ-წტო? „დადის?“, რ-ე-ხუ-წ? „კვდება?“, რ-ი-ტე-წ-წ? „არ წავიდა?“ და მრ. სხვ.

6.9. ზმნური სიტყვაწარმოება. წარმოქმნის ზმნური კატეგორიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გვარის მორფოლოგიური კატეგორია, რომელსაც აქამდე წინამორბედი მკვლევრები ცალკე არ გამოყოფდნენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიდოურ ენაში გვარის მორფოლოგიური კატეგორია ძირითადად ჩამოყალიბებულია და მას დიდოური ენის მორფოლოგიაში ცალკე ადგილი უნდა მიეჩინოს. გარდა ამისა, გამოიყოფა კაუზატივის, პოტენციალისის, მრავალგზისობის მორფოლოგიური კატეგორიები. ზმნის დერევატიაში დიდ როლს ასრულებს კომპოზიცია.

6.9.1. გვარის მორფოლოგიური კატეგორიისათვის. დიდოუ-  
რი ზმნის სტაბილური ბუნებიდან გამომდინარე, რაც მეორეულ  
მოვლენად მიიჩნევა [იმნაიშვილი 1963, 257], გვარს მოეპოვება ორგანუ-  
ლი წარმოება შემდეგი სუფიქსებით: -კ (მოქ.), -ლ' (ვნ.). ყველაზე  
მკვეთრად მოქმედებითი და ვნებითი გვარის, როგორც ბინარული ოპო-  
ზიციის, თავისებურება ნასახელარ ზმნათა წარმოებაში მქლავდება  
[არდოტელი 2000, 24]. საილუსტრაციო მაგალითები:

სახელი	ზმნა
ატიჲ „სველი“	ატი-კ-ხო (მოქ.) „ასველებს“
	ატი-ლ'-ხო (ვნ.) „სველდება“
როქიჲ „ცივი“	როქი-კ-ხო (მოქ.) „აცივებს“
	როქი-ლ'-ხო (ვნ.) „ცივდება“
ბმაყ'ჲ „ბევრი“	ბმაყ'ი-კ-ხო (მოქ.) „ამრავლებს“
	ბმაყ'ი-ლ'-ხო (ვნ.) „მრავლდება“
წუდა „წითელი“	წუდი-კ-ხო (მოქ.) „აწითლებს“
	წუდი-ლ'-ხო (ვნ.) „წითლდება“
მაჯ'ი „შორს“	მაჯ'ი-კ-ხო (მოქ.) „აშორებს“
	მაჯ'ი-ლ'-ხო (ვნ.) „შორდება“

და მრ. სხვ.

გვარის ორგანული წარმოება ხელშესახებია ძირეულ ზმნათა ერთ  
წყებაშიც, მაგ.: ქარი-კ-ხო „აღვიძებს“ — ქარი-ლ'-ხო „იღვიძებს“, ეკ-ბო-  
კე-კ-ხო „ანჭლრევს“ — ეკ-ბოკელ'-ხო „ინჭლრევა“, პალ'ი-კ-ხო „ათრობს“ —  
პალ'ი-ლ'-ხო „თვრება“, რ-ე-ცუ-კ-ხო „ამთავრებს“ — რ-ე-ცუ-ლ'-ხო „მთავ-  
რდება“, დო-კე-კ-ხო „იტაცებს“ — დო-კელ'-ხო „იყარგება“, „უჩინარდება“,  
რ-ე-ქუ-კ-ხო „ანგრევს“ — რ-ე-ქუ-ლ'-ხო „ინგრევა“, ჰიში-კ-ხო „ხურავს“ —  
ჰიში-ლ'-ხო „იხურება“, რიჩი-კ-ხო „არჩმს“ — რიჩი-ლ'-ხო „არჩება“, და მისთ.

ვნებითი გვარის ფორმა, რომელიც პოტენციალის სემანტიკასაც შეიცავს, შეიძლება იწარმოოს ძირეული გარდამავალი ზმნისაგან -ლ' ფორმანტის დართვით, მაგ.: ქოსი-ხ „თიბავს“ — ქოსი-ლ'-ხო „ითიბება“ (ვნ.) — „თიბვა შეიძლება“ (პოტ.), ბა-წ-ხო „ჰამს“ — ბა-წე-ლ'-ხო „იკმება“ (ვნ.) — „იკმევა“ (პოტ.), რ-ო-ლი-ხ „ართმევს“ — რ-ო-ლი-ლ'-ხო „ერთმევა“ (ვნ.) — „წართმევა შეიძლება“ (პოტ.), რეკ-ხო „ჰრის“ — რეკე-ლ'-ხო „იკრება“ (ვნ.) — „ჰრა შესაძლებელია“ (პოტ.) და მისთ.

6.9.2. **კაუზატივი**. **კაუზატივი**, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ (6.3.), იწარმოება საუღვლებელი ფუძისაგან -ერ > || -რ ფორმანტის დართვით, მაგ.: რა-წ-ხო „ჰამს“. რა-წ-ერ-ხო „აკმევს“, რ-ე-ხუ-ხ „კვდება“ — რ-ე-ხუ-ერ-ხო (საპ.) „კლავს“, ქეც-ხო „წეება“ — ქეც-ერ-ხო „აწვენს“, ცახ-ხო „წერს“ — ცახ-ერ-ხო „აწერინებს“, რ-ი-ჩი-ხ „იწყობება“ — რ-ი-ჩი-რ-ხო „აწყობებს“, „აჩერებს“, რ-ი-ჭი-ხ „თხრის“ — რ-ი-ჭი-რ-ხო „ათხრევენებს“, შუში-ხ „კრძალავს“, „ასაფლავებს“ — შუში-რ-ხო „აკრძალევენებს“ და მრ. სხვ.

კაუზატივის სუფიქსთა ხმოვნითი ელემენტები ინფინიტივისა და ზოგი სხვა დროის ფორმაშიც მეზობელი მარცვლის მახვილის გავლენით რედუცირდება ან სხვა ფონეტიკური ცვლილება მოუდის, მაგ.: ცახ-რა (< ცახ-ერ-ა, შდრ. აწმყ. ცახ-ერ-ხო) „დაწერინება“, რა-წ-რა (< რა-წ-ერ-ა, შდრ. აწმყ. რა-წ-ერ-ხო) „შეკმევა“ და სხვ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ დიდოუ-რი ზმნა მხარს უჭერს კაუზაციის ცნების ფართო გაგებას — გარდაუვალი ზმნიდან სათანადო ფორმანტის დართვით ვიღებთ პირველად **კაუზატივს** (resp. გარდამავალ ზმნას), რომელსაც ზოგი მკვლევარი ფაქტიტივსაც უწოდებს [ბურკულაძე 1998, 87, 93]. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის მოქმედება უშუალოდ გადადის პირდაპირ ობიექტზე, ე. ი. მოქმედება ხდება შინაგანი იძულებით, რასაც გარკვეული მიზეზი (ლათ. causa) უდევს საფუძვლად. გარდამავალი ზმნის კაუზატივი (resp. მეორეული კაუზატივი) იმით განსხვავდება პირველადი კაუზატივისაგან, რომ იძულება ეხება ირიბ ობიექტს (resp. ობიექტებს), რომელიც ჩვეულებრივ ლოკატიურ ბრუნვაში დაისმის, მაგ.: ნესწ (RS<sup>mid</sup>) ქერერსი ნელაწ (O<sup>mid</sup>) უყი (O<sup>d</sup>) — მან დააწვენინა მას ვაყი; ხანწ (RS<sup>mid</sup>) ქერერხო ზოუსი ლანაზაწ (O<sup>mid</sup>) ცირაბი (O<sup>d</sup>) — მეფე ათქმევი-ნებდა (ზედმიწ. „ასროლინებდა“) ქალებს სახელებს („სახელები“).

საყურადღებო ფაქტია, რომ გარდაუვალი ზმნის პირველადი კაუზატივის ფუძეზე -ერ ფორმანტის ხელმეორედ დართვით (კაუზატივის ფორმანტის რედუპლიკაციით) იწარმოება **მეორეული კაუზატივი** (resp. შუალობითი გზა), ხოლო გარდამავალი ზმნის კაუზატიურ ფუძე-

ზე -ერ ფორმანტის დართვით — მეორეული კაუზატივი (resp. ორმაგად გარდამავალი ზმნა) [ზვიადაური 1990, 220]. უთუოდ საინტერესოა, რომ ორინიციატორიან კაუზატიურ კონსტრუქციაში პირველი ირიბი ობიექტი იქნება ინიციატორი ( $O^{init}$ ), ხოლო მეორე ირიბი ობიექტი იმავე ლოკატიური ბრუნვის ფორმით იქნება ექსეკუტორი, რაც თავისთავად სვამს ამ ირიბი ობიექტების ფუნქციური სხვადასხვაობის საკითხს, მაგ.: მალა-რასადანა ( $RS^{init}$ ) ცალ-ს ხალციმოც ( $O^{ind}$ ) წიკიუ ბეტა ( $O^d$ ) ბოწო ( $O^{ind}$ ) რ-ა-წ-რ-ერ-ნო [იმნაიშვილი 1963, 260] „მოლა ნასრედინმა სოფლის ხალხს მთელი ცხვარი მგელს შეაკმევიანებინა“.

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა კაუზატიური წარმოების პარალელიზმი, ფორმულის სახით, ასე გამოიხატება: ა) გარდაუვალი ზმნის ფუძე + კაუზატივის ფორმანტი -ერ (პირველადი კაუზატივი) + -ერ (მეორეული კაუზატივი); ბ) გარდამავალი ზმნის ფუძე + კაუზატივის ფორმანტი -ერ (პირველადი კაუზატივი) + ერ (მეორეული კაუზატივი, resp. შუალობითი გზა). საილუსტრაციო მაგალითები: ქეც-ხო „წევს“, „სძინავს“ — ქეც-ერ-ხო „აწვენს“, „აძინებს“ — ქეც-ერ-ერ-ხო „აწვენიებს“, „აძინებინებს“, რ-ა-წ-ხო „კამს“ — რ-ა-წ-ერ-ხო „აკმევს“ — რ-ა-წ-ერ-ერ-ხო „აკმევიანებს“, ცახ-ხო „წერს“ — ცახ-ერ-ხო „აწერიანებს“ — ცახ-ერ-ერ-ხო „აწერიანებინებს“ და მისთ.

იტერატიული სემანტიკის შემცველ ზმნებში კაუზატივი აღწერილად იწარმოება ქუჩირა მეშველი ზმნის საშუალებით, რომელსაც დ. იმნაიშვილი ცალკე წერს, მაგ.: ესანა ქუჩირა „ბანავებინება“ [იმნაიშვილი 1963, 170].

ჩვენი დაკვირვებით, ზემონახსენები ფორმები ერთ მთლიან ოდენობად აღიქმება და მათი შერწყმის ტენდენცია ხელშესახებია, მაგ.: რეშნაქუჩირა „დადებინება“ შუტნაქუჩირა „დავიწყებინება“, კეცელ'ნა-ქუჩირა „შარის მოდებინება“, ჰარშაქუჩირა „დაჯანგებინება“, კეშანა-ქუჩირა „თამაშებინება“ და ა. შ.

ამ ტიპის ზმნები კაუზატივს ორგანულადაც იწარმოებენ, მაგ.: ქოსანა-ხო „თიბავს ხოლმე“ — ქოსანა-ერ-ხო „ათიბვინებს ხოლმე“, კეშანა-ხო „თამაშობს ხოლმე“ — კეშანა-ერ-ხო „ათამაშებს ხოლმე“ და მისთ.

6.9.3. პოტენციალისის ხაკითხისათვის. პოტენციალისის საწარმოებლად გვაქვს ბიფუნქციური -ლ', ფორმანტი, რომელიც ვნებითი გვარის საწარმოებლადც გამოიყენება. ამ სუფიქსის წინ თანხმოვანფუძიანი ზმნები გამოავლენენ ფუნქციადაჩრდილულ ხმოვნებს (ო ან ე), რომლებიც ისეთსავე ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან, როგორსაც კაუზატივისა (-რ) და მოქმედებითი გვარის (-კ) ფორმანტთა წინ [იხ. 6.9.1.; 6.9.2.]. მასთან, ზემოაღნიშნულმა სუფიქსმა პოტენციალისი შეიძ-

ლება აწარმოოს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნისაგან, მაგ.: რ-ი-შ-ხო ჭამს" — რ-ი-შ-ელ-ხო ექმევა", რ-ი-კი-ხ „მიღის“ — რ-ი-კი-ლ-ხო წაესვლება“ და მისთ.

6.9.4. მრავალგზისობის გამოხატვა. იტერატიული სემანტიკის ზმნების საწარმოებლად გამოიყენება -ნა- ინფიქსი, რომელიც უმთავრესად III ტიპის ზმნებში გვხვდება, მაგალითად: ესადა „დაბანა“ — ესანა-და „ბანაობა ხშირად“, ჯალ-ა „ყვირილი“ — ჯალანა-და „ყვირილი ხშირად“, ცახუ-ა „წერა“ — ცახანა-და „ხშირად წერა“, კელა-ა „ძებნა“ — კელანა-და „ძებნა ხშირად“ და მისთ.

ზემოწარმოდგენილი -ნა- ინფიქსის ჩართვა ზოგჯერ დაექვევებასაც (მოქმედების შესრულების ალბათობასაც) გამოხატავს: რ-ი-კა „წასვლა“ — რ-ი-კა-ნა-და „წასვლა თუ წაუსვლელობა“, შუტ-ა „დავიწყება“ — შუტანა-და „დავიწყება თუ არდავიწყება“...

ზოგ თქმაში -ნა- ინფიქსის ნაცვლად -ნო- დასტურდება, მაგ.: ესირ-ნო-და „მათხოვრობა“, ეშ-ნო-და „ეონება“, „დენა“ და სხვ.

6.9.5. ფუძევაორკეცებული ზმნები. ზმნურ ფუძეთა გაორკეცებით გამოიხატება განგრძობითობა, მოქმედების მრავალგზისობა და ინტენსივობა. ხდება როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ ფუძეთა რედუბლიკაცია და კომპოზიციის საილუსტრაციო მაგალითები: რექ-რექ-ა „დანაუწყება“ (რექ-ა „დაქრა“), როკ-როკ-ა „ბევრჯერ დარტყმა“ (როკ-ა „დარტყმა“), რეხუ-რეხუ-ა „დამტყრევა“ (რეხუ-ა „შოკვლობა“), ჟეკ-როკუ-ა „ცემა-ტყევა“ (ჟეკუ-ა „ცემა“+როკუ-ა „დარტყმა“), რიკი-ნენ-ა „სიარული“ (ზედმიწ. „წასვლა-მოსვლა“), როხი-რიკ-ა „გაცლა“, „წასვლა“ (რიკ-ა „წასვლა“ — როხ-ა „გაცლა“), თელ-რის-ა „ვაჭრობა“, „აღებ-მიცემა“ (თელ-ა „მიცემა“ III ბ. — რის-ა „აღება“, ყიდვა“) და სხვ.

სპორადულად გვხვდება ისეთი ზმნური კომპოზიტები, რომლებშიც მეორე კომპონენტი ცალკე აღარ იხმარება: ლ'აჰუ-ტაჰუ-ა „ტყავის უმაღლესობა“ (ტაჰუ-ა ცალკე არ იხმარება).

თავს იჩენს ისეთი ზმნური კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტს რაიმე კონკრეტული შინაარსი აღარ გააჩნია: ცახ-რახ-ა „წერის ამოწურვა“ (ზედმიწ. „წერა-მერა“), ქურ-რეკ-ა „დაკარგვა“, „მიმოხევა“ (ზედმიწ. „სროლა“-?) და მისთ.

6.10. ნაზმნარი სახელები. დიდოურ ენაში ნაზმნარი სახელებიდან დასტურდება მიმღეობა და მასდარი.

მიმღეობა, როგორც ნაზმნარი ზედსართავი სახელი, ფორმათა

მრავალფეროვნებითა და ფუნქციითა სიმრავლით გამოირჩევა. მასთან, მიმდებარე ფორმებში აისახება სახელმწიფო გრამატიკული კლასის პრეფიქსული ექსპონენტები, რომლებიც მათ ზმნიდან უცვლელად გადაჰყვება სუბიექტის ან ობიექტის აღსანიშნავად. მიმდებარე სუფიქსად მოქმედი კლასის ნიშნები ამჟამად აღარ მოეპოვება. გარდა ამისა, მიმდებარე განარჩევს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიას, რომლის წარმოება ზედსართავთა ანალოგიურია (იხ. 6.10.2.).

6.10.1. მასდარი. მასდარის ფუნქციით ძირითადად ნაზმნარი აბსტრაქტული სახელი და მიმდებარე გამოიყენება. მასდარის წარმოება დეფექტურია — საჰაღურ დიალექტში მას საკუთარი ფორმა აქვს, თუმცა აქაც მისი დერივაცია ბოლომდე არ არის გატარებული.

დიდოური ენის ქიდიროულ-ასახურ დიალექტს მასდარის საკუთარი ფორმები, თუ არ გავითვალისწინებთ მათ სპორადულ პოენიერებას, არ მოეპოვება. ამ დიალექტში მასდარის ფუნქციას ძირითადად ასრულებს ნაზმნარი აბსტრაქტული სახელი და მიმდებარე [იშნაიშვილი 1963, 235-239].

ნაზმნარი აბსტრაქტული სახელი იწარმოება შესაბამისი დროის მიმდებარე ფორმაზე -ლ-ის სუფიქსის დართვით, მაგ.: რ-ოკერუ-ლი „მოტაცება“, ქანკრუ-ლი „ძილი“, რ-აკირუ-ლი „წასვლა“.

ქიდიროულ-ასახურ დიალექტში სპორადულად დასტურდება ზმნის სადა ფუძეზე -ნი სუფიქსით ნაწარმოები მასდარული ფორმები, მაგ.: ნაწა-ნი „ღიმილი“, ცახ-ნი „წერა“, ხაფ-ნი || ჰაფ-ნი „ყეფა“, როლ-ნი-რაწ-ნი „წეწვა-გლეჯა“ (ზედმიწ. „გლეჯა-ჰამა“).

უნდა აღინიშნოს, რომ საჰაღურ დიალექტში ხელშესახებად არის წარმოდგენილი მასდარული ფორმები, რომლებიც იწარმოებიან ზმნის ფუძეზე -ნი სუფიქსის დართვით და მწყობრ სისტემას ქმნიან, მაგ.:

## I ტიპი

### I ქვეტიპი

აწმყ. კონკრ. — მასდარი

რიფი-ხ „მიჰყავს“ — რიფი-ნი „წაყვანა“

ხეცი-ხ „უშვებს“ — ხეცი-ნი „გაშვება“

კოლი-ხ „ხტება“ — კოლი-ნი „ხტომა“

ხუხი-ხ „ჩეჩავს“ — ხუხი-ნი „ჩეჩავა“

### II ქვეტიპი

აწმყ. კონკრ. — მასდარი

რესუ-ხ „პოულობს“ — რესუ-ნი „პოვნა“

რიპუ-ხ „გრებს“ — რიპუ-ნი „გრება“

## II ტიპი

აწმყ. კონკრ. — მასდარი

რაწ-ხო „ჰამს“	— რაწ-ნი „ჰამა“
რის-ხო „იღებს“	— რის-ნი „აღება“
ქეც-ხო „წევს“	— ქეც-ნი „წოლა“
ქურ-ხო „ტყორცნის“	— ქურ-ნი „ტყორცნა“

## III ტიპი

აწმყ. კონკრ. — მასდარი

რიქჷაე-ხო „ხედავს“	— რიქჷაე-ნი „ხედვა“
რეჰნაე-ხო „დადის“	— რეჰნაე-ნი „სიარული“
ესირნაე-ხო „მათხოვრობს“	— ესირნაე-ნი „მათხოვრობა“
გურანაე-ხო „ყმუის“	— გურანაე-ნი „ყმუილი“...

მიმღეობისა და მასდარის ფორმათა ნაკლებად დიფერენცირება ნიშანდობლივია დიდოური ენისთვის.

6.10.2. მიმღეობის წარმოება. აწმყოს მიმღეობა აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მთქმელის თანდასწრებით ხდება, ანდა ისეთს, რომელიც ამ წუთას არ ხდება, მაგრამ ახლო მომავალში იგულისხმება მისი განხორციელება.

1) აწმყოს მიმღეობის წარმოება. აწმყოს მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება აწმყო კონკრეტულის ფორმაზე -სი მათრიბუტივებელი ფორმანტის დართვით: რ-ი-კიხო-სი „მიმავალი“, ცახხო-სი „მწერალი“...

დასტურდება აგრეთვე დროული მიმდევრობის გამოშნატველ ფორმაზე -სი სუფიქსდართული აწმყოს მიმღეობა, რომელიც მეტად კონკრეტული სემანტიკისაა, მაგ.: რ-ი-ზიტხო-სი (შდრ. რ-ი-ზიტა „ადგომაზე“) „აძღვომი“, ნებტო-სი (შდრ. ნებტო „მოსვლაზე“) „მომავალი“ და სხვ.

აწმყოს მიმღეობის უარყოფითი ფორმები იწარმოება აწმყო კონკრეტულის უარყოფითი ფორმისაგან -სი სუფიქსის მეშვეობით, სახელდობრ: ქიდ-ასახ. რ-ნბრნუ-სი „უცოდინარი“, რ-აწზრნუ-სი „უქმელი“, ლ'ზბანუ-სი „ვაუთავებელი“...; საპ. რ-აწზალ'-სი „უქმელი“, ცახხნალ'-სი „დაუწერელი, რაც არ იწერება“ და ა. შ.

2) ნამყოს მიმღეობის წარმოება. წარმოების თვალსაზრისით, ნამყოს მიმღეობა შეიძლება სამ ტიპად დაიყოს: ა) -სი სუფიქსიანი, ბ) -რუ სუფიქსიანი და ვ) -ლი სუფიქსიანი.

1) ნამყოს მიმღეობა I (-სი სუფიქსიანი) იწარმოება ნამყო ძირითადის არქაულ ფორმაზე -სი სუფიქსის დართვით. მასთან, მატრიბუტივებელი -სი ფორმანტის წინ სხვადასხვა დიალექტსა თუ თქმაში ჩაერთვის ა, ა, ე, ი, ი ხმოვნები, რომლებიც გენეზისურად ნამყო ძირითადის არქაული ფორმის ნიშნებს წარმოადგენენ. დიალექტებისა და თქმების მიხედვით, მიმღეობის ფორმანტთა დისტრიბუცია ასეთია: ქიდ. -ა-სი, შაიტლ. -ო-სი, საპ. -ე-სი, ასახ. -ა-სი. საილუსტრაციო მაგალითები: რ-ო-კეტი „მოტაცებული“, „მოპარული“, რ-ი-ლ-ა-სი „მგავსი“, ლებან-სი „დარჩენილი“. შიმშ-სი „დაძარხული“, რ-ი-ქ-ა-დ-ა-სი „დანახული“ და მრ. სხვ.

ნამყოს მიმღეობა I იხმარება დამოუკიდებლადაც და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც, რომელშიც მას აწმყოსა და ნამყოს შედეგობითის მნიშვნელობაც აქვს.

ნამყოს მიმღეობა I-ის უარყოფითი ფორმები იწარმოება ინფინიტივისაგან -ნი || -ნი-სი (ქიდ.-ასახ.), -ლო || -ლო-სი (საპ.) სუფიქსების მეშვეობით, მაგ.: რ-ი-შ-ანი || -ნი-სი „უქმელი“, ქოს-ანი || -ნი-სი „მოუთიბავი“, რ-ი-კ-ანი || -ნი-სი „წაუსვლელი“, ქეც-ანი || -ნი-სი „დაუძინებელი“...; რ-ე-შ-ა-ლო || -ლო-სი „გაუკეთებელი“, ცახ-ა-ლო || -ლო-სი „დაუწერილი“, რ-ა-ყ-ა-ლო || -ლო-სი „მოუსვლელი“ და სხვ.

საპადურ დიალექტში ცახვალო („დაუწერილი“) ტიპის ფორმებს მყოფადის მიმღეობის მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ იმავდროულად ნამყოს უარყოფითი მიმღეობის ფუნქციითაც გამოიყენება. ამ მხრივ ისინი ქიდ.-ასახ. დიალექტის რიკანი („წაუსვლელი“) ტიპის მიმღეობას ეთანაბრებიან.

ბ) ნამყოს მიმღეობა II (-რუ სუფიქსიანი) იწარმოება აწმყო ზოგადი ფორმისაგან -რუ სუფიქსის დართვით, მაგ.: რ-ა-თი-რუ „შეყვარებული“, რ-ე-რ-უ „გაკეთებული“, ქეც-რუ „დაძინებული“, ცახ-რუ „დაწერილი“, ქოსალ-რუ „მოთიბული“ და მისთ.

ნამყოს მიმღეობა II უარყოფითი ფორმები ქიდროულ-ასახურ დიალექტში იწარმოება აწმყო ზოგადის უარყოფით ფორმაზე -რუ სუფიქსის დართვით (რ-აკიტი-რუ „წაუსვლელი“, ცახტი-რუ „დაუწერილი“...), საპადურ დიალექტში კი — აწმყო ზოგადის დადებით ფორმებისაგან -ერ-ჰუ, -ელ-ჰუ სუფიქსის საშუალებით (რ-ეშ-ე-ლ-ჰუ „უყურები“, რ-აწ-ერ-ჰუ „უქმელი“...).

გ) ნამყოს მიმღეობა III (-ლი სუფიქსიანი) ეყრდნობა ინფინიტივის ფორმას, რომელსაც უშუალოდ ერთვის -ლი სუფიქსი: რ-ი-კ-ალი „წასული“, ცახვ-ალი „დაწერილი“, ქეც-ალი „დაძინებული“ და მისთ.

ამ ტიპის მიმღეობა აღნიშნავს უნახვ, სავარაუდო მოქმედებას, როცა მოქმელი დაქვევებულია მომხდარის სინამდვილესა და უტყუარობაში.



3) **მყოფადის მიმღეობის წარმოება.** მყოფადის მიმღეობა იწარმოება მიზნის ზმნისართისაგან -სი მაადიექტივებელი ფორმანტის დართვით [ზვიადური 1989, 139-141]. საილუსტრაციო მაგალითები: ქიდ.-ასახ.: ნეზვანიჩ-სი „მოსასვლელი“, ჟეკვანიჩ-სი „საცემი“, ცახუანიჩ-სი „საწერი“... ასახურ თქმაში მიმღეობის ფუძედ გამოყენებული მიზნის ზმნისართი აუსლაუტში -ჩ სონორის ნაცვლად -ჩ-ს გვიჩვენებს, მაგ.: ტეტრანიჩ-სი „სასწავლი“, რ-ე-ხუადანი-ჩ-სი „დასაკლავი“, რ-ო-ღუანი-ჩ-სი „მოსახსნელი“ და სხვ. მისთ.

საშადურ დიალექტში ზემოხსენებულ ფორმათა ბადლად დასტურდება შემდეგი ფორმები: რ-ე-ხუალორ-სი „მოსაკელომი“, რ-უ-ვალორ-სი „გასაკეთებელი“, რ-ა-ყალორ-სი „მოსასვლელი“ და ა. შ.

ქიდიროულ-ასახურ დიალექტში თავს იჩენს ინფინიტივისა და აწმყოს მიმღეობის შესიტყვებით მიღებული აღწერითი ფორმებიც: ქურა რადხოსი „გასასროლი“ (ზედმიწ. „სროლა მომავალი“), როდა რადხოსი „გასაკეთებელი“ (ზედმიწ. „გაკეთება მომავალი“) და მისთ.

მყოფადის მიმღეობას აქვს აუცილებლობითი შინაარსი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

4) **მიმღეობის იშვიათი ფორმები.** დიდოურ ენაში ძალიან იშვიათად იხმარება პოტენციალისის სემანტიკის აწმყოს მიმღეობის ფორმები, რომლებიც კონკრ. აწმყოს ფორმისაგან -ჟ, -მ, -ჩ (დიალ. ვარ.) სუფიქსებით იწარმოება: რისალ'ზო-ჟ „ასალები, საყიდი, რისი აღება, ყიდვა შესაძლებელია“, რეხუალ'ზო-მ „მომაკედავი“, რაწალ'ზო-რ „საკმე-ლი, რისი ჭამაც შეიძლება“ და მისთ.

ასახურ თქმაში შეინიშნება -მ-უ სუფიქსით დასრულებული ნამყოს მიმღეობური ფორმები, რომლებიც ფუძედ აწმყო კონკრეტულის ფორმას იყენებს: როზიხო-მ-უ „გაქეული“, „გადახვეწილი“, რიკიხო-მ-უ „წასული“, ციმ რიზიხო-მ-უ „გაბრაზებულნი“...

დიდოურ ენაში ხელშესახებია მიმღეობის გასუბსტანტივების ტენდენცია. ამას ნათელყოფს იტერატიული სემანტიკის ზმნური ფუძეებისაგან -კუ, -მუ, -წუ და -ხუ სუფიქსებით ნაწარმოები მიმღეობა-სუბსტანტივები, რომელთა შესახებ ზევით უკვე გვქონდა საუბარი [5.2.1].

ზემოწარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე რიკა („წასვლა“) ზმნის მიმღეობის ძირითად ფორმათა წარმოება სქემის სახით ასე გამოიხატება:

მიმღებობის დროული ფორმები	ა. ქიდიროულ-სახური დიალექტი		ბ. სპადური დიალექტი	
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
აწმყო-მყოფ. მიმღებობა	რ-ი-კიხო-სი	რ-ი-კიხანჟ-სი	რ-ი-ტოხო-სი	რ-ი-ტოხბლ'სი
ნამყოს მიმღებობა I	რ-ი-კან-სი	რ-ი-კან-ი    რ-ი-კან-ნი-სი	რ-ი-ტეჟ-სი	რ-ი-ტალ-ო    რ-ი-ტალ-ო-სი
ნამყოს მიმღებობა II	რ-ა-კი-რჟ	რ-ა-კიჟი-რჟ	რ-ეტო-რჟ	რ-ეტოხე-რ.ჟ
ნამყოს მიმღებობა III	რ-ი-კა-ლი	—	რ-იტა-ლი	—
მყოფადის მიმღებობა	რ-ი-კანირ-სი	—	რ-იტალორ-სი	—

5) განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა მიმღებობაში. მიმღებობა, ზედსართავი სახელის ანალოგიურად, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას განარჩევს სათანადო ფორმაზე -ნი სუფიქსის დართვით [ზვიადური 1990, 7], მაგ.: რ-ი-კიხო-სი „მიმავალი“ — რ-ი-კიხო-სი-ნი „სახელდობრ ის, რომელიც მიმავალია“, ქეცხო-სი „მძინარე“ — ქეცხო-სი-ნი „სახელდობრ ის, რომელიც მძინარეა“, ცახხო-სი „მწერალი“ — ცახხო-სი-ნი „სახელდობრ ის, რომელიც მწერალია“ და მისთ.

6. 10. 3. მიმღებობის ფუნქციები. იმის მიხედვით, თუ მიმღებობა წინადადებაში როგორ გამოიყენება, მასში პირობითად შეიძლება გაირჩეს: 1) ძირითადი და 2) არაძირითადი ფუნქციები.

1) ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: ა) ატრიბუტული, ბ) სუბსტანტიური და გ) პრედიკატული.

დიდოურ ენაში მიმღებობა ძირითადად არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოიყენება: თუფი ქურბოხსი აპო მ-აჟს „თოფის მსროლელი კაცი მოვიდა“. ხანდახან იგი შეიძლება არსებითი სახელის ფუნქციითაც შეგვხვდეს, მაგ.: ელულ' თელ'ემ როკკემსი რიჩა რამ „ჩვენ შორის უნდა იყოს ქურდი (ზედმიწ. „მომპარავი“)“.

აწმყოსა და ნამყოს მიმღებობებს შესიტყვეებაში ძირითადად ვერბალურ-პრედიკატული ფუნქცია მოეპოვებათ, მაგ.: ელუს ჰონჯო ხალყი ლირბაბი რეთიხოსი „ჩვენთან, მთაში ხალხს სტუმრები უყვარს (ზედმიწ. „სტუმრები მოყვარული“)“.

2) არაძირითად ფუნქციებად გამოიყოფა: ა) მასდარული, ბ) პარანომაზიული, გ) ზმნის საგარემოებო ფორმათა ფუძისეული [ზვიადური 1990, 18].

6.10.4. **ზმნის საგარემოებო ფორმები.** ზმნის საგარემოებო ფორმები, რომლებიც თვალსაჩინოდ განსხვავდებიან აბსოლუტური ფორმებისაგან, იწარმოება ზმნის ფუძისაგან, აწმყო ზოგადისაგან, ინფინიტივისაგან, ნამყო დროისა და მყოფადი დროის მიმღეობისაგან. საგარემოებო ფორმები გამოხატავენ კონკრეტულ საგარემოებო მიმართებებს, მაგ.: ხაცი-ზა „დატოვებულთან“, რ-ი-კიტო „წასვლისას, წასვლაზე“, რ-ი-კიტო-რ-ერ „წასვლისამებრ“, ცაბ-ზა-ტო „დაწერის მერე“, რ-ი-შ-ნო-სი „ქამის შემდეგ“. ასეთ ფორმებში სივრცობრივ და დროულ მიმართებათა თავისებურება მქლავნდება.

გარდა ამისა, გამოიყოფა ვითარების გარემოება (წლირუ-ზო-რ „თქმისამებრ“) და მიზნის გარემოება (ხეცი-ზა-ვ „დატოვების გამო“). მიზნის გარემოების ვამოსახატავად გამოიყენება სემანტიკით ინფინიტივთან ახლომდგომი ისეთი ფორმები, როგორცაა: რ-ი-კანი-რ (ქიდ.-ასახ.), რ-ი-ტალო-რ (საჰ.) „წასასვლელად“, ცახანი-რ (ქიდ.-ასახ.), ცახალო-რ (საჰ.) „დასაწერად“ [შდრ. ბოკარევი 1959, 209].<sup>41</sup>

---

<sup>41</sup> ზმნის საგარემოებო ფორმათა მრავალფეროვანი წარმოების სრული განხილვა აქ შეუძლებელია [იხ. იმნაიშვილი 1963, 224-229].

## VII თავი

### უღებები

7.1. **ზმნისართი.** დიდოურ ენაში ზმნისართი, აგებულების მიხედვით, იყოფა ორ ჯგუფად: ა) მარტივი, ბ) რთული.

ზინაარსის მიხედვით, ზმნისართი იყოფა ადგილის, ვითარების, დროის, კითხვის, ზომა-წონის, ოდენობისა და ა. შ.

7.1.1. **ადგილის ზმნისართი.** ადგილის ზმნისართი სამიმართებო საგნის სივრცობრივ ადგილმდებარეობაზე მიანიშნებს.

პირველი ნაირსახეობის ადგილის ზმნისართი დიალექტურ სახესხვაობებს გვიჩვენებს: ქიდ.-ასახ. ტო „აქ“, ენ-ტო, ე-ტო, ინ-ტო (დიალ. ვარ.) „აი, აქ“; საპ. ძო-ყ'ყ'ო, ინ-კო „აქ“ (I პირთან ახლოს).

თითოეულ მათგანს შეიძლება დაერთოს ესა თუ ის თანდებული და, ლოკატიურ ბრუნვათა მსგავსად, გამოხატოს სივრცობრივი მიმართება, მაგ.: ენტო-რ „აქეთ“, ენტო-მ „აქედან“, ენტო-დ „აქამდე“, ენტო-ზა „ამის გავლით“ და მისთ.

მეორე ნაირსახეობის ზმნისართებია: ჰოჟ-ტო, ჰოზ-ტო, ჰოზო-ტო (ქიდ.-ასახ.), ჰოჟ-ყო (საპ.) „აი, იქ“.

მესამე ნაირსახეობის ზმნისართი მიუთითებს როგორც I, ისე II პირისაგან დაშორებულ საგანზე, მაგ.: ელო (ქიდ.-ასახ.), ოლო (საპ.) „იქ“.

დასტურდება ერთი რიგის ზმნისართები, რომლებიც ჩვეულებრივ ლოკატიურ ბრუნვებთან იხმარება და დამატებით მიუთითებს საგნის მდებარეობაზე. ასეთებია: ველ', ვმალ', ვეზო (დიალ. ვარ.) „ქვეშ“, თელ' „შიგ“, იგო „ახლოს“, სადაჯ, ცადაჯ (< ხუნდ. ცადაჯ) (ქიდ.-ასახ.), ზენნი (საპ.) „ერთად“, ტიირი „ზედ“, აღწა, აღწ-ზა, აღწა „წინათ“, ხიწაწა, ხიწოწა „შემდეგ“, „უკან“, ოსახ „მალა“, სოდერ „ზევით (აღმართზე)“, ტიილორ „ქვევით“, ბითთორ, ბითორ, ბითთლორ (დიალ. ვარ.) „სწორზე, თანაბარ სიბრტყეზე“, შეტურ „ირგვლივ“, თაჯ „იმ მხარეს“, ჳიმე „ნაპირას“ და მისთ.

7.1.2. **ვითარების ზმნისართი.** ვითარების ზმნისართი იწარმოება შესაბამისი სახელისაგან (შ-, მ-, ბ-, რ-) -ილ'ე, -რ სუფიქსებით, მაგ.: მეტა-რილ'ე „თქვენებურად“, აღემ-რილ'ე „ძველებურად“, ფუტო-რ „გვერდულად“, რუმხო-რ „სწორად“, ენდუ-რ „ამასავით“, ნედუ-რ „იმასავით“. გარდა ამისა, დასტურდება ზედსართავთა გამარტივებით მიღებული ვითარების რამდენიმე ზმნისართი: თუქ (< თუქა „ცული“)

„ცუდად“: რიგ (< რიგე „კარგი“) „კარგად“...

გვხვდება ხუნძურიდან შეთვისებული ზმნისართი რეყუნ „თანახმად“.

ვითარების ზმნისართებსა და ჩვენებით ნაცვალსახელთა გენეტურ კავშირზე მიუთითებს დ. იმნაიშვილი [იმნაიშვილი 1963, 249].

7.1.3. **დროის ზმნისართი.** დროის ზმნისართის საწარმოებლად გამოყენებულია ლოკატივისა, გენეტივისა და ინსტრუმენტალისის ბრუნვათა ნიშნები: -ხო, -ჳ, -დ, -ლ', -რ, -ხ. საილუსტრაციო მაგალითები: იმ-ხო „გაზაფხულზე“, ელნო-ჳ „ზამთარში“, ჳაშო-დ „სადილად“, ფაჳუ-ლ' „დღეს“, აღე-რ „ადრე“, ხიშიფო-რ „გვიან“, „შემდეგ“, ლუდე-ხ „ყოველ-დღიურად“.

7.1.4. **კითხვითი ზმნისართი.** კითხვითი ზმნისართებია: ნა, ნა (დიალ. ვარ.) „სად?“, ნეთთი „როდის?“, შიდა, დელ (დიალ. ვარ.) „რატომ?“, ლ'ინა-რ „რისთვის?“, ნა-ზაჲ „საიდან?“, ნა-ლორ „საითკენ?“. ბოლო ორი ზმნისართი ნაწარმოებია ნა („სად?“) ზმნისართისაგან -ზაჲ, -ლორ რთული სუფიქსების მეშვეობით, ხოლო ლ'ინარ („რისთვის?“) წარმოადგენს შეუ „რა“ ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას.

7.1.5. **ზომა-წონისა და ოდენობის ზმნისართი.** ზომა-წონისა და ოდენობის ზმნისართებად შეიძლება ცალკე გამოიყოს: ნეცე „ამდე-ნი“, დაჰ, ტაკი „ცოტა“, ხომი, რ-აყ'უ „ბევრი“ და მისთ.

7.1.6. **მიზნის ზმნისართი.** ქიდ-ასახ. დიალექტში მიზნის ზმნისართი იწარმოება მყოფადი დროის მიმღეობის ფორმაზე, რომელსაც ნამყო დროის უარყოფითი მიმღეობის გაგებაც მოეპოვება, -რ, -ხ სუფიქსების დართვით, მაგ.: რ-აწანი-რ „შე'საქმელად“, ქეცანი-რ „დასა-წოლად“, ცახანი-ხ „დასაწერად“, რ-ოჳანი-ხ „მოსაყვანად“ და მრ. სხვ.

საჰ. დიალექტში მიზნის ზმნიზედა იწარმოება მყოფადი დროის მიმღეობის ფორმაზე ოდენ -რ სუფიქსის დართვით, მაგ.: ტეტრალო-რ „წასაკითხად“, „სასწავლად“, ქოსალო-რ „შო'სათიბად“ და მისთ.

7.1.7. **კომპოზიტური ზმნისართები.** წარმოების მიხედვით, ცალკე უნდა გამოიყოს კომპოზიციური ზმნისართები, რომლებიც ხშირად ორი, განსხვავებული ან ერთნაირი, ზმნისართის ჯამს უდრის:

ა) ადგილის ზმნისართები: ელო-ტო „სადღაც“ (ზედმიწ. „იქ-აქ“), თაჳო-ნაჳო „იქით-აქეთ“ (ზედმიწ. „იმ მხარეზე - ამ მხარეზე“), იგო-იგო „ახლო-მახლო“...

ბ) დროის ზმნისართები: ღუღე-ზიღზო „ხელ ან ზე“ (ზედმიწ. „ხელ-ზეგ“), ხახა-სახაჯ „დილ-დილობით“...

გ) ვითარების ზმნისართები: რიგ-ჟუქ „დამაკმაყოფილებლად“ (ზედმიწ. „პარგად-ცუდად“), რიგ-რიგ „ჩინებულად“ (ზედმიწ. „პარგად-პარგად“).

დ) ზომა-წონისა და ოდენობის ზმნისართები: რედე-რმეჟე „მეტ-ნაკლებად“, რაქ-უ-დაჰ „ბევრი თუ ცოტა“ (ზედმიწ. „ბევრი-ცოტა“) [აბღულავეცი 1981, 25-26].

7.2. ნაწილაკი. დიდოურ ენაში ნაწილაკები ენკლიტიკურად დაერთვის სიტყვას (თუ არ გავითვალისწინებთ ჩვენებით ნაცვალსახელებში გამოვლენილ ჰოჟ-, ენ- და მისთ. მითითებით ნაწილაკებს, მაგ.: ჰოჟ-და „აი, ეს“...).

დასტურდება შემდეგი ნაწილაკები:

1) -ლინ, -ლანხ „ო“, „თქო“. ეს ნაწილაკი ელან („თქმა“) ზმნის ცვეთის შედეგად არის მიღებული და ხშირად თურქმეობითობასაც გამოხატავს. მისი ძირითადი ფუნქცია სხვათა სიტყვის გადმოცემაა, მაგ.: შიკის-ლინ „წასულაო“, ცახის-ლანხ „დაუწერიაო“.

2) -ტა ნაწილაკი გამოიყენება დაყოფითი რიცხვითი სახელებისა (სის-ტა „თითო-თითო“) და ვითარებითი ზედსართავის მრავლობითობის (ალუჟა-ტა „თეთრები“) გადმოსაცემად.

3) -ცე „მდე“, „ოდენა“: მი ჰოვტო შიჩი დი შადა-ცე „შენ აქ იყავი ჩემ მოსვლამდე“.

4) -ლან ნაწილაკი გამოხატავს ვარაუდს, მაგ.: რიკან-ლან „ალბათ, წავიდა“.

5) -მა, -მაჰ, -მაჟ, -მაჰ (ძვ. ქართ. -ა: არს-ა?) კითხვითი ნაწილაკია, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს, მაგ.: ჰოჟულან იმაჟალანმა იქჟა იხიდ შები დოლ: ისან, ცემაჰ, ტეჟამან, აჰომაჰ, ზირუმაჰ, ყოროლ დანანბიმაჰ? „ვინ არის ამ ზღაპარში ყველაზე დიდი: ხარია, არწივია, ვაცია, მწყემსია, მელაა თუ ქერივი ქალია?“

საპაღურ დიალექტში გვხვდება -მა ნაწილაკი, რომელიც ერთზე მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელთან შერწყმისას თავად იკვეცება და საკომპენსაციოდ ფუძისეულ ხმოვანს აგრძელებს, მაგ. მიმა? „შენა?“, მაგრამ: მეშინ „ბბოა?“, გულჟ? „ცხენია?“ და მისთ.

6) -მაჟ (ქიდ-ასახ.), -ყო (საჰ.) გამოხატავს ირიბ კითხვას, მაგ.: ელო ჟომო-მაჟ, გულჟ-მაჟ? „იქ ვირია თუ ცხენია?“

7) -ჩო ნაწილაკი დიალოგში განმეორებით ჩაკითხვისას გამოიყენება: ნელ დან ბელან! — ბელან-ჩო? „— მე მომეცი ხანჯალი! — ხანჯალი?“

8) -ლ'ი-ნ, -ლ'ი-რი-ნ „თუმცა“, „მიუხედავად იმისა, რომ“ [იმნა-იშვილი 1963, 272].

9) -ლა „გონი“. ეს ნაწილაკი წინადადებას სავარაუდო ელფერს აძლევს.

10) -ჟა, -ბა (ქიდ.-ასახ.), -მჟყ > -მჟ (საპ.) ნწუ-ჟა ტო ღობო! „არ არის ხომ აქ ქვაბი!“ საპადურ დიალექტში -ჟა-ს ნაცვლად -მა დასტურდება.

11) -ჰე, -ინ-ჰე, -ენ-ჰე (დილ. ვარ.). ეს ნაწილაკი მეტწილად ძა-ხილის წინადადებაში გამოიყენება და ემოციურობას ანიჭებს მას. იგი სემანტიკით -ჟა, -ბა ნაწილაკებს უახლოვდება.

12) -გო-ნ (ქიდ.-ასახ.), -კო-ნ (საპ.) „კიდევ“: სიდერ რიჟინ ქოჭი-მუჟი, სიდერ-გონ — შიტუ „ერთს შეხვდა ქოჭ-მორთულობა, ერთს კი-დეგ — თეფში“.

ეს ნაწილაკი აგებულებით რთულია: -გო-ნო, თითოეულ კომპო-ნენტს ცალკე თავისი ფუნქცია აქვს, მაგრამ დამოუკიდებლად იგი პო-ლიფუნქციურია და გამოიყენება კრებითი რიცხვითებისა თუ საგარემო-ებო ფორმათა საწარმოებელ ფორმანტადაც.

13) -ლა ნაწილაკი დაახლოებით ქართ. „კი“ ნაწილაკის ბადალია.

14) -ხა (ქიდ.-ასახ.), -ხე (საპ.) სემანტიკით ქართ. „-ლა“ ნაწი-ლაკს უახლოვდება: რეზუ-ხე „შეხედე-ლა“.

15) -ქინ „-ც“, „კიდევ“: სის-ქინ „ერთიც“.

16) -ნო, -ნ „-ც“, „და“. იგი სახელებში კავშირის ფუნქციას ას-რულებს (დინო მინო „მე და შენ“), ზმნებში კი ნამყოს აბსოლუტივს აწარმოებს (ცახ-ნო „დაწერა რა“...).

17) მჟლ' (საპ.) „არ“ უარყოფითობის გამომხატველი ნაწილაკი ზმნურ ფორმებს ნატვრით-სასურველ ელფერს სძენს, მაგ.: ეუქა რაჩი მჟლ' „ცუდი იქნებოდა“. მჟ (საპ.) „არა“: მჟ, დინ შიტალ! „არა, მეც წავალ!“

7.3. კავშირი. დიდოურ ენას საკუთარი კავშირები არ მოეპოვე-ბა. ეს ერთგვარად ჰიპოტაქსის თავისებურებით ჩანს შეპირობებულში. კავშირების ფუნქციას ან ნაწილაკები (-ნო > -ნ, „-ც“, შჟლ'ი, შჟლ'ი, შჟლ'ი „არამედ“), ანდა ხუნძური (მჟლ'უნო „ანდა“...), თუ ხუნძურის გზით შემოსული არაბულ-სპარსული კავშირები (ამჟა „მაგრამ“, მჟ-მჟ „ან-ან“, მჟგო (< მჟ+გო) „ანდა“) ასრულებენ.

7.4. შორისდებული. შორისდებული, როგორც ცნობილია, გამო-ხატავს ადამიანის გრძობებს, განცდებსა და სულიერ მდგომარეობას გარკვეული ბგერისა თუ ბგერათკომპლექსების საშუალებით. იგი ემოცი-

ურ ელფერს აძლევს წინადადებას.

დიდოური ენა შედარებით ღარიბია შორისდებულებით, თუმცა რამდენიმე შორისდებული მაინც გამოიყოფა:

ვამ! „ვაიმე!“: ვამ, დემ ალლაჰ! „ვაიმე, ღმერთო ჩემო!“

ვაჰ! „ვაა!“

-მუ! „ჰეი!“: ქიღბე-მუ, ენტორ ჰორო! „ჰეი, გოგონა, აქეთ მოდი!“

ელე! „ჰეი!: ელე-ლე! „ჰეი-ჰეი!“

ჰა! „აბა!“

ჰი!, ჰინზე! (საჰ.) „აბა!“: ჰინ, ხანო ენჰედუ ჰენეშ! „აბა, მოკბიჩე ამ ვაშლს!“

ფუჟ-ფუჟ! „ფუჰ-ფუჰ!“

ვალლა! „ღმერთმანი!“



# მესამე ნაწილი

## სინტაქსი

### VIII თავი

#### ძირითადი სინტაქსური საკითხები

8.1. **სინტაგმა და მისი ტიპები.** დიდოურ ენაში, მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, დასტურდება სინტაგმის ორი ძირითადი ტიპი: 1) **ატრიბუტული** (სახელი სახელთან) და 2) **პრედიკატული** (სახელი ზმნასთან).

1) ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელად გამოიყენება სახელობით ბრუნვაში დასმული ატრიბუტული (ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი...), საზღვრულად კი — არსებითი სახელი, მაგ.: რიგულ ღულთ „კარგი დღე“, მღელვე ესიფე „უმცროსი ძმა“, სის ღულთკუ „ერთი სახლი“. **ჟუქა ჟეკურ რიგულ ღულთ რუქადნოლ!** „დაე, ავმა კაცმა კარგი დღე არ ნახოს!“ (ზედმიწ. „ცულ კაცს კარგი დღე არ ენახოს!“) და მისთ.

მსაზღვრელად გამოყენებული სუბსტანტივი ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაში დგას: კულოს აჟა „ყურძნის მტევანი“, ზირუს მა.იი „მელიის კული“.

დიდოური ენის ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური სახე არის კლასსა და რიცხვში (მ-იგუ ჟეკუ „კარგი კაცი“, ბ-იგუ-ტა ჟეკუბი „კარგი კაცები“...) სრული შეთანხმება, ბრუნვაში (სახ. ბ-ეჟე გულუ „დიდი ცხენი“, მიც. ბ-ეჟე გულუ-რ, ნათ. ბ-ეჟე გულუ-ს) — ნულოვანი შეთანხმება. მასთან, გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა (ალუკა ტექ „თეთრი წიგნი“), თუმცა პოსტპოზიციური წყობაც შეიმჩნევა კომპოზიტებსა და ზოგ ტოპონიმში (ნოლქქეკა „ნატარქეკია“).

2) პრედიკატულ სინტაგმაში ზმნა, რომელიც შესიტყვების ბირთვს ქმნის, სახელთან სინტაქსურად არის დაკავშირებული. მასთან, პრედიკატული სინტაგმის წევრებს შორის სინტაქსური კავშირი არის შეთანხმება-ასახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში (თუ, რა თქმა უნდა, ზმნა კლასნიშნინია), მაგ.: ქიდ მ-ადს „გოგონა მოვიდა“, გულუ ბ-ადს „ცხენი მოვიდა“, მაგრამ: ქიდბა-ბი, გულუ-ბი რ-ადს „გოგონები, ცხენები მოვიდნენ“.

ზმნა სახელს მართავს: ა) რეალურ სუბიექტს — სახელობითსა

(გარდაუვალი ზმნა) და ერგატიულ (გარდამავალი ზმნა) ბრუნვებში; ბ) Verba sentiendi-ს ტიპისა და ზოგი სხვა ზმნაც რეალურ სუბიექტს მიეცემითში მართავს. რაც შეეხება რეალურ ობიექტს, იგი ყველა ზემოდასახელებულ ზმნასთან სახელობით ბრუნვაში დგას და ზმნას ითანხმებს კლასში (და რიცხვში).

პრედიკატულ სინტაგმაში, როგორც ვხედავთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნის თავისებურებას (გარდამავალია თუ გარდაუვალი). გარდაუვალი ზმნის სინტაგმა ჩვეულებრივ ორწევრიანია (სუბიექტი + პრედიკატი), გარდამავალი ზმნის სინტაგმა სამწევრიანია (RS + პრედიკატი + ROუ.).

8.2. სინტაქსური კონსტრუქციები. პრედიკატულ სინტაგმაში, რეალური სუბიექტის ბრუნვის მიხედვით, გამოიყოფა შემდეგი კონსტრუქციები: 1) ნომინატიური, 2) ერგატიული, 3) დატიური, 4) პოსესიური, 5) ლოკატიური.

8.2.1. ნომინატიური კონსტრუქცია. ნომინატიური კონსტრუქცია ნიშანდობლივია გარდაუვალი ზმნისათვის. რეალური სუბიექტი (RS) სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი. მასთან, კლასნიშნიან გარდაუვალ ზმნებში რეალურ სუბიექტზე კლასის ექსპონენტი მიანიშნებს, მაგ.: უფი მ-იკიხ პონჯნლორ ჟაეიშვილი მიდის მთაში“, ქილ ჟ-იკიხ იდულორ ჟქალიშვილი მიდის შინ“.

უკლასნიშნო ზმნებში კლასის რომელობას ლექსიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს, მაგ.: ენიჲ ნეხხო „დედა მოდის“. ზმნით (ნეხხო) ვერ ამოვიცნობთ კლასს, მაგრამ ენიჲ განეკუთვნება II კლასს, მამასადამე, ზმნაშიც II კლასი მოიაზრება.

8.2.2. ერგატიული კონსტრუქცია. მარტივი წინადადების სტრუქტურის შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერგატიულ კონსტრუქციას, რომელშიც RS დაისმის ერგატივში, ხოლო RO-სახელობითში, ე. ი. გარდაუვალი ზმნის RS და გარდამავალი ზმნის RO ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას: ბელ'იჯანწ (RS) ბ-ეხურსი ბოწი (RO) „მონადირემ მოკლა მგელი“, ეეკა (RS) ბაწსი მაგალუ (RO) „კაცმა შექამა პური“. ორსავე წინადადებაში ობიექტის (მგელი, პური) კლასს გამოავლენს ზმნა, სუბიექტის კლასი კი აღუნიშნელი რჩება — ობიექტის გრამატიკული ძალა სუბიექტისას აღემატება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 239].

დიდოური ზმნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგ სხვა მონათესავე ენათა ზმნისაგან განსხვავებით, მეტი სტაბილურობით გამოირჩევა, რაც მისი ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა [იმნაიშვილი 1963, 257]. ჩვენი შეხედულებით, ეს გვარის მორფოლოგიური კატეგორიის ჩამოყალიბებითაც ჩანს შეპირობებული. გარდა ამისა, კაუზატიურ ზმნებში (როგორც პირველადში, ისე მეორეულში) ლაბილურობის (ზოგი გამონაკლისის გარდა) კვალი წაშლილია, რაც ხელს უწყობს ზმნათა გასტაბილურებას.

დიდოურ ენებში გამოყოფენ ლაბილური ბუნების ზმნებს მარტივი და იტერატიული სემანტიკის ზმნათა შეპირისპირების საფუძველზე [იმნაიშვილი 1963, 257], მაგ.: უეი *ღ-იზის* ყიდა *„ბიკი წამოდგა“*, მაგრამ: *ნესიკ* *ღ-იზის* *ჟა* ქიდ *„მან ააყენა გოგონა“*; *როჩ* *რ-ეტუს* *„თოკი გაწყდა“*, მაგრამ: *როჩ* *რ-ეტუს* *დწ* *„თოკი გაწყვიტე მე“*.

კაუზატიური ზმნების ერგატიული კონსტრუქცია ირიბი ობიექტის მქონებლობით გაირჩევა. ასეთ წინადადებაში ირიბი ობიექტი მე-2 სერიის -*ვო* (> -*ვ*) ნიშნიან ლოკატივში დაისმის, მაგ.: *ნეს* *ქეცრერსი* *ენიტუ* უეი *„მან დააწყენინა დედას ვაეიშვილი“*. უნიტუ *„დედა“* აქ ირიბი ობიექტია და, ქართველურ ენათაგან განსხვავებით, -*ვო* ნიშნიან ლოკატივში დგას.

**8.2.3. დატიური კონსტრუქცია.** დატიურ კონსტრუქციას, როგორც ცნობილია, *verba sentiendi*-ს ტიპის გარდაუვალი ზმნები (რიქტადა *„ნახვა“*, რეთთა *„ნდომა“*, „სიყვარული“...) ქმნიან. ამ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დაისმის, რეალური ობიექტი კი — სახელობითში: ობიექტურ (RS) *ღ-იქტა* *დს* უეი (RO) *„მამამ (ზედმიწ. „მამისდა“)* დაინახა *(ზედმიწ. „გამოჩნდა“)* *ვაეიშვილი“*; ქიდბერ (RS) *ღ-ეთთის* უეი (RO) *„გოგოს უყვარს ბიკი“* და სხვ.

**8.2.4. პოსესიური კონსტრუქციის საკითხისათვის.** ცალკე გამოყოფენ პოსესიურ კონსტრუქციას და მას სხვა კონსტრუქციათა თანაბარ უფლებებს ანიჭებენ. თუ ზედმიწევნით თანამიმდევრულნი ვიქნებით, დიდოურ ენაში პოსესიური კონსტრუქცია არის მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალი ზმნის (მეშველი ზმნის) კონსტრუქცია, მასში მართლოდ RO მოგვებოვება, მაგ.: *დე* *დოლ* *სის* ქიდ *„მე მყავს (ზედმიწ. „ჩემი არის“)* ერთი *ქალიშვილი“*, *სის* *ზეყყვენ* *ხან*, *ნესის* *ზეყყვენ* *ლ'ონო* უეი *„ყოფილა ერთი მეფე, მას ჰყოლია (ზედმიწ. „მისი იყო რა“)* სამი *ვაეიშვილი“*.

8.2.5. **ლოკატიური კონსტრუქცია.** ლოკატიურ კონსტრუქციაში RS მე-2 სერიის -ვო ნიშნიან ლოკატიურ ბრუნვაში დგას, RO კი — სახელობითში.

ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნიან: 1) ვნებითი გვარის (resp. პოტენციალისის გამომხატველი) ზმნები; ბ) ზოგი გარდაუვალი ზმნა და გ) მართოდენ ლოკატიური კონსტრუქციის შემქმნელი ან იმავდროულად დატიური კონსტრუქციის შემქმნელი ზმნები. საილუსტრაციო მაგალითები:

ნესივ რაწელ'ზო რელ' „მისგან (ზედმიწ. „მასზე“) იკმება ხორცი“.

ამ ტიპის წინადადებები ორაზროვნებით გამოირჩევიან: რაწელ'ზო აღნიშნავს როგორც იკმება (მისგან), ისე ეკმევა (მას) (ზეუსტი მნიშვნელობის დადგენა ქირს).

როჩ რ-ეტუს „თოკი გაწყდა“; როჩ რ-ეტუს დვვ „თოკი გამიწყდა მე“; ეს ლ'ტუა ბ-ეხუს „ის ძალი მოკვდა“; დები ლ'ტუა მ-ეხუს დვვ „შენი ძალი შემომაკვდა მე“.

როგორც ამ დუბლეტური წინადადებებიდან ჩანს, ლოკატიურ ბრუნვას მიცემითი ბრუნვის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

მიცემითისა და ზემონახსენები ლოკატივის ერთგვარ კავშირს მინიშნებს ისეთი ზმნა, როგორიცაა რ-მ-ვ-ა „მოუნა“, „შეხვდომა“, მაგ.: ა) ნესი-რ (მიც. ბრ.) ბ-ივის სის ჰენემ || ბ) ნესი-ვ (ლოკ. ბრ.) ბ-ივის სის ჰენემ „მას ერგო ერთი ვაშლი“.

ზემომოყვანილ წინადადებათა ორივე კონსტრუქცია (დატიურიც და ლოკატიურიც) ერთნაირად ითარგმნება.

8.2.6. **მარტივი გავრცობილი წინადადება.** დილოურ ენაში მარტივი გავრცობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე მეორეხარისხოვან წევრებად მოგვეპოვება ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება (უახლოესი, ირიბი), განსაზღვრება და გარემოება.

ერთგვაროვანი წევრების მაკავშირებლად, სპეციალური კავშირების უქონლობის გამო, -ნო > -ნ ნაწილაკი გვხვდება, მაგ.: ქიღნო უეინ ბიკის „გოგო და ბიჭი წავიდნენ“, სის ზეუნო ხანნო ბარუნ „ყოფილა ერთი მეფე და დედოფალი“.

დასახელებულ წინადადებებში ერთგვაროვან წევრებად ქვემდებარე გვაქვს.

ერთგვარდამატებიანი წინადადება იქნება: დი მიცხირ თელ'სი ხე-დიტნო ბარუნნო „მე ფული მივეცი ქმარსა და ცოლს“.

საყურადღებო ჩვენებას იძლევა ერთგვარშემასმენლიანი წინადადებები, რომლებშიც ბოლო წევრი ნებისმიერი დროის ფორმით გვხვდე-

ბა, ხოლო წინამავალი ერთგვაროვანი წევრები წარმოდგენილია ერთნაირად ნაშყოს აბსოლუტივის ან აბსოლუტივის ფუნქციით გამოყენებული დროის რომელიმე ფორმით, სახელდობრ: ედელუჟა თუფინ რისნო, ბელ'ინ ქაეირნო, ხანერ ბიეირნო „მათგან აიღო რა თოფი, მოკლა რა ჭიხვი, მეფეს გაუგზავნა“. ღანაბი შიდა დაგხო, დიკინ? „ქალი ტირილით რატომ მოდის?“ (ზედმიწ. „...ტირის, მოდის“).

8.2.7. ჰიპოტაქსის ხაკითხისათვის. დიდოურ ენაში რთული დაქვემდებარებული წინადადების გადმოსაცემად გამოიყენება მიმღეობური, აბსოლუტივიანი, საგარემოებო მარტივი წინადადების კონსტრუქციები.

გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გამოსახატავად ფართოდ იხმარება საგარემოებო ფორმები, მაგალითად: ბადნ ეეენი ეეკან ზღირუხორ ეა სირიგო „მოხუცი კაცის თქმისებრ (როგორც მოხუცმა კაცმა თქვა, ისე) მოვიდა ის ცხენი“. ეო აგზატა, ბესუნ ნესირ ვაზირბი „როცა ის მოვიდა, ნახა ვაზირები“.

მიზეზის დამოკიდებული წინადადება, საგარემოებო ფორმათა გარდა, შეიძლება გადმოიცეს ინსტრუმენტალისით ან მასდარის ფუნქციით გამოყენებული მიმღეობით, მაგალითად: ჰადამნო ბო, მინ ჰორო ატ ქოსანიჩ „ხალხი მოიყვანე და შენც მოდი ხორბლის სამკალად“.

განსაზღვრებისა და ქვემდებარის შინაარსის გამოსახატავად ძირითადად მიმღეობა იხმარება.

პირობითი დამოკიდებული წინადადების გადმოსაცემად ზმნის პირობითი კილოს ფორმები გამოიყენება, მაგ.: დი ელორ ბადანა, ნესან ბეხან „მე რომ იქ მოვიდე, ის მომკლავს“. ლუთეჟ დითეჟ რიკჟერნ დოლ'ირი, დალ'ალ ბეჟე მიცხირ ბიჯა ზეყეჟ „მე თავად რომ დამეწვა სახლი, ამით ბევრ ფულს ვიშოვიდი“ და მისთ.

ამრიგად, რთული დაქვემდებარებული წინადადება დიდოურ ენაში ჩამოყალიბებული არ არის. მის გამოსახატავად ენა სხვადასხვა საშუალებებს იყენებს — ზემომოყვანილსაც და ზოგ სხვასაც.

# მეოთხე ნაწილი

## ლექსიკა

### IX თავი

#### ძირეული და ნასესხები ლექსიკა

9.1. ძირეული ლექსიკური ფონდი. დიდოური ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილს შეადგენს ძირეული ლექსიკა, რომელსაც კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება როგორც სხვა ახლომონათესავე დიდოურ (ხვარშიულ, ჰინუხურ, ბეიეტურ) ენებში, ისე ხუნძურ-ანდიურ ენებშიც. მაგ.: როკუ „გული“, ესიტ/-იფუ „ძმა“, „და“, მეც „ენა“, ეს „ხარი“, ბოწი „გელი“, ნოცი „ტილი“, ბუჯ „მზე“, ბუცი „მთვარე“, წი „ცეცხლი“, ციფო „მარილი“, ცი „სახელი“, როცი „სიტყვა“, ეხორა „გრძელი“, „მალალი“, ღჭადი „ყვავი“, აღჭრ „წისკვილი“, ისი „თოვლი“, ცატ „ყარი“, ზედ „დათვი“, ბიქორი „გელი“, ნეშუ „ნამგალი“, ღი „წყალი“ და მრ. სხვ.

დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომლებიც საერთოა ყველა დიდოური ენისთვის, მაგრამ დაღესტნის სხვა მონათესავე ენებში მათ სათანადო ეკვივალენტები არ აქვთ, მაგ.: ობიტ/-იფუ „მამა“, აპო „მწყემსი“, აჯ „თუში“, ბარუ „ცოლი“, ქიდ „გოგო“, შილუ „რქა“, ტაჯ „დანა“, ყური „სკამი“, არა „ტოტი“, ღებ „ფოთოლი“, „წელიწადი“, ღამ „რძე“, ჯამ „კურდღელი“, მაპი „კული“ და მისთ.

იშვიათად გვხვდება ისეთი სახელები, რომლებიც ოდენ დიდოური ენის კუთვნილებაა და მათი ნასესხობად მიჩნევა ქირს, მაგ.: ღუთკუ „სახლი“, ხედიფუ „ქმარი“, ხეხბი „ბავშვები“, ბაშა „თითი“, ბიქ „მსხვილფეხა ბირუტყვის ტყავი“, გუშიტუ „გამხდარი“, ემადუ „ზღაპარი“, ყუაქა „თავზე“, ცალი „ქვის სვეტი“ და სხვ.

დიდოური ენის დიალექტებსა და თქმებს შორის განსხვავება, როგორც შემჩნეულია [ბოკარევი 1959, 179], დიდი არ არის. ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკური თავისებურება უპირატესად ფონეტიკური ხასიათისაა, მაგ.: ქიდ-ასახ. რადა — საჰ. რაყყა „მოსლა“, ქიდ-ასახ. ატ — საჰ. აყუ „თავი“, ქიდ-ასახ. ეს — საჰ. ეოს „ხარი“, ქიდ-ასახ. — ფედუ — საჰ. ფედური „ისინი“, ქიდ-ასახ. ეხორა — საჰ. ეხტარა „გრძელი“ და მრ. სხვ.

9.2. **ნასესხები ლექსიკა.** დიდოურ ენაში დასტურდება ნასესხობანი როგორც დაღესტნური (ხუნძური, ანდიური...), ისე ქართული და რუსული ენებიდან. შეთვისებულ სახელთა დიდი ხვედრითი წილი მოდის ხუნძურსა და ქართულ ენებზე, რომელთაგან ლექსიკა უშუალოდ შედის დიდოურ ენაში. ბოლო ხანს, რუსეთის ძლიერი ექსპანსიის გამო, მომრავლდა რუსული სახელები. საილუსტრაციო მაგალითები: ა) ქართული ნასესხობანი: ჭაპან „ჭაპანი“, ქეგენ „წიგნი“, ტაპო „ტლაპო“, უქრუ „ოქრო“, კიჟლო „კიდუ“, ჩოლო „ჩალა“, ფარცი „ფარცი“, წინტაე „წინდა“, თუფი „თოფი“, ნაკილა „ნიკორა (თითი)“, სიმილდი „სიმინდი“, ციხენი „ციხენი“, ლანდუ (მდრ. ქართ. რანდვა) „შალაშინი“, ჭადე „მჭადი“...; ბ) ხუნძური ნასესხობანი: ჩან „ნადირი“, გარეთხა, ჰალმალ „ამხანაგი“, ჩანაჯან „მონადირე“, ყოლოჯან „ავაყაცი“, „ჭაბუკი“, ბერცინაჟი „ლამაზი“, უნთარაჟი „ავადმყოფი“, ყუმრუ „ცხოვრება“, ფიჯ „ნაყოფი“, ყებედ „მკედელი“, როტი „სიყვარული“, რალად „ზღვა“, ურდელ „ნალველი“, „დარდი“...; გ) რუსული ნასესხობანი: იშქოლა „სკოლა“, ჭარაჩ „ექიმი“, ისთოლ „მაგიდა“, რადუნ „რაიონი“, ქულუბ „კლუბი“, მაგაზინ „მაღაზია“, ფანარ „ფანარი“ და მისთ.

აღმოსავლური თუ სხვა ენებიდან (არაბული, სპარსული, თურქული, რუსული, სომხური...) სესხება ხდებოდა მეტწილად ხუნძურისა და ქართულის გზით. მასთან, ქართულის გზით შეთვისებულ სახელებს ხშირად შერჩენილი აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი, მაგ.: დიდ. საპუნი (< არაბ.) „საპონი“, დიდ. ბირინჯი (< სპარს.) „ბრინჯი“, დიდ. თუნგი (< სპარს.) „თუნგი“, დიდ. რეზინქაბი (< რუს.) „კალოშები“, დიდ. ჭანჩი (< სომხ. ხაჩი) „ჭვარი“ და მისთ.

ხუნძურის გზით უნდა იყოს შემოსული: ა) არაბული სახელები: ალლაჰ „ღმერთი“, შადტან „ეშმაკი“, მალაიქ „ანგელოზი“, რუჰ „სული“, ყაყლუ „კუყა-გონება“, მაყგიტ „მეჩეთი“, სადაყა „მოწყალება“, ჰალ „საქმე“, „ქონება“, ნამუს „ნამუსი“, ხალყ „ხალხი“, სალამ „სალამი“, ყადამ „ადამიანი“, ზამან „დრო“, სალამათ „ჯანმრთელი“, ჰადჟუან „ცხოველი“, მაიდან „მოედანი“, ბარქალა „მადლობა“...; ბ) ირანიზმები: გამუშ „კამეჩი“, თუშმან „მტერი“, ბაზარ „ბაზარი“, შაჰარ „ქალაქი“, ჩაქარ „შაქარი“, ქუმაქ „დანმარება“, აზარ „ათასი“...; გ) თურქიზმები: დორდან „საბანი“, ვაბაჯ „გოგრა“, ბულა „ბულა“, თამანჩა „დამბაჩა“...; დ) რუსიზმები: ქოლხოზ „კოლმეურნეობა“, იშქოლა „სკოლა“, ქალას „კლასი“, თობთურ „ექიმი“, ქარავათ „საწოლი“, ისფიჩქა „ასანთი“ და მრ. სხვ.

ყურადღებას იქცევს შეთვისებული ლექსიკური მასალის ფონეტიკური ადაპტაცია. ცნობილია, რომ დიდოური ენის ანლაუტში, თანხმო-

ვანთა არანეირების სიმარტივიდან გამომდინარე, გვხვდება მხოლოდ C+ჟ, C+ჟ კომპლექსები. სხვა შემთხვევებში თანხმოვანთა თავყრა არა-ბუნებრივია, ამიტომ ნასესხებ ლექსემებში თვალშისაცემია კომპლექსთა სუპერაციის ტენდენცია. ანლაუტში თანხმოვანთმიმდევრობის გამარტივება ორი გზით წარიმართება: ა) პროთეტული ი ხმოვნის დართვით ან თავყიდური თანხმოვნის ჩამოცილებით, მაგ.: დიდ. იშქოლა (შდრ. რუს. школа) „სკოლა“, დიდ. ისთოლ (შდრ. რუს. стол) „მაგიდა“, დიდ. ფიჩქა (< რუს. спичка) „ასანთი“, დიდ. ტაქან (< რუს. стакан) „ჭიქა“...; ბ) თანხმოვანთმიმდევრობაში ხმოვნის ჩართვით, მაგ.: დიდ. ციხენი (< ქართ.) „ცხენი“, დიდ. ციხუარი (< ქართ.) „ცხვარი“, დიდ. უარაჩ (< რუს. враг) „ეჭიმი“, ქულუბ (< რუს. клуб) „კლუბი“ დიდ. ფირქაზ (< რუს. приказ) „ბრძანება“ და სხვ.



## X თავი

### ონომასტიკა

10.1. ტოპონიმები.<sup>42</sup> დიდოურ ენაში ტოპონიმები მეტწილად აღწერიტად არის ნაწარმოები: მსახლერელი სახელი, როგორც წესი, გენიტივის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო საზღვრული სახელობით ან რომელიმე ლოკატიურ ბრუნვაში დგას, მაგ.: ზექოს ღუნაბი „ფიქენი“ (ზედმიწ. „წიწვის ხეები“), ცეტოზას ჰონ „სათიკე მთა“, რეცენიფოს გუბ „ქიანქველათ გორა“, აქიფეს გოგა „სათუშე გორა“ (ზედმიწ. „თუშის გორა“), შეთროს ლ'იხ ზედმიწ. „ბაყაყის წყალთან“, ჰაჟიზ ქიქხო ზედმიწ. „ჰაჯის წყაროსთან“, ჯუდეზ გუბელ „ურჩხულის ბორცვქვეშ“ და მრ. სხვ.

არცთუ იშვიათად ორკომპონენტიან ტოპონიმებში მსახლერელი სახელობით ბრუნვაში დგას, მაგ.: ბიგუნი მშალი ზედმიწ. „კარგი ცხვირი რომელღაცა“. თავოსი ქერუ „იქითა მდინარე“, ბელენი მეცრეზ ზედმიწ. „პატარა ენასთან“ და მისთ.

დასტურდება აგრეთვე ორგანულად ნაწარმოები ტოპონიმები, რომლებიც ხშირად რომელიმე ლოკატიური ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი. მაგ.: ქეროხ „მდინარესთან“, თათანუხ „თბილთან“, ქიქ-ტო „წყაროზე“, ბენორა-ლ' „მაღალში“ და ა. შ.

შედარებით ნაკლებად გვხვდება კომპოზიტური აგებულების ტოპონიმები: ნაჰურაღ „მუხათსოფელი“ (ზედმიწ. „მუხას+სოფელი), ყირიფო+მაჰიტე „სკამკულა“ (ზედმიწ. „სკამი+კულზე“) და სხვ. მისთ.

დიდოური ენა მდიდარია ორონიმებითაც: ლ'უტო გოგა „დაბლობი“, გუბტო „ბორცვზე“, ცეკიბეზუაზა ზედმიწ. „თიკანმონაკლავას გავლით“, მაჰიტა ზედმიწ. „კულზე“, ილანხევი, საბაკუნის ხევი და მრ. სხვ.

10.2. ანთროპონიმები. დიდოელები მეტწილად არაბული წარმოშობის საკუთარ სახელებს იყენებენ. არაბული რქმევის სახელების გავრცელება, რამაც ძველისძველი ეთნონიმების შევიწროება და ხშირად მათი სრული გაქრობაც გამოიწვია, ისლამური აღმსარებლობის ფართოდ გავრცელებას მიეწერება. არაბული წარმოშობის მარტივი სახელებია: აჰმად, მაჰამა, ცუმარ, რამაზან, რასულ, მურად, ჰადიშათ, სალინათ, ჰალიმათ, ფატიმათ და მრ. სხვ.

<sup>42</sup> ჩვენ ზევით აულთა დასახელებისას შევებეთ ოიკონიმებს. აქ მოკლედ განვიხილავთ მიკროტოპონიმებს.

გვხვდება ისეთი რთული აგებულების საკუთარი სახელები, რომლებიც ორი დამოუკიდებელი სახელის შეერთებით არის მიღებული, მაგ.: ჰაჟი-მურად, მურთაზ-ალი, ალი-ხალით, ალი-ხან, უმა-ხან...

იშვიათად გვხვდება ბიბლიური წარმომავლობის სახელები, რომლებიც უპირატესად არაბული ან იშვიათად ქართული ენების გზით არის შეთვისებული, მაგ.: ისაყ (ძვ. ებრ. ისაყ), ილიას (ძვ. ებრ. ელია), დაყუფ (ძვ. ებრ. იაკობ), სულემან (სოლომონ), ცისა (იესო), ჰაჟა (ევა) და მისთ.

თურქული წარმოშობის საკუთარ სახელთა წყებას განეკუთვნება ძირითადად ორკომპონენტიანი ანთროპონიმები, რომელთა მეორე ნაწილი ხშირად თანამდებობის (ხანი, ბეგი, სულთანი...) გამომხატველია. მაშაკაცთა საკუთარი სახელებია: დელიმხან (დელიმ+ხან), გირაძხან (გირაძ+ხან), არსლანბეგ (არსლან+ბეგ), ზაურბეგ (ზაურ+ბეგ), ბადსულთან (ბად + სულთან)...; ქალის სახელებს მიეკუთვნება: ხანბიქა (ხან + ბიქა), ზაჰრაბიქა (ზაჰრა + ბიქა), ანა, გიზი...

შედარებით ნაკლებად იჩენს თავს ქართული სახელები: ცერაკლი, ცანდუნიკ, არსენ, სანდრო, ლალი, ეთერი, ინგე...

დიდოელებში გავრცელებულია ხუნძური საკუთარი სახელებიც: ქუქეშ (< ქუქეშაჟ „ცული“), ცადალაჟ („სულელი“), ციზოლაჟ („ცეზი“), ჰიტინ (< ჰიტინაჟ „პატარა“), მესედუ (< მესედო < მესედ-კო? „ოქრუა“), ჩაქარ-მესედუ (ზედმიწ. „შაქარ-ოქრო“), კანწა (< ქანწა „შუქია“), ქუჰარაჟ („ქედმაღალი“) და მრ. სხვ.

დასტურდება ჰიბრიდული ანთროპონიმები, რომელთა კომპონენტები სხვადასხვა ენას განეკუთვნებიან: ცალი-ბაჰარჩი (არაბ. ცალი+ხუნძ. ბაჰარჩი „გმირი“), რასულ-ღალბაწ (არაბ. რასულ+ხუნძ. ღალბაწ „ლომი“) და ა. შ.

გარდა ამისა, გვხვდება რუსულიდან ან რუსულის გზით ნასესხები უცხოური საკუთარი სახელები, რომლებიც ბოლო ხანებში თანდათანობით იკიდებენ ფეხს: რუსლან, სვეტლანა, ზადრა, იზუმრუდ, ადდა, ზოდა, სამრა...

საკუთრივ დიდოური წარმოშობის რქმევის სახელებად მიიჩნევენ [ისაყოვი 1996, 89] სულ რამდენიმე სახელს: მანყო, ჰენტაო, ცაცა, ლ'ოჰე, ჰეთუ...

დიდოელთა სახელების პრინციპი საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმულაში (შამის სახელი ნათესაობითში + სახელი სახელობითში) ჯდება, მაგ.: ცალის ცუმარ, მაჰმადის ფატიმათ... ანალოგიური ვითარება გათხოვილი ქალების სახელებისასაც: რასულეს მესედუ (რასულის ცოლი მესედუ).

საყურადღებოა, რომ ბოლო დროს თავი იჩინა (განსაკუთრებით რთული აგებულების მრავალმარცვლიან) სახელთა გამარტივების ტენდენციამ, რომელთაც აბოკოპე ან სინკოპე მოუდით, მაგ.: ფაფხულაჰ > ფაფხუ, შაჰრუდინ > შაჰრუ, რამაზან > რამა, აბუბაქარ > აბაქარ, რუყიდათ > რუყი, უზლიფათ > უზი, ზარიფათ > ზარი და ა. შ.

გარდა ზემოთქმულისა, შეინიშნება ბავშვთა სახელდების გამარტივებისაკენ მიდრეკილება, რომლის დროსაც ორწევრიანი სახელების ცალ კომპონენტზე დაყვანა ხდება, მაგ.: ყაბულმაჟიდ > მაჟიდ, ჰაჟი-მაჰმად > ჰაჟი, ჰაჟიმურად > მურად და სხვ.

10.3. ეთნონიმები. დიდოელთა აღმნიშვნელი ეთნონიმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწარმოება -ზი სუფიქსის მეშვეობით: ცე-ზი „ცეზი“, „დიდოელი“, სო-ზი „საჰადელი“... გარდა ამისა, გვხვდება -ხი სუფიქსით ნაწარმოები ეთნონიმი ცეტლო-სი „ცეტლოელი“, „ცეზი“.

ზოგიერთ ოიკონიმზე -ბი სუფიქსის დართვით იწარმოება ამა თუ იმ სოფლის მკვიდრის სახელი: ნეტო-ბი „ნეოელი“, „მოყოყელი“, ჭიტა-ბი „ჭიტურელი“... ამავე სუფიქსის საშუალებით იწარმოება გვარისა და მამიშვილობის სახელები, მაგ.: ჰასან-ბი („ჰასანანი“), ქუქუ-ბი (ზედმიწ. „გუგულანი“), ლ'ონიდა-ბი (ზედმიწ. „სამეულანი“), ტინდი-ბი (ზედმიწ. „ტინდა-ნი“), გაჯალაჟ-ბი („გაჯალანი“) და მრ. სხვ.

თუხუშთა სახელები გვხვდება მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც, მაგ.: რომალიაჟზა-ს („რომალიაჟანთა“), მუნლაჟზა-ს („მუნლაჟანთა“) და სხვ. მისთ.

# მეხუთე ნაწილი

## დიდოური ტექსტები

### I. საშადური დიალექტი

ჯართადინ ქიღბაბინ  
ჯადოქარი და გოგონები

1. სის ზეყ'ყ'უნ ადემთეჟ ეჟკუ, ნესის ზეყ'ყ'უნ ლ'ონო ქიდ.  
ყოფილა ერთი კაცი უხსოვარ დროს, მას ჰყოლია სამი ქალიშვილი.
2. ოლოდ სიდაჯულ' ედღჷმ ელინ ნესიჯორ:  
ერთხელ მათ უკითხავთ („უთქვამთ“) მისთვის:
3. „— ელი ქოდოხ რიტახ“— ლინ  
„— ჩვენ ხენდროზე მიედივართო“...
4. ობუჟჷჷ ელ'ღენ: „— ხე, რიტა!“ - ლინ.  
მამას მიუგია: „— აბა, წადითო“.
5. ქიღბაბი რიტჷნ ქოდოხ, ჷედრაბინ რისსენ.  
ქალიშვილები წასულან ხენდროზე და ვედროებიც წაუღიათ.
6. ციკკო ედღური რიჩინ, კეშანან კეშანან.  
ისინი ტყეში გაჩერებულან და თამაში გაუმართავთ.
7. ჰომონდუ რიჩინთეჟ ბუჯენ ბეტტვენ.  
შეყოვნებულან რა, ამასობაში მზეც ჩაწვერილა.
8. მარკაჰუნ რაყ'ყ'ენ.  
მწუხრი ჩამომდგარა.
9. ოლოდ ხინძო ქიღბაზარ თაჯ'ჯ'ო რუქან წი.  
შემდეგ („იქიდან უკან“) გოგონებს შორიახლო სჩვენებია ცეცხლი.
10. ხინძო ედღური რიტჷნ ოლორ.  
შემდეგ ისინი წასულან იქით.
11. დოყყო დესჷენ ნელ'ა ჯართადე დიჯერუ ქიდ.  
აქ აღმოჩენილა იმ ჯადოქარის მოტაცებული გოგონა.
12. ოლოდ ნელ'ა ქიღბჷ ენდუ ელ'ღენ:  
იმ გოგოს ასე უთქვამს:
13. „— მეჷი ნარ ნეხხი დოყყორ!  
„— თქვენ სად მოხვედით აქ!“
14. ლინ ჯართადე დიჯერუ დოლ', მეჷინ რიჯერ- ლინ“.

მეც ჯადოქრის („ჯადოქარმა“) დაქერილი ვარ, თქვენც დაგიქერთო“.

15. ოლომ ქიღბაზან ელლენ: „— ლე, მინ ელალ' ზენნი, როყუალ-  
ლინ“.  
მერე გოგოებს უთქვამთ: „— მოდი, შენც ჩვენთან ერთად, გავიქე-  
ციოთ“.
16. ქიღბე ელლენ: „— აჲ, დიტოხნალ', ხენ ხეციდა ნელ'ა“:  
გოგოს უთქვამს: „— არა, ვერ წამოვალ, მაინც არ გამომიშვებს  
ის“.
17. ოლომ ხინძო დოღნებხენ ვართად, კოლლენ ედელალ' ხინძო,  
რივერხო ზეყყვენ.  
შემდეგ გამოჩენილა ჯადოქარი, მათ დასდევნებია უკან, კინალამ  
დაუქერია.
18. ხინძო ედელა ქიღბაზან ქურენ ციდარ მური, ოსსათჷ პონ დოჯვენ.  
შემდეგ იმ გოგონებს უსროლია თხორი და უზარმაზარი მთა გა-  
ჩენილა.
19. ეო ვართად თესოზ პონელ' ლენხუნენ, ედღური ქიღბაბი ქიჩერ  
რაცყენ.  
ის ჯადოქარი მთის ძირას დარჩენილა, ის გოგონები წვერზე მო-  
სულან.
20. ხეკონენ კოლლენ ეო ვართად ხინძო, რივერხო ზეყყვენ ედღური.  
კიდევაც გამოჰკიდებია ის ჯადოქარი უკან, ის-ის იყო, იქერდა  
თურმე მათ.
21. ხეკონ ქურენ ქიღბაზან ჰილუ: რესათჷ ციკ როჯვენ.  
ისევ უსროლია გოგონებს სავარცხელი: უღრანი ტყე გაჩენილა.
22. ნელ'ა ციჯვე ქიღბაბი როკლენ, ეო ვართად ოლო ლენხუნენ.  
იმ ტყიდან გოგონებს გაულწევი, ის ჯადოქარი იქ დარჩენილა.
23. ვართადჲ ნელ'ასთჷთჷ კიცუნ დოღდენ, ციკ ტიტა ბიჰვენ, ტიტტენ,  
ცივენ ლეყერენ.  
ჯადოქარს თავისივე კბილი ამოუძვრია, ტყის ჩეხვა დაუწყია, უჩე-  
ხია რა, ტყეც გაუთავებია.
24. ეო კოლენ ქიღბაზალ' ხინძო.  
ის გამოჰკიდებიათ გოგონებს უკან.
25. ოლომ ხინძო ნელ'ა ედღური ქიღბაბი რივერხო ზეყყუნენ.  
შემდეგ იგი იმ გოგონებს ის-ის იყო იქერდა თურმე.
26. რივირა ეტიკა ლენხუნა, ჰიჰჰა დელუნენ ქურენ მატუ.  
დაქერამდე ცოტა რომ დარჩენილა, ყველაზე უმცროსს უსროლია  
სარკე.

27. ეო მატუ ქურენ, ეედულ' ბოლიტო ბოკენ რალ'ად: თავჯ'რზახ — ქიდბაბი, ნაქჯ'რზახ — ვართად.  
უსროლია რა ის სარკე, მათ შუაზე წარმოქმნილა ზღვა: აქეთა მხარეს — გოგონები, იქითა მხარეს — ჯადოქარი.
28. ოლოდ ვართადე ელ'ენ ქიდბაზაკორ:  
ჯადოქარს უთქვამს გოგოებისთვის:
29. „— მეფი ჰედუ როკენ თავჯ'ორ, დინ ბოდუო, მექარ ენიტლ'უნ ბიჩალ - ლინ“.  
„— თქვენ როგორ აღმოჩნდით მაგ მხარეს, მეც გადამიყვანეთ, თქვენი დედა ვიქნებიო“.
30. ხინძო ქიდბაზან ელ'ენ: „— დეტუო მიზელ'ერკუ აპინენ დიცო დეტუორ მი, ჰობოდ კოლო!- ლინ“.  
შემდეგ გოგოებს უთქვამთ: „— რომ ვერ აწევ, (ისეთი) ქვა მოიბი ტანზე და მერე გადმოხტეო“.
31. ოლოდ ნელ'ან აპინენ დიცენ, კოლ'ენ, მიჩენ, ხინძო შუტენ.  
მართლაც მას ქვა მოუბია, გადმოხტარა, გაჩერებულა რა, შემდეგ დამხრჩვალა.
32. ქიდბაბინ იდულორ რიტენ, ფარაყათ რიჩენ.  
გოგონები კი შინ დაბრუნებულან და ბედნიერად ყოფილან.
33. წუნტი, წვანტი ჩანაზ მაჰილ, ტეყურზო აჰალ.  
დიდო-მიდო თხის კუდქვეშ, ვაცუნის ყურქვეშ.

მაჰამად ლატიფოვი, 30 წ., უმაღლესი განათლებით, საჰადა,  
20.VII.1989.

## ბისქინაჲ ჟეკუ

### ღარიბი კაცი

1. სის ზეყ'ყ'უნ ბისქინაჲ ჟეკუს უჟი.  
ყოფილა ერთი („ერთი ყოფილა“) ღარიბი კაცის ვაჟი.
2. თეხუბ ზეყ'ყ'უნ, ობუ ჴასიათ ბუნ: — ჟეკუს ქალწარ ჰალტიზე  
მოწუა მიტონრე, მუსა-ლინ ცი ფოლ'რუ ჟეკოლორ ტეტონო,  
ნესე ბატურხოსი ფოლ.“  
მამას სიკვდილისას („კვდებოდა რა“) უანდერძებია: — უცხო  
 („კაცის“) სოფელში თუ გაემგზავრები სამუშაოდ, მუსა ვისაც ერ-  
ქმევა, მასთან არ წახვიდე, ის მატყუარა („მან მომტყუებელი“)  
არისო.
3. თეხუნენ ობუ.  
მომკვდარა მამა.
4. იღუსი შებენენ ლ'ეყენ, ჰალტი კენ მიტუნ.  
შინ რაც ჰქონდა, გამოჰლევია და სამუშაოს საძებნელად წასულა.
5. სიდა ქალწარ თაყენ.  
მისულა ერთ სოფელში.
6. ესერენ: — ჰალტოკან მეთირუ ჟეკუ ფოლ'ე-ლინ — ელენ.  
უკითხავს: — მუშა ხომ არავის უნდაო? („მუშის მდომელი კაცი  
არისო?““).
7. — დი ფოლ'-ლინ — ელენ.  
— მე ვარო — უთქვამს.
8. — დეტოო ცი შეუ-ლინ? — ელენ.  
— შენ რა გქვიაო? („შენზე სახელი რა არისო?“) — უთქვამს.
9. — მუსა ფოლ'-ლინ — ელენ.  
— მუსა გქვიაო („არისო“) — მიუგია.
10. — ჴასიათ ბუნ ობუს, მუსარ ჰალტი ბუნო-ლინ — ელენ.  
— მამის დანაბარები მაქვს, მუსას საქმე არ გაუკეთოო — უთ-  
ქვამს.
11. სიღენი ყუბტიმარ მიტუნ.  
ერთ ქუჩაზე გასულა.
12. — ა, სალამ ცალედექუმ, ბაჰარჩი! ჰალტოკან მეთენენ?  
— გამარჯობა, კაბუკო! მუშა გინდა?
13. — ეთენ.  
— მინდა.
14. — ცი შეუ დეტოო?

- რა გქვია შენ?
15. — მუსა. წიკაუ მუსაზას ცალ მოლ.  
— მუსა. ჩანს, მთლიანად მუსეზის სოფელი არის.
16. — რაზი მოლ. დი პალტოვან მოლ. პალტი შეუ დები?  
— მოხარული ვარ. მე მუშა ვარ. შენ რა საქმე გაქვს?
17. — მი ბეტლორ მიტა მოლ.  
— შენ ცხვარში წახვალ.
18. ოწწენ ბეტეს შებენენ კუნო ოწწენ ლურუშ ლებარ, ქამიზე რუმიქი როყუნო.  
ათ ცხვარსა და ოცდაათ მანეთს (მოგცემ) წელიწადში, თუ არაფერს დაკარგავ.
19. — რაზი მოლ. მიტონ ბეტლორ აპოზი-ლინ — ელენ.  
— ყაბულსა ვარ. ცხვარში წასულა მწყემსიო — ამბობენ.
20. პონტო მოლზად მაყყენ სიდაქტლ ლუდოდ.  
ერთხელ მთაში ყოფნისას მოსულა დამით.
21. აპოზე წოჰლი რუტა ვაზირ ნესის ძებურენ.  
მწყემსს საქურდლად მისული მისი (მუსას) ვაზირი მოუკლავს.
22. ყანო ელიზაჯულ ესსუ ძეგერენ.  
მეორედ ძმა გაუგზავნია.
23. ჰობოყი ცალწარ ნეხენ, ბეტონ როყყენ.  
მაშინ კი სოფელში წამოსულა და ცხვარიც მოურეკავს.
24. — სასქინ ქამიქი დელ ლებუ?  
— რატომ არცერთი არ დაიკარგა („დარჩა“)?
25. — დი აპოზი მოლზატა-ლინ — ელენ.  
— მე მწყემსი ვარო — მიუგია.
26. ქიდ ფეგერენ, ნესირ ბიშუნ რიყენ.  
გოგო გაუგზავნიათ, მისთვის საქმელი გაუტანებიათ.
27. ჰობოყი ბეჩედაუ ეყუ ელენ: „აპოზე დი ძელურა მოლ-ლინ“ — ელენ.  
ახლა მდიდარ კაცს უთქვამს: „მწყემსი მე დამლუპავსო („მომიგებსო“).“
28. „— ეო ქეცხატა ბობორუ ლი ეტო, ჯოტოჲ ვემა რეგერხო-ლინ“ — ელენ.  
— როცა ის დაიძინებს, მდუღარე წყალი დაასხით ისე, როგორც სახურავიდან წვიმა ასხამსო - უთქვამს.
29. ნესის ტირირ სის მუტ ბწყიქი.  
მას ქვევით ერთი წვეთიც არ მოხვედრია.
30. ჰობოყი ბეზუა ჰადამ რეგერენ- ძებურენ ეო-ლინ?



- ახლა ხალხი სანახავად გაუგზავნია — მოკვდაო?
31. ეო კაგო მესსუნენ. დოდუ ჰუცინაჲ მოლუჲ დაყყენ ზეყყ'უ.  
ის ცოცხალი უპოვნიათ. იგი ტკბილ სიზმარს ხედავდა თურმე.
32. — დები ჰუნარ შეტ? დი მუგერზამ, ხინძორ მათინრამ, დი დებერ  
ქოლეჲ შებენ ნელა დოლ'.  
რა უნარი გაქვს შენ? მე რომ გაგგზავნი, თუ უკან დაბრუნდები,  
რა პირობაც გვაქვს, მოგცემ.
33. მი მიტამ-დაყყ'ის ჰონტორ გულუ ბოყუა.  
შენ მოგიწევს მთაში წასვლა („წასვლა-მოდინარ“) და ცხენის მო-  
ყვანა.
34. ნესის ეო გულუ ბოყუა-ბაყყ'ის ზეყყ'უნენ ორზენენორ.  
მისი ის (მოსაყვანი) ცხენი მოდიოდა თურმე ტბასთან.
35. ოლო აზდაჲჲ ზეყყ'უნენ.  
იქ ურჩხული ყოფილა.
36. მიტუნ ჰობოჲჲ, როჩენ რისსენ, გულულ' ხიზზო.  
მაშინ თოკი აუღია და წასულა ცხენის უკან.
37. ნესჲ, ეო მუხუა-ლინ, მუგერენ.  
მას (მდიდარ კაცს) იგი დასალუჲავად გაუგზავნია.
38. დეჲჲ დუნოჲ ბიცენენ, გულუნ ბესსუნენ, ნელ'ალ აზდაჲჲჲ ბესსუნენ.  
იგი (თოკი) დიდი ხისთვის გამოუბია, ცხენიც მოუხელთებია და  
ის ურჩხულიც.
39. აზდაჲჲჲ, გულუნ, ეო დუნენ იდულორ როყყ'უნენ.  
ურჩხულიც, ცხენიც შინ მოუყვანია და ხეც მოუყოლებია.
40. ჲარაულჯორ მუსა ელენენ: — მუხურ ეო!-ლინ — ელენენ.  
მუსას მცველისთვის უთქვამს: — ის მოკალიო!
41. ქიდბჲჲ ჰილლა ბუუნენ, უჲი ჲუნასარ მუუნენ.  
გოგომ იმზაკერა და მოხერხებით ვაჲი გადაარჩინა.  
ქიდინ უჲენ ეალ'ლორ ბიტუნ ეედუსთეჲ.  
გოგო და ბიქი ოავიანთ სოფელში დაბრუნებულან.

შაჲსანათ ჲამზათოვი, 50 წ., დაწყებითი განათლებით,  
ჲლაკუტა, 15.VII.1986.

ოსნოსი  
ოსნოსი<sup>43</sup>

1. შიკქვაზაბ იხდატი ოს ბეყერხო ზეყყ'ტენ.  
პირველ ყოვლისა, გაზაფხულზე ხარი მოჰყავდათ („იციონენ“).
2. ბჷთი ცალროს ბმეჲეტანინ ბელეტანინ ხალყი სადაჲ.  
სოფლის დიდი და პატარა ხალხი ერთად იკრიბება.
3. ხინძო ოსუბინ როყყ'ტენ, ბირუს-რეტუნ ტაჲენ, მეგერ შიკქა  
აღწაბ ჰალოს წიკარაჲ ეეკუ.  
შემდეგ ხარებიც მოჰყავთ, სახნისიც და უღელიც და აგზავნიან  
ყველაზე ხანდაზმულ კაცს სახნავად.
4. ნესე სის მუჲ ბოლ.  
ის გაავლებს ერთ კვალს.
5. შობოჲი ნესე ფათიჰა ქურ.  
ახლა ის დაილოცება („ლოცვას ისკრის“).
6. შობოჲი ყ'უჲ ბოლ შომონდუთეჲ სისკონ მუჲ.  
ახლა სხვა გაავლებს ასეთსავე ერთ კვალს.
7. შომონთეჲ ნესენ ქურ ფათიჰა.  
ასევე ისიც დაილოცება.
8. ფელუ შობოჲ თაქრარ რუჲ ცოლირაბ.  
ეს ასე კეთდება შვიდჯერ.
9. ხინძო ჩანლი ეჲე ბელირუ მეჩოლ'.  
შემდეგ მოხნულ მიწაში თესავენ თესლს.
10. შობოჲი ოსუზას შილწახარ ქურ აღურაბი მაგალას.  
მერე ხარებს რქებზე აცმევენ პურის კვერებს.
11. რეგერენ ხეცი ოსუბი, ბელჷეტანი ხეხბი კოლირ ეფდალ' ხინძო  
ეფლუაჲოდ აღურაბი როღჷლორ.  
ხარებს უშვებენ („აგზავნიან რა, თავს ანებებენ“), პატარა ბავშვე-  
ბი რომლებიცაა მისდევენ მათ უკან რქებიდან კვერების მოსაძ-  
რობად.
12. ხინძო ქუშონორ ბოქონ შეტჷუნ, მრხი ოს ბეყერხოსი ბეტერჷან.  
მერე იცმევენ რა გამობრუნებულ ტყაპუქს, ხართგაყვანის მოთავე  
გარბის.
13. ნესილ' ხინძო კოლირ ბელჷეტანი ხეხბი.  
მას უკან მისდევენ პატარა ბავშვები.
14. ეფლუ მინკერენ ჟონ, ტიორი გოჰ ბჷჲ.

<sup>43</sup> გაზაფხულზე სახნავად გასვლასთან დაკავშირებული რიტუალია.

- ისინი იქერენ რა მას, ზედ ახტებიან („ზედ გორას აკეთებენ“).
15. ხინძო აპუკ, ლ'უ აღ'ურ მისხოსი.  
შემდეგ აცხადებენ, ვინც კვერი აიღო.
  16. ოლოდ ოღნებ აღ'ურ მისა მწითირუ ქეკუ.  
იქიდან გამოდის კვერის აღების მოსურნე კაცი.
  17. ჰობოჟი ნესიჯორ აღ'ურენ თნლ'.  
ახლა მას აძლევენ კვერს.
  18. ჰადამ სიდალორენ ბჷთი, ზურმა ფელ'უხ, ყ'ილი ბოკხო.  
ხალხი ერთად იკრიბება, ზურნას უბერავენ, დოლს უკრავენ.
  19. ლ'ოჩატი კოლი, ქეპ ნალი... ჰომონდურ ქურმუ-ლუდი რნჷი.  
ცეკვავენ, მღერიან... ასე გაჰყავთ მოსაელის დღე.

## ბიცანკაბი

### (ანდაზები)

1. პონლორ პონ დაყიდა,  
ქეკუდერ ქეკუ მწყი.  
„მთა მთასთან ვერ მივა,  
კაცი კაცთან კი მივა“.
2. დემ ოლ'ცე დალ'ერჷუ ქეკუ.  
„ჩემი ფეხისოდენაც არაა (ეს) კაცი“.

გაჯი ალიმაჰომედოვი, 32 წ., საშუალო განათლებით,  
მიტლუდა, 30.VII.1986.

## II. ქიდიროულ-ასახური დიალექტი

### ტაპირეს ემალუ

#### ტაპირის ზღაპარი

1. სის ზეუნ ხან. ნესის ზეუნ იკჳა მიგუ ვაზირ.  
იყო ერთი მეფე. მას ჰყავდა ძალიან კარგი ვეზირი.
2. ჰობოჲ ედღუ ყუნესნო ხეხბი ზეუნონჲ.  
არცერთ მათგანს („მათ ორივეს“) შვილები არ ჰყავდა.
3. ჰობოჲ ედღო ყუტი ბონ დუნიალტა ბეზუ ბოტანირ ბიცა.  
მათ პირობა დადეს, წასულიყვნენ ქვეყნიერების სანახავად.
4. სიდაჯულ' ჰუნის ბოჯნო ედღური.  
ერთხელაც ისინი გაუდგნენ გზას.
5. ბაჲნ ედღუ სიდა შაჰარინარ.  
ისინი მიადგნენ ერთ ქალაქს.
6. ჰობოჲ ელო რესუნ ედღურ ბერცინაჲ ახ.  
სწორედ იქ მათ აღმოაჩინეს ტურთა ბალი.
7. ელო თელ'ერ ბეგა რეთინ ზეუნ ედღურ.  
მათ უნდოდათ როგორმე შეეღწიათ ბალში („შიგნით“).
8. შეტუ ბუთიხ ბიჩინ ახიკ, ბეგინ ედღუ თელ'ერ  
დადიოდნენ რა ბალთან, მათ იპოვეს შიგნით შესასვლელი.
9. ელო ყ'იდან ბიჩინ, ედღუდერ მაჲნ ეჩრუ ეეკუ.  
იქ დასხდნენ რა, მათთან მოვიდა ხნიერი კაცი.
10. ჰობოჲ ედღუჲ ესირნო ნესჲ: — ლ'ინალ' მეჲი ურღიზე ბოჯჯ'ო?  
მაშინ მან ჰკითხა მათ: — რა გაგვირეგებიათო?
11. ედღო ელინ: — ელუს ონუ სისქინ ხეხბი.  
მათ მიუგეს: — ჩვენ არ გყავს არცერთი ბავშვი.
12. ჲა თეჯ'რუნ, ნესჲ ედღუჯ'არ თელნო სის ჰენეშ.  
მან გაიგო თუ არა, მათ მისცა ერთი ვაშლი.
13. ედღუჯ'არნო ელინ: — იღურ ბაჲრუნ, ბოლ'ტა ბოკო, ბარუზარ  
თელ!  
მათვე უთხრა: — მიხვალთ რა შინ, შუაზე გაყავით და ცოლებს  
მიეცითო.
14. ჰობოჲ სიდერ უჲი ორჲ, სიდერ ქიდ ორჲ.  
ერთს ვაჲი გეყოლებათ, მეორეს კი — გოგო.
15. ჲოტა — ცი ტაპირ, ქიდბეტა — ცი ზუჰრა-ლინ.  
ბიქს ტაპირი დაარქვით, გოგონას კი — ზუჰრაო.
16. ჲა ჰენეშ ბეჯირუნ, ნეხნო იღულორ.

- იშოვეს რა ეს ვაშლი, დაბრუნდნენ შინ.
17. იღუ ბოლინ ბოკნო, ბარუზარ თელნო.  
შინ შუაზე გაყვეს და ცოლებს მისცეს.
18. ნელ'ტაოსი ზამან ბიკინ.  
მას მერე გამოხდა ხანი.
19. სიდაჯულ' ხანნო ვაზირნო ბელ'იხ ბიკინ.  
ერთხელ მეფე და ვეზირი სანადიროდ წავიდნენ.
20. ხიზორ ედუ ნეხტორ ხანეს ჩაფარ შადნ ჰუნერ.  
უკან დაბრუნებისას მეფის მალემსრბოლი შემოხვდათ გზაზე.
21. ედუჯორ ელინ ნესე: — ხან, დებერ ქიდ დოს, ვაზირ, დებერ უეი დოს.  
მან უთხრა ნათ: — მეფევ, თქვენ გოგო გეყოლათ, ვეზირო, თქვენ კი - ვაეი.
22. ღალუ მუზირუ ჟაზირ გულუნ ბელ'ო ბოკერნო, ნეხნო ზეტუნ.  
გახარებულმა ვეზირმა ცხენს მათრახი გადაჰყრა და სწრაფად მოდიოდა.
23. მადარ შადკუ, გულუნ ბიჩინ, შოტანონ-ოტუნ, მუხუნ.  
მიადწია რა შინ, ცხენი გაჩერდა, ჩამოვარდა (ვაზირი) და სული განუტევა.
24. ხან ყუარიდნო შოუნო, იღუდორ ნეხნო.  
მეფე დანადვლიანდა და შინ დაბრუნდა.
25. იღურ შადხატორთეთუ, ნესირ ბუფურუჟ თელნო: — დი შადხატორ ქიდ ილოდ ტამიზე დოდო-ლინ!  
ჰერ სახლშიც არ იყო მოსული, ბრძანება გასცა: — ჩემს მოსვლამდე გოგონა მოსპეთო!
26. ნელ'ტაოდ სოდერ ჟაზირზო ბარუ უეი ქიქიხ ზეტუნ.  
ამის შემდეგ ვაზირის ცოლი ძუძუს აწოვებდა ვაეს.
27. სიდაჯულ' ხანერ ნესის მადნ მუქან უეი.  
ერთხელ მეფემ მის ბალში დაინახა ვაეი.
28. ნესე ესირნო ჟაზირზაე: — ჯა უეი ლ'უს-ლინ?  
მან ჰკითხა ვეზირებს: — ის ვაეი ვისიაო?
29. ედო ელინ ნესიჯორ: — ჯა უეი მუხურუნი ჟაზირეს დოლ'-ლინ.  
მათ მიუგეს: — ის ვაეი გარდაცვლილი ვეზირისა არისო.
30. ხანეტა ბადნ ურდელ: „დინ მუხურენქეე ზეცის დოლ'ი, ქიდ ჰომონცე დოჯა“.  
მეფე სინანულმა შეიპყრო: „მეც რომ არ მომეკლა და დამეტოვებინა, გოგონა ამხალა იქნებოდაო“.
31. ჰოტლოდ სიდა ვაზირე ელინ: — დები ქიდ ქაგო დოლ'-ლინ.  
მაშინ ერთმა ვეზირმა გაუმხილა: — შენი გოგონა ცოცხალიაო“.
32. ხანე ელინ: — ენტორ დოტო ქიდ-ლინ!

- მეფემ ბრძანა: — აქ მომგვარეთ გოგონაო?
33. ხიზო ხანე ედღუ ბეგირნო ზენნი ტეტრა.  
ამის მერე მეფემ ისინი გაგზავნა სასწავლებლად.
34. ზენნი ტეტერხო ზეუნ, ედღუს ბოვნო სიდღ-სიდღო როტთ.  
ერთად სწავლობდნენ რა, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ.
35. ხანე ეს ქიდ ყუდაზორ თელხო ზეუნ.  
მეფე იმ გოგოს სხვაზე ათხოვებდა („აძღვედა“).
36. ხანე ტაპირ დეგირნო ციჭვოლორ ბაშიჯოტე კედა.  
მეფემ ტაპირი ტყეში გაგზავნა ბეჭდის მოსაძებნად.
37. ტაპირ დიკინოსი ზუჰრა ნოზოლა ხანხო დეგირნო.  
ტაპირის წასვლის მერე ზუჰრა სხვა მეფეს გააყოლა.
38. ტაპირ ციჭვოდ ბაშიჯოტენო რიჯინ, ხინზორ დუთინ.  
ტაპირმა ტყეში ბეჭედი იპოვა და უკან დაბრუნდა.
39. ტაპირ შადზატეორ ხანე ბუდურუტ თელხო: „ეს ზუჰრა დეხუს-  
ლინ — ელო“.  
ტაპირის მოსვლის ეამს მეფემ ბრძანება გასცა — ეთქვათ:  
„ზუჰრა მოკვდაო“.
40. ნელა ზუჰრან ნელას სლუჟანქაჯორ მექოჯოტე თელხო: — დედა  
მექოჯოტე ტაპირჯორ თელ მი!  
ზუჰრამ თავის მოსამსახურეს ცხვირსახოცი მისცა: — ეს  
ცხვირსახოცი ტაპირს გადაეციო!
41. ტაპირ შადრე მეხტეო თელხო ნელა ეს.  
ტაპირის მოსვლის დროს მან (მოსამსახურემ) გადასცა ის.
42. ტაპირჯორ ესინ: — ეს დეხოსი რეუ, ხანხო დეგირსი. ტაპირ  
დიკინ ელო ცალნდორ.  
ტაპირს ამცნეს, რომ იგი მკედარი არ არის, მეფეს მიათხოვესო.  
ტაპირი წავიდა იმ სოფელში.
43. ელოც ცალოზ კიმე, ქიქხო დესუნ ზუჰრა.  
იქ სოფლის განაბირას, წყაროსთან იპოვა ზუჰრა.
44. ელოზხად იღურ დიკინქემ, ტაპირელ ხინზო ნენხო ეს.  
იქიდან შინ აღარ დაბრუნდა რა, ტაპირს გაჰყვა უკან.
45. ელოზხად იღურთეჟ ნენხო, ჰობოლო მუმრე ბოდა ბოვნო  
ედღური (|| ედი).  
ამის შემდეგ შინ დაბრუნდნენ და შეუდგნენ ისინი ბედნიერ  
ცხოვრებას.

სულეიმან სულეიმანოვი, 17 წ., საშუალო განათლებით,  
ჰამაიტლახ, 17.VIII.1987.

1. სის ზოუნო მალა რასადან-ლინ, ელინ, ეეკუ.  
ყოფილა ერთი კაცი, მოლა ნასრედინს ეძახდნენ თურმე.
2. სიდაჯულ' შიკინ მალა რასადან რილუ რილს.  
ერთხელ მოლა ნასრედინი ყანის სახნავად წასულა.
3. რილუნ რილინ, ელო ჩალინ ტეჟო.  
ყანა მოუხნავს და იქ ფეტვი დაუთესია.
4. ჰოვეი სეზიხ ტეჟო ქოსან.  
მერე ზაფხულში ფეტვი მოუშკია.
5. ეე ზოუნო ალლაჰენ მალა რასადანან როთტორ რილსი  
ის ყოფილა ღმერთისა და მოლა ნასრედინის საზიაროდ  
დათესილი.
6. ბაწადნო როდნო ლ'ინოსი, ალლაჰენ ნესან როთტორ რილსი  
გასუფთავებას რომ მორჩენია, ალაჰისა და მის საზიაროდ  
დათესილი
7. როლიკუ როდნოსი, ალლაჰეორ ელინ მალა რასადანან:  
ნახვერის აღების შემდეგ, ღმერთისთვის უთქვამს მოლა  
ნასრედინს:
8. „— დი რილან რილინ, ჰაყუბინ ბისნო, დებერ შიდა დი როლი  
როკხო?“  
„— მოხვნითაც მე მომიხნია, თესლიც მიყიდია, მე შენ რალაზე  
გიყოფ?“
9. წიკეუ როდნო მალა რასადანან.  
მთლიანად მიითვისა მოლა ნასრედინმა.
10. ხიზმო რეგინნო იხიეუ ჯემა.  
შემდეგ გამოუშვია (ღმერთს) ხანგრძლივი წვიმა.
11. სადაჯ ფოლ'რუ იღუსინინ ტეჟო რიუინ ჯემან.  
სახლისეული ფეტვიც მთლიანად წვიმას წაუღია.

დავით რამაზანოვი, 51 წ., საშუალო განათლებით,  
ვიწიათლი, 24.VII.1987.

## ოღ'იბი

### ლექს-სიმღერები

\*

\* \* \*

1. ვამ, ჰონგილ'ენი ქიდ, ჰონგილ'ენი ქიდ,  
ჰონცეთეჟ ოსილ'ნო შიდა მი გიჩიხ?  
ჰოი, მთასავით გოგოვ, მთასავით გოგოვ,  
მთასავით მალლა რატომ დგახარ?  
2. ჰონტეო ბოხიხოსი ჩანნო მი ონუ,  
ჩანანჯანლი როდა თუფი რისერხო.  
მთაზე მოხტუნავე გარეთხა ხომ არა ხარ შენ,  
მოსანადირებლად თოფი რომ ამალებინო.  
3. ბუცი-ბუჯ, ბუცი-ბუჯ, ბუცი-ბუჯ დოლ' მი,  
მი ონუნქინომ, დერ დუნიძალთეჟ ონუ.  
მზე-მთვარე, მზე-მთვარე, მზე-მთვარე ხარ შენ,  
შენ თუ არა ხარ, მთელი ქვეყანა არარაობაა.  
4. დეზ მაჰალალ' ადემსი შუბნო მი დოლ', ქიდ,  
შუბტეო ბოჯკოსინი გაგალინ მი დოლ'.  
ჩემ მხარეში წინა კორდიც შენა ხარ, გოგონა,  
კორდზე მოყელყელავე ყვავილიც შენა ხარ.  
5. ელორ შუკი დი სასაჯ ნურიუნ,  
დერ ბეთი-ბეთირუ ლ'ეტი-ბუტანირ.  
მე ხვალ ავდგები რა, იქით წავალ,  
მე მომწონს ამორჩევა და მოწყვეტა (ყვავილისა).  
6. ბუცი-ბუჯ, ბუცი-ბუჯ, ბუცი-ბუჯ დოლ' მი,  
მი ონუნქინომ, დერ დუნიძალთეჟ ონუ.  
მზე-მთვარე, მზე-მთვარე, მზე-მთვარე ხარ შენ,  
შენ როცა არა ხარ, მთელი ქვეყანა არარაობაა.

აბდულატიფ აბდურახმანოვი, 56 წ., საშუალო განათლებით,  
გენიათლი, 3.VII.1986.



\*

\*

\*

1. — ფელენი ქიღბემუ, მი დეხქინ ჰორო!  
— ჰეი, შე პატარა გოგონა, მოდი რა ჩემთან!
2. — დიდურ დი ნეხვანე წადალათ ვეკუნ?  
— მე როგორ მოვალ სულელ კაცთან?
3. — მი ნეხვანეინად, მიჯირნო, ფოტან!  
— თუ არ მოხვალ, გიბოვნი და წაგიყვან!
4. — უქრუს ღერ ჰალირნო, ელანო ფოლან.  
— ოქროს კიბეს დავიდგამ და იქიდანაც ჩამოგიყვან.

იყუფ მაჰომედოვი, 67 წ.,  
ხუშეთი, 23.VI.1986:

\*

\*

\*

1. ელინო ბიკანე ელუტანო ბეზუნ,  
ელი ბეკიზანე ტოდომატა ზეზუ.  
ჩვენც მივდივართ და ჩვენც გვიყურებენ,  
იქ, სადაც ჩვენ მივდივართ, მტვერში კვალი რჩება.
2. ელუდე ტირინო ბუჯნო ბუცინო,  
ელუდე ადენ რილნო ნუცინო.  
ჩვენ ზევით მზე და მთვარეა,  
ჩვენ წინ კი — კარაქი და თაფლი.

\*

\*

\*

1. ველენო ოვრუ ფოლ', ტირინ ბოტი ფოლ'  
ჰედუნონ ხეცაქინ ბონოსი როტი.  
დაბლა გამოქვაბულია, ზევით პაპანაქება (ცხელემა),  
სულერთია, არ მივატოვებ ქმნილ სიყვარულს.
2. დეფლან ზიფი ფოლ' ლამიკ ტუტაცე.  
ედან დერ ღე ფოჭუ გუნელ ბუთაცე.  
მე ხომ ძროხები მყავს, როგორც ტიხარზე ბუხები,  
ისინი (მე) რძეს დამისხამენ, როგორც ბორბალი წყალს.

ნაქმუდინ ისაევი, 53 წ., ხეთოხი,  
5.VIII.1986.

## ქიციმბი

### (გამოცანები)

1. საცათ ანუსი, ცუე ესიხოსი (მამალად).  
საათის უქონელი, დროის მცნობელი (მამალი).
2. მექე ბადდანა ცადს ბოსონო (ბუცი).  
დიდ მინდორში რძის ბაკანი (მთვარე).
3. აპიდაბი შეტუნნო, ან პაპახოსი (კუმუზ).  
ყურები დაატრიალა რა, მუცლის მქავებელი (ფანდური).
4. ნეშირუ ლაღლ'უნ, სასაჯოსი ხანლ'უნ (მუქი).  
სალამოთი მონა, დილით მეფე (ლეიბი).
5. ჟა.პაზ ვაცის, ტირაზ რელის (რიქინი).  
ქვევით ხისა, ზევით ხორცისა (აკვანი).
6. ბუტაი შილას, შილუ რელის (ონოჩას ყ'იმ).  
ნისკარტი რქისა, რქა ხორცისა (ქათმის თავი).
7. ტაფორ რუთინადა, რიწზოსი (კუქ).  
ქვევით გადმობრუნებული, სავსე (ქუდი).
8. ყ'იმ ქედოლ', ლაგი გერელ', კონკაბი ლ'უზალ' (ჭილ'უ-ოკო).  
თავი მიწაში, ტანი რკინაში, წვივები ხორცში (ნალ-ლურსმანი).
9. ახოლ'აზ რაწზოსი, გუგიგოზაზ ქუჩიხოსი (ლანდუ).  
მუცელზე მკამელი, ზურგზე მგროვებელი (შალაშინი).

ისა ხანმაჰომედოვი, 90 წ., უდოყი, 4.VII.1987.

10. ლ'უზა ანუსინი, ლ'უზა რაწზოსინი (წილოკუ).  
ძვლის უქონელი, ძვლის მკამელი (ლუმელი).
11. ჰილ ლ'ას, თუფი გერეს, თარა ვაცის (ალ'ურ).  
ტყვია წყლისა, თოფი რკინისა, ღარი ხისა (წისქვილი).

ალი გაზიევი, 55 წ., დაწყებითი განათლებით,  
ხუფრი, 22.VI.1987.

## ბიტანკაბი

(ანდაზები)

1. ჰონდერ ჰონ დანჭი,  
ჟეკუდერ ჟეკუ შნდ.  
მთასთან მთა არ მივა,  
კაცთან კაცი მივა.
2. ჯალა მაპარზა ბეტრინქი,  
ლელქზა ბეტურენქინო.  
ციხე გარედან არ გატყდება,  
თუ შიგნიდან არ გატყდა.
3. ზევზათი ალაჰ შუტოჰ,  
რეშტიზე ოჯზათი გულუ შუტოჰ.  
შეკდომისას ღმერთს ივიწყებ,  
ჩამოსვლისას ცხენს ივიწყებ.
4. როხღლ ელურ, ბალაჰიაბი ჟედურ,  
გეგმუ ელურ, ცუც ჟედურ.  
ღზინი აქა, ჰირი იქა,  
ფქვოლი აქა, ქატო იქა.
5. კიცუბი ალუკა, როკუ ქაბა,  
კბილები თეთრი, გული შავი.
6. ჰონტაო იჩინ, იპურ შაღზატორ  
ხოტოჯოსი რაღონო.  
მთაში ნამყოფმა ხეობაში ჩასვლისას  
ფეხსაცმელი არ გაიხადო.
7. ბერცინაბ ბარუნ, ცალროს რაყალტოსი  
მოჩინ, ჟეკუს ბჭი.  
ლამაზი ცოლი სოფლის განაპირა ადგილას სხვისია.
8. როჭრურ როჭრუ რქსუ.  
სიკეთე სიკეთითაო.
9. ტალაბ როჭრურ, რქსუ.  
ვინც ეძებს, პოულობს.

ზულფუყარ ჰაჯიმურადოვი, 65 წ., საშუალო განათლებით,  
შაიტლი, 20.VII.1986.

## სის უფი

1. სიდ ენუ-ობუს ზეუნ უფი.  
მშობლებს („დედ-მამას“) ჰყოლიათ ვაფი.
2. დადა მეგინნო ბეტბო.  
ეს გაუგზავნიათ ცხვარში.
3. სიდა მიხტო მისის ობუ ოიკინ ქრტა მეზუნა.  
ერთხელაც მამამისი წასულა შეილის სანახავად.
4. მესუნ მალა ისესი უფი.  
უპოვნია დაძინებული ვაფი.
5. ობიდო ელინ ქრტორ: — შიდა მი ქეცე?  
მამას უთქვამს შეილისთვის: — რატომ დაიძინეო?
6. ქოდე ელინ ობუნჯორ: — დერ მალალ' რიქას შებინ.  
ვაქს მამისთვის მიუგია: — მე რალაც დამესიზმარო.
7. ობიდო ელინ: — დეკ ესო, შეუ რიქადე.  
მამას უთქვამს. — მე მომიყევი, რა ნახეო.
8. ქოდე ელინ: — ესინონულ-ლინ, მი მეხულ'ინ!  
ვაქს უთქვამს: — ვერ მოგიყვებო, რომ მოკვდეო!
9. — დი მეხურხოსი მი შეუ?!  
— ჩემი მკვლეელი შენ ვინ ყოფილხარ?!
10. რატა ხეცინ, ოხი-ლინ!  
დატოვე ეს ადგილი და წადი აქედან!
11. უფი შად ენუნდერ.  
ვაფი დედასთან დაბრუნებულა.
12. ენიდო ელინ: — შიდა მი ნეხე, სიდა ჰუნის ოიკის-ლინ ბეტბო?  
დედას უკითხავს: — რად მოხვედი, ერთხელ უკვე ცხვარში წასულიო.
13. ქოდე ელინ: — დერ მალალ' შებინ რიქას ზეუს. ეა ესინქილი, ობიდო ოხირსი.  
ვაქს მიუგია: — მე სიზმარში რალაცას ვხედავდი. ეს არ გავუმხილე და მამამ გამომავდო.
14. ენიდო ელინ: — დეკ ესო.  
დედას უთხოვია: — მე მომიყევიო.
15. ქოდე ელინ: — დი ობუნე ქსინქირუ დეტუო ესან? მი მეხულ'ინ, ესაქინ.  
ვაქს განუცხადებია: მე მამისთვის მოუყოლს (სიზმარს) შენ

მოგიყვები? რომც მოკვდე, არ მოგიყვები.

16. — ობუნდინ ბეხურხოსე მი? — მი ელრ ბაზარგანზარ თელან.  
— მამისა და ჩემი მოკვლა გინდა შენ? შენ ჩვენ ვაქრებს მიგყიდით.
17. ბაზარგანბი ლ'ონო შადნ, გიზირ თელნო.  
სამი ვაქარი მოსულა და მათთვის მიუყიდიათ.
18. ბაზარგანზა ელინ დისიკორ: — ელუს მომოქილუბი წუნი რონ  
თიჩი მი სასავორ!  
ვაქრებს უბრძანებიათ მისთვის: — ჩვენ აქლემებს დილამდე  
უყარაულე!
19. ბაზარგანბი ქეცნო.  
ვაქრებს დაუძინიათ.
20. დისე თიზინ, წინ ერნო რეჟე სასავორ.  
ის ამდგარა და გათენებისას დიდი კოცონი დაუნთია.
21. სილა მიხტო დისე ქარიკნო იზირი: — ბიზი, ვიშინ!  
მან დროულად გააღვიძა ისინი: — აღექით, გათენდა!
22. ბეზირუ მიხტო გიზირი ჰადრან ბოჯნო დისიტა: — ნედიტუ  
ბაქარი დოლ'ესი უჟი ელურ შიდა ენუ-ობიგორ ნელე?  
ამის შემყურენი ისინი გაოცებულან: — ასეთი ბეჭითი ბიჭი  
რატომ მოგვეცე ჩვენ მშობლებმა („დედ-მამამ“)?
23. — დერ მოლუ იქაზ ზელს. მოლუ ესინქიზატა ენუ-ობტუკ, დი  
მეჟურ ნელსი.  
— მე სიზმარს ვხედავდი, დედ-მამისთვის სიზმრის მოუყოლობაზე  
მე თქვენ გერგეთ.
24. — ელუკ ესო ჟა მოლუ მი!  
— ჩვენ მოგიყვები ეს სიზმარი!
25. — ენუ-ობტუკ ქსინქირუ მეჟუნო ესიხონუ, მეჟუს ჰაბ როჯლინ.  
— დედ-მამისთვის მოუთხრობს თქვენც ვერ გაგიშვებთ, თუნდაც  
ნაკუწებად იქეთო.
26. — მი ელუს ჰაბ როხოსე ზეტუნ? მი ელრ ყებედერ თელან—თიჟინ.  
— შენ ჩვენი ნაკუწებად ქცევა გინდა? ჩვენ მკედელს მიგყიდითო —  
წაუყვანიათ.
27. ყებედერ შადრნო, თელნო დადა უჟი.  
მკედლეთან მიუყვანიათ და მიუყიდიათ ეს ვაჟი.
28. ყებედე ელინ დისიკორ: — დეზ განიკორ დეზუ მი, დერ ცამნო  
დადა და მი სისტა იზინ ლუდერ!

- მკედელს უთქვამს მისთვის: — ჩემს ხარებს („მოზერებს“) მოუარე და დღეში თითო ტომარა ნაცარიც გამიმზადე!
29. სიდა მიხტო სიდ ხანეს ფირკაზ ბადნ დადა უეი დოლზა ხანტორ: — დებერ ლმონი სუჯალ ნელზო დი.  
ერთხელ ერთი მეფის ბრძანება მოსვლია, სადაც ეს ვაჟი იყო, იმ მეფეს: — მე შენ სამ კითხვას დაგისვამ.
30. ჰოუეა სუჯალ დეი დებერ ბნჭინო, დები მეკ დი ბეკტა დოლ', დებერ ბნო, დეი მი ბეკტა ბან!  
თუ ამ კითხვებზე შენ ვერ მიპასუხებ („არ გეცოდინება“), მაშინ მე ყელს გამოგჭრი, თუ გეცოდინება, მაშინ შენ გამოგჭერი (ყელი)!
31. იკა ადემი სუჯალ ბადს ხანეს ტოზა ხანტორ: — ბნ მი გულუჩინ აჯიუნ ელბო?  
მეფის ყველაზე პირველი კითხვა მოსვლია ამ მეფეს: — შეგიძლია გაარჩიო მამალი და დედალი მტრედი?
32. ტოზაზ ხანეს ზეტნ ქიდ ურდელ დოლ'.  
იმ მეფის ქლიშვილი ჩაფიქრებული ყოფილა.
33. ისი ჟოდე ელინ ხანზო ქიდბეჯორ: — შიდა მი ურდელ ბისნო?  
იმ ვაჟს უკითხავს მეფის ქალიშვილისათვის: — შენ რატომ დანადვლიანდიო?
34. — ვალლა, ქაფურ ხანეს ფირკაზ ბადნ დეზ ობუტორ, აჯიუნ გულუჩინ ელბო ბნრა ბადხ მი-ლინ.  
— ლმერთმანი, მამაჩემს მოუვიდა ურწმუნო მეფის ბრძანება, დედალ-მამალი მტრედები ამოიციანო.
35. დიდურ ბეი ეა ელბო ბილქსი ბოჯბატე?  
როგორ უნდა ამოიციო, როცა ისინი ერთნაირია?
36. ჟოდე ელინ ქიდბეჯორ: — ეა ფიშადბ შებინ.  
ვაჟს უთქვამს ქალიშვილისათვის: — ეს ადვილი რამაა.
37. მი ატეს მორინ რიწნო, ეწრო ტუტო.  
შენ თეფში გაავსე ხორბლით და სახურავზე შემოდგო.
38. გულუჩინე ბეგერენქი აჯუგანი გულუჩი ბალუხბატორ.  
მამალი („ის, რომელიც მამალია“) არ მიუშვებს დედალს („ის, რომელიც დედალია“) მამლის გაძღომამდე.
39. ისი ხანე ბეგინნო — ჰობოდლე გულუჩი, ჰობოდლე აჯიფუ ელბო-ლინ.  
იმ მეფემ გაუგზავნა — ეს მამალია, ეს კი დედალი მტრედიო.
40. ელოზაზ ხანე ელინ: — სის სუჯალ ბის-ლინ.

იქაურ მეფეს უთქვამს: — ერთი კითხვა გამოიცანო.

41. ყენო ქლირუგონ სუჯალ ტოზაზ ხანტოარ ბადნ: — ნოსი იხნლორსი ლომ, ნოსი ნიშნლორსი ლომ? — ბნრ მი ჰოჰუეიგონ!  
მეორე კითხვა მოსვლია აქაურ მეფეს: — რომელ მხარესაა ძალაყინი მსხვილი და რომელ მხარესაა წვრილი? — გამოიცანი ახლა!
42. დედუ ხანეს ქიდ ლნხეს ურღელ დოლ'.  
ამ მეფის ქალიშვილი კვლავ შეფიქრიანდა.
43. დილ'ან ელინ ჟოჯორ: — ყენო ქლირუგონ სუჯალ ბადნ დნზ ობუტოარ: ნოსი ნიშნლორსი, ნოსი იხნლორსი ლომ-ლინ?  
მას (ქალიშვილს) უთქვამს ვაჟისთვის: მეორე კითხვაც მოუვიდა მამაჩემს: ძალაყინის რომელი მხარეა წვრილი, რომელია მსხვილი?
44. ჟოდე ელინ ქიდბეჯორ: — ჟა ფიჰადაბ შებინ.  
ვაჟს მიუგია ქალიშვილისათვის: — ეს ადვილი რამაა.
45. ქურო მი ცულერ ლომ: ქედოლ' წოზრუ იხნლორსი დოლ', ტიირლორსი ნიშნლორსი დოლ'.  
ააგდე ძალაყინი ზევით: მიწაში ჩასობილი მსხვილი იქნება, ზევითა კი წვრილი იქნებაო.
46. დისი ხანე ბეგინნო ყენო ქლირუგონ სუჯალ — ენდუ ნიშნლორსი, ენდუ იხნლორსი ლომ დოლ'-ლინ.  
ამ მეფეს გაუგზავნია მეორე კითხვაც (პასუხი) — ეს წვრილი მხარეა, ეს კი — მსხვილიო.
47. ჰოჰუეიგონ ნელ'ხო დისი ხანე ლ'ონო ქლირუგონ სუჯალ: — ნოსი ეჩრუ, ნოსი ჰოლოჯან გულუბი დოლ'-ლინ?  
ახლა ის მეფე უსვამს მესამე კითხვას: — რომელია ბებერი ცხენი და რომელია ახალგაზრდაო?
48. დოდუ ხანეს ქიდ ურღელ დადნ.  
ამ მეფის ქალიშვილი დანადვლიანდა.
49. — შიდა მი ურღელ დადნ? — ლინ — ელინ ჰობოდსთეთ ყებედზო ადლაჟნი ჟოდე.  
— რად დაღონებულზარ? — უკითხავს იმავე მკედლის ბრივე ბიკს.
50. ჟან სუჯალ ფიჰადაბ დოლ'-ლინ — ელინ ნესი ჟოდე.  
ეს კითხვაც იოლიაო — უთქვამს იმ ვაჟს.
51. — რიგ ციფონ რაგირ ყუნან გულუჟ, რეგირ ლ'ეტოარ.

- მარილი შიშველ („აგარად“) დაკიდვ ორივე ცხენს და გაუშვი წყაროზეო.
52. შოლოჯანნი გულუ ბეკი ლი ჰალტა ბოთბორ, ეჩრუნი ლილღოხთებ ბიჩინ ჰალტა ლი.  
ახალგაზრდა ცხენი წყლის დასალევად შუაგულში შევა, ხოლო ბებერი წყლის დასალევად ნაპირთანვე გაჩერდება.
53. ენდუ ეჩრუ, ენდუ შოლოჯან დოლ-ლინ, ბეგირნო სუცალ.  
ეს ბებერია, ეს კი ახალგაზრდა არისო — გაუგზავნია პასუხი („კითხვა“).
54. ელწაზ ხანე ტწაზ ხანტაორ ხაბარ ბადნ: — ბნს დეა ლ'მონონ სუცალ დებერ.  
იქაურ მეფეს აქაური მეფისთვის უთქვამს: — შენთვის (მისაცემი) ჩემი სამი კითხვა დასრულდა.
55. პოტეი ჰორო მი დეა მეკ ბეკტა.  
ახლა ყელის გამოსაქრელად მოდიო.
56. ჰოტეი ტწაზ ხანე მისიკ დოლ'რუ ხალყინ ბუთირნო, ბიკინ ელწაზ ხანეს მეკ ბეკტან-ლინ.  
ახლა აქაურ მეფეს მისი ხალხი შეუკრებია და წასულან იქაური მეფის ყელის გამოსაქრელად.
57. მიზირი ხანეს ხალყი ბადნ სიდა რეყე ლ'წხორ.  
მეფის ეს ხალხი მისდგომია ერთ დიდი მდინარეს.
58. მიზირი ხალყი ბოკტა მოჩი ბიკინწხუ ჰობოტო ლ'წხ მალწ ბისნო.  
ამ ხალხს მდინარეზე გადასასვლელი ვერ უპოვნია და იქვე დაუძინია.
59. დადა ყებედდე ზეტალი უყი ეკნახ იჩინ.  
ამ მკედლის ბიკი აქეთ-იქით მიმოდიოდა თურმე.
60. მისი ეჩრ რესუნ სიდა მეჩოტა ტწაზა ელწაზ დილა ლ'წტა როტაწსი იხიუ ღუნ.  
ამ ბიკს ერთი ადგილას უპოვნია მდინარის ამ ნაპირიდან იმ ნაპირზე გადასასვლელი გრძელი ხე.
61. დადა ყებედდე ზეტალი უყი ოწნო თეჯორ. ელო ბესუნ ისირ ცალ.  
ეს მკედელთან ნამყოფი ბიკი გადასულა სხვა მხარეს. იქ მას სოფელი უპოვნია.
62. დადა დადა უყი ხანზო ღუტკწხორ.  
ეს ბიკი მისულა მეფის სასახლეში.
63. ხან მიქტან მისირ — დადა უყი დეზუნ ლ'წხუნ მისიტორ.



- მას დაუნახია მეფე — ეს ვაჟი მას (მეფეს) გაკვირვებით უყურებდა თურმე.
64. სიდა მიხტო ნესი ხანე ნესიკ დოლ'რუ ჩურეტ ბოკნო დისიზ ბარუზ, დოკნო ნელ'ოზ ცამ.  
უცებ იმ მეფემ მისი მათრახი გადაჰყრა რა თურმე მისსავე ცოლს, ნაცრად უქცევია.
65. კობ ელ'აგონ ბოკნო ნესე ჩურეტ დისიზ ქიღბეზ, ნელ'ოლ'ემ დოკნო ცამ.  
მეორეჯერ მას გადაუყრია მათრახი მისივე ქალიშვილისთვის, ისიც ნაცრად ქცეულა.
66. ნესე ნესიზნო ბოკნო ჩურეტ, ნესიზნო დოკნო ცამ.  
მან (მეფეს) თავადვე გადაუყრია ეს მათრახი, ისიც ნაცრად ქცეულა.
67. ცამოლ' დისე ევენნო დისიჯოსითებ ჩურეტ.  
მას ნაცარში ჩაუგდია მისსავე ხელთ ნაჭერი მათრახი.
68. დისი ყებედღე ზეტალი ჟორ ბიქან.  
მკედელთან ნამყოფ ბიქს ეს დაუნახია.
